European Initiative
Liberal Academy Tbilisi

G|M|F The German Marshall Fund of the United States
STRENGTHENING TRANSATLANTIC COOPERATION

რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში

თბილისი
2016

რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში

პროექტი ხორციელდება „ამერიკის შეერთებული შტატების, ჯერმან მარშალის ფონდის“ (GMF) მხარდაჭერით.ავტორების მიერ კვლევაში გამოთქმული მოსაზრება, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ,,ამერიკის შეერთებული შტატების, ჯერმან მარშალის ფონდის“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of ”TheGerman Marshal Fund of The United States”. Therefore, the ”The German Marshal Fund of The United States” is not responsible for the content of the information material.

პროექტის ხელმძღვანელი: ლაშა ტუღუში

კვლევის რეცენზენტი: დავით აფრასიძე

ადმინისტრაციული ორგანიზატორი: ანა ციხელაშვილი

პროექტის გუნდი:

რუსეთის რბილი ძალა: ლაშა ტუღუში, მალხაზ გაგუა, გოგიტა ღვედაშვილი, ნინო ლაფაჩი

ეკონომიკური ანალიზი: გიორგი ღაღანიძე

უსაფრთხოება და მისი აღქმა რუსეთ-საქართველოს კონფრონტაციის კონტექსტში: გიორგი ძებისაშვილი

რუსეთიდან მომდინარე სამხედრო საფრთხეები, კონფლიქტური ზონები და რეგიონული განზომილება: გიორგი მუჩაიძე

ოკუპირებულ რეგიონებში არსებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება: ლევან გერაძე

უსაფრთხოების სექტორი: დავით სიხარულიძე

რედაქტორი: ირინა კაკოიაშვილი, ალინა ჩაგანავა, ალასტარ ჯორჯ მაკ ლაუდ ვოთი, ინგე სნიპი

დიზაინერი: ელენა ელტიშევა, ალეკო ჯიქურიძე

თარგმანი: თამარ ნეფარიძე, ლალი ბუსკივაძე

© ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი

© EI-LAT 2016 “ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი”
რუსთაველის გამზირი, 50/1, 0108, თბილისი, საქართველო. ტელ./ფაქსი: +(995 32) 293 11 28;
ელფოსტა: info@ei-lat.ge, ვებგვერდი: http://ei-lat.ge

წინასიტყვაობა

რუსეთის როლი უკიდურესად ნეგატიურია საქართველოს თანამედროვე განვითარებაში. ეს გამოიხატება საქართველოს ტერიტორიის თითქმის ოცი პროცენტის ფაქტობრივ ანექსიაში, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური არჩევანის შეცვლის მუდმივ მცდელობაში, საშინაო პოლიტიკურ პროცესებში უხეშ ჩარევაში და ზემოქმედების სხვადასხვა მეთოდის, მათ შორის, აგრესიის დაუფარავ გამოყენებაში. რუსეთი ამგვარ როლს 1990-იანი წლებიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ასრულებდა და მოსკოვში ხელისუფლებათა ცვლა აისახებოდა მხოლოდ როლის ინტენსიურობაზე და არა მის შინაარსზე. რუსეთის მოქმედება საქართველოსთან მიმართებაში არაა განსაკუთრებული. იგი ანალოგიურად ეპყრობა საკუთარ მეზობლებს, მათ შორის, მათაც, რომლებსაც ოფიციალურ მოკავშირეებად მიიჩნევს. რუსეთის მიზანია, ჰყავდეს ყოფილი საბჭოთა იმპერიის ტერიტორიაზე სატელიტი ქვეყნები, რომლებმაც ერთგვარი ბუფერის როლი უნდა შეასრულონ დანარჩენ სამყაროსთან მიმართებაში. რუსეთის ხელისუფლება მოსკოვის ზესახელმწიფოებრივი სტატუსის „აღორძინებით“ ცდილობს, გადაფაროს რეფორმების აუცილებლობა საკუთარ ქვეყანაში და საზოგადოებრივი აზრი საშინაო პრობლემებიდან საგარეო თემებზე გადართოს. როგორიც უნდა იყოს რუსეთის ქცევის მოტივაცია, შედეგი საქართველოსთვის უცვლელია - რუსეთის მმართველი რეჟიმი წარმატებული დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობას საკუთარ საზღვრებზე პირდაპირ საფრთხედ აღიქვამს და ყველა ხერხით უპირისპირდება.

ზემოთქმულის მიუხედავად, ბოლო ხანებში საქართველოს პოლიტიკურ ელიტასა და საზოგადოებაში შეიმჩნევა რუსეთის „გაგების“ ერთგვარი ტენდენცია. სოციოლოგიური გამოკითხვები ადასტურებს, რომ საქართველოს დასავლური არჩევანი ისევ შეუქცევადია. თუმცა იგივე გამოკითხვები აჩვენებს, რომ გაზრდილია ე.წ. ჩრდილოეთის ვექტორის მომხრეთა რიცხვიც. დღეს უფრო ხშირად ისმის მოსაზრება, რომ რუსეთი თუმცა არა საუკეთესო, მაგრამ არსებულთა შორის ყველაზე პრაგმატული არჩევანია საქართველოსთვის, რადგან, ამ მოსაზრების თანახმად, ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას პერსპექტივა არა აქვს.

მეორე მხრივ, გარკვეული სიახლეებია რუსეთის საგარეო პოლიტიკურ მეთოდოლოგიაშიც - უხეში ძალის პარალელურად, მოსკოვი საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო ხშირად მიმართავს ე.წ. რბილი ძალის თავისებურ ნაზავს. ეს ნაზავი, როგორც წესი, ეკონომიკური და იდეოლოგიური შეღწევის სხვადასხვა ფორმაა. ამისთვის რუსეთს შედარებით „ნოყიერი“ ნიადაგი ხვდება ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, სადაც საზოგადოების დიდ ნაწილში საერთაშორისო საკომუნიკაციო ენა ჯერაც რუსულია და ასევე ჯერაც ცოცხალია საბჭოთა პერიოდის „კავშირები“.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი უდავოდ არაა, „გავუგოთ“ რუსეთს - როგორც უკვე ითქვა, ჩვენი მთავარი დაშვებაა, რომ ამჟამინდელი რუსეთის ინტერესები დიამეტრულად ეწინააღმდეგება დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს არსებობასაც კი. ნაშრომის მიზანია, უკეთ გავიგოთ, თუ რა სახის პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სხვა სახის ბერკეტებია დღეს მოსკოვის ხელში, რითაც მას შეუძლია, გავლენა მოახდინოს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე; შევაფასოთ და გავზომით როგორც დღეს არსებული ვითარება, ისე ის საფრთხეები და რისკები, რაც შესაძლოა, უახლოეს მომავალში წარმოჩინდეს.

ნაშრომი მომზადდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. მუშაობის პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა. თავდაპირველად შეირჩა ის სფეროები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ყველაზე ნათლად წარმოაჩენს რუსეთის მიერ კომპლექსური მეთოდების გამოყენებას საქართველოსთან მიმართებაში. კვლევის ფარგლებში პირველადი წყაროების დამუშავებასთან ერთად განხორციელდა საველე კვლევები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში). ჩატარდა ფოკუსჯგუფების შეხვედრები და შედგა პირისპირ ჩაღრმავებული ინტერვიუები გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და ექსპერტებთან საქართველოში.

საქართველოში რუსეთის გავლენისა და პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების ბერკეტების შესაფასებლად გამოიკვეთა შემდეგი დომინანტური ნარატივები:

- რუსეთის „რბილი ძალა“: გავლენა მასმედიაზე, პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებაზე;
- ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის;
- რუსეთის ხისტი ძალა: ოკუპირებული ტერიტორიები და უსაფრთხოება.

კვლევა დეტალურად შეისწავლის რუსული პროპაგანდის გავლენას ქართულ მედიაზე, წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ინფორმაცია რუსული დაფინანსებისა და პრორუსული დისკურსის მონაწილეობაზე პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

ნაშრომში დეტალურადაა გაანალიზებული რუსეთისა და საქართველოს ეკონომიკური კავშირები: ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობა, საინვესტიციო და საფინანსო ურთიერთობის დინამიკა, ასევე, ეკონომიკის რამდენიმე მნიშვნელოვან დარგში ამ მხრივ არსებული ვითარება.

ცხადია, გვერდს ვერ ავუვლიდით კონფლიქტურ ზონებსა და იქ მიმდინარე ანექსიურ პროცესს, რომელიც რეგიონში მხოლოდ რუსი სამხედროების განთავსებით არ ამოიწურება და ადგილობრივი ინსტიტუტებისა და საზოგადოების რუსეთის დანამატად ქცევას ისახავს მიზნად. ნაშრომში საუბარია იმ საფრთხეებზეც, რომლებიც უკავშირდება რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ პირდაპირი აგრესიის ალბათობას, მოსკოვის მოქმედებას რეგიონში - როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, ისე მეზობელ სომხეთსა (სადაც რუსეთის სამხედრო ბაზებია განლაგებული) და აზერბაიჯანთან მიმართებაში.

ნაშრომი მოიცავს როგორც საფრთხეებისა და რისკების ანალიზს, ასევე რეკომენდაციებს მათ დასაძლევად. კვლევა გამიზნულია როგორც საჯარო სექტორისათვის, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, მედიისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

აღნიშნული კვლევა, ცხადია, ვერ მოიცავდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ყველა ასპექტს. კვლევის ძირითადი მიზანი იყო, შეესწავლა რუსეთის გავლენის არსებული და შესაძლო მექანიზმები. ამ კუთხით და განსაკუთრებით მისი კომპლექსურობის გათვალისწინებით, ნაშრომი თავისთავად სიახლეა. თუმცა მთელი რიგი მიმართულებით საჭიროა კვლევის შემდგომი გაგრძელება.

სარჩევი

თავი I. 8

1. რუსული “რბილი ძალა” 8

1.1 რუსული პროპაგანდა საქართველოში 10

1.2 რუსულენოვანი მედია საქართველოში. 13

1.3 რუსული პროპაგანდა ქართულ მედიაში 18

2. რუსული პროპაგანდის საერთაშორისო ინსტრუმენტები 20

2.1 ასიმეტრიული საინფორმაციო ომი 22

2.2 საერთაშორისო საზოგადოების რეაგირება რუსულ პროპაგანდაზე 23

3. რუსული არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი ქართველი პარტნიორები 24

გორჩაკოვის ფონდი 25

„რუსული სამყარო“ – Русский Мир 26

“რუსული სამყარო” საქართველოში 27

„ლევ გუმილიოვის ცენტრი“ 27

“როსსოტრუდნიჩესტვო“ - „როსთანამშრომლობა“ 27

„მრავალეროვნული საქართველოს ანტიფაშისტური კოალიცია“ 28

3.1 რუსული ფული საქართველოში. 32

4. საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი 33

“ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო” 34

“თავისუფალი დემოკრატები”. 36

“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” 37

“დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო” 38

პატრიოტთა ალიანსი 39

5. ვითარება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში 40

6. ანტიდასავლური ნარატივები და პოლიტიკური მითები. 44

დასკვნა 49

რეკომენდაციები 50

თავი II 52

1. საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები: ნალიზი და რისკების მინიმიზაციისათვის გასატარებელი ღონისძიებები 52

1.1 საგარეო ვაჭრობის დინამიკა 53

1.2 ექსპორტის დინამიკა და დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციის ბაზარზე 55

1.3 სასაქონლო იმპორტის დინამიკა რუსეთის ფედერაციიდან 58

1.4 ცალკეული საიმპორტო სასაქონლო ჯგუფების მიხედვით გასატარებელი ღონისძიებები 59

2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა 60

3. რუსული კაპიტალის მონაწილეობა ქართულ საბანკო სექტორში 61

4. სფეროები, სადაც საქართველო და რუსეთის ფედერაცია კონკურენტები არიან 62

5. სფეროები, სადაც საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის შესაძლებელია თანამშრომლობა 64

6. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის განვითარების ძირითადი მიმართულებები 65

რეკომენდაციები 66

თავი III 70

1. უსაფრთხოება და მისი აღქმა რუსეთ-საქართველოს კონფრონტაციის კონტექსტში 70

1.1 უსაფრთხოების აღქმა რუსეთში და აღიარებული პრიორიტეტები 70

1.2 რუსეთის სამხედრო დოქტრინა – მიზნები და რეალობა 71

1.3 პოლიტიკის პრიორიტეტები 73

2. უსაფრთხოების ინსტიტუციური აღქმა საქართველოში (სტრატეგიული დოკუმენტები) . . . 75

დასკვნა 76

რეკომენდაციები 77

3. რუსეთიდან მომდინარე სამხედრო საფრთხეები: კონფლიქტური ზონები და რეგიონული განზომილება 77

3.1 პოლიტიკური და სამხედრო ვარაუდები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოს უსაფრთხოების განვითარებაზე 79

3.2 სამი ძირითადი ფაქტორი, როგორც რუსეთის მხრიდან მომდინარე სამხედრო საფრთხეების შექმნის პოტენციური წყარო 80

3.3 უსაფრთხოების არასტაბილური გარემო რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში 83

3.4 ყარაბაღის კონფლიქტი და სომხეთში განთავსებული რუსეთის სამხედრო ძალები. 86

4. რუსეთიდან მომდინარე მთავარი სამხედრო რისკებისა და საფრთხეების ჩამონათვალი და მათი მახასიათებლები 88

დასკვნა 89

რეკომენდაციები 89

5. ოკუპირებული ტერიტორიები 90

5.1 ოკუპირებულ რეგიონებში არსებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება 91

დასკვნა 96

რეკომენდაციები 96

6. უსაფრთხოების სექტორი. 97

6.1 სტრატეგიული დონე 99

დასკვნა 105

რეკომენდაციები: 108

დანართი 110

გამოყენებული ლიტერატურა 112

თავი I.

1. რუსული "რბილი ძალა"

რუსეთისთვის „რბილი ძალა" საჭირო იდეოლოგიური და პოლიტიკური პლატფორმის შესაქმნელად ერთ-ერთი აქტიური იარაღია, რასაც კრემლი დაუფარავად და ძალზე ინტენსიურად იყენებს.

რუსეთმა სახელმწიფო დონეზე მოახდინა „რბილი ძალის" ინსტიტუციონალიზაცია, რითაც პოლიტიკური ბრძოლის იარაღად მისი გამოყენება სრულიად ფორმალიზებული გახადა. „რბილი ძალის" კონცეფციის სახელმწიფო დოკუმენტებში აქტიური ასახვა 2007 წლიდან დაიწყო და ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები[1] მოიცვა, როგორებიცაა:

- **რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმოხილვა – 2007;**
- **რუსეთის სახელმწიფო უსაფრთხოების სტრატეგია – 2009;**
- **რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია – 2013;**
- **რუსეთის სახელმწიფო უსაფრთხოების სტრატეგია – 2015**

წარმოდგენილ დოკუმენტებში მედიასთან დაკავშირებით გაცხადებულია შემდეგი: „რუსეთის მთავარი ამოცანაა, გასწიოს ეფექტური საინფორმაციო კამპანია ყველგან, სადაც რუსული ინტერესები გამოწვევებს აწყდება, ასევე, უზრუნველყოს ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსი რუსეთის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით". ამასთანავე, აღნიშნულია, რომ „რუსეთი განავითარებს ეფექტურ საშუალებებს ქვეყნის გარეთ საზოგადოებრივ აზრზე ინფორმაციული გავლენის მოპოვებისათვის, სახელმწიფოს დახმარებით გააძლიერებს რუსული მედიის როლს საერთაშორისო ასპარეზზე და გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს, რათა დაუპირისპირდეს ინფორმაციულ საფრთხეებს, რაც უკავშირდება მის სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებას. დოკუმენტებში, ასევე, რეკომენდებულია რუსეთში უცხოური მაუწყებლების შეზღუდვა და რუსული მედიის გაფართოება საზღვარგარეთ.

იმ ფონზე, როდესაც რუსეთის "რბილი ძალის" პოლიტიკის ძირითადი წყარო სწორედ პროპაგანდისტული, აგრესიული, ანტიდასავლური და ანტიამერიკული საინფორმაციო კამპანიაა, რუსული არხების უკონტროლო და დაურეგულირებელი მაუწყებლობა ქართულ საეთერო სივრცეში ანტიდასავლური განწყობისთვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის.

უნდა ითქვას, რომ რუსეთში მედიის თავისუფლება მნიშვნელოვნად შეზღუდულია და მის უმეტეს ნაწილს კრემლი ან უშუალოდ აკონტროლებს, ან კიდევ შუამავლების მეშვეობით. რუსეთი „მედიის თავისუფლების 2015 წლის მსოფლიო ინდექსის"[2] მიხედვით, რომელიც 180 ქვეყანაში ტარდება, 152-ე ადგილს იკავებს. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ხელისუფლება წამყვან რუსულ ტელევიზიებს პროპაგანდისა და თავისუფალ აზრზე ზემოქმედებისთვის იყენებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ რუსული სამთავრობო არხები ერთმნიშვნელოვნად ემსახურება კრემლის პოლიტიკის აგიტაციას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

მაშინ, როდესაც საერთაშორისო არენაზე რუსული პროპაგანდისტული მანქანა წლების განმავლობაში ერთგვარ პასიურ პოზიციას იკავებდა, ბოლო წლებში მან ამ მხრივ პოლიტიკა შეცვალა და აგრესიულ, შეტევით სტრატეგიაზე გადაერთო. განსაკუთრებით ნათლად ეს 2014 წელს, უკრაინის რევოლუციის პერიოდში გამოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირომ (სახელმწიფო დუმა) 2014 წელს აბსოლუტური უმრავლესობით დაუჭირა მხარი კანონს, რომელიც რუსეთში მოქმედ მედიასაშუალებებში უცხოელი მფლობელების წილის ზღვრად 20%-ს აწესებს. ამავე დროს,

იკრძალება მედიის დაფინანსება ან ამუშავება უცხოური იურიდიული ან ფიზიკური პირების მიერ, ორმაგი მოქალაქეობის მქონე რუსების ჩათვლით.

კანონმდებლობაში შეტანილი იქნა სხვა ცვლილებებიც, რომლის მიხედვითაც, უცხოურ ტელეარხებს მაუწყებლობისთვის ადგილობრივი ლიცენზია მოეთხოვებათ. უნდა აღინიშნოს, რომ CNN-მა სცადა აღნიშნული ლიცენზიის მიღება, თუმცა უშედეგოდ, რის შემდეგაც მას მოუწია, შეეწყვიტა რუსულ საკაბელო ქსელებში მაუწყებლობა. რუსეთის ხელისუფლების მხრიდან შეზღუდვების დაწესების გამო რუსული მედიასივრცე დატოვეს ისეთმა ავტორიტეტულმა საერთაშორისო მედიაორგანიზაციებმა, როგორებიცაა ბრიტანული BBC, "ამერიკის ხმა", გერმანული "დოიჩე ველე" და სხვა.

2015 წლის 23 მარტს CNN-მა კვლავ მოახერხა რუსეთში მაუწყებლობის უფლების მიღება, თუმცა მის გარდა მაუწყებლობა არ აღუდგენია არც ერთ მედიაჰოლდინგს, მათ შორის არც BBC-ს და არც „ამერიკის ხმას".

აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ, ექსპერტთა შეფასებით[3], ანტიდასავლურმა პროპაგანდამ და ნაციონალისტურმა განწყობამ რუსეთში ცივი ომის დროინდელ პიკს მიაღწია და ზოგიერთ ასპექტში გადააჭარბა კიდეც. ამას ადასტურებს სხვადასხვა კვლევაც, რომლებიც რუსეთში საზოგადოებრივ აზრსა და განწყობას შეისწავლის.

"მე მახსოვს ავღანეთის ომი, არცთუ დიდი ხნის წინ იყო კორეის ომი, ასევე, საბრძოლო მოქმედებები ახლო აღმოსავლეთში, ლათინურ ამერიკაში, ვიეტნამში, მაგრამ ჩემი არც ისე ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში ასეთი მძლავრი ანტიდასავლური კამპანია არ ყოფილა", - განაცხადა თურქეთის მიერ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ რუსულ მედიაში განვითარებული საომარი რიტორიკის კომენტირებისას რუსმა ფილოსოფოსმა და მწერალმა მიხაილ ველერმა რადიოსადგურ "ეხო მოსკვის" ეთერში.[4]

> *"როდესაც ცენტრალური ფედერალური არხებით საზრიანი, განათლებული, ინტელიგენტური და არცთუ ახალგაზრდა ადამიანები ამბობენ, რომ საჭიროა სტამბულზე ატომური იერიშის მიტანა, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ჩვენთან დაწყებულია მასობრივი ფსიქოზი."*
>
> ***მიხაილ ველერი**, "ეხო მოსკვი", 29 ნოემბერი, 2015.*

ამ ფონზე გასაკვირი არაა, რომ ლევადას დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, რუსეთის მოსახლეობის უარყოფითმა დამოკიდებულებამ აშშ-ის და ევროკავშირის მიმართ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია.[5] (ცხრილი 1, 2.)

ცხრილი 1.



ცხრილი 2.



წყარო: ლევადას კვლევითი ცენტრი

ლევადას კვლევითი ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობის პარალელურად რეკორდულად იზრდება პუტინის რეიტინგი. 2015 წლის ივნისის მონაცემებით, პუტინის პოლიტიკას მოსახლეობის 89% უჭერს მხარს.

რუსეთის მიერ პროპაგანდის მომძლავრებას და მედიაზე სრული კონტროლის დაწესებას ანალიტიკოსები პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის მართვის სტილს უკავშირებენ. კრემლის საინფორმაციო პოლიტიკაზე დაკვირვება ნათლად წარმოაჩენს, რომ პუტინმა საინფორმაციო პროპაგანდა ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში აიყვანა, რითაც ცდილობს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო საზოგადოების შეხედულებებსა და განწყობაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენას.

1.1 რუსული პროპაგანდა საქართველოში

საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავებასთან ერთად რუსული “რბილი ძალა” ქვეყანაში სულ უფრო აქტიურდება.

2015 წლის 18 დეკემბერს ევროკომისიამ გამოაქვეყნა ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეოთხე, საბოლოო ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ ქვეყანამ ყველა ნაკისრი ვალდებულება შეასრულა. ევროკავშირმა აღნიშნული გადაწყვეტილებით ფაქტობრივად მწვანე შუქი აუნთო შენგენის შეთანხმების ქვეყნებთან საქართველოს მოქალაქეების მოკლევადიან უვიზო მიმოსვლას[6].

საქართველოში, სადაც შენგენის ზონის ვიზების გაცემაზე უარის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია რეგიონში[7], სამოქალაქო თუ პოლიტიკურმა სპექტრმა ეს სიახლე ევროინტეგრაციის გზაზე გადადგმულ უმნიშვნელოვანეს პრაქტიკულ წინსვლად აღიქვა.

აღსანიშნავია, რომ ევროკომისიის მიერ ანგარიშის გამოქვეყნებამდე ერთი დღით ადრე ფრიად საგულისხმო განცხადება გააკეთა რუსეთის პრეზიდენტმა. “ჩვენ მზად ვართ, გავაუქმოთ სავიზო რეჟიმი საქართველოსთან,“ - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე, რომელიც მოსკოვში 2015 წლის 17 დეკემბერს გაიმართა. განცხადებასთან ერთად გადაიდგა კონკრეტული ნებიჯებიც, რუსეთის საგარეო უწყებამაც დაადასტურა, რომ 2015 წლის 23 დეკემბრიდან ძალაში შედის გამარტივებული სავიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებისთვის.

საქართველოს მოქალაქეები საქმიან, სამუშაო, სასწავლო და ჰუმანიტარულ მრავალჯერად და ასევე კერძო ვიზებს აიღებენ იმისგან დამოუკიდებლად, არის თუ არა ნათესაური კავშირი მიმწვევსა და მიწვეულს შორის. აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე ძალიან გართულებული იყო რუსული ვიზის მიღება. ეს ხდებოდა მხოლოდ უახლოესი ნათესავის ან რუსული ორგანიზაციის ოფიციალური მიწვევის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთისგან განსხვავებით, რომელიც მეტი ინტეგრაციისათვის სტრუქტურულ რეფორმებსა და მაღალი დემოკრატიული სტანდარტების დამკვიდრებას მოითხოვს, რუსეთი საქართველოსთან ნორმალიზებული ეკონომიკური თუ სამოქალაქო-პოლიტიკური ურთიერთობების სანაცვლოდ უმეტესწილად სწორედ აღნიშნული ღირებულებებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დათმობას ითხოვს.

კრემლის გადაწყვეტილება, გაემარტივებინა ვიზები საქართველოს მოქალაქეებისათვის, საქართველოსა და ევროკავშირს შორის მიმდინარე წარმატებული სავიზო დიალოგის ერთგვარი საპირწონე ინიციატივაა, რითაც რუსეთი ცდილობს, გარკვეულწილად კონკურენცია გაუწიოს დასავლეთს და შეინარჩუნოს მიმზიდველობა საქართველოს მოქალაქეებისთვის, მზარდი ევროატლანტიკური ინტეგრაციის ფონზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია ქვეყნის მოსახლეობის ერთმნიშვნელოვნად დომინანტური არჩევანია, ბოლო პერიოდის განმავლობაში ჩატარებული კვლევები ნათლად მიუთითებს, რომ პრორუსული განწყობა საზოგადოებაში, 2012 წლიდან მოყოლებული გაზრდილია, რისი მიზეზიც, მომატებულ რუსულ პროპაგანდასა და ცალკეულ შემთხვევებში გაზრდილ ევროსკეპტიციზმთან ერთად, კიდევ ძალზე კომპლექსური ფაქტორებია, რასაც ქვემოთ განვიხილავთ.

კერძოდ, 2015 წლის აგვისტოში ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) და CRRC-საქართველომ ჩაატარეს საზოგადოებრივი აზრის კვლევა. ამ კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 28 %-მა განაცხადა, რომ მხარს უჭერს საქართველოს გაწევრიანებას ევრაზიულ კავშირში, რომელიც დაარსებულია რუსეთის ფედერაციის, ბელარუსისა და ყაზახეთის მიერ,[8] მაშინ, როდესაც 2013 წლის მონაცემების მიხედვით, ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას გამოკითხულთა მხოლოდ 11% უჭერდა მხარს[9].

ამის პარალელურად, თუ 2014 წლის აგვისტოს კვლევაში ევრო ატლანტიკურ ინტეგრაციას გამოკითხულთა 54% უჭერდა მხარს, ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 2015 წელს ეს მაჩვენებელი 45%-მდე შემცირდა.[10]

(იმავე ორგანიზაციის მიერ 2015 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარებული კვლევის თანახმად ევრაზიული კავშირის მომხრეთა რაოდენობა 24%-მდე შემცირდა, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეთა რაოდენობა კი 58%-მდე გაიზარდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ წინა კვლევისგან განსხვავებით, აღნიშნულ გამოკითხვაში მონაწილეობა არ მიუღიათ საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებს)

ცხრილი1, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ ევროკავშირში გაწევრიანების მიზნის მხარდაჭერაზე NDI-ისა და CRRC-ის 2015 წლის გამოკითხვის შედეგებს ასახავს, ნათლად გადმოსცემს მოსახლეობის განწყობის დინამიკას ბოლო სამნახევარი წლის განმავლობაში - 2012 წლის თებერვლიდან 2015 წლის აგვისტომდე.[11]

ცხრილი 1.[12]



წყარო: ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი

მსგავსი ტენდენცია ჩანს საზოგადოებრივი აზრის კიდევ ერთ კვლევაში, რომელიც ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა 2015 წლის ნოემბერში გამოაქვეყნა.[13] კერძოდ, ამ კვლევის თანახმად, ევროკავშირზე ზოგადი წარმოდგენა "ძალიან პოზიტიური" 16%-დან (2009 წ.) შემცირდა 12%-მდე (2015 წ.), ხოლო "უფრო პოზიტიური, ვიდრე ნეგატიური", დროის იმავე მონაკვეთში შემცირდა 35%-დან 28%-მდე. ამავე პერიოდში "ძალიან ნეგატიური" წარმოდგენის მაჩვენებელი 1%-დან 5%-მდე გაიზარდა.[14]

ამ ტენდენციის ერთ-ერთი შედეგი იმ პოლიტიკური ძალების მზარდი პოპულარობაა, რომლებიც საქართველოში პრორუსული დღის წესრიგის გატარებას უწყობენ ხელს.[15]

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით არსებული კვლევები გვიჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმეტესობა ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას ემხრობა, ზემოხსენებული ტენდენცია უდავოდ იძლევა შეშფოთების საფუძველს და როგორც საქართველოს პოლიტიკური ელიტისა და სამოქალაქო საზოგადოების, ასევე დასავლელი მეგობრების მხრიდან ქმედითი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობაზე მეტყველებს.

მით უფრო, რომ რუსეთის ზემოქმედება და პროპაგანდა კიდევ უფრო გაძლიერდა 2014 წლიდან, უკრაინის რევოლუციისა და ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის გააქტიურების შედეგად. სწორედ ამ პერიოდიდან აქტიურდება რუსული "რბილი ძალა" არა მარტო უკრაინასა და საქართველოში, არამედ სხვა პოსტსაბჭოთა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც.

2014 წლის ივნისში საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს ასოცირების შეთანხმებას, რომელიც, ერთი მხრივ, საქართველოს სახელმწიფო სისტემის სიღრმისეულ რეფორმირებას ითვალისწინებს, მეორე მხრივ, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ქვეყანას ევროკავშირის ბაზრის წვდომის შესაძლებლობას აძლევს.

ამ ფონზე, რუსეთის ფედერაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა, რომელიც საბჭოთა დროინდელი იმპერიალისტური მიზნებით ხელმძღვანელობს, საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების

ევროპულ ინტეგრაციას სტრატეგიულ საფრთხედ აღიქვამს და მის საწინააღმდეგოდ იდეოლოგიურ ბრძოლას ამძაფრებს.

2013 წლის 7 მარტს საქართველოს პარლამენტმა, როგორც უმრავლესობამ, ისე უმცირესობამ, მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. ამასთანავე, ამ რეზოლუციით იკრძალება საქართველოს გაწევრიანება იმ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყნის ევრო ატლანტიკურ არჩევანს[16].

აღსანიშნავია, რომ არსებულ პოლიტიკურ გარემოში რუსეთის ამჟამინდელი პოლიტიკა იმდენად მიუღებელია საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის, რომ პრორუსული ზეგავლენის ძალები ხშირ შემთხვევაში მოქმედების არაპირდაპირ ხერხებს იყენებენ - დასავლეთის დისკრედიტაციას რუსეთის ქების წილ; დემოკრატიული ღირებულებების ავტორიტეტის შერყევას პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის სახელმწიფო იდეალების განდიდების ნაცვლად.

ყოველივე ამას ადასტურებს ისიც, რომ არც ერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც საქართველოში რუსეთის დღის წესრიგის გამტარებლად მიიჩნევა, ღიად ამას არ აღიარებს არც საკუთარ პარტიულ პროგრამაში და არც დეკლარირების დონეზე.

უდავოდ უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს მოქმედი პოლიტიკური ისტებლიშმენტის, ისევე როგორც არასამთავრობო სექტორისა და მედიის უდიდესი ნაწილი ქვეყნის ევროპულ არჩევანს უჭერს მხარს. ამავდროულად, საგულისხმოა, რომ რუსეთი მისთვის სასურველი პოლიტიკური კლიმატისა და საზოგადოებრივი განწყობის შესაქმნელად ბოლო პერიოდის განმავლობაში ძალზედ ინტენსიურად მუშაობს, მიზნის მისაღწევად რუსეთი მთავარ ფოკუსსა და აქცენტს პოლიტიკურ პარტიებსა და მედიასთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ეკლესიაზე აკეთებს.

1.2 რუსულენოვანი მედია საქართველოში

დღეისათვის, უახლესი ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის განვითარებასთან ერთად, ტელევიზიის როლი ადამიანების ცხოვრებაში სულ უფრო მცირდება და მნიშვნელოვან ადგილს უთმობს სოციალურ მედიას. მიუხედავად ამისა, უახლოესი წლების განმავლობაში საქართველოში ტელევიზია ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის კვლავ ინფორმაციის მიღების უდავოდ დომინანტურ წყაროდ დარჩება.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ 2015 წლის აპრილში ჩატარებული კვლევის[17] თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 87% (მეორადი წყაროს ჩათვლით ეს რიცხვი 94%-ია) ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ ტელევიზიას ასახელებს, ინტერნეტის პირველად მომხმარებელთა რაოდენობა კი მხოლოდ 7%-ია.

ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ საქართველოში (პრო)რუსული პროპაგანდის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი სწორედ ტელევიზიებია. თუმცა ინტერნეტმომხმარებელთა სტაბილური და შეუქცევადი ზრდის პარალელურად, იზრდება (როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისობრივადაც) პრორუსული ინტერნეტ გამოცემებიც.

ამჟამად რუსეთის სახელმწიფოს დღის წესრიგს მეტ-ნაკლები ინტენსივობით ატარებენ როგორც თავად რუსული მედიასაშუალებები, ასევე პრორუსული და ანტიდასავლური სენტიმენტების მქონე ქართული გამოცემები.

პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც ეთნიკურად რუსი მოსახლეობა საზოგადოების საგულისხმო ნაწილს შეადგენს (ლატვია - 26,2%, ესტონეთი - 24,8%, უკრაინა 17,3%), საქართველოში მათი რაოდენობა ძალზე მცირეა (1,5%). ამდენად, რუსეთის მთავარი დასაყრდენი ჩვენს ქვეყანაში არა უშუალოდ ეთნიკური რუსი მოსახლეობა, არამედ პოლიტიკურად მოტივირებული სხვა ჯგუფებია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის მშობლიური ენის შემდეგ რუსული ენა კომუნიკაციისა და ინფორმაციის მიღების მთავარი საშუალებაა. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ განხორციელებული კვლევის - „კავკასიის ბარომეტრი 2013“[18] თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 70% მიიჩნევს, რომ კარგად იცის რუსული ენა მაშინ, როდესაც მეორე ადგილზე მყოფი ინგლისური ენის ცოდნის მაჩვენებელი მხოლოდ 21%-ია.

მართალია, რუსული ენისგან განსხვავებით, რომლის მონაცემებიც ბოლო წლების განმავლობაში არ შეცვლილა, ინგლისურის მცოდნეთა რაოდენობა ყოველწლიურად თანმიმდევრულად იზრდება (CRRC-ის კვლევით, 2008 წელს ეს რიცხვი 12%-ს შეადგენდა), რუსული ენის გავლენა ჯერ კიდევ ერთმნიშვნელოვნად დომინანტურია და, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რაიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი), დომინანტური ენაა.

არსებული რეალობის ანალიზის ფონზე, რუსული ენოვანი პროპაგანდის საფრთხე საქართველოსათვის ნათლად წარმოჩინდება, განსაკუთრებით მაშინ, თუ რუსული ენისა და საინფორმაციო საშუალებების გავლენის მასშტაბს ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში გავზომავთ.

საქართველოში ეთნიკური უმცირესობა ძირითადად აზერბაიჯანელები (მოსახლეობის 6,5%) და სომხები (5,7%) არიან, რომელთა სამოქალაქო ჩართულობისა და ინტეგრაციის დონე მნიშვნელოვნად დაბალია. ამასთანავე, მათთვის ერთმანეთთან და ეთნიკურ ქართველებთან კომუნიკაციის ძირითადი ენა დიდწილად რუსულია.

დამატებითი გამოწვევაა ის ფაქტიც, რომ აღნიშნული უმცირესობები კომპაქტურად ცხოვრობენ საზღვრისპირა რეგიონებში, რაც რუსული პროპაგანდისთვის მათ მოწყვლადობას კიდევ უფრო ზრდის.

აშშ–ის ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაკვეთით 2015 წლის აპრილში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის 53% ინფორმაციას პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ უცხოური საინფორმაციო საშუალებებიდან იღებს. ამ უცხოურ არხებში კი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რუსულ პროპაგანდისტულ არხებს (იხ, ცხრილი 4.).[19]

იმ ფონზე, როდესაც ეთნიკური უმცირესობების დიდი ნაწილი არ ფლობს ქართულ ენას, არსებობს მაღალი საფრთხე, რომ ისინი იოლად მოექცნენ რუსეთის იდეოლოგიური გავლენის ქვეშ, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გამოწვევები შეუქმნას საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას.

ცხრილი 4.

თუ დიახ, რომელ სატელევიზიო არხებზე? მიიღეთ ყველა პასუხი (q48) - 20%-დან, ვინც უყურებს გადაცემებს პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ უცხოურ სატელევიზიო არხებზე



2008 წლის ომის შემდეგ, მაშინდელი ხელისუფლების ინიციატივით, საქართველოში ყველა რუსული არხის მაუწყებლობის ტრანზიტი დაიბლოკა. საკაბელო მაუწყებლები იძულებულები გახდნენ, საკუთარი პაკეტებიდან ამოეღოთ რუსული არხები, თუმცა ამის მიზეზი არა რაიმე ახალი რეგულაციები ან საკანონმდებლო ცვლილებები, არამედ ხელისუფლების პოლიტიკური ნება იყო. პროცესში ჩართულ მხარეებთან ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ სწორედ ხელისუფლების ზემოქმედების შედეგად მოხდა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, რომლის ერთ-ერთი მთავარი საარჩევნო დაპირებაც რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება იყო. ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლასთან ერთად, საკაბელო მაუწყებლებმა აქტიურად დაიწყეს საკუთარ პაკეტებში რუსული არხების ჩადება და ერთი წლის თავზე ყველა საკაბელო ოპერატორმა მომხმარებელს რუსული არხების ფართო არჩევანი შესთავაზა.

ჯერ კიდევ 2012 წლის ივნისში, საპარლამენტო არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე, გლობალ TV-მ, რომლის მთავარი აქციონერი იმ დროს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ძმა იყო[20], პირველმა ჩართო რუსული არხები თავის საკაბელო მაუწყებლობაში. იმ დროისათვის ეს გადაწყვეტილება აშკარად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და გარკვეულ რისკთანაც იყო დაკავშირებული.

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში ოპოზიციის მოსვლის შემდეგ გლობალ TV-ის მაგალითი იყო ერთგვარი გზავნილი სხვა საკაბელო მაუწყებლობებისათვის, თუ როგორი იქნებოდა ხელისუფლების პოლიტიკა აღნიშნული მიმართულებით.

შედეგად მივიღეთ, რომ რუსული არხები, რომლებზეც რუსეთის ხელისუფლების გავლენა უდავოა და კრემლის პროპაგანდისტული არსენალის მთავარი იარაღი არიან, შეუზღუდავად მაუწყებლობენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რაც საქართველოს მოსახლეობაზე რუსული იდეოლოგიური ზეგავლენისა და, შესაბამისად, მათში ანტიდასავლური განწყობის გაღვივების საფრთხეს წარმოშობს.

საკაბელო ოპერატორების წარმომადგენლებთან[21] ჩატარებული ინტერვიუებით დგინდება, რომ არც ერთ მათგანს არ განუხორციელებია საზოგადოებრივი აზრის კვლევა ან გამოკითხვა, არის თუ არა რუსული არხები მოთხოვნადი საქართველოში და თუ არის, რა ტიპის გადაცემები იქნებოდა უფრო რეიტინგული.

ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ ქართული საკაბელო მაუწყებლები საკმაოდ სოლიდურ თანხას იხდიან რუსული არხების მაუწყებლობის ტრანზიტისათვის. მიუხედავად ამისა, დღემდე არ ხდება აღნიშნული არხების შინაარსისა და კონტენტის ანალიზი არც საკაბელო ოპერატორებისა და არც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული სააგენტოს მიერ.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის, ვახტანგ აბაშიძის განცხადებით,[22] საკაბელო კომპანიებმა ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ყოველგვარი პოლიტიკური კონიუნქტურისგან დამოუკიდებლად, საბაზრო მოთხოვნებიდან გამომდინარე, თავად გადაწყვიტეს რუსულ არხებთან მოლაპარაკება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რომელიმე ქვეყნის, მათ შორის რუსეთის, რომელიმე კონკრეტული არხის აკრძალვის შესაძლებლობას. საკაბელო ოპერატორები თავად წყვეტენ, რომელი ქვეყნების რომელი არხები შესთავაზონ თავიანთ აბონენტებს. კომისიის უფლებამოსილება კი შემოიფარგლება ზედამხედველობით იმაზე, რომ საკაბელო ოპერატორის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული სამაუწყებლო არხების ტრანზიტზე არსებობდეს შესაბამისი ხელშეკრულებები და ნებართვები, ანუ სამაუწყებლო არხების მაუწყებლობა საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელდეს მართლზომიერად.[23]

აქ ერთი საყურადღებო დეტალია. მაშინ, როცა ქართული სატელევიზიო არხების კონტენტი ექვემდებარება რეგულირებას ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვის მხრივ[24] (მაგ.,

ძალადობის, ომის პროპაგანდა) და ამ კუთხით მონიტორინგს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხრიდან, უცხოური, კერძოდ კი, რუსული არხები, ასეთი რეგულირების ფარგლებს გარეთაა, რაც მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს, განსაკუთრებით მაშინ, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთი ინტენსიურ პროპაგანდას ეწევა.

სატელევიზიო საშუალებებით ინფორმაციის მიღების ძირითადი გზებია:

- სიხშირეების გამოყენებით ღია საეთერო მაუწყებლობა (ციფრული მაუწყებელი), მომხმარებელის რაოდენობა 250,000-300,000, მთლიანი რაოდენობის 22,87% - 27,44%;

- მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირები (საკაბელო მაუწყებლობა), აბონენტთა ოდენობა შეადგენს 443, 177, მთლიანი რაოდენობის 40,54%;

- თანამგზავრული მაუწყებლობა (ინდივიდუალური თეფშები) 350,000–400,000, მთლიანი რაოდენობის 32,01% - 36,59%;

- მომხმარებელთა საერთო რაოდენობაა 1,093,177.

მაუწყებლობის შესახებ კანონის 37-ე მუხლით განისაზღვრა შეზღუდვები ავტორიზებული პირებისათვის, რომლის მესაკუთრე არის სხვა ქვეყნის სახელმწიფო ან სახელმწიფოსთან დაკავშირებული პირი/ორგანო, გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამ მუხლის მიხედვით, იმისათვის რომ რუსულმა სახელმწიფო ან სახელმწიფოსთან დაკავშირებულმა არხმა განახორციელოს მაუწყებლობასაქართველომ უნდა დადოს ხელშეკრულება რუსეთის ხელისუფლებასთან, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია, თუმცა ნორმა ზღუდავს მხოლოდ ციფრულ მაუწყებლობას და არა საკაბელო ტელევიზიებს. ალბათ შესაძლებელია დაისვას კითხვა რატომ არ უნდა გავრცელდეს ნორმის მოქმედება საკაბელო არხებზეც? ვინაიდან ნორმის შინაარსი გულისხმობს საქართველოს მხრიდან სხვა სახელმწიფოს საინფორმაციო ოფიციალური პოლიტიკის კონტროლს. შესაბამისად, სასურველია, აღნიშნული კანონის მუხლი ასევე გავრცელდეს საკაბელო მაუწყებლობებზეც.[25]

ძალზე საყურადღებო იყო ქართულ ტელეარხ „სტერეო +“-ზე რუსეთის პირველი არხის მაუწყებლობის მცდელობა:

2015 წლის 26 ნოემბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, რომლის ფუნქციებში საქართველოში მაუწყებლობის რეგულაცია შედის, ქართულ შპს რბჯ-ს, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხის (OPT) რეტრანსლირებას ახდენდა, რეგულაციის წესების დარღვევისათვის მაუწყებლობა აუკრძალა და 2,500 ლარით დააჯარიმა[26]. მანამდე კი, იმავე წლის ივნისში, ამავე კომპანიას, OPT-ის გადაცემების რუსულ ენაზე გაშვებისათვის, კომისიამ გაფრთხილება მისცა და დარღვევის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა დაავალა.

შპს რბჯ არის ავტორიზებული მაუწყებელი, რომელიც მთავარი რუსეთის OPT-ის გადაცემებს ტელეარხ „სტერეო +“-ის ეთერში გადასცემდა. აღსანიშნავია, რომ მიღებული გაფრთხილების შემდეგ შპს რბჯ-მ ტაქტიკა შეცვალა და დაიწყო „სტერეო +“-ის ეთერში ქართულ ენაზე ნათარგმნი OPT-ის გასართობი ტელეპროდუქციის გაშვება OPT-ის ლოგოთი.

ამის გამო 2015 წლის 2 ნოემბერს ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ (IDFI) მარეგულირებელ კომისიაში განცხადება შეიტანა, სადაც აღნიშნავდა, რომ შპს რბჯ არღვევდა მაუწყებლების რეგულირების წესებს და კომისიისგან შესაბამისი რეაგირება მოითხოვა.

IDFI-ის განცხადების თანახმად, აღნიშნული არხის პროგრამები იქმნება რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო მაუწყებლის მიერ რუსულ ენაზე და ხმოვანდება ქართულად, ანუ, უბრალოდ, ORT-

ის ქართული ვერსიაა. მიუხედავად იმისა, რომ შპს რბჯ-იმ მარეგულირებელ კომისიას ORT-სთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება წარუდგინა, ამ უკანასკნელმა ჩათვალა, რომ ის არღვევს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლს, რომლის თანახმადაც, „მაუწყებლები ვალდებული არიან, მიიღონ ყველა ზომა პროგრამებში მოყვანილი ფაქტების ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და დროულად შეასწორონ შეცდომები.“ ანუ, რადგან ეთერში გაშვებული კონტენტი იქმნება რუსეთის ფედერაციაში, ის ვერ დაექვემდებარება იმ რეგულაციებს, რასაც ექვემდებარება სხვა ქართული მაუწყებლები. შესაბამისად, „მაუწყებელი ვერ აიღებს პასუხისმგებლობას ჯეროვანი სიზუსტის, შესწორებისა და უარყოფის ვალდებულების ნაწილში.[27]“

გარდა ამ გარემოებისა, IDFI-ის განცხადების თანახმად, გაუმჭვირვალეა განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების გეგმა და ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ, ასევე მონაცემები განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფციის შესახებ: „უდავოა, რომ მარეგულირებელ კომისიაში დაფინანსების შესახებ დეკლარირებისას მითითებული წყაროების შესახებ მონაცემები არასწორია, რადგან ორი თვის მონაცემებით ნაჩვენებია ნულოვანი შემოსავალი და გაურკვეველია, საიდან ხდება თუნდაც კონტენტის გახმოვანების და აგრეგაციის, ასევე მისი ტრანსლირების 22 000 ლარზე მეტი ხარჯების დაფინანსება.“[28]ამის საპასუხოდ რბჯ-ის დირექტორმა მარეგულირებელ კომისიას განუცხადა, რომ კომპანიას აქვთ აღებული სესხი და, შესაბამისად, ყველა ხარჯი იფარება აღნიშნული სესხის საფუძველზე აღებული თანხიდან.

როგორც რბჯ-ის დირექტორმა კომისიის სხდომაზე განაცხადა, კომპანიას სესხი აქვს აღებული შვეიცარიაში. ამ სესხის ხელშეკრულების საფუძველზე კომპანია იღებს 25 ათას დოლარს თვეში.

საბოლოოდ კომისიამ დაასკვნა, რომ დარღვევის აღმოფხვრის მიზნით, შპს რ.ბ.ჯ.-ის უნდა დაეკისროს ვალდებულება, „დაუყოვნებლივ შეწყვიტოს იმ ტელეპროგრამებით მაუწყებლობა, რომელთა საქართველოს ტერიტორიაზე მართლზომიერად გავრცელების უფლებაც კომპანიას არ აქვს მოპოვებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“[29]

როგორც IDFI-ის მედია და ტელეკომუნიკაციების მიმართულების ხელმძღვანელი, უჩა სეთური აცხადებს,[30] რბჯ-ის მიერ წარმოდგენილი დაფინანსების სქემა არარეალურია. კერძოდ რ.ბ.ჯ.-იმ მარეგულირებელ კომისიას წარუდგინა 2015 წლის აგვისტოს, სექტემბრისა და ოქტომბრის თვეების ნულოვანი გაანგარიშებები, რაც იმის საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რომ შპს-ის მიერ წარმოდგენილი დაფინანსების სქემა ბუღალტერიაში არ აისახება. ამ სქემის მიხედვით, შპს-ს დადებული აქვს ხელშეკრულება შვეიცარიულ კომპანიასთან, რომლისგანაც სესხის სახით 1 წლის განმავლობაში ყოველთვიურად იღებს 25 ათას დოლარს. ამ თანხის მოძრაობა ბუღალტერიაში არ აღირიცხება, არ არის გადახდილი გადასახადები და ხელფასები. აღსანიშნავია, რომ, მართალია, მარეგულირებელმა კომისიამ შპს რბჯ-ის მაუწყებლობა დროებით შეუჩერა, მაგრამ, როგორც უჩა სეთური აცხადებს, თუ შპს გარკვეულ ტექნიკურ საკითხებს მოაგვარებს, ის მაუწყებლობის განახლებას შეძლებს და საქართველოს კანონმდებლობა, და ამ შემთხვევაში არსებული იურიდიული პრაქტიკა, უძლური იქნება, მაუწყებლობა შეაჩეროს.

სატელევიზიო მედიასთან ერთად, კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა საქართველოში არსებულ რუსულენოვან ბეჭდურ მედიაზეც. მონაცემები ნათლად წარმოაჩენს, რომ რუსეთის იდეოლოგიურ პროპაგანდაში შედარებით მოკრძალებული როლი უჭირავს რუსულენოვან ბეჭდურ მედიას.

საქართველოში ყველაზე დიდ საგაზეთო ქსელ „ელვას“ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც “პალიტრა მედიის” შვილობილი კომპანიაა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსული ბეჭდური მედიის გავრცელების დონე საქართველოში დინამიკურად იკლებს, ხოლო პოლიტიკური პრესის მყიდველთა რაოდენობა ძალზე უმნიშვნელოა.

პრესის გავრცელების სააგენტო “ელვას” დირექტორი ნიკა კბილაძე აღნიშნავს: “ჩვენ მიერ ამ ეტაპზე ხდება დაახლოებით 500-მდე დასახელების რუსულენოვანი პერიოდული გამოცემის იმპორტირება.

მათგან დაახლოებით 65-70% არის სპეციფიკური თემატიკის გამოცემები (მედიცინა, ეკონომიკა, განათლება და ა.შ...), დარჩენილი 30-35% არის ე.წ. პოპულარული გამოცემები (მოდა, კულტურა, გართობა და სხვა.). პოლიტიკური პრესა, შეიძლება ითქვას, არ იყიდება".[31]

პოლიტიკური პრესის დაბალ რეიტინგს მოწმობს „ელვას" მიერ მოწოდებული სტატისტიკაც, რომელიც რუსეთიდან აქტიურად ახორციელებს ბეჭდური მედიის იმპორტს.

მათ მონაცემებზე დაყრდნობით, ყველაზე რეიტინგული პოლიტიკური გაზეთია „Независимая газета", რომლის ყოველი გამოცემის, საშუალოდ, სულ რაღაც რვა ეგზემპლარი ჩამოდის, მეორე ადგილზე არიან „Коммерсант" და „Известия", რომელთა რაოდენობაც დაახლოებით 5 ეგზემპლარია. კიდევ უფრო ნაკლები მასშტაბით იყიდება „Новая газета", „Ведомости" და „Комсомольская правда".

ზემოთ მოტანილი მონაცემების ანალიზისას შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ რუსული ბეჭდური მედია საზოგადოებრივი აზრისა და განწყობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს, რასაც ვერ ვიტყვით პრორუსულად/ანტიდასავლურად განწყობილ ქართულ მედიაზე, რომელზეც ვრცლად ქვემოთ მოგახსენებთ.

1.3 რუსული პროპაგანდა ქართულ მედიაში

ექსპერტების შეფასებით[32], ქართული ბეჭდური მედიის ერთი ნაწილი, რომელიც არცთუ მცირე ტირაჟით გამოდის, დაუფარავად ახდენს რუსული პროპაგანდის აგიტაციას და გაჯერებულია ანტიდასავლური და ანტიამერიკული მოწოდებებით. აღნიშნული გაზეთები გამოდის როგორც ყოველდღიურ, ისე ყოველკვირეულ რეჟიმში და, პრორუსულ აგიტაციასთან ერთად, აქტიურად ეწევა საზოგადოებაში სტერეოტიპების დამკვიდრებას, რადიკალიზმისა და ნაციონალისტური განწყობის წახალისებას.

რუსული პროპაგანდა აქტიურად მუშაობს ონლაინ გამოცემების, ინტერნეტ „ტროლებისა" და „ბლოგების" მიმართულებითაც, რითაც კრემლი ცდილობს, ინტერნეტსივრცეში არსებულ დისკუსიას მისთვის სასურველი მიმართულება მისცეს.

აღსანიშნავია, რომ ინტერნეტსივრცეში, როგორც უკრაინაში ისე საქართველოში საინიციატივო ჯგუფების მიერ შეიქმნა პროპაგანდასთან ბრძოლოსა და გამოაშკარავებისათვის სპეციალური ვებგვერდები. უკრაინაში აღნიშნული მიმართულებით აქტიურად მუშაობს ვებგვერდი www.stopfake.org სადაც ხდება მიმდინარე მოვლენების შესახებ მედიაში გავრცელებული ინფორმაციისა და ფაქტების გადამოწმება და რუსული დეზინფორმაციის გამოაშკარავება.

საქართველოში ვებგვერდზე www.damoukidebloba.com განთავსებულია და მუდმივად ახლდება ინფორმაცია რუსული სახელმწიფო პროპაგანდის, ოკუპაციის, რეპრესიებისა და აგრესიის სხვა ღია თუ ირიბი ფორმების შესახებ, რაც ფართო საზოგადოებას მუდმივად აძლევს შესაძლებლობლას თავი დაიცვას რუსეთის მხრიდან გავრცელებული დეზინფორმაციისაგან და გაეცნოს გადამოწმებულ, კვალიფიციურ ინფორმაციას.

მედიის განვითარების ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად[33], გამოკვეთილია მკაფიოდ ანტიდასავლური განწყობის ტელევიზიები, გაზეთები და ონლაინ გამოცემები.

კვლევაზე დაყრდნობით, ძირითადი ტელევიზიებიდან მკვეთრად გამოხატულ ანტიდასავლურ პოზიციასა და რუსეთის მიმართ სიმპათიას მხოლოდ ტელევიზია „ობიექტივი" გამოხატავს.

რაც შეეხება ბეჭდურ მედიას, ამ შემთხვევაში წინა პლანზე არიან „ასავალ-დასავალი", „კვირის ქრონიკა" და „ალია", ხოლო ონლაინ გამოცემებში „საქინფორმი" და „საქართველო და მსოფლიო" იკავებენ წამყვან პოზიციებს, თუმცა აღნიშნული გამოცემების უმრავლესობა ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ ისინი არა რუსეთის არამედ საქართველოს ინტერესებს ემსახურებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მხოლოდ ნაწილია იმ მასშტაბური მანქანისა, რასაც რუსეთის პროპაგანდისტული საინფორმაციო ომი ჰქვია. საქართველოში არსებულ მედიაზე განხორციელებულმა დაკვირვებამ და მონიტორინგმა ცხადყო, რომ კრემლი თავისი პროპაგანდის გავრცელების მთავარ წყაროდ საქართველოში არსებულ საინფორმაციო საშუალებებს განიხილავს და ამისათვის აქტიურად იყენებს როგორც ტელევიზიას, ისე ბეჭდურ მედიასა და ონლაინ გამოცემებს, რათა მოახდინოს გავლენა ადამიანების გულსა და გონებაზე.

ბოლო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია სატელევიზიო გამოკითხვები, რომლებიც ტელეკომპანია „მაესტრომ“ და „რუსთავი 2“-მა განახორციელეს და რომლებმაც რადიკალურად განსხვავებული პოზიციები წარმოაჩინა.

ტელეკომპანია „მაესტროს“ გადაცემა „მაესტროს ფაქტორში“ 11 ნოემბრის გამოკითხვაზე[34], რა როლს ასრულებენ არასამთავრობო ორგანიზაციები ქვეყანაში, გამოკითხვის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: უარყოფითს – 93,24%; დადებითს – 6,76%. საკუთარი პოზიცია ზარების მეშვეობით 3582–მა მაყურებელმა გამოხატა.

იმავე საკითხზე გამოკითხვა „რუსთავი 2“–მა 14 ნოემბრის „კურიერში“[35] ჩაატარა. „რუსთავი 2“–ის მონაცემებით, შედეგები ასეთია: 85,0% – დადებითი; 15,0% – უარყოფითი. გამოკითხვაში მონაწილეობა სულ 7507 ადამიანმა მიიღო.

2015 წლის 26 ნოემბერს „მაესტროს“ ეთერში გადაცემა „მაესტროს ფაქტორის“ ინტერაქტივის კითხვა იყო: „ვისი მხარე უნდა დაიჭიროს საქართველომ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაში, რუსეთის, თურქეთის თუ ნეიტრალური?“

81.05%-მა რუსეთს დაუჭირა მხარი, 5.38%-მა - თურქეთს, 13.57%-მა - ნეიტრალიტეტს[36].

„რუსთავი 2“-ის ვებ-გვერდზე დასმული კითხვის - „იყო თუ არა ადეკვატური თურქეთის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდება“[37], პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: დიახ - 78,2, არა - 21,8.

აღნიშნული რადიკალური განსხვავება ნათლად მიუთითებს, რომ მედიებს შორის აშკარად განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ვექტორი და დღის წესრიგია.

ისევე, როგორც პოლიტიკაში, მედიაშიც ხშირ შემთხვევაში პრორუსული იდეების პროპაგანდა ღიად არ ხდება და უფრო მეტად მიმართავენ ანტიდასავლურ დისკურსს, “რომელიც უნისონში მოქმედებს იმ ანტიდასავლურ რეტროგრადულ ძალებთან, საიდანაც უწყვეტ ნიაღვრად მოდის ყველაფერი დასავლურის დისკრედიტაცია.”[38]

სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან განსხვავებით, რუსეთის საინფორმაციო ომს საქართველოში ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი ახასიათებს. თუ უკრაინაში, ლატვიაში, მოლდოვასა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში რუსული პროპაგანდის დიდი ნაწილი უშუალოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობს, საქართველოში კრემლი საინფორმაციო ომისათვის უმეტესად ქართულ ენას იყენებს, რამდენადაც ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი პოლიტიკურ თუ ყოველდღიურ სიახლეებს სწორედ ქართულ ენაზე ეცნობა. აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო ართულებს კრემლის პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლას, რამდენადაც ის ხშირად ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს იყენებს ფარად, როგორიც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაა, რასაც ჩვენი კონსტიტუცია იცავს.

რუსეთის საინფორმაციო ომთან ერთად, მნიშვნელოვანი გამოწვევაა ისიც, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამ მიმართულებით არ აქვს ჩამოყალიბებული ხედვა და სტრატეგია, თუ როგორ შეიძლება ებრძოლოს რუსულ პროპაგანდისტულ მანქანას. უფრო მეტიც, მთავრობა ან საერთოდ ვერ აფასებს რუსეთის საინფორმაციო ნაკადებისგან მომავალ რისკებს ან შეგნებულად ხუჭავს თვალს, რათა ამ საკითხმა არ გამოიწვიოს რუსეთის გაღიზიანება და სხვა მხრივ მიმდინარე პოლიტიკური დიალოგის ბლოკირება, რაც გაუმართლებელი კომპრომისია.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის მიწურულიდან დასავლურმა როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო დონორებმა მნიშვნელოვნად შეკვეცეს საქართველოში დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო სექტორის მხარდამჭერი პროგრამები, რაც ასევე ნეგატიურად აისახა ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მუდმივად მაღალ დონეზე წარმოდგენაში. კერძოდ, საქართველოში დასავლეთის ორი უდიდესი დონორის, ევროკავშირისა და USAID-ის, მიერ მედიის არც პირდაპირი დაფინანსება და არც გრანტების გაცემა ხდება[39] (გამონაკლისია მხოლოდ საქართველოში აშშ-ის საელჩოს მცირე გრანტების პროგრამა). კერძო დონორებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ამერიკული ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, რომელსაც მედიის მხარდაჭერისა და განვითარებისთვის გამოყოფილი აქვს 500 000 ლარი.

2. რუსული პროპაგანდის საერთაშორისო ინსტრუმენტები

რუსეთი მიზნად ისახავს, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო საზოგადოებას მიაწოდოს მისთვის სასურველი ინფორმაცია, რისთვისაც კრემლმა 2005 წელს სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო Russia Today დააფუძნა, რომელმაც 2009-ში რებრენდინგი განიცადა და RT-ად გადაკეთდა. დღეისათვის RT ინგლისურ, ესპანურ, ფრანგულ, გერმანულ და არაბულ ენებზეა ხელმისაწვდომი, 100-ზე მეტ ქვეყანაში მაუწყებლობს და 700 მილიონზე მეტი მეყურებელი ჰყავს.[40]

თუ თავდაპირველად მისი ბიუჯეტი 50 მილიონ დოლარს შეადგენდა, 2014 წლისათვის ეს რიცხვი 300 მილიონ დოლარს გაუტოლდა, ხოლო 2015 წლისთვის დაახლოებით 340 მლნ დოლარი შეადგინა. ბოლო პერიოდში რუბლის გაუფასურების მიუხედავად, RT-ის დაფინანსება 2016 წლამდე ყოველწლიურად დინამიკურად იზრდებოდა, თუმცა არსებული მონაცემების მიხედვით, 2016 წელს RT-ის ბიუჯეტი პირველად შემცირდება და 307 მლნ დოლარს შეადგენს.[41] აღსანიშნავია ისიც, რომ RT საკუთარი ხარჯების 80%-ს ახორციელებს უცხოურ ვალუტაში.[42] მთლიანობაში 2016 წელს რუსეთის ბიუჯეტიდან სახელმწიფო მედიისათვის ოფიციალურად გამოყოფილია 1.3 მილიარდი დოლარი,[43] რაც რუბლის გაუფასურებისა და რუსეთში არსებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე ნამდვილად შთამბეჭდავი რიცხვია.

რუსული პროპაგანდის წარმატების «ობიექტურ» ფაქტორებად შეიძლება მივიჩნიოთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები, რაც რადიკალურ ცვლილებებს იწვევს წინა აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში. ასევე, თვისობრივი ცვლილებები დასავლეთის სამყაროში, რაც თანამედროვე სამყაროს გამოწვევების საპასუხოდ (ტერორიზმი, იმიგრაცია) ევროსკეპტიციზმის მკვეთრ ზრდასა და რადიკალიზმის აღმავლობაში გამოიხატება.

თუ ადრე რუსეთი, ისევე, როგორც მისი წინამორბედი სსრკ, თავისი გავლენის ექსპორტში ძირითადად დასავლეთის მემარცხენე და ულტრამემარცხენე პოლიტიკურ ჯგუფებს ეყრდნობოდა, ბოლო წლებში ეს ტენდენცია შეიცვალა და ამჟამად პუტინის რუსეთის მთავარ აპოლოგეტებად დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში უფრო მეტად რადიკალური მემარჯვენე პარტიები გვევლინებიან, პარტიები, რომლებიც უკანასკნელი წლების არჩევნებზე მათთვის არნახულ წარმატებას აღწევენ.[44] თუმცა რუსეთი საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობით და/ან ინერციით სარგებლობს, ასევე, გარკვეული მემარცხენე ძალების მხარდაჭერითაც. მაგალითად, ამერიკული კვლევითი ცენტრის, «თანამედროვე რუსეთის ინსტიტუტის» (The Institute of Modern Russia) მონაცემებით, ევროპის პარლამენტის კოალიციის - «ევროპის გაერთიანებული მემარცხენეები/ჩრდილოეთის მწვანე მემარცხენეები»[45] მიერ რუსეთთან დაკავშირებულ საკითხებზე (მაგ., ყირიმის ანექსია, ბორის ნემცოვის მკვლელობა) რუსეთისთვის მისაღები გადაწყვეტილებების მაჩვენებელი 78%-ს შეადგენს. თუმცა, ამავე კვლევით, მემარჯვენე კოალიციისთვის - «ერებისა და თავისუფლების ევროპა» ეს მაჩვენებელი, არც მეტი, არც ნაკლები, 93%-ია.[46]

პუტინის რუსეთის პირდაპირი თუ ირიბი მხარდამჭერი ევროპული პარტიებია: საფრანგეთის ეროვნული ფრონტი (Front National), გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტია

(UKIP), გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (NPD), უნგრეთის «იობიკი», საბერძნეთის «ოქროს განთიადი», ბულგარეთის «ატაკა» და სხვ.

ყველა ეს პარტია ევროკავშირის მიმართ მტრულად არის განწყობილი, რადიკალური ნაციონალისტური იდეების პროპაგანდას ეწევა და მოსახლეობის რელიგიურ გრძნობებზე აპელირებს.

აღნიშნული ძალების გაძლიერებასთან ერთად, რუსეთი აძლიერებს საკუთარი პროპაგანდის საშუალებებს. 2014 წელს რუსეთის მთავრობამ კიდევ ერთი ახალი საერთაშორისო მედიაბრენდი, საინფორმაციო სააგენტო „სპუტნიკი" აამუშავა, რომლის 2015 წლის ბიუჯეტიც 140 მილიონ დოლარს შეადგენს. „სპუტნიკის" ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული საბოლოო მონაცემების მიხედვით, ის ქმნის საკუთარ მულტიმედიურ შინაარსს და მაუწყებლობს 30 ენაზე, მათ შორის: რუსულ, აფხაზურ, ოსურ, ქართულ, აზერბაიჯანულ, არაბულ, სომხურ, ჩინურ, ყირიმის-თათრულ, დარულ, ინგლისურ, ესტონურ, ფრანგულ, ფინურ, გერმანულ, ჰინდურ, ყაზახურ, ყირგიზულ, ლიტვურ, მოლდოვურ, პოლონურ, პორტუგალიურ, პუშტურ, ესპანურ, სერბულ, თურქულ, ტაჯიკურ, უზბეკურ, უკრაინულ, იაპონურ ენებზე .[47]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ოთხი ძირითადი სატელეკომუნიკაციო კომპანიიდან რუსეთის სახელმწიფო არხები თავიანთ პაკეტებში ყველა მათგანს აქვს განთავსებული.

«სპუტნიკი» საერთაშორისო სააგენტო «როსია სეგოდნიას»[48] ეკუთვნის, რომელიც, RT-სთან ერთად, საზღვარგარეთ რუსეთის სახელმწიფო პროპაგანდის მთავარი ინსტრუმენტია. «როსია სეგოდნიას» გენერალური დირექტორის, დიმიტრი კისელიოვის განცხადებით, «სპუტნიკის» კონტენტი გათვლილია იმ «მრავალმილიარდიან აუდიტორიაზე, რომელიც დაიღალა ერთპოლარული მსოფლიოს თავსმოხვეული პროპაგანდით და ალტერნატიული თვალთახედვა სჭირდება».

აღსანიშნავია, რომ უკრაინის კრიზისში აქტიური პროპაგანდისტული საქმიანობისთვის დიმიტრი კისელიოვს ევროკავშირმა, ნორვეგიამ, კანადამ და შვეიცარიამ სანქციები დაუწესა.[49]

«სპუტნიკმა» საკუთარი გადაცემების საცდელი ჩაშვება საქართველოშიც დაიწყო. მისი გადაცემები კომპანია FM 101.4-ზე, R-Radio-ს, იმავე რადიო "მონტე კარლოს", ეთერში გავიდა. ამ ფაქტს საზოგადოების მხრიდან ფართო გამოხმაურება და პროტესტი მოჰყვა, რის შემდეგაც საქმის მოკვლევა კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაიწყო. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ «სპუტნიკი - საქართველო» ყოველდღიურად 4-საათიან საეთერო დროს ქირაობდა R-Radio-სგან, გადაცემებს კი საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო «ნიუს ჯორჯიას" რადიოგანყოფილება ამზადებდა. როგორც მხარეებმა აღნიშნეს, კომპანიებს შორის თანამშრომლობის შესახებ მხოლოდ ზეპირი მოლაპარაკება შედგა და ის შეწყდა საზოგადოების მხრიდან წამოსული კრიტიკის შემდეგ.

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში ,,ნიუს ჯორჯიას" და შპს „რ–რადიოს" მიერ ერთობლივად განხორციელებული იყო ულიცენზიო საეთერო მაუწყებლობა, რისთვისაც ორივე მხარე 5000 ლარით დაჯარიმდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე „სპუტნიკის" ქართულ სიხშირეზე მაუწყებლობა შეწყდა, საინფორმაციო სააგენტო „სპუტნიკი საქართველო"[50] აქტიურ მუშაობას ინტერნეტსივრცეში განაგრძობს. აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით რადიო «სპუტნიკს» არ უცდია მაუწყებლობის განახლება, რაც მისთვის დიდ სირთულესთან დაკავშირებული არ უნდა იყოს. უფრო სავარაუდოა, რომ გამოცემა საზოგადოების მხრიდან წამოსული მკვეთრად ნეგატიური განწყობის ფონზე არ ცდილობს არსებული მდგომარეობის პოლარიზებას და ელოდება შესაფერის მომენტს უფრო აქტიური ღონისძიებების გასატარებლად.

ახალი ამბების სააგენტო «სპუტნიკ-საქართველო» ორ, რუსულ და ქართულ, ენებზე აქვეყნებს მასალებს. საიტი ყოველდღიურად ახლდება და აღსანიშნავია, რომ, სხვა ადგილობრივი პრორუსული/ანტიდასავლური გამოცემებისგან განსხვავებით, მეტ-ნაკლები პროფესიონალიზმით გამოირჩევა.

საერთაშორისო დონეზე რუსეთის სახელმწიფო არხების გავრცელებასთან ერთად, სულ უფრო მატულობს საჩივრების რაოდენობა, რომლებშიც რუსულ მედიაორგანიზაციებს დეზინფორმაციის გავრცელებასა და მიზანმიმართულ პროპაგანდაში ადანაშაულებენ. რუსეთი ერთმნიშვნელოვნად უარყოფს ყოველგვარ ბრალდებას და ცდილობს, ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორიც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაა, ამ ქვეყნების წინააღმდეგ გამოიყენოს.

აღსანიშნავია, რომ «სპუტნიკ-საქართველოს» გარდა, «სპუტნიკი» ოპერირებს აგრეთვე «სპუტნიკ-აბხაზიით» და «სპუტნიკ-ოსეტიით». ეს უკანასკნელი სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის ამბების გაშუქებაზეა ორიენტირებული, პირველი კი - აფხაზეთის ამბებზე.

2.1 ასიმეტრიული საინფორმაციო ომი

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რეფორმებისთვის გაწეული დახმარება შეუდარებლად აღემატება რუსეთის მიერ საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგისთვის გამოყოფილ სახსრებს (როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისობრივად), ეს უკანასკნელი საკუთარი მიზნების განხორციელების მხრივ გარკვეულ წარმატებას აღწევს. ჩვენი აზრით, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ასიმეტრიული საინფორმაციო მექანიზმები, რასაც რუსეთის ფედერაცია საქართველოში (ისევე, როგორც ევროპის, ყოფილი სსრკ-სა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში) მიმართავს.

ასიმეტრიული საინფორმაციო ომის სტრუქტურა და მექანიზმები თავისი არსით იგივეა, რაც ასიმეტრიული ომისა. ეს გულისხმობს სიტუაციას, როდესაც კონფლიქტის მონაწილეთა საინფორმაციო შესაძლებლობები ან საინფორმაციო ომის წარმოების სტრატეგია და ტაქტიკა ერთმანეთისგან თვისობრივად განსხვავდება. ისევე, როგორც საბრძოლო მოქმედებებისას, საინფორმაციო ომში ასიმეტრიული მეთოდების გამოყენებით კონფლიქტის ერთი მხარე მიზნის მიღწევას მინიმალური დანაკარგით ან მინიმალური რესურსებით ახერხებს. ასიმეტრიული ინფორმაციული ზემოქმედება ხშირად ზემოქმედების ობიექტისთვის უჩინარია, მის წინააღმდეგ სიმეტრიული დაცვის მექანიზმები კი - უძლური. ასიმეტრიული ინფორმაციული შეტევით უძლიერესი მოწინააღმდეგისთვისაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება, რადგან მას შედარებით ადვილად შეუძლია სიმეტრიული დაცვის გარღვევა.[51]

ამ გაგებით, პრორუსული მედია და პროპაგანდის სხვა საშუალებები საქართველოში ასიმეტრიულ მდგომარეობაში არიან ადგილობრივ მეინსტრიმულ მედიასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან მიმართებაში (ზუსტად ასევე გლობალური მასშტაბით რუსული პროპაგანდისტული მედია (მაგ., RT, Sputnik) თავისი რესურსებითა და აუდიტორიით აშკარად ჩამოუვარდება დასავლეთის მეინსტრიმულ მედიასაშუალებებს).

მართალია, ერთი მხრივ, რესურსების ნაკლებობა ამ გამოცემებს მეინსტრიმულ მედიასთან მიმართებაში არათანაბარ პირობებში აყენებს, თუმცა კონკრეტული მექანიზმების გამოყენებით მათ შეუძლიათ, ნაკლი ერთგვარ უპირატესობად აქციონ. მაგალითად, მაშინ, როდესაც საქართველოს დამოუკიდებელი მედიასაშუალებების უდიდესი უმრავლესობა (მეტ-ნაკლები წარმატებით) ჟურნალისტური სტანდარტების დაცვას ცდილობს, ანტიდასავლური/პრორუსული გამოცემების დიდი ნაწილი ამ ვალდებულებებით თავს არ იზღუდავს და ცდილობს მოსახლეობის ფობიებისა და უკიდურესი ნაციონალიზმის უტილიზებას. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს კანონმდებლობა ძალიან ლიბერალურია ბეჭდვითი და ინტერნეტმედიის მიმართ, ეთიკის რეგულირების მექანიზმები კი სუსტია და არაქმედითი, არ არსებობს არავითარი მექანიზმი, რომელიც თუნდაც ზღვარგადასული რადიკალიზმით გამორჩეულ გამოცემებს ჟურნალისტური სტანდარტების დაცვას აიძულებს. ამ ფონზე სრულიად ნათელია მოვლენა, რომ პრორუსული სენტიმენტებით სწორედ ის გამოცემები გამოირჩევა, რომლებშიც ყველაზე ხშირად შეხვდებით ცილისწამების, დაუბალანსებელი გაშუქების, ფაქტების დამახინჯების, სიძულვილის

ენის, ჰომოფიბიის, ქსენოფობიის, არმენოფობიის, ანტისემიტიზმისა და ა.შ. გამოვლინებებს.

პოლიტიკური მითები საქართველოში რუსული პროპაგანდის ერთ-ერთი ძირითადი იარაღია. ის ძლიერი ემოციური და, ამავე დროს, ირაციონალური ეფექტი, რაც მითს აქვს, ანტიდასავლური პროპაგანდის ორგანიზატორებს პოლიტიკური დისკურსის თვისობრივად სხვა დონეზე გადაყვანის საშუალებას აძლევს, რის წინააღმდეგაც ინფორმაციული დაცვის კონვენციური მეთოდი არ მუშაობს.

მაგალითად, 2014 წლის გაზაფხულზე, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინ, პრორუსული მედიასაშუალებები და ბლოგერები, ამ დოკუმენტის რაციონალური, საგნობრივი კრიტიკის ნაცვლად, აქტიურად ავითარებდნენ მითს, თითქოს ევროპა და ამერიკა საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას ითხოვენ. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის ფართო მასებზე ეკლესიის გავლენა შეუდარებლად ძლიერია, ვიდრე დასავლეთის ქვეყნების უმეტესობაში, ამ მითმა საკმაოდ ძლიერი ემოციური ფონი შექმნა.

2.2 საერთაშორისო საზოგადოების რეაგირება რუსულ პროპაგანდაზე

ბოლო წლებში რუსეთის პოლიტიკამ პროპაგანდის მხრივ საგულისხმო წარმატებას მიაღწია, რამდენადაც ის მიზნის მისაღწევად კომპლექსურ მეთოდებს მიმართავს. სიმართლის ილუზიის შესაქმნელად ხდება დეზინფორმაციის განზავება ობიექტური ფაქტებით, გამოიყენება აშკარად Spin Doctor-ის მეთოდი.

ეს განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა უკრაინაში 2013-2015 წლებში მიმდინარე მოვლენების ფონზე. ამ ფონზე რუსული არხების მაუწყებლობას მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (ლიტვა, ლატვია, მოლდოვა, უკრაინა), ევროპასა (დიდი ბრიტანეთი) თუ ამერიკაში. რუსულ არხებს – NTV MIR, RTR, RT– ბრალი ედებოდათ მიუკერძოებლობის პრინციპის დაუცველობაში, დისკრიმინაციაში, შუღლის გაღვივებასა და დეზინფორმაციის გავრცელებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში რუსული არხების მაუწყებლობა აიკრძალა (უკრაინა) ან გარკვეული დროით შეწყდა (ლიტვა, ლატვია, 3 თვე). იყო შემთხვევები, როდესაც მათ მხოლოდ გაფრთხილება და მცირე სანქციები მიიღეს (აშშ, დიდი ბრიტანეთი), ხოლო ცალკეულ შემთხვევებში სასამართლო დავები ამ დრომდე მიმდინარეობს.

მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ არა მარტო საქართველო, არამედ დასავლეთის მოწინავე ქვეყნებიც არ აღმოჩნდნენ მზად, სათანადოდ აღდგომოდნენ წინ რუსეთის აგრესიულ საინფორმაციო პოლიტიკას.

დღეისათვის საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო მეტი დისკუსია მიმდინარეობს არსებულ გამოწვევებზე სათანადო რეაგირების მექანიზმების შემუშავებასთან დაკავშირებით.

ნატო-ს მოკავშირეთა გაერთიანებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა, აშშ-ის ევროპული სარდლობის მეთაურმა, გენერალმა ფილიპ ბრიდლოვმა განაცხადა: "დასავლეთი უნდა ჩაერთოს რუსეთთან საინფორმაციო ომში, რათა შეეწინააღმდეგოს სიცრუის ტირაჟირებას მედიაში".[52]

ამასთანავე, ნატო-მ 2015 წლის მარტში წარადგინა შუალედური კვლევა[53], სადაც ნათლადაა წარმოჩენილი ის რისკები, რის წინაშეც საერთაშორისო საზოგადოება აღმოჩნდა, რუსეთის პროპაგანდისტული საქმიანობიდან გამომდინარე.

პოლიტიკურ განცხადებებთან ერთად დაიწყო აქტიური მსჯელობა კონკრეტულ ნაბიჯებზეც. 2015 წლის მარტში ევროპის საბჭომ შექმნა სპეციალური ექსპერტთა ჯგუფი,[54] რომელიც ინტენსიურად იმუშავებს პროპაგანდის წინააღმდეგ. სოციალური ქსელისა[55] და სპეციალური პორტალის[56] მეშვეობით, ჯგუფი ყოველკვირეულად აქვეყნებს ანგარიშებს დეზინფორმაციისა და პროპაგანდის შესახებს.

ამერიკის შეერთებული შტატები 2015-2017 წლების განმავლობაში ყოველწლიურად გამოყოფს 10 მილიონ დოლარს[57], რათა დაეხმაროს საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას რუსეთის პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაში. აშშ-მ უკრაინას დამატებით 23 მილიონი დოლარი გამოუყო, რათა შეიქმნას პროგრამები რუსულ ენაზე და ქვეყანა წინ აღუდგეს საინფორმაციო ომს. დიდი ბრიტანეთის განცხადებით, ის 2015-2016 წლებში 28 მილიონი ევროთი დაეხმარება საქართველოს, უკრაინას და სხვა ქვეყნებს, რომლებსაც უწევთ რუსეთიდან წამოსულ დეზინფორმაციასთან ბრძოლა.

აშშ-ის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხები ევროპასა და აზიაში "რუსული პროპაგანდის" საწინააღმდეგო მოქმედებებისათვის.[58] ამასთანავე, გაზრდილია ამერიკული რადიოსადგურების–"რადიო თავისუფლების" და "ამერიკის ხმის"– დაფინანსება ყირიმში და დანარჩენ უკრაინაში ტრანსლირებისათვის.[59]

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის პროპაგანდისტული საქმიანობა მხოლოდ საინფორმაციო ომს არ მოიცავს და ის გაცილებით მასშტაბურია. რუსეთის პროპაგანდისტულ პოლიტიკაზე დაკვირვებისას ცხადი ხდება, რომ ხელისუფლება აქტიურად იყენებს გასართობ და შემეცნებით გადაცემებსაც, რათა საკუთარი პოლიტიკური მესიჯები ეფექტურად მიაწოდოს საზოგადოებას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სხვადასხვა დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმები, სადაც აშკარად გატარებულია რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკური დღის წესრიგი და მიმდინარეობს ღია პროპაგანდა.

სწორედ აღნიშნული მოტივით აიკრძალა NTV MIR ლიტვაში. ლიტვის სამაუწყებლო საბჭოს შეფასებით, აღნიშნულ ტელევიზიაში გასულმა ფილმმა, რომელიც 1991 წლის მოვლენებს ასახავდა, შეურაცხყო ლიტველი ხალხი და ლიტვის თავისუფლებისათვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნა.

შედარებით განსხვავებული სტრატეგიითა და მეთოდებით აწარმოებს რუსეთი საინფორმაციო ომს საქართველოში.

3. რუსული არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი ქართველი პარტნიორები

რუსეთის სახელმწიფომ საკუთარი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად და თავისი პოლიტიკური დღის წესრიგის გასატარებლად, ხისტი ძალის გამოყენებასთან ერთად, ბოლო რამდენიმე წელია, აქტიურად დაიწყო „რბილი ძალის" გამოყენებაც, რისთვისაც მიმართავს (ნომინალურად) არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიას, როგორც ინსტრუმენტს.

ბოლო დროს რუსეთის ფარგლებს გარეთ, მათ შორის საქართველოში, გააქტიურდა რამდენიმე რუსული ფონდი, რომლებიც დაფინანსებას რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ და მხარს უჭერენ როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ მოქმედ პრორუსულ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

რუსეთის ფედერაციის 2016-2020 წლების სამოქმედო გეგმაში გაწერილია უკვე შექმნილი ფონდების დაფინანსება, რომელთა ერთ-ერთი მიზანია საზღვარგარეთ „რუსი თანამემამულეების" მხარდაჭერა. დეკლარირებულ დონეზე მხარდაჭერა სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიების გამართვას გულისხმობს, რეალურად კი - რუსეთის ფედერაციის მთავრობის პოლიტიკური დღის წესრიგის მხარდასაჭერად შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და განმტკიცებას, ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, დასავლეთის დისკრედიტაციას, რომელსაც რუსეთის მმართველი ელიტა მთავარ სტრატეგიულ ოპონენტად მიიჩნევს.

რუს თანამემამულეებში იგულისხმება რუსული წარმოშობის ან რუსულენოვანი მოსახლეობა, ან ისინი, ვინც თავს რუსული კულტურისა და საზოგადოების ნაწილად მიიჩნევს.

რუსული ფონდები საქართველოში აფინანსებენ რამდენიმე ორგანიზაციას და, ასევე, არიან რამდენიმე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის პარტნიორები. მიუხედავად

კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობისა, რომელსაც ეს ორგანიზაციები საქართველოში დეკლარირებულად ახორციელებენ, დასავლური ორგანიზაციებისა და მათი პარტნიორი ქართული არასამთავრობოებისაგან განსხვავებით, არც ერთი მათგანი დაფინანსების წყაროებს არ ასაჯაროებს.

დაფინანსებისა და გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაციის მოძიება შეუძლებელია რუსული ფონდების ვებ-გვერდებზეც, რაც თავისთავად იძლევა ეჭვის საფუძველს. ფინანსურ მონაცემებთან ერთად, ფონდები არ ასაჯაროებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა გრანტის მიმღები ორგანიზაციის შერჩევა, რა კრიტერიუმებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება იყო საჭირო გრანტის მისაღებად, როგორ ხდება მიმდინარე პროექტების მონიტორინგი.

სრულიად საპირისპირო სურათია დასავლური ფონდების შემთხვევაში. ყველა მათგანის საიტზე მითითებულია პარტნიორი ორგანიზაციები, გრანტები, გაცემული თანხის რაოდენობა, პროექტის ხანგრძლივობა და მიზნები.

გორჩაკოვის ფონდი

გორჩაკოვის ფონდი მე-19 საუკუნის რუსი დიპლომატისა და პოლიტიკოსის, ალექსანდრე გორჩაკოვის სახელს ატარებს. ის 2010 წელს შეიქმნა. ფონდის მისიაა: საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებით სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამების მხარდაჭერა, მონაწილეობა საჯარო დისკუსიებში და საზღვარგარეთ რუსული მედიის დახმარება.

ფონდის მმართველ საბჭოში შედიან ვეტერანი დიპლომატები და ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები, მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია რუსეთის უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი იგორ ივანოვი, ასევე, კონსტანტინ კოსაჩოვი, რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის, ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე.

ფონდის პარტნიორები არიან: „რუსკი მირი“, „როსსოტრუდნიჩესტვო“, „საერთაშორისო საკითხების საბჭო“ და „მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი“.

ფონდის წლიური ბიუჯეტი შეადგენს 55 მილიონ რუბლს (1,1 მილიონი აშშ დოლარი), რომელსაც იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, თუმცა ეს ინფორმაცია ფონდის ვებ-გვერდზე არ მოიძებნება. ამავდროულად, ფონდი არ ასაჯაროებს ინფორმაციას გაცემული გრანტებისა და ფინანსების შესახებ.

გორჩაკოვის ფონდის მხარდაჭერით საქართველოში 2013 წელს შეიქმნა „რუსულ-ქართული საზოგადოებრივი ცენტრი“. მისი მხარდამჭერია საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი. ცენტრს ხელმძღვანელობდა ქართველი ისტორიკოსი ზაალ (ზაზა) აბაშიძე შემდგომ კი - ბეჟან ხურციძე, საქართველოს რამდენიმე მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, ერთ დროს “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” საპარლამენტო უმრავლესობის წევრი.

ფონდის კიდევ ერთი პროგრამაა „კავკასიის დიალოგი 2014“ (2013, 2012): საერთაშორისო პლატფორმა აზრთა გაცვლისთვის გლობალურ პოლიტიკაზე, საერთაშორისო ურთიერთობებსა და კავკასიის როლზე. მონაწილეობს 50 ექსპერტი (ძირითადად ახალგაზრდები) აფხაზეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, საქართველოდან, ირანიდან, რუსეთიდან, სლოვენიიდან და ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან.

გორჩაკოვის კლუბის წევრებში ირიცხება კახა კუკავა, პოლიტიკური პარტია “თავისუფალი საქართველოს” თავმჯდომარე.

გორჩაკოვის ფონდის ვებ-გვერდზე, ასევე, ქვეყნდება ანალიტიკური და საინფორმაციო სტატიები საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. თავად ამ სტატიების სათაურები ნათლად წარმოაჩენს მათ შინაარსს:

- ექსპერტების შეფასებით საქართველო შესაძლოა აღმოჩნდეს გეოპოლიტიკურ ხაფანგში;
- უნდა ეშინოდეს თუ არა საქართველოს ისლამური სახელმწიფოსი?;

- ლეონიდ გრიგორიევი: რუსეთი მზად არის მთლიანად შეიძინოს საქარველოს ექსპორტირებული პროდუქცია;
- სერგეი მარკედონოვი: ნატოს „ასპირანტობის“ შესახებ;

საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების დაცვისა და მხარდაჭერის ფონდი (Фонд поддержки и защиты прав соотечественников, проживающих за рубежом)

შეიქმნა რუსეთის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე და მუშაობა დაიწყო 2012 წლის 1 იანვარს. ფონდის დამფუძნებლები არიან რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და ფედერალური სააგენტო „როსსოტრუდნიჩესტვო“.

ფონდის მიზანია რუსი თანამემამულეების სრულყოფილი სამართლებრივი მხარდაჭერა მათი უფლებების, საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და სამართლის ნორმების დარღვევის შემთხვევაში.

ფონდი თავის საქმიანობას ახორციელებს დემოკრატიის სახელით, სოციალური სამართლიანობით, ეროვნული უმცირესობების უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის, ადამიანსა და საზოგადოებას შორის, ასევე ადამიანსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისა და სამოქალაქო განათლებისათვის.

სამიზნე ჯგუფებისთვის იურიდიული დახმარების გასაწევად ნაციონალური და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციებისთვის გაიცემა ინდივიდუალური სუბსიდიები და გრანტები.[60]

ფონდის პარტნიორები არიან: რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, „როსსოტრუდნიჩესტვო“, „რუსული საუკუნე“, „გორჩაკოვის ფონდი“, „რუს ადვოკატთა გილდია“, „რუსი თანამემამულეების საერთაშორისო საბჭო“, “რუსული საზღვარგარეთის ინსტიტუტი.”

საქართველოში ფონდი აფინანსებს pravfond.ge-ს საქმაიანობას.

ცენტრის მუშაობის ძირითადი მიმართულებებია: რუს თანამემამულეთა სამართლებრივი მხარდაჭერა და კონსულტაცია მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

2013 წლის 1 ივლისიდან 2015 წლის 30 ივნისის ჩათვლით ცენტრმა 1702 ინდივიდუალური კონსულტაცია გასწია 1441 სამოქალაქო საკითხზე და 261 სისხლის სამართლის საკითხზე.

„რუსული სამყარო“ – Русский Мир

2007 წელს პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა მიმართა ფედერალურ ასამბლეას, რომ რუსულ ენას თანამედროვე სამყაროში „წახალისება“ სჭირდება. “რუსული ენა მრავალი ხალხის საერთო მემკვიდრეობაა, ის არასოდეს ყოფილა სიძულვილისა და მტრობის, ქსენოფობიის ან იზოლაციონიზმის ენა“, - განაცხადა პუტინმა.

„ჩემი ხედვით, ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ინიციატივას და რუს ლინგვისტებს, რათა შექმნან ნაციონალური რუსულენოვანი ფედერაცია, მთავარი მიზანი არის რუსული ენის განვითარება ქვეყანაში, რუსული ენის სასწავლო პროგრამები საზღვარგარეთ და რუსული ენისა და ლიტერატურის მხარდაჭედა მთელ მსოფლიოში“, - განაცხადა პრეზიდენტმა პუტინმა.

ამის შემდეგ, 2007 წელს დაფუძნდა ფონდი “რუსსკი მირ” (“რუსული სამყარო”), რომლის მიზანიც რუსული ენისა და, ზოგადად, რუსული კულტურის მხარდაჭერა და პოპულარიზებაა, მათ შორის საზღვარგარეთაც.

“რუსსკი მირი” აკავშირებს რუსულ დიასპორებს ერთმანეთთან და სამშობლოსთან კულტურული და სოციალური პროგრამებით. “რუსული სამყარო” ასევე მოიცავს იმ ადამიანებს, ვისაც სურთ რუსული ენის სწავლა და არჩეული აქვთ ის სასწავლო საგნად.

„რუსული სამყარო" არის უფრო მეტი, ვიდრე რუსეთის ფედერაციის ტერიტორია და მისი 143-მილიონიანი მოსახლეობა. მილიონობით ეთნიკურად რუსი, ადგილობრივი რუსულად მოლაპარაკე და მათი ოჯახები ქმნიან უდიდეს რუსულ დიასპორებს მსოფლიოში."

ფონდი არის ერთობლივი პროექტი რუსეთის საგარეო საქმეთა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებისა.

ფონდს ხელმძღვანელობს ვიაჩესლავ ნიკონოვი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის ფაკულტეტის დეკანი, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს განათლების კომიტეტის თავმჯდომარე და მმართველი პოლიტიკური ძალის, "ედინაია როსიას" მმართველი საბჭოს წევრი.

ფონდის ყოველწლიური ბიუჯეტია 750 მილიონი რუბლი (დაახლ. 11 მილიონი დოლარი), რომელსაც სახელმწიფოსაგან იღებს.

"რუსული სამყარო" საქართველოში

2014 წელს ფონდ "რუსული სამყაროს" მხარდაჭერით საქართველოში ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა ღიად პრორუსულმა გაერთიანებამ, „ერეკლე მეორის საზოგადოებამ" გახსნა რუსული ენის შემსწავლელი კურსები, სადაც 120-მდე მსმენელი მიიღო.

„ერეკლე მეორის საზოგადოების" მხარდაჭერით და „რუსული სამყაროს" დაფინანსებით "საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივმა ჯგუფმა" 2013 წლის 1 თებერვლიდან გამოაცხადა რუსული ენის უფასო სწავლება.

„ლევ გუმილიოვის ცენტრი"

„ლევ გუმილიოვის ცენტრი" მოსკოვში 2011 წელს დაფუძნდა და ე.წ. "ევრაზიულობის" იდეებს ავითარებს, რომელიც ანტიდასავლურ და ანტილიბერალურ მსოფლმხედველობას ეფუძნება და რუსეთის სახელმწიფო იდეოლოგიაში ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უკავია. ლევ გუმილიოვი საბჭოთა პერიოდის ცნობილი რუსი მეცნიერია, რომელმაც რუსული გეოპოლიტიკური სკოლის - ევრაზიანიზმის იდეების განვითარებას შეუწყო ხელი.

ცენტრის ხელმძღვანელი პაველ ზარიფუნილი საერთაშორისო ევრაზიული მოძრაობის ლიდერის, რუსეთის ანტიდასავლური იდეოლოგიის ერთ-ერთი წამყვანი ინტელექტუალის, ალექსანდრ დუგინის თანამებრძოლია.

ლევ გუმილიოვის ცენტრი საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციის, „ევრაზიული ინსტიტუტის", ერთ-ერთი პარტნიორია. ეს ორგანიზაცია, "ერეკლე მეორის საზოგადოებასთან" ერთად, საქართველოში პრორუსული იდეების ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგიური საყრდენია.

"როსსოტრუდნიჩესტვო" - „როსთანამშრომლობა"

„როსსოტრუდნიჩესტვო" არის რუსეთის სახელმწიფო ფედერალური სააგენტო, რომელიც უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან თანამშრომლობაზეა ორიენტირებული. ის 2008 წლის სექტემბერში რუსეთის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე დაარსდა, 79 ქვეყანაში აქვს წარმომადგენლობა და, იდეაში, იგივე ფუნქცია უნდა გასწიოს, რასაც ამერიკული USAID ახორციელებს.

ორგანიზაციის საინფორმაციო პარტნიორები არიან სააგენტოები "იტარ-ტასი" და რია "ნოვოსტი", ტელეკომპანიები RT, МИР და რადიოსადგური "რუსეთის ხმა".

2013 წელს ორგანიზაციისათვის გამოიყო 330 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო 2015 წელს კიდევ 36 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა ფონდის დაფინანსება რუსული ენის პოპულარიზაციისათვის.

„როსთანამშრომლობა" საქართველოში აფინანსებს „ანტიფაშისტური კოალიციის" პროექტს.

„მრავალეროვნული საქართველოს ანტიფაშისტური კოალიცია“

მრავალეროვნული საქართველოს ანტიფაშისტური კოალიციის ლიდერის - რევაზ გოგიძის განცხადებით, კოალიციაში 100-ზე მეტი ორგანიზაციაა გაერთიანებული.

“ანტიფაშისტური კოალიცია” კრემლის დირექტივით არაერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაშია შექმნილი, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ძალზე კომპლექსურ საქმიანობას ეწევიან და როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო დონეზე ერთმანეთთან მჭიდრო კომუნიკაცია აქვთ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და მოლდოვაში აღნიშნული კოალიციების შექმნა 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის პერიოდს ემთხვევა. ხოლო უკრაინაში არსებული პოლიტიკური რყევებისა და დაძაბულობის გამო შედარებით ადრე, 2006 წელს. საგულისხმოა, რომ 2014 წლის იანვარში საერთაშორისო ანტიფაშისტური კლუბის შექმნის ინიციატივით გამოვიდა რუსეთის დუმის დეპუტატი, მმართველი “ედინაია როსიიდან”, ოთარ არშბა.[61]

აღნიშნული გაერთიანება არის ღიად პრორუსული სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის გაერთიანება, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, შედიან ეთნიკური უმცირესობები და ვეტერანები.

რევაზ გოგიძე, ასევე, არის მოძრაობის „საქართველოს სლავი ხალხების ეროვნული კონგრესი“ ვიცე-პრეზიდენტი. ამ მოძრაობის პრეზიდენტი კი მისი მეუღლე ლიკა ზახაროვაა.

2014 წლის 22 სექტემბერს „რიანოვოსტის“ ოფისში შედგა არასამთავრობო ორგანიზაციის, „მრავალეროვნული საქართველოს ანტიფაშისტური კოალიციის“ პრეზენტაცია. კოალიციის წევრები აღნიშნავენ, რომ მათი მიზანია, გახსნან “ამიერკავკასიის ანტიფაშისტური ფრონტი”, რომლის დანიშნულება იქნება “საერთაშორისო ანტიფაშისტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა”, “ანტიფაშისტური იდეოლოგიის პროპაგანდა”, “ნაცისტური იდეების პროპაგანდაში ჩართულ ორგანიზაციებთან და პირებთან ბრძოლა”.

„საქართველოს ანტიფაშისტურმა კოალიციამ“ 2014 წლის 25 დეკემბერს დაახლოებით 60 არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით მიმართა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს წერილით[62], სადაც ითხოვდნენ რუსულ-ქართული ფორმატის გაფართოებას. წერილში საუბარი იყო, ასევე, განმეორებითი პლებისციტის ჩატარებაზე ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რადგან კოალიციის წევრებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ნატოში გაერთიანების წინააღმდეგია.

კოალიციაში შედიან:

- საქართველოს სლავი ხალხების ეროვნული კონგრესი. ხელმძღვანელი ლიკა ზახაროვა, ვიცე-პრეზიენტი რევაზ გოგიძე;
- რუსული და რუსულენოვანი თემების კონგრესი. ლიკა ზახაროვა;
- ევრაზიის ინსტიტუტი. გულბაათ რცხილაძე;
- რუსულ-ქართული დიალოგისა და თანამშრომლობის სახალხო მოძრაობა. გრიგოლ რუხაძე;
- საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერანების კავშირი. მიხეილ გერგაული;
- კავკასიის ვეტერანთა ასოციაცია. ზურაბ ბასლანოვი;
- სამოქალაქო უფლებების დაცვის ასოციაცია. დავით ჩიხრაძე;
- სოციალური პროგრამებისა და განვითარების ცენტრი. ნანა მურადაშვილი
- კავშირი “უმუშევარი დასაქმებისათვის”. თამარ იოვაშვილი;

- მამული, ენა სარწმუნოება. ლადო სადღობელაშვილი;
- თბილისელ სომეხთა ასამბლეა. დავით მანუკიანი;
- სამართლიანობა ყველასათვის. ზურაბ ჯორბენაძე.

კოალიციას არ აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, მათზე ინფორმაციას ძირითადად რუსული სააგენტოები ავრცელებენ, მაგალითად, "ნოვოსტი" და "სპუტნიკ-საქართველო".

კოალიციის თავმჯდომარე რევაზ გოგიძეზე რაიმე ინფორმაცია არ მოიპოვება, არ გვაქვს ცნობები მისი განათლებისა და პროფესიული გამოცდილების შესახებ.

ზემოთ ჩამოთვლილია კოალიციის წევრი ორგანიზაციები, რომლებიც დანამდვილებით არიან ამ გაერთიანებაში. ისინი აწერენ ხელს კოალიციის მიერ გავრცელებულ განცხადებებს და კოალიციის ღონისძიებებში მონაწილეობენ. რაც შეეხება სხვა ორგანიზაციებს, ისინი ან საერთოდ არ არიან დარეგისტრირებულნი და კოალიციის შემადგენელთა რიცხვი ხელოვნურადაა გაზრდილი, ან მხოლოდ რეგისტრირებულნი არიან და რეალურად არ ფუნქციობენ.

კოალიციის კიდევ ერთი წევრია არასამთავრობო ორგანიზაცია "რუსული და რუსულენოვანი თემებისკონგრესი" (Конгресс русских и русскоязычных общин), რომლის პრეზიდენტია ლიკა ზახაროვა.იგი კოალიციის ყველაზე აქტიური წევრია და ხშირად სწორედ ის წარადგენს კოალიციის პოზიციასა და მოთხოვნებს. მას სხვადასხვა კონფერენციაზე ხშირად მოჰყავს, როგორც თავად უწოდებს, ფაშიზმის გამოვლინების მაგალითები საქართველოში.

ამონარიდები ლიკა ზახაროვას განცხადებებიდან:

> *„თქვენ იცით, რომ დაიხურა რუსული სკოლები, ლიკვიდირებულ იქნა რუსული ბიბლიოთეკები... აკრძალეს რუსული სიმღერები... რუსი მოსახლეობის მიგრაციის მაჩვენებელმა გადააჭარბა ყველა წინა წლის მაჩვენებლებს. მე ძალიან მინდა, რომ ის გამოცდილება, რომელიც გადაიტანეს ჩვენმა ოჯახებმა და ბავშვებმა, ბოლოს და ბოლოს დამთავრდეს.[63]"*

> *„მე მინდა, მოგესალმოთ საქართველოდან, ქვეყნიდან, სადაც ევროპელი და ამერიკელი მეგობრების რჩევების წყალობით, მოხდა ყველაზე სისხლიანი ამბები მთელ კავკასიაში. მას შემდეგ უკვე 2 წელიწადია, ჩვენ ვერ მოვახერხეთ, გავანეიტრალოთ ის ქმედებები, რაც მოიტანა სააკაშვილის კანონებმა. ალბათ ეს მთელი ქართველი ხალხის დანაშაულია, რომ ეს სიმსივნე არ იქნა მოშორებული ქირურგიული მეთოდით, მეტასტაზები კი გავრცელდა ახლა უკრაინაში. როგორც ჩანს, ამ გუნდის ექსპერიმენტები გაგრძელდება კიდევ გარკვეულ დროს. რა მინდა, რომ ვთქვა, მიღებულ იქნა ძალიან საინტერესო კანონები, რომლებიც იყო მიღებული დიდი სიხარულით, ესაა ანტიდისკრიმინაციული კანონი, მაგრამ ეს კანონი მუშაობდა მხოლოდ ლგბტებისთვის. დისკრიმინაციას ნაციონალური ნიშნით, მათ შორის რუსი მოსახლეობის წინააღმდეგ, რომლებიც ააშკარავებდნენ სააკაშვილის ნაციონალურ პოლიტიკას, არ მიექცა ყურადღება, მათ შორის, არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. რუსული საზოგადოება საქართველოში შემცირდა თითქმის ორჯერ, აკრძალული იყო რუსული სიმღერები, რუსული წიგნები, დახურეს რუსული სკოლები. აი, ასე მოქმედებს ჩვენი ევროპელი და ამერიკელი მეგობრების რჩევით მიღებული კანონები. თემა იმდენად სერიოზული და საინტერესოა, რომ მთელი ჩვენი ანტიფაშისტური მოძრაობა, სლავ ხალხთა კონგრესი საქართველოში, რუსულენოვანთა კონგრესი, თითქმის 20 ორგანიზაცია უერთდება თქვენს მოძრაობას. ჩვენ ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს წინააღმდეგობის მოძრაობა და დიდი როლი უნდა ითამაშოს ეკლესიამ - სომხურმა და ქართულმა.[64] "*

საინფორმაციო სააგენტო „საქინფორმმა“ გამოაქვეყნა ამონარიდი, სადაც ლიკა ზახაროვა მოსკოვისგან ითხოვს ნებართვას, რათა საქართველოში შეიქმნას შეიარაღებული დაჯგუფება, რომელიც უნდა დაკომპლექტდეს რუსული სამხედრო სასწავლებლების კურსდამთავრებულებით.[65]

აღსანიშნავია, რომ ლიკა ზახაროვა ამავდროულად არის საქართველოს ომბუდსმენის აპარატში არსებული ტოლერანტობის ცენტრის წევრიც.[66]

ანტიფაშისტური კოალიციის წევრია არასამთავრობო ორგანიზაცია **„ევრაზიის ინსტიტუტი“.** ორგანიზაციის ხელმძღვანელია გულბაათ რცხილაზე, მისი მოადგილეა შოთა აფხაიძე. “ევრაზიული ინსტიტუტი” სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციაა. ორგანიზაციის წევრები გამოირჩევიან ანტიდასავლური განცხადებებით, მოუწოდებენ საქართველოს მთავრობას, გააღრმაოს ურთიერთობა რუსეთთან.

გულბაათ რცხილაძე: “გახშირდა თავდასხმა რუს ტურისტებზე, რომლებსაც გეორგიევსკის ლენტებს აძრობდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ და “უხსნიდნენ”, რომ ეს ოკუპაციის სიმბოლოა.”[67]

შოთა აფხაიძე: “საქართველოს სამხედრო ბაზებზე, დასავლეთის სპეცსამსახურების დახმარებით, ტერორისტებს ამზადებდნენ, რათა შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში გადაესროლათ დივერსიების მოსაწყობად[68].”

მსგავსი განცხადებებით ისინი მხარს უჭერენ “ანტიფაშისტურ კოალიციას”, როგორც არსებულ პოლიტიკურ რეალობაში საჭიროს და აქტუალურს. ორგანიზაციის წარმომადგენლები ხშირად გამოდიან რუსულ პრესაში და ავრცელებენ მსგავსი შინაარსის მესიჯებს.

> *„2008 წლის აგვისტოს მოვლენები - ეს პირდაპირი აგრესია, ავანტიურაა, რომელიც სააკაშვილმა პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციასთან ერთად მოაწყო. ისინი თავს დაესხნენ, პირდაპირი გაგებით, მძინარე ქალაქს და უდანაშაულო ადამიანებს ბომბავდნენ. და ამ ქმედებების შემდეგ სააკაშვილი თავს იმართლებს, რომ დემოკრატიას აშენებდა და ადამიანის უფლებებს იცავდა, თითქოსდა საქართველოს დასავლეთს აახლოებდა. სააკაშვილი მოიქცა როგორც უკანასკნელი ადამიანი, ეს, ჩემი გაგებით, ოსი ხალხის გენოციდია. ის საერთაშორისო ტრიბუნალს უნდა გადაეცეს“,* - განაცხადა შოთა აფხაიძემ.
>
> *„მოდით, ნუ მოვახდენთ ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების საკითხის იდეალიზაციას და ნუ გადავიყვანთ მხოლოდ და მხოლოდ წმინდა პოლიტიკურ ასპექტში. ვისაუბროთ პრაგმატული ასპექტიდან გამომდინარე. ეს არის ნამდვილად ხსნა ქართული ბაზრისათვის.[69]“ შოთა აფხაიძე.*

ამასთან, აფხაიძე აღნიშნავს, რომ ის პირდაპირ ახდენს იმ მითის ციტირებას, თითქოს ქართული პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე კონკურენტუუნაროა.

ევრაზიული ინსტიტუტის კიდევ ერთი წევრი გრიგოლ რუხაძეა, რომელიც ორგანიზაციის - „სახალხო მოძრაობა ქართულ-რუსული დიალოგისათვის“ გამგეობის წევრი და წარმომადგენელია. ეს ორგანიზაცია “ევრაზიის ინსტიტუტის” პროექტია და “ანტიფაშისტური კოალიციის” წევრიცაა. გრიგოლ რუხაძე სამეცნიერო-საზოგადოებრივი კვარტალური ჟურნალის, „სამი საუნჯის“ მთავარი რედაქტორია. როგორც ჩანს, იგი კოალიციაში პასუხისმგებელია საერთო რელიგიურ-ფუნდამენტური ღირებულებების გაძლიერებაზე, “ერთმორწმუნე რუსეთის წარმოჩინებასა” და “ლგბტ ევროპის კრიტიკაზე”.

ამონარიდი ჟურნალიდან “სამი საუნჯე[70]”:

> *სამწუხაროდ, სამეცნიერო წრეებიდან, პირველ ყოვლისა, სწორედ ისტორიკოსები აღმოჩნდნენ იმ ურაპატრიოტთა ავანგარდში, რომლებიც, კონიუნქტურას აყოლილნი, ხალხს რუსეთის საწინააღმდეგოდ განაწყობდნენ და ორმხრივ ურთიერთობებში მხოლოდ*

ნეგატიურ მომენტებს ეძებდნენ, აბუქებდნენ ამ ნეგატივებს და ხშირად ცრუობდნენ კიდეც. რაც მთავარია, ეს ტენდენცია ისტორიკოსებს შორის დღესაც შენარჩუნებულია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დაიმსხვრა ტაბუ რუსეთთან მიმართებით - საზოგადოებრივი აზრი მთლიანად შემობრუნებულია რუსეთთან დაახლოების იდეის სასარგებლოდ, ხალხი ეჭვის თვალით უყურებს ყველა იმ პოლიტიკოსსა თუ „საზოგადო მოღვაწეს", რომელიც კვლავინდებურად ანტირუსული რიტორიკით ცდილობს საკუთარი „პატრიოტიზმის" წარმოჩენასა და ადგილის დამკვიდრებას".

2014 წლის იანვარში "ევრაზიის ინსტიტუტმა" გამოაქვეყნა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგი,[71] რომელიც რადიკალურად განსხვავდება სხვა კვლევების შედეგებისგან. კერძოდ, კითხვაზე, "ხვალ რომ ნატოში საქართველოს გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით პლებისციტი იმართებოდეს, თქვენი არჩევანი როგორი იქნებოდა?", 40%-მა განაცხადა, რომ უარყოფით გრაფას შემოხაზავდა, დადებითი პასუხი კი, როგორც "ევრაზიის ინსტიტუტი" ირწმუნება, მხოლოდ 32%-მა გასცა. სრულიად აშკარაა, რომ ეს და მსგავსი კვლევები საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებას ისახავს მიზნად.

„ანტიფაშისტურ კოალიციას" არ აქვს გამოქვეყნებული კოალიციის წევრთა სია, თუმცა მათ პრესკონფერენციებს მხარდამჭერების რანგში ხშირად ესწრებიან ადა მარშანია, ალი ბაბაევი, ნანა მურადაშვილი[72].

ადა მარშანია 1983-1987 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტი; 1987 წლიდან სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერ-თანამშრომელი; საქართველოს მე-3, მე-4, მე-5, მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი (1992-2008); საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის წევრი.

ამჟამად პოლიტიკური გაერთიანება "პატრიოტთა ალიანსის"აქტიური წევრია, რომელიც ხშირად გამოირჩევა დასავლეთის კრიტიკით.

„ანტიფაშისტური კოალიციის" მხარდამჭერია ალი ბაბაევი, პარტია „ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს ყოფილი წევრი და „საქართველოში აზერბაიჯანელთა კონგრესის" პრეზიდენტი, ა/ო „საქართველო ჩემი სამშობლოა" ხელმძღვანელი.

ალი ბაბაევი აცხადებს, რომ მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, თუმცა "თურქ ხალხთა კონგრესის" ხელმძღვანელი საქართველოში დაშინ გულმამედოვი მას სეპარატიზმსა და ბორჩალოს ტერიტორიაზე ავტონომიის შექმნის მცდელობაში ადანაშაულებს.[73]

საქართველოსგან განსხვავებით, უფრო რადიკალური ნაბიჯებით გამოირჩევა მოლდოვაში არსებული ანტიფაშისტური მოძრაობა.

2014 წლის ნოემბერში მოლდოვას "ანიფაშისტური კოალიციის" ("ანტიფა") ოფისში ადგილობრივმა პოლიციამ ჩხრეკა ჩაატარა, რის შედეგადაც აღმოჩენილია "პისტოლეტები, ყუმბარები, ყუმბარმტყორცნები, ნიღბები..."[74] მოლდოვას პოლიციის ინფორმაციით, ჯგუფის წევრები სახელმწიფო გადატრიალებას და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას გეგმავდნენ. მოლდოვას ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა, ვლად ფილატმა განაცხადა, რომ "ანტიფა" რუსეთის სპეცსამსახურების პროექტია.[75]

როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის მოლდოვას სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმის ყოფილი თავმჯდომარე იონ ბუზუნი აცხადებს,[76] პრორუსული ძალები, კერძოდ "ანტიფა", განსაკუთრებით იმ ადგილებში აქტიურობენ, სადაც რუსი ან რუსულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს და ე.წ. "ნოვოროსიის", ანუ "ახალი რუსეთის" იდეების პროპაგანდას ეწევიან; მათ ძალიან მჭიდრო ურთიერთობა აქვთ რუსეთის სპეცსამსახურებთან და ხშირად ჩადიან მოსკოვში. ბუზუნის თქმით, "ანტიფა" მოლდოვას სამხრეთში პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზებას ცდილობს; ეს მოძრაობა კომუნისტური პარტიის რადიკალური ფრთიდან წარმოიშვა და მკვეთრად უპირისპირდება მოლდოვას მმართველ გუნდს.

3.1 რუსული ფული საქართველოში

რუსეთიდან შემოსული ფულადი რესურსების რაოდენობის დადგენა არსებულ საჯარო მონაცემებზე დაყრდნობით მეტად რთულია და, ამავდროულად, არ იძლევა რეალური სურათის მიღების შესაძლებლობას.

როგორც რუსული ფონდების, ასევე მათი პარტნიორი არასამთავრობოების დაფინანსება გაუმჭვირვალეა. არც მათ საიტზე მოიპოვება ამის შესახებ ცნობები და არც მათ მიერ გავრცელებულ პრესრელიზებსა თუ სხვა სახის ინფორმაციაში. თავად ორგანიზაციების ხელმძღვანელები ამ საკითხზე საუბარს თავს არიდებენ ან ზოგადი ინფორმაციით შემოიფარგლებიან.

როგორც "ევრაზიის ინსტიტუტის" ხელმძღვანელმა, გულბაათ რცხილაძემ განაცხადა, მისი ორგანიზაცია გრანტს არც ერთი ფონდიდან არ იღებს და მხოლოდ საქართველოს მოქალაქე ბიზნესმენების შემოწირულობებით საქმიანობს.[77] ამბობს, რომ წელიწადში შემოწირულობებით დაახლოებით 10 ათას დოლარამდე იღებს, რაც საკმარისია "დიდი საქმეების" გასაკეთებლად.

> *"1000 დოლარით ჩვენ შეგვიძლია დიდი საქმეების გაკეთება. ამ ფულით ჩვენ დავტვირთეთ მანქანა მაკარონით, შაქრით და ასე შემდეგ და წავიღეთ ბერშუეთში[78], ამან გამოიწვია დიდი შოკი და დაიწყეს ყვირილი, რომ ამ მაკარონით ვცდილობთ ხალხის მოსყიდვას. წელიწადში შემოწირულობებით დაახლოებით ვხარჯავთ 10000 დოლარს. გრანტიდან მე რომ 30 000 მივიღო, იქიდან 27 000 უნდა დავხარჯო სისულელეებში და ამ შემოწირულობებით რასაც მინდა, იმას გავაკეთებ."*
>
> ***გულბაათ რცხილაძე***

აღსანიშნავია, რომ საქართველოში რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა[79](საქართველოში შვეიცარიის საელჩოში არსებული რუსეთის ფედერაციის ინტერესების სექცია), ასევე, გასცემს ან ადმინისტრირებას უწევს გრანტების გაცემას ქართულ ორგანიზაციებზე.[80] თუმცა, როგორც გულბაათ რცხილაძე აცხადებს, ეს მხოლოდ კულტურული პროექტების დაფინანსებით შემოიფარგლება.

ინტერვიუებზე დაყრდნობით[81] გამოიკვეთა, რომ ფორმალურ არხებთან ერთად პრორუსული ორგანიზაციები სხვადასხვა გზით იღებენ არაფორმალურ დაფინანსებასაც. ეს რესურსები, შესაძლოა, იყოს როგორც რუსული სპეცსამსახურები, ასევე რუსული სახელმწიფო ინსტიტუტები.

2015 წლის აგვისტოში რიგაში ბაზირებულმა ჟურნალისტური გამოძიების ცენტრმა Re:Baltica გამოაქვეყნა ჟურნალისტური გამოძიება,[82] რომლის თანახმადაც, ბოლო 3 წლის განმავლობაში ბალტიის სამი სახელმწიფოს (ლატვია, ლიტვა, ესტონეთი) 40-ზე მეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ლეგალური გზებით რუსული ფონდებიდან ჯამში 1,5 მილიონი ევრო მიიღო. სტატიაში აღნიშნულია, რომ ეს რიცხვი "ძალიან კონსერვატიულად" არის გამოთვლილი და მასში არ შედის ფულადი შემოწირულობები რუსეთისადმი მეგობრულად განწყობილი იურიდიული და კერძო პირებისგან. ადგილობრივი სპეცსამსახურები მიიჩნევენ, რომ ამ თანხის რეციპიენტები რუსეთის ინფორმაციული ზეგავლენის აგენტები არიან, რასაც ისინი უარყოფენ.[83]

საქართველოში ამ საკითხზე სანდო ოფიციალური სტატისტიკა არ მოიპოვება. როგორც სახელმწიფო მოხელეებმა, რომელთა ფუნქციაც სახელმწიფო უსაფრთხოებაზე ზრუნვას გულისხმობს, ინტერვიუებში განაცხადეს[84], მათი მტკიცებით, ჯამში, საქართველოში პრორუსული და ანტიდასავლური არასამთავრობოების დაფინანსება 500,000-დან 1 მილიონ დოლარამდეა. აღნიშნული ფულის ნაწილი ორგანიზაციებს არაოფიციალურად ეძლევა და დაფინანსება ხშირად ნაღდი ფულით ხდება. მათი თქმით, პროექტების ბიუჯეტი, როგორც წესი, საშუალოდ, 20 ან 25 ათას დოლარს შეადგენს. დონორების როლში გამოდიან რუსეთის სხვადასხვა სახელმწიფო ორგანო ან სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ფონდები, ისევე, როგორც რუსეთის დიპლომატიური მისია საქართველოში (შვეიცარიის საელჩოსთან არსებული რუსეთის ფედერაციის სექცია). ხშირად პრორუსული ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების დასაფინანსებლად ხდება აღურიცხავი ნაღდი ფულის შემოტანა.[85]

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის სექციას საქართველოში საპროტესტო ნოტას ოკუპირებული საზღვრის მიმდებარედ არსებული დარღვევების შესახებ თითქმის ყოველთვიურად უგზავნის. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, 2008 წლიდან 2015 წლის ჩათვლით უკვე გაგზავნილია 78 საპროტესტო ნოტა, თუმცა ქართულმა მხარემ პასუხი მხოლოდ ერთხელ მიიღო, სადაც მითითებული იყო, რომ აღნიშნული საკითხები რუსეთის ფედერაციას არ ეხებოდა და საქართველოს მსგავს საკითხებზე მოლაპარაკებები ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთის ხელისუფლებებთან უნდა გაემართა.

მიმდინარე წელს რუსეთის სექცია ახალი, უფრო გამოცდილი და შედარებით მაღალ თანამდებობებზე ნამუშევარი კადრებით შეივსო, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების ფონზე რუსეთი ცდილობს, გააძლიეროს საკუთარი საქმიანობა. რუსეთის სექციას ამჟამად ხელმძღვანელობს ვადიმ გორელოვი, რომელიც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა, ამასთანავე, ჩართული იყო აბაშიძე-კარასინისა და ჟენევის მოლაპარაკებებში.

რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებში რუსული ფულის შემოდინებას, კვლევები ცხადყოფს, რომ პარტიების შემოწირულობები რიგ შემთხვევებში საეჭვო გარემოებებში ხდებოდა, არსებობს კონკრეტული გამოვლენილი დარღვევები, რომლებშიც ადასტურებს მსგავსი პრობლემების არსებობას. იმავე კვლევებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, სათანადოდ არ იძიებენ ამ ტიპის პრობლემებს.

არსებულ გამოწვევებს სისტემური ხასიათი აქვს და განსაკუთრებით წინასაარჩევნო პროცესების დროს ძალზე ინტენსიურად წარმოჩინდება. 2013 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" პროექტის - „გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული პოლიტიკური ფინანსები საქართველოში" ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიუხედავად არაერთი ხარვეზისა, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებს წლიური დეკლარაციების წარდგენისას ჰქონდათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს რეაგირება დღემდე არ მოუხდენია.[86]

არსებული პრაქტიკისა და რეალობის გათვალისწინებით, 2016 წლის მოახლოებულ არჩევნებზე არსებობს საკმაოდ მაღალი რისკები, რაც პოლიტიკურ პარტიებში რუსული ფულის მიღებას უკავშირდება.

4. საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი

საქართველოში დარეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების რიცხვი 200-ს აჭარბებს. მათი დიდი ნაწილი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულიად უხილავია ან საერთოდ არ ფუნქციობს. მოქმედი და აქტიური პოლიტიკური პარტიებიდან მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს ჩამოყალიბებული იდეოლოგიური პლატფორმა და თანმიმდევრული პოლიტიკური მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება. მათი უმრავლესობა არის ვიწრო მიზნების მისაღწევად შეკრებილი ან ერთი პიროვნების გარშემო გაერთიანებული ინდივიდების ჯგუფი.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს მოსახლეობაში ღიად პრორუსული იდეები პოპულარული არ არის, პრორუსული სენტიმენტების მქონე პარტიები თავიანთი იდეების ღია დეკლარირებას არ ახდენენ. ამის საპირისპიროდ, რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი პარტიები უპირატესობას ანიჭებენ ღიად ანტიდასავლურ პროპაგანდას ან აპელირებენ იმაზე, რომ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია სასურველი, თუმცა მიუღწეველი და არარეალურია, რის ფონზეც საუკეთესო ვარიანტად რუსეთთან ურთიერთობას სახავენ.

ეს პოლიტიკური ძალები შეუფარავად უწყობენ ხელს იმ ნარატივების დამკვიდრებას და ისეთი პოლიტიკური მითების გავრცელებას, რომლებიც წაახალისებს საქართველოში რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკური დღის წესრიგის გაძლიერებას.

საქართველოში არსებული პოლიტიკური სპექტრი შეიძლება დავყოთ ორ ასიმეტრიულ ნაწილად – საპარლამენტო და არასაპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებად. მართალია, დღესდღეობით პირველ კატეგორიაში შემავალი ჯგუფების ხვედრითი წილი განუზომლად დიდია საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე ზეგავლენის კუთხით, მაგრამ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, დიდი ალბათობით, ეს განლაგება შეიცვლება და თუ ბოლო თვეებში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების შედეგებით ვიმსჯელებთ, მომავალ პარლამენტში უკვე წარმოდგენილნი იქნებიან პრორუსული პოლიტიკური ძალები.

ამ კვლევაში ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ იმ პოლიტიკურ ძალებზე, რომლებიც დღესაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე ან აქვთ საამისო პოტენციალი სამომავლოდ. გვერდს ავუვლით ნაკლებად რეიტინგულ პარტიებსა და პოლიტიკურ გაერთიანებებს, რომლებსაც, მართალია, ახასიათებთ რუსეთის სახელმწიფოს დღის წესრიგის გატარების მცდელობა, მაგრამ რეალურად ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე რაიმე შესამჩნევ გავლენას ვერ ახდენენ.

"ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"

საქართველოს მმართველი კოალიცია, "ქართული ოცნება", სხვადასხვა გავლენისა და მსოფლმხედველობის პოლიტიკური ძალების ნაზავია, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ხელისუფლებიდან "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ჩამოშორება იყო. კოალიცია მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა, რომელმაც თავისი კაპიტალი რუსეთის ფედერაციაში დააგროვა. თუმცა საგულისხმოა ის, რომ მან პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ რუსეთში არსებული ქონება გაყიდა.[87]

კოალიცია "ქართულ ოცნებას" პარლამენტში ადგილების უმრავლესობა (86 მანდატი) ეკუთვნის და საშუალება აქვს, მიიღოს ნებისმიერი კანონი და გადალახოს პრეზიდენტის ვეტო (თუმცა არ გააჩნია საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საჭირო ხმები).

NDI-ის მიერ 2015 წლის ბოლოს ჩატარებული კვლევების თანახმად, "ქართული ოცნების" რეიტინგ 16 %-ს შეადგენს [88] (მეორე არჩევანად 3%-მა დაასახელა).

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ კოალიცია "ქართული ოცნების" მიერ გამოქვეყნებულ პროგრამაში[89] ერთმნიშვნელოვნად გაცხადებულია ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსის ერთგულებაში. ამავე დროს, 2013 წლის 7 მარტს საქართველოს ახლად არჩეულმა პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია[90], რომელიც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პრიორიტეტს სახავს და ამ კურსის საწინააღმდეგო საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს გაწევრიანებას გამორიცხავს. ამ დოკუმენტში, ასევე, ფიგურირებს აშშ, როგორც საქართველოს მთავარი მოკავშირე.

საპარლამენტო უმრავლესობაში ამჟამად შედის შემდეგი ფრაქციები:

- "ქართული ოცნება" (წარმოდგენილია პარტია "ქართული ოცნების" წევრებით);
- "ქართული ოცნება – რესპუბლიკელები" (წარმოდგენილია "რესპუბლიკური პარტიის" წევრებით);
- "ქართული ოცნება – კონსერვატორები" (წარმოდგენილია "კონსერვატიული პარტიის" წევრებით);
- "ქართული ოცნება - ეროვნული ფორუმი" (წარმოდგენილია პარტია "ეროვნული ფორუმის" წევრებით);
- "ქართული ოცნება - მრეწველები" (წარმოდგენილია პარტია "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" წევრებით);
- "დამოუკიდებელი მაჟორიტარები - ძლიერი რეგიონებისთვის" (წარმოდგენილია დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატებით);

- უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარები.

ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნებამდე, ოპოზიციაში ყოფნისას, "ქართული ოცნება" აცხადებდა, რომ რუსეთთან ურთიერთობას დაალაგებდა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კოალიციის მიერ ფორმირებულმა მთავრობამ მნიშვნელოვნად შეარბილა რიტორიკა რუსეთის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ მმართველ კოალიციას ხშირად აკრიტიკებენ ევროატლანტიკური ინტეგრაციის ტემპის შენელებისა და პოლიტიკის ცვლილებისთვის, მთავრობის მიერ მიღებული საკანონმდებლო ინიციატივების ანალიზი ცხადყოფს, რომ მმართველი კოალიცია ბევრი მიმართულებით პროდასავლურ რეფორმებს ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ "ქართული ოცნების" ზოგიერთი ლიდერის საჯარო განცხადებები ეწინააღმდეგება კოალიციის მიერ დეკლარირებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს, რაც პოლიტიკურ წრეებშიც და სამოქალაქო საზოგადოებაშიც ბევრ კითხვას აჩენს.

მაგალითად, ფრიად საყურადღებო განცხადებები აქვს ამ კუთხით გაკეთებული კოალიციის ყოფილ ლიდერს, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც ეს პოსტი თავისი ნებით დატოვა 2013 წლის მიწურულს, რის შემდეგაც პრემიერის პოსტზე მისივე ერთგული კადრი, ირაკლი ღარიბაშვილი დაინიშნა.

მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილი დღეს რაიმე ოფიციალურ პოსტს არ იკავებს, მუდმივად მიმდინარეობს საუბარი მის არაფორმალურ გავლენის ბერკეტებზე. "საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" მიერ მომზადებულ ანგარიშში – "საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება 2015" – აღნიშნულია: "არსებობს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე არაფორმალური გარეშე გავლენის ნიშნები, რაც ამცირებს მის დამოუკიდებლობას".[91] აღნიშნულ მოსაზრებას კიდევ უფრო აძლიერებს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ვადაზე ადრე თანამდებობიდან გადადგომა და პრემიერ-მინისტრის პოსტზე ბიძინა ივანიშვილის „ქართუ ბანკის" ყოფილი პრეზიდენტის გიორგი კვირიკაშვილის დანიშვნა.

იმ საკითხის კომენტირებისას, შეიძლება თუ არა, ერთი მხრივ, ევროკავშირთან და ნატო-სთან ინტეგრაციის პოლიტიკა რუსეთთან კარგი ურთიერთობის დამყარებასთან თავსებადი იყოს, 2013 წლის იანვარში ივანიშვილმა განაცხადა, რომ სომხეთი ამისი კარგი მაგალითია: "ქართველებისთვის სომხეთი კარგი მაგალითია, რომელიც კარგ ურთიერთობაშია რუსეთთან და მეგობრული ურთიერთობები აქვს ამერიკასთან და ნატო-ს სხვა წევრ ქვეყნებთან. შესაბამისად, ეს ყველაფერი შესაძლებელია და მივიჩნევ, რომ ვალდებულები ვართ და დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ყველაფრის შეთავსებას შევძლებთ."[92]

ამას გარდა, როგორც ზემოთ ითქვა, კოალიცია "ქართული ოცნება" სხვადასხვა, ზოგჯერ მსოფლმხედველობის დონეზე შეუსაბამო პოლიტიკური ჯგუფისგან შედგება. მისი ერთ-ერთი წევრის, პარტია "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ლიდერები კი მკაფიოდ ანტიდასავლური განცხადებებით გამოირჩევიან. მსგავს განცხადებებს მეტ-ნაკლები ინტენსივობით პარტია "ქართული ოცნების" წევრებიც აკეთებენ.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია პარტია "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ლიდერის, გოგი თოფაძის რიტორიკა, რომელიც საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვან ბიზნესსაწარმოს ფლობს და ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული პირია. ამას გარდა, პარტიას მნიშვნელოვანი ბერკეტები აქვს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში, გამომდინარე იქიდან, რომ "მრეწველების" პარტიული იერარქიის მეორე პირი, პარტიის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეა.

თავის საჯარო გამოსვლებში, სატელევიზიო და საგაზეთო ინტერვიუებში გოგი თოფაძე თანმიმდევრულად ავითარებს მოსაზრებას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის კავშირის წინააღმდეგ.

> *“მსოფლიო სავაჭრო ბანკს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, (საერთაშორისო) სავალუტო ფონდს (საქართველოსთვის) დანგრევის მეტი არაფერი მოუტანიათ. რაც მოხდა საქართველოში, არა მგონია, მოგწონდეთ – გასამმაგდა ჩვენი საგარეო ვალი, აღარ გვაქვს სოფელი.”* [93]
>
> ***გოგი თოფაძე***

ის აშკარა ევროსკეპტიციზმით გამოირჩევა და ამას არც მალავს. ამასთანავე, დაუფარავად მანიპულირებს ციფრებით:

> *“(ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ) ბალტიის ქვეყნები, ბულგარეთი, რუმინეთი ნახეთ, რა დღეში არიან. მე ვიყავი ამას წინათ ლატვიაში – (მოსახლეობის) 40% გაქცეულია ევროპაში, ყველაფერი გაუჩერდათ.”*[94]
>
> ***გოგი თოფაძე***

კოალიციაში შემავალ სხვა პოლიტიკურ ჯგუფებში, მართალია, მკაფიოდ გამოკვეთილი ანტიდასავლური და პრორუსული განწყობა არ შეინიშნება, მაგრამ მათი არაერთი წევრი (გამიზნულად თუ უნებლიეთ) ხშირად იმეორებს რუსეთის მიერ ტირაჟირებულ სტერეოტიპებსა და კლიშეებს. ამ მხრივ განსაკუთრებით სახიფათოა მითი, რომლის თანახმადაც, დასავლეთი მხარს უჭერს არა ზოგადად საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველ ხალხს, არამედ კონკრეტულად ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ან “ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.”

იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი “ნაციონალური მოძრაობის” მიმართ კრიტიკულად არის განწყობილი,[95] ასეთმა განცხადებებმა შეიძლება ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნას ანტიდასავლური განწყობის გაძლიერებას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ევროატლანტიკური ინტეგრაციისაკენ. საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას, განახორციელა მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეფორმები და ევროკომისიისგან მიიღო პოზიტიური დასკვნა ევროკავშირთან ვიზის ლიბერალიზაციაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ხელი მოეწერა საქართველოში ნატო-ს საწვრთნელი ბაზის გახსნასაც, რაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური გზავნილია.

რამდენადაც კოალიცია “ქართული ოცნება“ ძალზე ეკლექტური გაერთიანებაა და მნიშვნელოვნად განსხვავებული იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური პარტიებისგან შედგება, ხშირად ვხვდებით განსხვავებულ განცხადებებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს დაბნეულობას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

“თავისუფალი დემოკრატები”

პარტია “თავისუფალი დემოკრატები” არის მკვეთრად გამოკვეთილი პროდასავლური პოლიტიკური ძალა, რომელიც მმართველ კოალიციაში შედიოდა და ის 2014 წლის ნოემბერში დატოვა, მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრ თანამდებობიდან გადააყენა თავდაცვის მინისტრი, “თავისუფალი დემოკრატების” ლიდერი, ირაკლი ალასანია.

ამ მოვლენების ფონზე მთავრობა დატოვეს საგარეო საქმეთა მინისტრმა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრმა, რომლებიც, ასევე, “თავისუფალი დემოკრატების” წევრები იყვნენ.

ბოლო კვლევებით, რომელიც NDI-მ 2015 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩაატარა, “თავისუფალი დემოკრატების” რეიტინგი 7%-ია. (მეორე არჩევანი 6%-მა დაასახელა).

აღსანიშნავია, რომ თავისუფალი დემოკრატები ყველაზე მნიშვნელოვან როლს სწორედ საგარეო და ევროინტეგრაციის პოლიტიკის წარმართვაში თამაშობდნენ, მათ თანამდებობის დატოვების შემდეგ

ფრიად კრიტიკული განცხადებები გააკეთეს. პარტიის ლიდერის, ირაკლი ალასანიას განცხადებით, არსებობდა საფრთხე, რომ საქართველოს ხელისუფლება პროდასავლურ კურსს გადაუხვევდა.[96] პროექტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს მსვლელობისას[97] "თავისუფალი დემოკრატების" აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი ქადაგიშვილმა აღნიშნა: ჩვენს რეალობაში არსებობს ეგრეთ წოდებული პარალელური ხელისუფლება, პარალელური მართვის სისტემა, ეგრეთ წოდებული სატელეფონო სამართლის ინსტიტუტი. ის, რომ არსებული ხელისუფლება დღეს თვალს ხუჭავს რუსეთის "რბილი ძალის" ხელახალ გააქტიურებაზე, დაწყებული თავისი იდეოლოგიური ექსპანსიით, დამთავრებული საზოგადოებრივი აზრის შემქმნელი არასამთავრობოებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების ჯგუფების გამოკვეთით, მე ვფიქრობ, საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს. ჩვენ რეალური პერსპექტივა გვაქვს იმისა, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მივიღოთ გამოკვეთილი პრორუსული რგოლი პარლამენტში. ჩვენს ინტერესებში არ შედის კონფრონტაცია რუსეთთან, თუმცა ეს არ ნიშნავს რომ ეგრეთწოდებული მე-5 კოლონის შექმნაზე თვალი უნდა დავხუჭოთ. ვფიქრობ, რუსეთიდან დაფინანსების წყაროები უნდა შეიზღუდოს. როდესაც რუსეთი არის ოკუპანტი, არ შეიძლება, ამ ქვეყნის პოლიტიკური გავლენის მატარებელი ჯგუფების დაფინანსება ხდებოდეს.

ამჟამად ეს პოლიტიკური ჯგუფი პარლამენტში ცალკე, 8-წევრიანი ფრაქციით არის წარმოდგენილი, რომელიც ცდილობს დისტანცირებას როგორც მმართველი პარტიისგან, ისე "ერთიანი ნაციონალური მოძრაობისაგან."[98]

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" არის საქართველოს მთავარი ოპოზიციური პარტია. ის ცხრა წლის განმავლობაში (2003-2012) მმართველი პარტია იყო და მართვის სადავეები 2012 წლის არჩევნების შედეგად დაკარგა. ამჟამად ის პარლამენტში 46 მანდატს ფლობს და მისი რეიტინგი, NDI-ის მიერ 2015 წლის ბოლოს განხორციელებული კვლევის მონაცემებით, 10%-ია. (მეორე არჩევანი 3%-მა დაასახელა).

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პერიოდში მკვეთრად დასავლური კურსის ფონზე მნიშვნელოვნად გაუარესდა ურთიერთობა რუსეთთან. ამ უკანასკნელმა საქართველოს ფაქტობრივი ემბარგო დაუწესა, მინიმუმამდე დავიდა ყველა სახის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა. პარტია რუსეთისა და მისი ლიდერის, ვლადიმირ პუტინის მიმართ. მკვეთრი რიტორიკით გამოირჩეოდა. "ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პერიოდში მნიშვნელოვნად შეიზღუდა რუსეთის გავლენა საქართველოზე. დაპირისპირებამ პიკს 2008 წლის აგვისტოში მიაღწია, როდესაც რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები დაიწყო. ომის შედეგად რუსეთმა საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის, ფაქტობრივი ოკუპაცია განახორციელა – იქ საკუთარი ჯარი განალაგა და ისინი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა.

ამ ფონზე კიდევ უფრო გაძლიერდა ურთიერთობა დასავლეთის სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებთან. საქართველო რეგიონში ამერიკის მთავარ მოკავშირედ იქცა. გაძლიერდა ძალისხმევა ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისთვის.

თუმცა, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პერიოდში გამოიკვეთა მმართველობის მნიშვნელოვანი ხარვეზები – ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის საკითხებთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია კიდეც ამ პარტიის პოპულარობის ვარდნა და 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში დამარცხება.

“დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო”

მიუხედავად იმისა, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციურ პოლიტიკურ გაერთიანებას “დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო” ხელმძღვანელობს ნინო ბურჯანაძე, 2003 წლის “ვარდების რევოლუციის” ლიდერთა ტრიუმვირატის წარმომადგენელი და პოსტრევოლუციური საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. რამდენიმე წლის განმავლობაში სწორედ ეს პოლიტიკური ძალა მიიჩნევა რუსეთის გავლენის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ ინსტრუმენტად საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ნინო ბურჯანაძე ორჯერ– 2003-2004 და 2007-2008 წლებში რამდენიმე თვე საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე პროპორციული სიით გაერთიანებამ ხმების 10,22% აიღო;[99] 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე გაერთიანების ლიდერმა, ნინო ბურჯანაძემ, ხმების 10,19% მოიპოვა.[100]

ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და CRRC-ის მიერ 2015 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარებული კვლევით, გამოკითხულთა მხოლოდ 3%-მა განაცხადა, რომ მხარს დაუჭერდა “დემოკრატიულ მოძრაობას” საპარლამენტო არჩევნებზე (მეორე არჩევანი 2%-მა დაასახელა). მოგვიანებით ნინო ბურჯანაძემ ამ კვლევას ფალსიფიცირებული უწოდა[101], თქვა, რომ ის “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ინტერესებს ასახავს და კვლევის თანაავტორი, CRRC, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” სასარგებლოდ კვლევის შედეგებით მანიპულირებაში დაადანაშაულა. ამავე დროს, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის კვლევით, “დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს” მიმართ 2015 წელს დადებითი დამოკიდებულება გამოკითხულთა 10%-მა გამოხატა, ნეიტრალური – 35%-მა, უარყოფითი კი – 40%-მა.[102]

ნინო ბურჯანაძე 2010 წლის მარტსა[103] და დეკემბერში[104] მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს შეხვდა. გამომდინარე იქიდან, რომ ეს შეხვედრები 2008 წლის აგვისტოს ომიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ გაიმართა, ამ ფაქტს საქართველოში დიდი აღშფოთება მოჰყვა. ამის შემდეგ ნინო ბურჯანაძე რუსეთის ოფიციალურ პირებს არაერთხელ შეხვდა.

“დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოსა” და მისი ლიდერის რიტორიკა პრორუსული პროპაგანდის ძირითად პოსტულატებს ეყრდნობა. ძირითადი გზავნილია ის, რომ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებისთვის საქართველოს ძალისხმევა უშედეგოა, დასავლეთი – ევროკავშირი და ამერიკა – საქართველოს ატყუებენ და მას რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ბრძოლაში ინსტრუმენტად იყენებენ.

ხშირად საქართველოში შეფარული პრორუსული პროპაგანდა უკრაინის მოვლენებზე პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული განცხადებებით მჟღავნდება. რუსეთის სიძლიერის დემონსტრირებისა და ევროატლანტიკური არჩევანის საფრთხეზე საუბრისას ნინო ბურჯანაძე ხშირად პარალელებს სწორედ უკრაინასთან ავლებს.

> *“თუ უკრაინის მოვლენებს შევხედავთ, გასაგებია, რამდენად ადეკვატურად მოქმედებს (დასავლეთი), დააქციეს უკრაინა. უკრაინაში არაფერი არ მოხდებოდა, ტუტუცურად რომ არ მოქცეულიყო დასავლეთი. უკრაინის ცოდვა თავიდან ბოლომდე არის დასავლეთის კისერზე. არავითარი შევარდნა არ იქნებოდა, არც ყირიმის ანექსირება იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ის, რაც მოხდა უკრაინაში, ეს იყო ამერიკის დაკვეთა.”*[105]
>
> ***ნინო ბურჯანაძე***

გოგი თოფაძის შემთხვევის მსგავსად, აქაც არის მითი რუსული ბაზრის შეუცვლელობასა და ევროკავშირის ბაზარზე პოსტსაბჭოთა ქვეყნების პროდუქციის უპერსპექტივობაზე.

> *“ეკონომიკური კეთილდღეობისთვის გამოსავალი რუსული ბაზარია მხოლოდ. რა თქმა უნდა, თუ გავჭრით სხვა გზებს, კარგია, მაგრამ ბალტიისპირეთში რა ხდება, ხომ ვიცით?! ბალტიისპირეთის სოფლის მეურნეობა, პრაქტიკულად, განადგურების*

პირზეა, მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო რძის პროდუქტებს აწარმოებდა. დღეს ხომ ეს პროდუქცია, პრაქტიკულად, განადგურების პირასაა, რადგან მან ვერ გაუწია კონკურენცია ევროპულ ბაზარს.

ჩვენ გვაქვს იმისი რესურსი, რომ ჩვენი პროდუქცია იყოს ევროპული ხარისხის? ჩვენ არ გვაქვს ამის საშუალება, ერთადერთი ბაზარი არის რუსული, რადგან არსებობს გარკვეული სენტიმენტები და ახსოვთ, კარგად იციან, რომ არც მაინცდამაინც ჩაი ვარგა და არც ის ღვინო,რომელიც შედის, მაგრამ, ჩვეულებიდან გამომდინარე, იღებენ. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ამ ბაზარზე."[106]

ნინო ბურჯანაძე

სხვა ანტიდასავლური ძალებისგან განსხვავებით, ნინო ბურჯანაძე არ უარყოფს დასავლეთში არსებულ კეთილდღეობასა და ევროკავშირში გაწევრიანების სიკეთეს, თუმცა საქართველოს ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანებას მიუღწეველ, არარეალურ პერსპექტივად წარმოაჩენს, რის ალტერნატივადაც ძლიერ და ერთმორწმუნე რუსეთთან მჭიდრო კავშირს სახავს.

"პატრიოტთა ალიანსი"

კიდევ ერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ანტიდასავლური რიტორიკით გამოირჩევა, არის "პატრიოტთა ალიანსი", არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტია, რომლის მხარდამჭერთა რიცხვი ბოლო 2 წლის განმავლობაში იზრდებოდა და ასეთი დინამიკის შენარჩუნების პირობებში შესაძლოა მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში შეძლოს საკუთარი წარმომადგენლების შეყვანა პარლამენტში.

"პატრიოტთა ალიანსის" რეიტინგი, NDI-ის 2015 წლის ნოემბერ-დეკემბრის მონაცემების მიხედვით, 3%-ია. (მეორე არჩევანი 2%-მა დაასახელა).

განსხვავებით "დემოკრატიული მოძრაობისგან", რომლის ლიდერებიც უშუალოდ ხვდებიან რუს პოლიტიკოსებს და სტუმრობენ მოსკოვს, "პატრიოტთა ალიანსის" ლიდერები დეკლარირების დონეზე კატეგორიულად ემიჯნებიან რუსეთის პოლიტიკურ ელიტას და აცხადებენ, რომ წარმოადგენენ "პროქართულ" პოლიტიკურ ძალას.

აღსანიშნავია, რომ ტერმინში "პროქართულობა" როგორც აღნიშნული პოლიტიკური ძალის, ისე სხვა სუბიექტების მიერ ხშირად იდება უკიდურესი, აგრესიული ნაციონალიზმი. მეტიც, ეს ტერმინი დიდწილად პრორუსული და მკვეთრად ანტიდასავლური სენტიმენტების შენიღბვის იარაღად იქცა.

კვლევისთვის "პატრიოტთა ალიანსის" წევრებთან, მიუხედავად მრავალჯერადი მცდელობისა, ინტერვიუს ჩაწერა ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, როგორც პირადი საუბრისას ალიანსის ერთ-ერთმა პოლიტიკურმა ლიდერმა განაცხადა, ხშირად მათ არასწორად აკერებენ პრორუსულობის იარლიყს, რადგან მათ რუსეთის მიმართ სიმპათია არ გააჩნიათ, თუმცა არც დასავლეთის "მორჩილება" სურთ. ამავე საუბრისას რესპონდენტმა ერთადერთ მნიშვნელოვან პრორუსულ ძალად ნინო ბურჯანაძის "დემოკრატიული მოძრაობა" დაასახელა.

აღსანიშნავია, რომ ალიანსის პოლიტიკური ბრძოლის მთავარი ინსტრუმენტია ტელეკომპანია "ობიექტივი", რომელიც ყველა საკაბელო და სატელეკომუნიკაციო კომპანიას აქვს ჩართული თავის პაკეტებში. ეს ტელევიზია უკიდურესი ნაციონალიზმით გამოირჩევა. ბოლო წლებში მედიამონიტირინგის კუთხით ჩატარებული კვლევებით, ის დადანაშაულებულია პრორუსულ პროპაგანდაში, ანტიდასავლურ მაუწყებლობასა და ჰომოფობიაში.[107]

აღსანიშნავია, რომ ამ არხზე საკუთარი საავტორო გადაცემა აქვს ღიად პრორუსულ ჟურნალისტს, ვალერი კვარაცხელიას. ამ საავტორო გადაცემის (ანალიტიკური პროგრამა "პოლიტიკური ღამე") ხშირი სტუმარი აპრორუსული განწყობის მქონე პოლიტიკური მიმომხილველი ჰამლეტ ჭიპაშვილი, ასევე, არჩილ ჭყოიძე, რომელიც "ერეკლე მეორის საზოგადოების" დამფუძნებელია და ერთმნიშვნელოვნად გამოირჩევა პრორუსული იდეების აგიტაციით.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე "პატრიოტთა ალიანსმა" პროპორციული სიებით ხმების 4,72% მოაგროვა;[108] ამავე დროს, 2015 წლის 31 ოქტომბერს ორ საარჩევნო ოლქში ჩატარდა პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატების შუალედური არჩევნები. მართალია, ოპოზიციური პარტიების დიდმა უმრავლესობამ, მათ შორის, "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" ამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა, მაგრამ "პატრიოტთა ალიანსის" მიერ ნაჩვენები შედეგი მაინც შთამბეჭდავია – ერთ რაიონში მისმა კანდიდატმა ხმების 27,45% მიიღო, მეორეში კი– 45,83%.[109]

ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და CRRC-ის მიერ 2015 წლის აგვისტოში ჩატარებული კვლევით,[110] გამოკითხულთა 5%-მა განაცხადა, რომ მხარს დაუჭერდა "პატრიოტთა ალიანსს" საპარლამენტო არჩევნებზე (მეორე არჩევანად 3%-მა დაასახელა). შედარებისთვის, ამავე გამოკითხვით, მმართველი კოალიციის მხარდაჭერის სურვილი 14%-მა გამოხატა (მეორე არჩევანი – 2%).

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის კვლევით,[111] "პატრიოტთა ალიანსის" მიმართ 2015 წელს დადებითი დამოკიდებულება გამოკითხულთა 13%-მა გამოხატა. შედარებისთვის, ამავე კვლევაში მმართველი კოალიციისადმი დადებითად განწყობილია გამოკითხულთა 18%, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიმართ კი – 19%.

ამ პოლიტიკური ჯგუფის გავლენის ზრდაზე მეტყველებს პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციაც, რომლის თანახმადაც, 2015 წელს"პატრიოტთა ალიანსმა" შთამბეჭდავი ფინანსური შემოწირულობები მიიღო და ამ მაჩვენებლით ჩამოუვარდება მხოლოდ მმართველ კოალიციას "ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო" (536 ათასი ლარი), "თავისუფალ დემოკრატებს" (280 ათასი ლარი)და "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" (260 ათასი ლარი). ალიანსისთვის გაღებულმა შემოწირულობებმა 2015 წელს 171 ათასი ლარი შეადგინა.[112]

5. ვითარება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში

პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა საველე კვლევებმა, რომელიც რუსული გავლენის მასშტაბსა და სფეროებს სწავლობდა, ნათლად წარმოაჩინა კრემლის პოლიტიკის როგორც პროპაგანდისტულ-იდეოლოგიური, ისე პრაქტიკული საქმიანობა, რომლის შედეგებიც ერთმნიშვნელოვნად საყურადღებოა.

კრემლის პროპაგანდისტული საქმიანობის კვლევისას საგულისხმო განსხვავებები იკვეთება ცენტრსა და რეგიონებში განხორციელებულ აქტივობებს შორის. დაკვირვება აჩვენებს, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში კრემლის პოლიტიკა აღნიშნული მიმართულებით სულ უფრო მეტად აქტიურდება და ძალზე კომპლექსურ მეთოდებს იყენებს იმისათვის, რათა გავლენა მოახდინოს ადამიანების ხედვასა და განწყობაზე.

ცენტრში რუსეთი აქცენტს სოციალურ და ტელემედიაზე, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და შოუბიზნესის წარმომადგენლებზე აკეთებს, მაშინ, როდესაც რეგიონებში პრიორიტეტებად ტელევიზიასთან ერთად იკვეთება ბეჭდვითი მედია, მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრები, სხვადასხვა სოციალური დახმარებები და ჰუმანიტარული ვაუჩერების დარიგება.

რეგიონებზე საუბრისას განსაკუთრებით აღსანიშნავია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული მხარეები: ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი, სადაც პროექტის ფარგლებში აქტიური საველე კვლევები წარიმართა. როგორც მოსახლეობასთან, ისე ადგილობრივ მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრებისას ნათლად გამოიკვეთა, რომ სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს აღნიშნული ჯგუფების ინფორმირებისა და მათი ინტეგრირების შესაძლებლობების გაზრდის თვალსაზრისით.

ქვემო ქართლში ეთნიკური უმცირესობების დომინანტურ ნაწილს ეთნიკური აზერბაიჯანლები შეადგენენ, ხოლო სამცხე-ჯავახეთში – ეთნიკური სომხები. მთავარი გამოწვევა, რაც მათ აქტიურ

სამოქალაქო ჩართულობასა და ინტეგრაციას ხელს უშლის, არის ქართული ენის არცოდნა ან არასათანადო ცოდნა, რაც ხშირ შემთხვევაში მათ არ აძლევს შესაძლებლობას, დასაქმდნენ საჯარო თუ მსხვილ კერძო სამსახურში ადგილობრივ დონეზე. მარნეულში მომუშავე დემოკრატიულ კავშირ "მტრედის" თავმჯდომარის, საბინა თალიბოვას განცხადებით, ქართული ენის სათანადოდ არცოდნის გამო საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც თბილისიდან მარნეულში დადიან სამუშაოდ, რაც ადგილობრივების დასაქმების შესაძლებლობას კიდევ უფრო ამცირებს.

მართალია, 2012 წლიდან დღემდე აქტიურად მიმდინარეობს პროგრამა "ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის", უნივერსიტეტ დამთავრებული სტუდენტები ჩადიან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში და ასწავლიან ქართულს, თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობის შეფასებით, ეს პროგრამა ნაკლებად ეფექტურია, რამდენადაც, ერთი მხრივ, ჩასულმა ახალგაზრდებმა ხშირ შემთხვევაში სათანადოდ არ იციან ადგილობრივ მოსახლეობასთან საკომუნიკაციო ენა, მეორე მხრივ, ისინი ნაკლებად მოტივირებულები არიან, პროაქტიულად ჩაატარონ გაკვეთილები. ყოველივე ამის გამო კი ხშირ შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სკოლადამთავრებული ახალგაზრდები სათანადო დონეზე არ ფლობენ ქართულ ენას.

დამატებითი გამოწვევაა ადგილზე მყოფი პედაგოგების კვალიფიკაცია და სწავლების მეთოდები. ახალქალაქის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელი აღნიშნავს: "ჩვენ ვასწავლით საბჭოთა წიგნებით, წიგნები იმდენჯერ შეცვალეს, რომ ჩენც ვერ ვიგებთ, როგორ ვასწავლოთ, ამიტომ ვასწავლით იმ წიგნებით, რომელიც რუსეთის ბაზების გაყვანის დროს დაგვიტოვეს რუსმა ჯარისკაცებმა, ახალი წიგნები კი გვილაგია ბიბლიოთეკაში".

არსებული ფაქტები, რაღა თქმა უნდა, ნეგატიურ გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობაზე, მიიღოს ხარისხიანი განათლება, ღირსეული სამსახური და იყოს კონკურენტუნარიანი საერთაშორისო დონეზე.

ეთნიკური უმცირესობები ერთმანეთთან და ეთნიკურ ქართველებთანაც კომუნიკაციისათვის რუსულ ენას იყენებენ, რომელიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირ შემთხვევაში ძირითად სასაუბრო ენას წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისინი ინფორმაციას მიმდინარე მოვლენებისა და პოლიტიკის შესახებ უმეტესად, მშობლიურ ენასთან ერთად, სწორედ რუსულენოვანი წყაროებიდან იღებენ, სადაც ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების დისკრედიტაციასთან ერთად, აქტიურად მიმდინარეობს საქართველოს მარგინალიზაციაც.

იმ ფონზე, როდესაც ყველაზე პოპულარული ქართული ტელეარხების რეიტინგი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში დაახლოებით 10%-ია, ვიღებთ სურათს, როცა საქართველოს მოქალაქეები საკუთარი ქვეყნისა და მისი სტრატეგიული პარტნიორების შესახებ ინფორმაციას არა ქართულენოვანი სატელევიზიო არხებიდან და ბეჭდვითი მედიიდან იღებენ, არამედ სომხური, აზერბაიჯანული და რუსული ტელევიზიებიდან.

წარმოდგენილ ქვეყნებს სრულიად განსხვავებული ხედვა და დღის წესრიგი აქვთ, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოს პრიორიტეტებისგან. არც ერთი აღნიშნული ქვეყანა არ მიისწრაფვის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ, ყოველივე ეს კი, ცხადია, ნეგატიურად აისახება საქართველოს უსაფრთხოებასა და სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე, რამდენადაც ჩვენი საზოგადოების ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი უმეტეს შემთხვევაში იღებს პროპაგანდისტულ, პოლიტიკურად მოტივირებულ ინფორმაციას საქართველოსა და მისი პარტნიორების შესახებ.

ადგილობრივ მოსახლეობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრებისას ნათლად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ სურვილი, შეისწავლონ როგორც ქართული, ისე ინგლისური ენები, თუმცა ამისათვის საჭირო სათანადო ფინანსური სახსრები არ გააჩნიათ. მართალია, რეგიონში მოქმედებს "საქართველოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის დაჩქარებული მეთოდით სწავლების საპილოტე პროგრამა", სამი თვის განმავლობაში დაახლოებით 40 ადამიანი ეუფლება ქართულ ენას, თუმცა აღნიშნული პროგრამით სწავლის მსურველთა რაოდენობა გაცილებით მეტია. ამასთანავე, კურსი სრულად ვერ პასუხობს იმ

მოთხოვნებს, სჭირდება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებს იმისათვის, რომ მათ შეძლონ, სრულყოფილად შეისწავლონ ქართული ენა.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, ეთნიკური უმცირესობების ჩართვა ევროპულ და ევროატლანტიკურ დისკურსში კიდევ უფრო ძნელდება. ნინოწმინდაში მცხოვრებ ლევონ ვართანეის თქმით, "ევროინტეგრაციამდე ჩვენ ჯერ ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში გვჭირდება, ამისთვის კი მთავრობა მინიმალურ ძალისხმევასაც არ იჩენს". იმავე პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას არასამთავრობო ორგანიზაცია "ჯავახეთის ჯანსაღი საზოგადოების" ხელმძღვანელი აღასინ ზალალიანი: "თუ ევროპას უნდა ჩვენი ინტეგრაცია, უნდა გვასწავლონ ენა, იცით, რამდენი ვიარე საელჩოებში? ვიყავი ამერიკის საელჩოში და სხვაგანაც, ვთხოვდი გაეკეთებინათ ინგლისურის კურსი ჩვენთვის, თუმცა უშედეგოდ".

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საგულისხმო გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის განწყობასა და შეხედულებებზე, არის დასაქმება, რისი შესაძლებლობაც ადგილობრივ დონეზე ძალზე შეზღუდულია. მოსახლეობის უმეტესობა კვლავ ჩართულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, თუმცა ძალზე შეზღუდული ფინანსური სახსრებიდან გამომდინარე, მათ არ აქვთ შესაძლებლობა, აწარმოონ დასავლური სტანდარტების შესაბამისი პროდუქცია, სწორედ ამიტომაც ადგილობრივ მოსახლეობას თვალი ისევ რუსეთის ბაზრისკენ უჭირავს, რამდენადაც იმედი აქვთ, რომ დამატებითი დანახარჯების გარეშე შეძლებენ საკუთარი არცთუ ხარისხიანი პროდუქციის სარფიანად გაყიდვას.

მოსახლეობის ერთ ნაწილს სურს, გააფართოოს საკუთარი წარმოება და აამაღლოს პროდუქციის ხარისხი, თუმცა მათ ამისთვის სათანადო პროფესიული უნარები და ფინანსური შესაძლებლობები არ გააჩნიათ. ახალქალაქში მცხოვრები ფერმერი მახარე მაცუკატოვი აღნიშნავს: "ჩვენ გვჭირდება ტრენინგები და შესაბამისი ტექნიკა, რომელიც მიწის ანალიზს ჩაატარებს და გვეცოდინება, როგორ და სად, რა პროდუქტი უნდა მოვიყვანოთ. ჩვენ არ გვყავს აგრონომები და არ ვიცით, როგორ უნდა დავწეროთ საპროექტო განაცხადები, რათა დაფინანსება მოვიპოვოთ. იმავე პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას ახალქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ჰამლეტ მოვსესიანი: "ადგილობრივმა დაინტერესებულმა ჯგუფებმა არ იციან, როგორ მოიზიდონ ფინანსები და დაწერონ პროექტი".

2012 წლიდან დღემდე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებიდან უმაღლეს სასწავლებლებში მხოლოდ 3-მა სტუდენტმა დაამთავრა აგრონომიული ფაკულტეტი, აღნიშნული რეგიონების საჭიროებების გათვალისწინებით, მთავრობა ან არ ახორციელებს დამატებით პროექტებს, ან რიგ შემთხვევებში განხორციელებული პროექტები სათანადოდ ვერ პასუხობს ადგილობრივების მოთხოვნებს.

რაც შეეხება არსებულ რეგიონებში ეკონომიკური აქტივობების წახალისებას, მთავრობის პროგრამის – "აწარმოე საქართველოში" – ფარგლებში არც ერთი საწარმო არ არის დაფინანსებული სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლის რეგიონში კი დაფინანსებულია მხოლოდ ერთი პროექტი, "სახორცე ქათმის წარმოება". ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ხელისუფლების პოლიტიკა განათლების, რეგიონში ინვესტიციების განხორციელებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების თვალსაზრისით მეტად სუსტია.

საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, ეთნიკური უმცირესობების მიგრაცია არა დედაქალაქის მიმართულებით, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, უმეტეს შემთხვევაში კი რუსეთში ხდება, რამდენადაც მათ იქ აქვთ კონტაქტები, იციან ენა და, მიუხედავად დაბალი კვალიფიკაციისა, მაინც ახერხებენ დასაქმებას. ახალქალაქის მცხოვრები გრიგორ ბროიანი აღნიშნავს: "როდესაც ახალქალაქში რუსეთის ბაზა იყო, ჩვენ მათ პროდუქციას ვაწვდიდით და შემოსავალი გვქონდა, რუსული ბაზის გასვლის შემდეგ კი ვეღარ ვახერხებთ პროდუქციის გაყიდვას, ამიტომაც ბევრი რუსეთში წავიდა, ჩვენ იქ ნაცნობები და ნათესავები გვყავს, ზოგი დიდი ხანია რუსეთშია, ზოგიც სეზონურად მუშაობს და ზაფხულში ჩამოდიან".

აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობების დიდი ნაწილი მხარს საქართველოს ნეიტრალიტეტს უჭერს, მთავარ მიზეზად კი მათ სწორედ ეკონომიკური არგუმენტები მოჰყავთ. მოსახლეობას აქვს შიში, რომ საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციას რუსეთის აგრესიული ნაბიჯები მოჰყვება, რაც, სამხედრო დაპირისპირების გარდა, შესაძლოა, გამოიხატოს ეკონომიკური სანქციებით, ასევე, მათ ახლობლებსა და ნათესავებს მოუწიოთ რუსეთში სამსახურის დატოვება და საქართველოში დაბრუნება.

ადგილობრივი მოსახლეობა არსებული პრობლემების მოგვარებასა და რისკების შემცირებას ცენტრალური ხელისუფლებისგან ელოდება, თუმცა რამდენადაც მათი მოლოდინი არ მართლდება, მოსახლეობა განსაკუთრებულ უკმაყოფილებას სწორედ ცენტრალური ხელისუფლების მიმართ გამოხატავს.

ფოკუსჯგუფებსა და მოსახლეობასთან ჩატარებული შეხვედრებისას გამოიკვეთა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია ევროკავშირსა თუ ნატო-სთან მიმდინარე ინტეგრაციაზე და იმ სავაჭრო, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ შესაძლებლობებზე, რასაც ევროატლანტიკურ სივრცესთან დაახლოება სთავაზობს საქართველოს მოქალაქეებს. ადგილობრივ მედიაში, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არ ხდება დისკუსიებისა და სპეციალური გადაცემების მომზადება, რომელიც ქვეყნის ეგზისტენციალური არჩევანის, ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობაზე, სარგებელსა და შედეგების ახსნაზე იქნება ორიენტირებული. აღსანიშნავია, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებიდან ადგილობრივი მოსახლეობა არ მონაწილეობს ცენტრალურ არხებზე მიმდინარე პოლიტიკურ თოქ-შოუებსა და გადაცემებში, რაც მათ თანამონაწილეობასა და ინფორმირებას ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე მიმდინარე დისკუსიებში ამცირებს.

ადგილობრივი მედიის შემოსავლები მიზერულია და ზოგჯერ მოხალისეობრივ საწყისებსაც კი ეფუძნება, რის გამოც კვალიფიციური კადრების მოზიდვა, ცხადია, მნიშვნელოვანი გამოწვევაა. არსებულიმოცემულობიდანგამომდინარე,მათთვისძალზერთულიასაერთაშორისოთუადგილობრივი ფონდებიდან დაფინანსების მოძიება. კვლევისას გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ისინი მხოლოდ ხუთი ათას ლარს იღებენ, ისიც იმ მიზნით, რომ ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობა გააშუქონ. სხვა სარეკლამო შემოსავლები წლის განმავლობაში დაახლოებით ორმოცდაათ ათას ლარს არ სცდება, რაც ტელევიზიას არ აძლევს შესაძლებლობას, შესთავაზოს მომხმარებელს მაღალხარისხიანი, მრავალფეროვანი პროდუქტი, რომელიც კონკურენციას გაუწევს უცხო ქვეყნის ტელევიზიებს.

აღსანიშნავია, რომ მარნეულსა და ახალქალაქშიც ადგილობრივი ტელევიზიის საეთერო ბადეში დღის განმავლობაში გადის ტელეკომპანია "ობიექტივი" და რუსული REN TV. "ობიექტივის" სარედაქციო პოლიტიკა ერთმნიშვნელოვნად გაჯერებულია ანტიდასავლური და ანტიამერიკული რიტორიკით, ამასთანავე, მუდმივად გამოხატავს სიმპათიას რუსეთის მიმართ. რაც შეეხება ტელეკომპანია REN TV-ის, ის კრემლის ხელში ერთ-ერთი აქტიური პოლიტიკური იარაღია, რომლის მფლობელებიც პუტინთან დაახლოებული პირები არიან.

ზემოთ აღნიშნული მაგალითები კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ კრემლი აქტიურად ცდილობს, მართოს საინფორმაციო ნაკადები და შეიქმნას დომინანტური პოზიციები, რაც საშუალებას მისცემს მას, თავს მოახვიოს საზოგადოებას საკუთარი იმპერიალისტური ზრახვები.

არსებული რეალობის შეფასებით ვიღებთ სურათს, სადაც რუსულ პროპაგანდას საკმაოდ ნაყოფიერი ნიადაგი ხვდება გავრცელებისათვის. რუსეთი აქტიურად იყენებს როგორც სატელევიზიო, ისე ბეჭდვით მედიას, რომელიც ხშირად სრულიად უფასოდ ვრცელდება მთელ საქართველოში და ეწევა კრემლის ნარატივების აგიტაციას.

წარმოგიდგენთ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ყველაზე გავრცელებულ სტერეოტიპებს, რომლებიც რუსული პროპაგანდის ნათელ მაგალითს წარმოადგენს:

- ბალტიის ქვეყნები ევროკავშირში შესვლის შემდეგ ეკონომიკურად დასუსტდნენ და გაღარიბდნენ;
- ევროკავშირმა შექმნა საბერძნეთის ეკონომიკური კრიზისი;
- ნატო არის სამხედრო აგრესიული ორგანიზაცია;
- ევროპულ ბაზარზე საქართველოს მხოლოდ ბანანის გატანის შესაძლებლობა აქვს;
- ნატო-ში შესვლის შემდეგ საქართველო საბრძოლო ველად გადაიქცევა;
- 2008 წლის ომში ევროკავშირი და ნატო საქართველოს არ დაეხმარნენ.

მიუხედავად არსებული შეხედულებებისა, მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას და სურთ, რომ მათმა შვილებმა დასავლური განათლება მიიღონ, რამდენადაც ხედავენ ევროპის ქვეყნების მოსახლეობის კეთილდღეობასა და დოვლათს.

იმისათვის, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პრორუსული განწყობა არ ჩამოყალიბდეს მტკიცე, დომინანტურ ნარატივად, აუცილებელია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კომპლექსური, პროაქტიული ჩართულობა, რათა, ერთი მხრივ, მიაწოდოს საკუთარ მოსახლეობას ობიექტური, მიუკერძოებელი ინფორმაცია, ხოლო, მეორე მხრივ, წაახალისოს რეგიონების ეკონომიკური განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობისათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნას.

6. ანტიდასავლური ნარატივები და პოლიტიკური მითები

ზემოთ განვიხილეთ რუსული პროპაგანდის ინსტრუმენტები პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის სახით. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა აჩვენებს რუსული პროპაგანდის გააქტიურებას ყველა ზემოხსენებული მიმართულებით, აშკარაა დემოკრატიული, პროდასავლური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიაგამოცემების დიდი უპირატესობა როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად. ამასთანავე, დასავლეთის დონორების მიერ გაწეული ძალისხმევა და ფინანსური წვლილი საქართველოს დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერის მხრივ განუზომლად აღემატება რუსეთის მიერ დახარჯულ ფულს. მიუხედავად ამისა, აშკარაა ტენდენცია, რომ მოსახლეობაში მატულობს ანტიდასავლური განწყობა, პოლიტიკური ძალები კი ბოლო წლებში აშკარად თუ ფარულად პერმანენტულად ძლიერდებიან და არსებული ტენდენციის შენარჩუნების პირობებში მომავალ პარლამენტშიც[113] იქნებიან წარმოდგენილნი. მეტიც, გამომდინარე ძალთა არსებული გადანაწილებიდან, არსებობს იმისი შესაძლებლობა, რომ მათ კოალიციური მთავრობის ფორმირებაზეც მოახდინონ გავლენა.

საქართველოში რუსული პროპაგანდის ნარატივები ძირითადად წარმოდგენილია სამი დომინანტური ნარატივით, რომელიც მუდმივად ისმის პრორუსული საინფორმაციო საშუალებების მხრიდან:

- **სარწმუნოება, როგორც ერთიანობის საფუძველი;**
- **ნაციონალური იდენტობა – ისტორიული წარსულისა და ზიარი ღირებულებების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი დისკურსები;**
- **კულტურული სიახლოვე – ერთიანი კულტურული პროცესების გამოცდილება.**

თითოეულ ამ ნარატივს თავისი "მედიუმი" ჰყავს (შესაბამისად – სასულიერო პირების ნაწილი, ანტიდასავლური პოლიტიკური ძალები და საბჭოთა ინტელიგენციის ნაწილი), თუმცა საზოგადოებრივი დისკურსის აქტორები, ჩვეულებრივ, სამივე მათგანით თანაბრად ოპერირებენ.

ამ ნარატივების საფუძველზე იქმნება და კულტივირდება პოლიტიკური მითების[114] მთელი პლასტი, რომელთა მიზანია, ერთი მხრივ, რუსეთის (ან მისი ხელმძღვანელის) მესიანური როლის დამკვიდრება და, მეორე მხრივ, დასავლეთის პოლიტიკური სისტემისა და ღირებულებების დაკნინება.

ამ კვლევის ფორმატი არ იძლევა საშუალებას და არც მისი დანიშნულება მოითხოვს რუსეთის ფედერაციის იდეოლოგიური მანქანის მიერ კულტივირებული პოლიტიკური მითოლოგიის მთელი არსენალის დეტალურ ანალიზს. ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ იმ ეპიზოდებზე, რაც ყველაზე აქტიურად გამოიყენება პრორუსული პროპაგანდისტული მანქანის მიერ და ყველაზე მეტად არის კულტივირებული ღიად ან ფარულად პრორუსული/ანტიდასავლური ძალების მიერ საქართველოში.

მითების კულტივირებისა და ნაწილობრივ მათი წარმატების მიზეზი ის არის, რომ ისინი ხშირ შემთხვევაში იდეალურ თავსებადობაშია მოსახლეობის დიდ ნაწილში გავრცელებულ ფობიებთან და საბჭოთა პროპაგანდის მიერ დამკვიდრებულ კომპლექსებთან.

მითი 1: დასავლეთი ებრძვის ქართულ მართლმადიდებლურ რწმენას და ტრადიციებს.

ეს მითი არის ანტიდასავლური ძალების მიერ წარმოებული პროპაგანდის მთავარი არგუმენტი, რომელსაც ერთნაირი ინტენსივობითა და წარმატებით მიმართავენ როგორც პოლიტიკოსები, ისე სასულიერო პირები და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები და რომელთაც აქტიურ პროპაგანდას უწევს ანტიდასავლური/პრორუსული მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ თემაზე არსებული დისკურსი ხშირად ჰომოფობიითა და სიძულვილის ენით არის გაჟღენთილი. ის ხშირად მიმართულია ისეთი სოციალური და ეროვნული უმცირესობების მიმართ, როგორებიცაა ლგბტ თემი, მუსულმანები, თურქები, ებრაელები, სომხები და ა.შ.

> *"2012 წლის ზაფხული წარმოგვიდგა, როგორც XXI საუკუნის მართლმადიდებლობის წინააღმდეგ უპრეცედენტო გლობალური ინფორმაციული ომის დასაწყისი. უწინ ჩვენს სარწმუნოებას ცივი იარაღით თავს ესხმოდნენ მაგისტრები და მეფენი, დღეს დასავლეთის უდიდესი მედიამანქანა ამხედრდა მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ."*
>
> ***გაზეთი "საქართველო და მსოფლიო"***[115]

> *"ის, ვინც თავისი აზროვნებით მართლმადიდებელი არ არის, ჩვენ მისგან მაგალითს ვერ ავიღებთ; სულიერად მკვდარ ადამიანებს ვერ მივემსგავსებით... ხშირად "გვიქადაგებენ" დასავლური ცხოვრების იმ მხარეს, სადაც გაუფასურებულია ადამიანური ღირებულებები; იქ თითოეული ადამიანი მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს. მათთვის სამშობლოს ცნება არ არსებობს; მათი გონება მატერიალური კეთილდღეობისკენაა მიმართული. სული კი მკვდარია."*
>
> ***იობი, ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი***[116]

> *"სახელმწიფო, ჩემთვის ეს არის ჩვენი ეროვნული იდენტობა, ჩემი პიროვნული თავისუფლებები, მე მორწმუნე ადამიანი ვარ, მამაჩემი მაგიტომ იყო გადასახლებული, რომ იბრძოდა რელიგიური უფლებებისათვის. მე მინდა, რომ ახალგაზრდობა იზრდებოდეს შესაბამისი სულისკვეთებით, ეს იყოს დაცული პირველ რიგში. დაცული იყოს სოფლის მეურნეობა, კულტურა. მე ვხედავ, რომ ამას რუსეთი ხელს არ უშლის, პირიქით, რუსთთან თანამშრომლობის მეშვეობით ეს იქნება უკეთ დაცული, ვიდრე დასავლეთთან ურთიერთობით. დასავლეთი თავს გვახვევს ჩვენთვის უცხო და მიუღებელ კანონებს."*
>
> ***გულბაათ რცხილაძე***[117]

სამწუხაროდ, ამ მითის კულტივირებაში აქტიურობენ საქართველოს ეკლესიის კონსერვატიული ფრთის წარმომადგენლები. ძნელია იმის თქმა, საერთოდ, კლერიკალების რა ნაწილს შეადგენენ ისინი, არიან უმრავლესობაში თუ უმცირესობაში, თუმცა საგულისხმოა, რომ ბევრი მაღალი რანგის სასულიერო პირი ქადაგებებში თანმიმდევრულად ავითარებს თეზისს რუსეთთან ერთობისა და დასავლეთთან მსოფლმხედველური და მორალური შეუთავსებლობის შესახებ.

> *"ვინც თავისი აზროვნებით მართლმადიდებელი არ არის, ჩვენ მისგან მაგალითს ვერ ავიღებთ; სულიერად მკვდარ ადამიანებს ვერ მივემსგავსებით... ხშირად "გვიქადაგებენ" დასავლური ცხოვრების იმ მხარეს, სადაც გაუფასურებულია ადამიანური ღირებულებები; იქ თითოეული ადამიანი მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს. მათთვის სამშობლოს მცნება არ არსებობს; მათი გონება მატერიალური კეთილდღეობისკენაა მიმართული. სული კი მკვდარია."*
>
> ***იობი, ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი***[118]

ესფაქტორიგანსაკუთრებითსაყურადღებოაიმგარემოებისგათვალისწინებით,რომსაქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუციებისადმი ნდობის ბოლო დროინდელ კვლევებში მტკიცედ იკავებს პირველ ადგილს. ამასთანავე 2015 წლის ნოემბერ-დეკემბერში NDI-ის მიერ ჩატარებულ კვლევებში მოსახლეობის 43% აღნიშნავს, რომ ხმის მიცემისას გაითვალისწინებს საეკლესიო პირის შეხედულებებს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, საქართველოს ეკლესიის მმართველი ორგანოს, საპატრიარქოს, საერთო პოზიცია ქვეყნის ევროპულ არჩევანს მხარს უჭერს. 20 დეკემბერს, ევროკომისიის მიერ ვიზალიბერალიზაციაზე გამოქვეყნებული პოზიტიური ანგარიშის შემდეგ, საქართველოს ეკლესიის მეთაურმა, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ თავის რეზიდენციაში საქართველოში ევროკავშირის ელჩსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს უმასპინძლა და ღიად დაუჭირა მხარი ამ გადაწყვეტილებას[119]. მანამდეც მან არაერთ საჯარო გამოსვლაში დაუჭირა მხარი საქართველოს პროდასავლურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს.[120]

მითი 2: რუსეთი არის საქართველოს ეკონომიკური განვითარების და მოსახლეობის კეთილდღეობის გასაღები.

ამ მითის პროპაგანდისტები ცდილობენ, დაარწმუნონ მოსახლეობა, რომ ევროკავშირი საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განადგურებას და ქვეყნის საკუთარი პროდუქციის გასაღების ბაზრად გადაქცევას ცდილობს.

> *"(საქართველოს, უკრაინას, მოლდოვას) არაფერი აქვს ისეთი, რომელიც ევროკავშირის ბაზარზე გასაღდება – ჭარბი პროდუქციით გაჯერებულსა და კონკურენციით გათანგულზე. ტყუილი იყო ევროკომისიის ყოფილი თავმჯდომარის, ბაროზუს შეგონება „აღმოსავლეთის პარტნიორობის" ქვეყნების მისამართით გამოთქმული – ნახევარმილიარდიანი ბაზრის კარის გახსნის თაობაზე. ბაზარი კი ღიაა, მაგრამ აქვს კი ამ სამ ქვეყანას ისეთი რამ, რაც გაიყიდება ევროპაში?! უკრაინის მაგალითიდან გამომდინარე, ევროკავშირის ბაზრის მხოლოდ დეკლარირებული გახსნა და, ამასთანავე, რუსეთის ბაზრის დაკარგვა, მილიონობით დოლარის ზარალის ტოლფასია. უკრაინულ საქონელს არავინ ელოდება ევროპაში. რაც შეეხება ევროპულ საქონელს, ჩაწოლილს და ვადაგასულს, წინ არაფერი დაუდგება, უკრაინაში, საქართველოში, მოლდოვაში გასაღდეს, რაც, თავისთავად, გამოიწვევს აღნიშნული ქვეყნების სამამულო წარმოების პროდუქციაზე საშინაო კონკურენციას."*
>
> ***ჰამლეტ ჭიპაშვილი***[121]

მითი 3: დასავლეთი მხარს უჭერს კონკრეტულ ძალებს და არა საქართველოს სახელმწიფოს.

ეს უაღრესად სახიფათო მითია, რომელსაც, სამწუხაროდ, ადეპტების მნიშვნელოვანი ბაზა ჰყავს. მისი პროპაგანდისტები იღებენ ცალკეული ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსების, პოლიტიკური ჯგუფებისა და ექსპერტების ცალკეულ განცხადებებს, ხშირად შესაბამისი კონტექსტის გარეშე და მათ მთელი დასავლეთის ან დასავლეთის სახელმწიფოების ოფიციალურ პოზიციად ასაღებენ. ხშირად დასავლელი პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული განცხადებები საქართველოში პოლიტიკური გამოცდილების ან შესაბამისი ცოდნის არქონის პირობებში ყოფილი მთავრობის მხარდაჭერის გამოვლინებად საღდება. ეს მითი განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი ლიდერების დაჭერას დასავლეთის მხრიდან კრიტიკა მოჰყვა.

> *,,დააკვირდით, რა ხდება – ევროპელები და ამერიკელები ლაპარაკობენ, რომ საქართველოში წინა ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ პოლიტიკურ დევნას აქვს ადგილი, ხოლო დღევანდელ უკრაინაში სკოლის დირექტორებს, მასწავლებლებსა და ექიმებს პირდაპირ სანაგვე ურნებში რომ აგდებენ იმის გამო, რომ მათი შეხედულებები უკრაინის დღევანდელი ხელისუფლების შეხედულებებს არ ემთხვევა, ამაზე ევროპელები და ამერიკელები ჩუმად არიან. რატომ?! იმიტომ, რომ,"ნაცმოძრაობის" ლიდერები დასავლეთის გარკვეულ წრეებს დავალებებს კარგად უსრულებენ."*
>
> ***ნინო ბურჯანაძე,*** გაზეთი "ასავალ-დასავალი"[122]

> *"რას ერჩით ჩემს პატარა ქვეყანას? რა სიმდიდრე აღმოაჩინეთ ჩვენს მიწაზე – ნავთობი თუ ოქრო, ასე რომ ზრუნავთ ქართველებზე?.. რატომ იცავთ იმ ავაზაკთა ბანდას, საქართველო რომ გაანადგურა, მოსპო დემოკრატია, გახრწნა და ფულებით გაბერა ვიღაც-ვიღაცა ჩინოვნიკები; რატომ ურეკავთ, არიგებთ და ასე საეჭვოდ ეხმარებით ავადმყოფს, ვისაც ნამდვილი ამერიკელი ხელსაც არ ჩამოართმევდა (მით უმეტეს, რომ CIA-მ ყველაფერი იცის?). იქნებ ამიხსნათ, რა ბოროტება დაატყდა ჩვენს პატარა ერს, რომ ხალხის სურვილს არ ითვალისწინებთ და გვიკრძალავთ საკუთარ აზრს და გვკარნახობთ, თუ როგორ მოვიქცეთ?"*
>
> ***რობერტ სტურუა***[123]

მითი 4: რუსეთი არის ისტორიული მტრისგან, ისლამური სამყაროსგან დაცვის ერთადერთი საშუალება. ამ მითმა 24 ნოემბერს (2015 წ.) თურქეთის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების შემდეგ დიდწილად თურქოფობიის ფორმა შეიძინა.

> *"არის კიდევ თურქეთი, რომელიც ასევე ოცნებობს თურქული იმპერიის, ოსმალეთის იმპერიის აღდგენაზე და ეს არაერთხელ უთქვამთ. რეალურად თურქეთი დღეს თავად არის ხალიფატის მხარდამჭერი. თურქეთი ხალიფატსაც უჭერს მხარს, მეორე მხრივ, სირიულ ე.წ სხვა ოპოზიციასაც უჭერს მხარს, ცდილობს, რომ იქ თავისი თამაში აწარმოოს."*
>
> **დავით თარხან-მოურავი**[124]

მითი 5: რუსეთის უძლეველობის/რუსეთის მმართველის უძლეველობის მითი.

ამ მითის თანახმად, სამყარო ორპოლუსიანია, რომელსაც ორი ზესახელმწიფო – ამერიკა და რუსეთი მართავს. ამ მითის ერთ-ერთი ვარიანტია პუტინის, როგორც სუპერლიდერის, მითი, რომელმაც დაამყარა წესრიგი თავის ქვეყანაში და ახლა მსოფლიო წესრიგისთვის იბრძვის. ამ მითის თანახმად, დასავლეთს სუსტი, უნიათო ლიდერები მართავენ, რომლებსაც არ შეუძლიათ

თანამედროვე მსოფლიოს წინაშე არსებულ პრობლემებთან გამკლავება, მათ შორის კი რუსეთის ლიდერი მოხერხებით, სიმტკიცითა და პრინციპულობით გამოირჩევა.[125]

> *"დიდ შვიდეულში" დაავიწყდათ, ვინ გაიმარჯვა მეორე მსოფლიო ომში? მას შემდეგ რუსეთი, საბჭოთა კავშირის მემკვიდრე, ათჯერ უფრო გაძლიერდა. ნუ იზამენ ისე, რომ მან დაიწყოს ახალი ომი. ღმერთმა ნუ ქნას, თორემ მსოფლიოს სამი მეოთხედი განადგურდება. არ შეიძლება რუსეთის გაღიზიანება. ჩვენ კი რუსეთთან უნდა გვქონდეს მეზობლური, მეგობრული ურთიერთობა."*
>
> ***გურამ საღარაძე,*** "საქართველო და მსოფლიო"[126]

მითი 6: დასავლეთი საქართველოს არასდროს მიიღებს ნატო-სა და ევროკავშირში.

ამ მითის გაძლიერებას განსაკუთრებით ის გარემოება უწყობს ხელს, რომ საქართველოს ხელისუფლება, როგორც წინა, ისე ამჟამინდელი, საზოგადოებას ნატო-სა თუ ევროკავშირის ლამის ყოველი მაღალი რანგის შეხვედრის წინ არარეალურ იმედს უღვივებს ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით, რასაც შესაშური ოსტატობით იყენებენ პრორუსული ძალები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთაც.

თეორიულ დონეზე ეს მითი ეფუძნება რუსი პოლიტოლოგის, ევრაზიულობის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგის, ალექსანდრ დუგინის იდეას "დასავლეთის ფუნდამენტური რასიზმის" შესახებ.[127]

> *„ჩვენ ვერც ნატო-ში გაწევრიანებაზე მივიღეთ გარანტია, ვერც მაპი... ეს ხდება იმ ფონზე, როცა დღეს ბატონმა სტოლტენბერგმა, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონი შტაინმაიერის გუშინდელი განცხადების შემდეგ, ნატო-ს სახელითაც დაადასტურა, რომ რუსეთში ნატო-ს საბჭოს მუშაობა აღდგება და ალიანსი ამისათვის მზად არის. თუ ამ ყველაფრისგან კიდევ ვერ გამოგვაქვს დასკვნები, მაშინ რაც დაგვემართება, საკუთარ თავს დავაბრალოთ. ხელისუფლებას რომ არ უნდა დასკვნების გამოტანა, ეს ფაქტია, მათთვის მთავარია საკუთარი კარიერის გახანგრძლივება და არა ქვეყანაზე ზრუნვა."*
>
> ***ნინო ბურჯანაძე***, "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერი[128]

მითი7. ევროპა და ამერიკა საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას ითხოვენ.

ეს, ერთი შეხედვით, ყოველგვარ საღ აზრს მოკლებული მითი საქართველოს რელიგიურ და ნაციონალისტურ რადიკალურ წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ მითის პროპაგანდისტებს ხშირად მოჰყავთ რუსეთის "მისაბაძი" მაგალითი, რომელმაც 2013 წლის ივნისში ერთხმად მიიღო ფედერალური კანონი "ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის შესახებ", რომელსაც პრეზიდენტმა პუტინმა ორიოდე კვირაში ხელი მოაწერა. ამ დისკრიმინაციულმა კანონმა, რომელიც მკაცრად დაგმეს ადამიანის უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა მთელ მსოფლიოში, კიდევ უფრო განამტკიცა პუტინის ავტორიტეტი ქართველ რადიკალებში. განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ საქართველოს პარლამენტმა, სამღვდელოებისა და ნაციონალისტების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, 2014 წლის მაისში მიიღო კანონი "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ."

ამ სიტუაციამ იმდენად დრამატული ფორმა მიიღო, რომ ევროკომისარმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში, სტეფან ფულემ, საჭიროდ ჩათვალა, ამ თემაზე სპეციალური განმარტებაც გაეკეთებინა და საჯაროდ განეცხადებინა, რომ ევროკავშირი საქართველოსგან ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას არ ითხოვს.[129]

დასკვნა

რუსეთი კომპლექსური მეთოდებით ცდილობს, გავლენა მოახდინოს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ გარემოზე და შეცვალოს ქვეყნის განვითარების დასავლური ვექტორი. რუსეთი აქტიურად იყენებს პირდაპირი და ირიბი გავლენის მეთოდებს როგორც პოლიტიკურ აქტორებზე ზემოქმედებისას, ისე მედიასა და არასამთავრობო ორგანიზიებთან მიმართებაში. ამ მეთოდებში იგულისხმება როგორც საკუთარი მომხრეების მხარდაჭერა ფინანსური და სხვა საშუალებებით, ისე დასავლური პოლიტიკური კურსის დისკრედიტაცია და მითების კულტივაცია.

მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე დაკვირვებით ცხადი ხდება, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი იმედგაცრუებულია მმართველი კოალიციის საქმიანობით, ასევე სკეპტიკურადაა განწყობილი მთავარი ოპოზიციური პარტიის მიმართ. არსებულ პოლიტიკურ გარემოში, შესაძლოა, წარმოიქმნენ ახალი პოლიტიკური ძალები, რომელთა მთავარი სამიზნეც სწორედ საზოგადოების ის დომინანტური ჯგუფი იქნება, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაუკეთებია არჩევანი არც ერთი პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ.

შენელებული ეკონომიკური ზრდისა და რთული სოციალურ-ეკონომიკური გარემოდან გამომდინარე, კიდევ უფრო იზრდება იმისი ალბათობა, რომ ბევრ ამომრჩეველზე გავლენა მოახდინოს რადიკალურმა ნაციონალისტურმა რიტორიკამ, რაზე აქცენტსაც საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში ყველაზე აქტიურად სწორედ პრორუსული პოლიტიკური პარტიები აკეთებენ.

წინასაარჩევნოდ არსებულ მდგომარეობას მნიშვნელოვნად ართულებს საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში არსებული პოლარიზაცია. დაპირისპირებული "მეინსტრიმული" პოლიტიკური ძალები აქტიურად ცდილობენ ერთმანეთის დემონიზაციას. ეს კი პოტენციური ამომრჩევლის ფრუსტრაციის ხარისხს კიდევ უფრო ზრდის.

ასეთი საარჩევნო გარემო საქართველოს ანტიდასავლური და პრორუსული პოლიტიკური ძალებისთვის მომგებიანია, ზუსტად ისევე, როგორც არსებული სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების ფონზე დასავლეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობის ნაწილის ფრუსტრირებამ ამ ქვეყნებში ბიძგი მისცა ულტრამემარჯვენე და ულტრამემარცხენე ევროსკეპტიკური პოლიტიკური ჯგუფების გაძლიერებას.

კვლევის შედეგად პრორუსულ არასამთავრობოებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მათი ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია გაუმჭვირვალეა, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს მათი შემოსავლების წარმომავლობის შესახებ. აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, შესაძლოა, გამოიყოს ორი მთავარი ჯგუფი: ერთი, რომელიც რიტორიკისა და პროპაგანდის მეშვეობით ცდილობს საზოგადოების განწყობზე ზემოქმედებას, ხოლო მეორე ჯგუფი ქმნის გარკვეულ პლაცდარმს უფრო აგრესიული ქმედებებისათვის, რამაც შესაძლოა, ქვეყნის უსაფრთხოება მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენოს. ამ სქემით რუსეთი საქართველოში და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც ცდილობს, საკუთარი აგრესიული ქმედებების შემთხვევაში შეიქმნას გარკვეული დასაყრდენი, რაც მას მანიპულირებისა და საკუთარი აგრესიული ქმედებების გამართლების შესაძლებლობას მისცემს.

სხვადასხვა ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან შეხვედრებისას გამოიკვეთა და რამდენიმე მაგალითით დადასტურდა, რომ საქართველოში რუსული ფულის შემოდინებასთან გარკვეულწილად დაკავშირებულია საქართველოში შვეიცარიის საელჩოში არსებული რუსეთის ინტერესების სექცია. მოახლოებული არჩევნებისა და პოლიტიკურ სპექტრში არსებული პოლარიზაციის ფონზე კიდევ უფრო იზრდება პოლიტიკაში რუსეთიდან შემოსული ფულის გამოყენების რისკი.

ძალზე საგულისხმოა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებული პოლიტიკური ვითარება. პროექტის ფარგლებში ჩატარებული საველე კვლევები ნათლად წარმოაჩენს, რომ ადგილობრივ მოსახლეობაზე განსაკუთრებით მაღალია რუსული პროპაგანდის გავლენა, რამდენადაც მოსახლეობა უმეტესად ინფორმაციას იღებს არა ქართული არამედ რუსული და სხვა მეზობელი სახელმწიფოების ენაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ მათ ნაკლებად აქვთ ინფორმაცია ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის სიკეთეებსა და იმ შესაძლებლობებზე, რასაც დასავლეთი სთავაზობს საქართველოს.

ამ ფონზე კიდევ უფრო ცხადია, რომ საქართველოს ნებისმიერი წარუმატებლობა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით ხელს უწყობს პრორუსულ პროპაგანდას და, ამასთანავე, ზრდის შესაძლებლობებს ევროინტეგრაციის პროცესში არსებული სტერეოტიპებისა და პოპულისტური იდეების გავრცელებისათვის.

არსებული რედაქციით საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ არის ლიბერალური, რაც რუსულ მედია საშუალებებს შესაძლებლობას აძლევს, შეუზღუდავად განახორციელონ მაუწყებლობის ტრანზიტი. მიუხედავად იმისა, რომ რუსულ არხებს გარკვეული პრობლემები შეექმნათ საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისას, ისინი აქტიურად ცდილობენ, დაძლიონ წარმოქმნილი წინააღმდეგობები, რაც არსებული რეგულაციებიდან გამომდინარე, მათთვის რთული მისაღწევი არ იქნება.

არსებულ გამოწვევებზე ეფექტური რეაგირებისათვის მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, რუსეთთან დაკავშირებით სისტემური, სტრატეგიული მიდგომის შემუშავება, როდესაც მაღალ დონეზე, მუდმივად მოხდება რისკების შეფასება და ანალიზი, ხოლო, მეორე მხრივ, დასავლურ კურსზე ორიენტირებული პოლიტიკის გააქტიურება და ამ მიმართულებით საზოგადოების პროაქტიული ინფორმირება.

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო დონორების მხრიდან მოხდეს მედიის სტიმულირება კონსტრუქციული საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით, რაც გულისხმობს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების ირგვლივ დისკუსიებს.

- მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს პარტიების დაფინანსების ეფექტური აუდიტი და მონიტორინგი, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს არაფორმალური არხებით დაფინანსების მიღების შესაძლებლობა.

- მნიშვნელოვანია, შემუშავდეს როგორც ცენტრალური, ისე რეგიონული მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადი განვითარებისათვის სტრუქტურული დახმარების საგრანტო პროგრამები, სადაც ჩართულნი იქნებიან საერთაშორისო ორგანიზაციები.

- საზოგადოებრივი მაუწყებლის ბაზაზე უნდა შეიქმნას რუსულენოვანი არხი, რომელიც როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, რუსულ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობას მიაწვდის საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ობიექტურ და მიუკერძოებელ ინფორმაციას.

- ხელი შეეწყოს წამყვანი დასავლური მედიასაშუალებების (მაგალითად, CNN, BBC) საინფორმაციო და პოლიტიკური გამოშვებების ქართულენოვანი (ხოლო ეთნიკური უმცირესობებისთვის, შესაბამისად, ადაპტირებული) ვერსიების შექმნას, რათა საქართველოს მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახდეს მაღალი სტანდარტის დასავლური მედიის მიერ გაშუქებული საერთაშორისო მოვლენები.

- საკაბელო მაუწყებლობებში უნდა გავრცელდეს ციფრულ მაუწყებლობაში არსებული რეგულაცია, რომელიც უკავშირდება სხვა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული არხების მაუწყებლობას და კრძალავს სხვა ქვეყნის სახელმწიფოსა და მასთან დაკავშირებული კერძო თუ იურიდიული პირების მიერ დაფუძნებული სატელევიზიო არხების მაუწყებლობის განხორციელებას ქვეყნებს შორის შეთანხმების გარეშე.[130]

- ძალზე მნიშვნელოვანია, წინასაარჩევნოდ არ მოხდეს რადიკალური დაპირისპირება და საზოგადოების პოლარიზაცია პოლიტიკური პარტიების მხრიდან, სასურველია, წინასაარჩევნო პროცესი წარიმართოს კონსტრუქციული ოპონირების პირობებში

- უნდა გაიზარდოს ფინანსური გამჭვირვალობის სტანდარტი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საერთაშორისო დონორებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ მათ გამოაქვეყნონ ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის ბიუჯეტისა და განხორციელებული პროექტების შესახებ.

- მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს საკაბელო კომპანიების რეგიონებში შესვლას, რათა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღონ დივერსიფიცირებული ინფორმაცია.

- უნდა გაიზარდოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა და ჩართულობა სამოქალაქო-პოლიტიკურ თოქ-შოუებში.

- უნდა მოხდეს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების საჭიროებების კომპლექსური შესწავლა, მონიტორინგი და ანალიზი, განსაკუთრებით განათლების სისტემის მიმართულებით.

- უნდა გაიზარდოს ქართული და ინგლისური ენების შემსწავლელი კურსების რაოდენობა და ხარისხი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

- რუსეთის საკითხზე უნდა მოხდეს საპარლამენტო დონეზე დისკუსიების ორგანიზება

თავი II

1. საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები: ანალიზი და რისკების მინიმიზაციისათვის გასატარებელი ღონისძიებები

სსრკ-ს დაშლის შემდგომ პერიოდში პოსტსაბჭოთა სივრცეში ინტეგრაციული პროცესების ძირითად ინიციატორად გამოდიოდა რუსეთის ფედერაცია. საწყის ეტაპზე ამ ინტეგრაციული პროცესების ძირითადი იდეა ეყრდნობოდა მარტივ მოსაზრებას, რუსეთის ფედერაციას შეენარჩუნებინა გავლენა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე. აღსანიშნავია, რომ გავლენის ქვეშ ყოველთვის მოიაზრებოდა რუსული სამხედრო შენაერთების განლაგება სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე. ეკონომიკური ბერკეტები შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო. ამ მიზნებისათვის ფუნქციობდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა – დსთ. დსთ-ს ფუნქციობა, რასაკვირველია, არ იყო ეფექტური, ვინაიდან, ერთი მხრივ, დსთ აღჭურვილი იყო ნაკლები უფლებებით, მეორე მხრივ, ყველა ყოფილი რესპუბლიკა მიისწრაფოდა, ეკონომიკური ურთიერთობები აეგო ახალი რეალობის გათვალისწინებით.

ძალიან სწრაფად ცხადი გახდა, რომ დსთ ვერ ახდენდა ყოფილი რესპუბლიკების შეკავშირებას. ამდენად, რუსეთის ფედერაციაში წარმოიშვა ახალი იდეა "განსხვავებულსიჩქარიანი ინტეგრაციის" თაობაზე. ცხადი გახდა, რომ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების გარკვეული ნაწილი მიისწრაფოდა ევროატლანტიკური ინტეგრაციისაკენ. ამ მიმართულებით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ საქართველო, უკრაინა და მოლდოვა. ამდენად, გაჩნდა ახალი კონსტრუქცია – ევრაზიული საბაჟო კავშირი. საბაჟო კავშირის ძირითადი დანიშნულებაა, შეასრულოს საპირწონის როლი ევროკავშირთან მიმართებაში და ხაზი გაუსვას რუსეთის ფედერაციის, როგორც ზესახელმწიფოს, როლს. გარკვეული აზრით, ესაა ალტერნატივა "დიდი ევროპის" იდეისა, რომელიც მოიაზრებდა ევროპას ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე.

ამდენად, ნებისმიერი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის მცდელობა, მოახდინოს ინტეგრირება ევროკავშირთან, განიხილება, როგორც ევრაზიულ კავშირზე უარის თქმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანება არ წარმოადგენს არანაირ ეკონომიკურ საფრთხეს რუსეთის ფედერაციისათვის. ესაა მხოლოდ პოტენციური წევრის უარის თქმა ევრაზიულ კავშირზე.

რუსეთის ფედერაცია ზეგავლენის შესანარჩუნებლად იყენებდა განსხვავებულ ეკონომიკურ ბერკეტებს. ამ ეკონომიკური ბერკეტებიდან ყველაზე ეფექტურად აღიარებული იქნა: ენერგეტიკული დამოკიდებულება, რუსეთის ფედერაციის ბაზრის დახურვა, შრომითი მიგრაციის შეზღუდვა და ფულადი გადმორიცხვების კონტროლი, სავიზო რეჟიმის გამკაცრება.

ეკონომიკური ზეგავლენის ბერკეტების თვალსაზრისით, რუსეთის ფედერაციამ თავის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი გამოიყენა საქართველოს წინააღმდეგ, კერძოდ, შეუწყვიტა საქართველოს ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის მიწოდება, დაკეტა ბაზარი ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის, შემოიღო სავიზო მიმოსვლა, დაიწყო გარკვეული მექანიზმების გატარება, რომ შეზღუდულიყო ფულადი გზავნილები რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში. აღნიშნული ბერკეტების უდიდესი ნაწილი ამოქმედდა 2004 წლიდან. ცხადია, ამ ღონისძიებებმა სერიოზულად დააზიანა საქართველოს ეკონომიკა, მაგრამ არ გამოუწვევია მისი კოლაფსი. ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას, კერძოდ: საქართველოს მთავრობა ამ პერიოდში ატარებდა ძალიან ცალსახა პოლიტიკას ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით და იღებდა საკმაოდ დიდ დახმარებებს დასავლეთის მხრიდან.

დღეს საქართველოს აქვს უფრო დივერსიფიცირებული ეკონომიკა, უფრო მაღალი დამოუკიდებლობის ხარისხი და უფრო დიდი შესაძლებლობები, თავი დაიცვას ეკონომიკური შოკისაგან. მიუხედავად ამ ობიექტური გარემოებებისა, უნდა გავითვალისწინოთ გარკვეულწილად შეცვლილი პოლიტიკური რეალობა, კერძოდ, პრორუსული პოლიტიკური ძალების შესაძლებლობები, თავისუფლად წარმოადგინონ თავიანთი პოლიტიკური შეხედულებები, თავისუფლად "იმუშაონ" მოსახლეობის გარკვეულ ფენებთან და, ამდენად, გარკვეულ რეგიონებში სოციალური დაძაბულობის ფონზე მოახდინონ არეულობის პროვოცირება. ასეთ შემთხვევებში გამოიყენება კარგად აპრობირებული საინფორმაციო კლიშეები, კერძოდ, მოსახლეობის დეზინფორმაცია ევროკავშირის ბაზარზე ქართული პროდუქციის რეალიზაციის შეუძლებლობაზე.

ეს ინფორმაციული კლიშე განსაკუთრებით ეფექტურია მოწყვლად რეგიონებში, სადაც, როგორც წესი, მოსახლეობას მოჰყავს ერთი ტიპის სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომლის დიდი ნაწილის რეალიზაცია ხდება რუსეთის ფედერაციის ბაზარზე. ეს იდეები ასევე იფუთება, როგორც უალტერნატივობა რუსეთის ფედერაციის ბაზარზე და შესაძლო კატასტროფული შედეგები ამ ბაზრის დაკეტვის შემთხვევაში. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული საინფორმაციო კლიშეები ასევე გამოიყენებოდა და გამოიყენება საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ადრე განთავსებული იყო რუსული სამხედრო ბაზები და სადაც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს ეთნიკური უმცირესობები.[131]

მიუხედავად ამ პროპაგანდისა, სამხედრო ბაზების გაყვანამ არ გამოიწვია ამ რეგიონების ეკონომიკური ან სოციალური კოლაფსი. ამ პოზიტიური გამოცდილების გარდა ასევე მნიშვნელოვანი იქნება საინფორმაციო კამპანიის სწორად წარმართვა, რათა მოხდეს მოსახლეობის ფართო ფენების სრული ინფორმირება ევროკავშირის ბაზრის შესაძლებლობებზე.

რუსეთის ფედერაცია ძალიან ძნელად იტყვის უარს საქართველოს შეყვანაზე ევრაზიულ საბაჟო კავშირში და შექმნის ყველანაირ ბარიერს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. ამდენად, მიზანშეწონილია, წინასწარ გავიაზროთ ყველა რისკი და შემუშავდეს მათგან თავის დაცვის ეფექტიანი მექანიზმები.

1.1 საგარეო ვაჭრობის დინამიკა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითად ფაქტორად ყოველთვის გამოიყოფოდა საგარეო-ეკონომიკური აქტივობები. მცირე მსყიდველობითი უნარის და მოსახლეობის დაბალი რიცხოვნობის გამო შიდა ბაზრის ტევადობა ვერ ქმნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების წინაპირობებს. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველომ შეინარჩუნა ყველა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები. ცხადია, ამ პირობებში ყველაზე სწრაფად ხდებოდა არსებული ეკონომიკური კავშირების აღდგენა ტრადიციულ პარტნიორებთან. პროდუქციის მიწოდება რუსეთის ფედერაციისათვის ან უკრაინისათვის უკვე ნიშნავდა ექსპორტს. ცხადია, რუსეთის ფედერაციის ბაზარი წარმოადგენდა ყველაზე მნიშვნელოვან შესაძლებლობას საექსპორტო ოპერაციების წარმოებისათვის. 1996 წლიდან 2014 წლამდე საქართველოს ექსპორტის წილი რუსეთის ფედერაციაში ყველაზე მაღალი იყო 1995 წელს და შეადგინა მთელი ექსპორტის 31%, ხოლო ყველაზე დაბალი – 2011 წელს და შეადგინა 2%. საერთო ტენდენცია კი მუდმივად რუსეთის ფედერაციის მაღალი წილის შემცირება იყო (იხ. ცხრილი 1). ცხადია, 2006 წლის რუსეთის ფედერაციის მიერ დაწესებული ემბარგო ქართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, ღვინოსა და მინერალურ წყლებზე წარმოადგენდა ხელოვნურ ბარიერს, რომელმაც შეზღუდა საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობები რუსეთის ფედერაციაში. რუსეთის ფედერაციის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება წარმოადგენდა ობიექტურ საფუძველს ხელოვნური ბარიერების მოხსნისასთვის და, შესაბამისად, ექსპორტის ზრდისათვის. რუსეთის ფედერაციის, როგორც სავაჭრო პარტნიორის, მნიშვნელობის შესაფასებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი.

ინდექსი გულისხმობს, განისაზღვროს კონკრეტული ქვეყნისათვის სავაჭრო პარტნიორის მნიშვნელობა და ითვლება შემდეგი ფორმულის მიხედვით: Xij – I ქვეყნის ექსპორტი j ქვეყანაში; Xi – I ქვეყნის მთლიანი ექსპორტი; Mj – j ქვეყნის მთლიანი იმპორტი; M – მსოფლიო იმპორტი – Iij=(Xij/Xi)/(Mj/M). თუ მიღებული მაჩვენებელი (Iij) მეტია 1-ზე, მაშინ თქვენი სავაჭრო პარტნიორი გაცილებით მნიშვნელოვანია თქვენთვის, ვიდრე თქვენ – მისთვის. თუ მიღებული მაჩვენებელი ერთის ტოლია, თქვენი საექსპორტო პოტენციალი ადეკვატურია თქვენი შესაძლებლობებისა და იმპორტიორი ქვეყნის შესაძლებლობებისა, ხოლო თუ ის ნაკლებია 1-ზე, მაშინ თქვენს ექსპორტს აქვს გამოუყენებელი პოტენციალი. ყველა გაანგარიშება გაკეთებულია საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის ინფორმაციაზე დაყრდნობით (იხ. ცხრილი 7).

ამ მეთოდოლოგით 2010 წელს ინდექსის მნიშვნელობა რუსეთის ფედერაციისათვის შეადგენდა 1,4-ს, ხოლო 2014 წელს – 6,4-ს. იგივე ინდექსი მთლიანად დსთ-ს სივრცისათვის შეადგენს 19,7-ს 2014 წლისათვის. ამდენად, ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი საქართველოსთვის რუსეთის ფედერაციასთან მზარდია, თუმცა 3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე მთლიანად დსთ-სთვის. იგივე ინდექსი ევროკავშირისათვის 2014 წელს შეადგენს 0,69-ს. რუსეთის ფედერაციის მნიშვნელობა ძნელად შეიძლება გადაფასდეს უამრავი ეკონომიკური, ისტორიული და ფსიქოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებით, თუმცა აღნიშნული ბაზარი ყოველთვის წარმოადგენდა პოლიტიკურად ძალიან არასტაბილურს.

რუსეთის ფედერაციის ბაზარზე ეკონომიკური აქტივობა ყოველთვის უკავშირდება პოლიტიკურ და ეკონომიკურ რისკებს. ამდენად, აუცილებელია ამ რისკების კლასიფიკაცია. კერძოდ, მაკრორისკები წარმოადგენს ისეთ რისკებს, რომელთა არსებობა საფრთხეს უქმნის საერთოდ სახელმწიფოს ან, სულ მცირე, გარკვეული რეგიონის სოციალურ მშვიდობას. მიკრორისკების არსებობა საფრთხეს არ უქმნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას ან გარკვეული რეგიონების სოციალურ სტაბილურობას, თუმცა წარმოადგენს რისკს გარკვეულ დარგებში დასაქმებული ადამიანებისათვის. აქვე ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ რისკები, რომლებიც წარმოიშვება რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით შიდა ბაზრის დაცვასთან დაკავშირებით და რისკები, რომლებიც წარმოიშვება რუსეთის ფედერაციის მიმართ დაწესებული სანქციებიდან, რომლებიც ამცირებს მსყიდველობით უნარს რუსეთის ფედერაციაში.

პირველი ტიპის რისკების ალბათობა მაღალია, მაგრამ რუსეთის ფედერაციის გაწევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს აძლევს ამგვარი დავების დარეგულირებისათვის კონკრეტულ მექანიზმებს, კერძოდ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში არსებული დავების საბჭოში საკითხის განხილვის შესაძლებლობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ფედერაციის ძალიან თავისებური დამოკიდებულება ყველა ხელშეკრულების მიმართ ქმნის საკმაოდ სპეციფიკურ ვითარებას, ერთი მხრივ, არსებობს სამართლებრივი მექანიზმები, მეორე მხრივ, რთულია მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაცია საკმაოდ დიდი ხანი ესწრაფოდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას და, ამდენად, ფრთხილად მოეკიდება მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისაგან თავის არიდებას.

მეორე ტიპის რისკები, პრაქტიკულად, შეუძლებელია დარეგულირდეს მათი წარმოშობის წყაროს გარეშე. რუსეთის ფედერაციისათვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების გაუქმების გარეშე შეუძლებელია აღდგეს საქართველოდან ექსპორტის მოცულობის ადრეული მაჩვენებლები. გარდა ამისა, განხილული უნდა იქნას ის გარემოებაც, რომ საქართველო გარკვეულ პირობებში იძულებული იქნება, ასევე მიუერთდეს ეკონომიკურ სანქციებს რუსეთის ფედერაციის მიმართ, რაც დაუყოვნებლივ გამოიწვევს ანალოგიური სანქციების დაწესებას ქართულ პროდუქციაზე. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ 2006 და 2015 წლების მიხედვით არსებული ქართული ექსპორტის შემცირება რუსეთის ფედერაციის ბაზარზე განსხვავდება წარმოშობის წყაროს თვალსაზრისით. მიუხედავად ამ განსხვავებისა, ორივე შემთხვევაში მივიღეთ ერთი და იგივე შედეგი: 2006 წელს რუსეთის ფედერაციამ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება და დაკეტა შიდა ბაზარი ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის.

ეს გადაწყვეტილება ძალიან მძიმედ აისახა ღვინის კომპანიებზე. 2015 წელს ვითარება განსხვავებულია, ვინაიდან რუსულმა ღვინის იმპორტიორმა კომპანიებმა შეიძინეს ქართული პროდუქცია უფრო ნაკლები რაოდენობით არა პოლიტიკური მოსაზრებების, არამედ რუსეთის ფედერაციაში გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის გამო[132].

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც მოკლევადიან, ისე საშუალოვადიან პერსპექტივაში რუსეთის ფედერაციის ბაზარი მაღალი ალბათობით წარმოადგენს რისკების შემცველ ბაზარს. ამდენად, აუცილებელია, შემუშავდეს ღონისძიებები, რომლებიც, სულ მცირე, შეარბილებს ამ ბაზარზე საექსპორტო-საიმპორტო დამოკიდებულებას, ასევე არ მისცემს შესაძლებლობას რუსეთის ფედერაციას, ეფექტიანად გამოიყენოს ეკონომიკური ბერკეტები საქართველოს წინააღმდეგ სასურველი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

1.2 ექსპორტის დინამიკა და დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციის ბაზარზე

საქართველოს სასაქონლო ექსპორტის დინამიკის ანალიზისთვის საქართველო-რუსეთის ფედერაციის ურთიერთობაში აუცილებლად უნდა გამოიყოს სამი ეტაპი: დამოუკიდებლობის აღდგენიდან 2006 წლამდე, 2006-2012 წლები და 2013 წლიდან დღემდე (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. საქართველოს ექსპორტის წილი რუსეთის ფედერაციაში



2015 წლის მონაცემები მოცემულია პირველი სამი კვარტლის გათვალისწინებით, წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით.[133]

წყარო: საქსტატი

პირველ ეტაპზე რუსეთის ფედერაცია წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს საექსპორტო ბაზარს, თუმცა შეინიშნებოდა საერთო ექსპორტში რუსეთის ფედერაციის წილის შემცირების მკვეთრად გამოხატული ტენდენცია, 1995 წელს იყო ისტორიული მაქსიმუმი, როდესაც რუსეთის ფედერაციის წილმა მთელ ექსპორტში შეადგინა 31,35%. 2005 წელს კი ანალოგიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 17,76%. 2006-2012 წლები – ესაა პერიოდი, როდესაც ხდება საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების შენარჩუნება ყველაზე დაბალ ნიშნულზე, როდესაც ამ პერიოდის მაქსიმუმია 2010 წელი და რუსეთის ფედერაციაში განხორციელებული ექსპორტის წილი მთელ ექსპორტში შეადგენს 2,07%-ს. 2013 წლიდან კი კვლავ იწყება რუსეთის ფედერაციაში ექსპორტის წილის ზრდა, რაც უკავშირდება

ქართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, პირველ რიგში კი, ღვინოსა და მინერალურ წყლებზე ემბარგოს მოხსნას, 2013 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენს 6,54%-ს, ხოლო 2014 წელს – 9,6%-ს[134]. მარტივი ანალიზი ცხადყოფს, რომ რუსეთის ფედერაციის ბაზრის სრული დახურვაც კი ვერ გამოიწვევს საქართველოში ეკონომიკურ კოლაფსს.

ამდენად, მაკროეკონომიკური რისკი, რომელიც დააზიანებს სახელმწიფოს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, შედარებით დაბალია. ზოგადად, ქართული ექსპორტისათვის დამახასიათებელია საექსპორტო სასაქონლო პოზიციების დაბალი რაოდენობა, რუსეთის ფედერაციის შემთხვევაში კი სასაქონლო ჯგუფების კონცენტრაცია ძალიან მაღალია. კერძოდ, 2014 წელს მთელმა ექსპორტმა რუსეთის ფედერაციაში შეადგინა 274,675.0 ათასი აშშ დოლარი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით (იხ. ცხრილი 4), თუმცა ოდნავ განსხვავებულია საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მონაცემები[135].

აქედან 199,385.0 ათასი აშშ დოლარი მოდის სასაქონლო ჯგუფზე 22 (სასმელები, სპირტი). ეს შეადგენს მთელი ექსპორტის 72,51%-ს. 6,6% მოდის სასაქონლო ჯგუფზე 87 (ავტომობილები); 6,2 % – ჯგუფზე 08 (ხილი, კაკალი); 6,15% კი – ჯგუფზე 72 (რკინა და ფოლადი). მარტივი ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველა ამ სასაქონლო ჯგუფიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სასაქონლო ჯგუფი 22, საიდანაც ხდება ექსპორტირება შემდეგი პოზიციების მიხედვით: 2204 (ყურძნის ნატურალური ღვინოები) – 111,425 ათასი აშშ დოლარი; 2201(მინერალური და მტკნარი წყლები) – 66,381 ათასი აშშ დოლარი; 2208 (ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები) – 17,553 ათასი აშშ დოლარი. ყველაზე მაღალია ზრდა სასაქონლო ჯგუფში 2204, კერძოდ, 2013 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 56,436 ათას აშშ დოლარს, ხოლო 2014 წელს მან უკვე შეადგინა 111,425 ათასი აშშ დოლარი (იხ. ცხრილი 5). 2013 წელს რუსეთის ფედერაციის წილი მთლიან ექსპორტში სასაქონლო ჯგუფისათვის 2204 შეადგენდა 44%-ს, ხოლო 2014 წელს – 62%-ს. 2012 წელს, როდესაც რუსეთის ფედერაციაში ექსპორტი (სასაქონლო ჯგუფი 2204) სულ 23 ათასი აშშ დოლარი იყო, მთლიანმა ექსპორტმა იმავე წელს სასაქონლო ჯგუფისათვის 2204 შეადგინა 64,871 ათასი აშშ დოლარი. ცხადია, დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციის ბაზარზე ამ სასაქონლო ჯგუფისათვის ძალიან მაღალია.

განვიხილოთ დანარჩენი სასაქონლო ჯგუფები: სასაქონლო ჯგუფში 2208 ზრდა შთამბეჭდავია, კერძოდ, 2012 წელს რუსეთის ფედერაციაში განხორციელებული ექსპორტი შეადგენდა 234 ათას აშშ დოლარს, ხოლო 2014 წელს – 17,553 ათას აშშ დოლარს. მიუხედავად ამისა, რუსეთის ფედერაციაში ექსპორტის წილი ამ სასაქონლო ჯგუფში 2014 წელს შეადგენს 18,4%-ს. ასეთი კონცენტრაცია ერთ კონკრეტულ ბაზარზე არ წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს.

სასაქონლო ჯგუფისათვის 2201 ვითარება ოდნავ განსხვავებულია, აქაც ზრდა შთამბეჭდავია: 2012 წელს რუსეთის ფედერაციაში განხორციელებული ექსპორტი შეადგენდა 102 ათას აშშ დოლარს, ხოლო 2014 წელს – 66,381 ათას აშშ დოლარს. 2014 წელს რუსეთის ფედერაციაში ექსპორტის წილი შეადგენდა 48,4%-ს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნულ სექტორში მაღალია რუსეთის ფედერაციის ინვესტორთა დაინტერესება, რაც გარკვეულწილად იძლევა გარკვეულ გარანტიებს, რომ რუსი ინვესტორები შეეცდებიან, დაიცვან საექსპორტო პროდუქცია შესაძლო სანქციებისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სასაქონლო ჯგუფის პროდუქციის წარმოებაში არაა ჩართული მოსახლეობის ფართო ფენები, როგორც ესაა 2204 სასაქონლო ჯგუფის შემთხვევაში. ამდენად, კონკრეტულ რეგიონში სოციალური უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზები ნაკლებია. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია გარკვეული ღონისძიებების გატარება ბაზრის დივერსიფიკაციის თვალსაზრისით. ძირითად საექსპორტო ბაზრად უნდა ჩამოყალიბდეს ევროკავშირი, ხოლო გარკვეული პირობების შემთხვევაში – სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს წევრი ქვეყნები.

2204 და 2201 სასაქონლო ჯგუფების შედარებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ სასაქონლო ჯგუფი 2204 დაკავშირებულია მოსახლეობის გაცილებით უფრო ფართო ფენების საქმიანობასთან და, ამდენად, პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იქნას გარკვეული დაცვითი მექანიზმები სწორედ ამ სასაქონლო ჯგუფთან დაკავშირებით. 2014 წელს რუსეთის ფედერაციის მიმართ გამოყენებულმა

ეკონომიკურმა სანქციებმა შეამცირა მოთხოვნა ქართულ ღვინოზე, რაც უარყოფითად აისახა მოსახლეობის გარკვეულ ფენებზე. მუდმივად ყურძნის შესყიდვაში სუბსიდირების გამოყენება ნაკლებად ეფექტური მექანიზმი იქნება. 2006 წლის შემდეგ მიღებულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ ქართული ღვინისათვის არც გადანაწილება დსთ-ს სივრცეში და არც ევროკავშირის ბაზრების ათვისება ცალ-ცალკე არ იძლევა შესაბამის შედეგებს. მიზანშეწონილია კომპლექსური ღონისძიებების გატარება. ყურძნის შეძენის სუბსიდირების აშკარად არაეფექტური მექანიზმი უნდა შეიცვალოს მწარმოებელთა სტიმულირების მექანიზმით. აქ შესაძლებელია რამდენიმე მიმართულების გამოყოფა.

განხილული უნდა იქნას როგორც დარგობრივი, ისე რეგიონული მართვის მექანიზმების შერწყმა. საბოლოო ჯამში ყველა მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს რეგიონული კონკურენტუნარიანი კლასტერის ფორმირება, სადაც წარმოებული პროდუქციის ხარისხი და დივერსიფიცირება შეამცირებს დამოკიდებულებას რუსეთის ფედერაციის ბაზარზე. ამდენად, ეს რეკომენდაციები უნდა განვიხილოთ ცალკე, ვინაიდან თუნდაც ერთი რეგიონის მოსახლეობის მაღალი დამოკიდებულება ერთ კონკრეტულ ბაზარზე ზრდის სოციალური არასტაბილურობისა და პოლიტიკური ზეწოლის შესაძლებლობებს. შესაბამისი რეკომენდაციები კონკრეტულად ღვინოსთან მიმართებაში წარმოდგენილი იქნება დასკვნით ნაწილში.

განვიხილოთ დარჩენილი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები. სასაქონლო ჯგუფში 87 ხდება რეექსპორტი, რომლის მოცულობა ევრაზიული საბაჟო კავშირის ფორმირების კვალობაზე დაკარგავს აქტუალობას. მიზანშეწონილია, საქართველოს მთავრობამ დროულად მოახდინოს ამ სფეროში დასაქმებული იურიდიული და ფიზიკური პირების ინფორმირება შესაძლო საფრთხეების შესახებ, რათა თავიდან ავიცილოთ რეექსპორტის მკვეთრი ვარდნა. თუმცა აზერბაიჯანთან მიმართებაში ეს უკვე მოხდა, რაც უკავშირდება აზერბაიჯანის მთავრობის მიერ შემოღებულ ახალ რეგულაციებს იმპორტირებული ავტომობილების ვადიანობასთან დაკავშირებით. ასევე გასათვალისწინებელია, რა შეღავათები შეიძლება შეიქმნას დამატებით ამ სფეროში დასაქმებული იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის. დანარჩენი ორი სასაქონლო ჯგუფისათვის 08 და 72 რაიმე განსაკუთრებული ღონისძიებების შემუშავება არაა აუცილებელი, რადგან ისინი არ წარმოადგენს რაიმე მნიშვნელოვანი საფრთხის წყაროს. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტით დაკავებული ორგანიზაციები დამატებით უნდა იქნან გაფრთხილებული, რომ არ მოხდეს მათი ექსპორტის ზომაზე მეტი კონცენტრირება რუსეთის ფედერაციის ბაზარზე.

1.3 სასაქონლო იმპორტის დინამიკა რუსეთის ფედერაციიდან

რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში სასაქონლო იმპორტის დინამიკა, ექსპორტთან შედარებით, ხასიათდება სასაქონლო ჯგუფების უფრო ფართო სპექტრით და საკმაოდ სტაბილური განვითარების დინამიკით (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. იმპორტის წილი რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში



2015 წლის მონაცემები მოცემულია პირველი სამი კვარტლის გათვალისწინებით, წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით[136]

წყარო: საქსტატი

2008 წლის სამხედრო კონფლიქტამდე რუსეთის ფედერაცია ინარჩუნებდა საკმაოდ მაღალ პოზიციას საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის მხრივ. ცხადია, 2008 წლის მოვლენები აისახა იმპორტის მაჩვენებელზე და ისტორიული მინიმუმი იყო 2010 წელს, როდესაც რუსეთის ფედერაციაზე მოდიოდა საქართველოს მთელი იმპორტის 4%. 2013 წლიდან იწყება გარკვეული ზრდა, იმპორტის წილი რუსეთის ფედერაციიდან შეადგენს საქართველოს მთელი იმპორტის 7%-ს, ხოლო 2014 წელს – 7%-ს[134]. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო იმპორტის თვალსაზრისით რუსეთის ფედერაციაზე დამოკიდებული იყო ძირითადად ენერგორესურსებში და, ამდენად, მნიშვნელოვანი იყო ამგვარი რესურსების მოწოდების დივერსიფიცირება. დივერსიფიცირების აუცილებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბუნებრივი აირის შემთხვევაში, რადგან აქ ჩანაცვლება დაკავშირებულია არსებული მილსადენების ინფრასტრუქტურასთან. საქართველოს ხელისუფლება აცნობიერებდა, რომ რუსეთის ფედერაციას ვერ დაეყრდნობოდა და ახდენდა კიდეც მომწოდებლების დივერსიფიცირებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო აზერბაიჯანთან მიღწეული შეთანხმება. თუ ჩვენ ვნახავთ მთლიანად (ორგანული საწვავი, ნავთობი) სასაქონლო ჯგუფ 27-ში პროდუქციის მოწოდებას, მაშინ რუსეთის ფედერაციის წილი მოწოდებულ პროდუქციაში 12-14%-ია (იხ. ცხრილი 6). ამავე სასაქონლო ჯგუფის მომწოდებელი საქართველოს ჰყავს აზერბაიჯანის, საბერძნეთის, რუმინეთის სახით.

სასაქონლო ჯგუფი 2711 – ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა – წარმოადგენს ჩვენთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პოზიციას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სასაქონლო ჯგუფში

იმპორტის მოცულობა რუსეთის ფედერაციიდან 2014 წელს შეადგენდა 75,266.0 ათას აშშ დოლარს, ეს წარმოადგენს ამ სასაქონლო ჯგუფში განხორციელებული მთლიანი იმპორტის 20,4%-ს. ძირითადი მოწოდება განხორციელებულია აზერბაიჯანიდან (287,727.0 ათასი აშშ დოლარი), რაც ამ სასაქონლო ჯგუფში შეადგენს 78%-ს.

2010 წელს რუსეთის ფედერაციიდან განხორციელებული იყო ამ სასაქონლო ჯგუფის იმპორტი 44,380.0 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, რაც შეადგენდა ამ სასაქონლო ჯგუფის მთელი იმპორტის 33,2%-ს. აღნიშნულ სასაქონლო ჯგუფში რუსეთის ფედერაციის საიმპორტო წილის გაზრდა არაა მიზანშეწონილი, ვინაიდან რეალურად საქართველოს აქვს მხოლოდ ერთი ალტერნატივა – აზერბაიჯანიდან მოწოდება. ტექნიკურად შესაძლებელია განვიხილოთ მოწოდება ირანიდან სომხეთის გავლით, თუმცა სომხეთის ძალიან ახლო პოლიტიკური კავშირები რუსეთის ფედერაციასთან ასევე საკმაოდ არასანდოს ხდის ამ სცენარის რეალიზაციას. ასევე შესაძლებელია მოწოდება თურქმენეთიდან, მაშინ აირმა უნდა გაიაროს რუსეთის ფედერაციაზე ან კასპიის ზღვაზე. ყველა ეს სცენარი საკმაოდ შორსაა პრაქტიკული რეალიზაციიდან[136].

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ აზერბაიჯანის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ამოქმედების საფუძველზე უმოკლეს ვადებში (დაახლოებით 2018 წლიდან) აზერბაიჯანიდან ევროპის მიმართულებით საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის ბევრად მეტი ბუნებრივი აირი, ვიდრე დღეს. ამდენად, საქართველო ტრანზიტის საფასურად მიიღებს მეტ აირს და მისი დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციიდან მოწოდებულ ბუნებრივ აირზე ობიექტურად შემცირდება.

მეორე მნიშვნელოვანი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფია 1001 – ხორბალი და მესლინი. ამ ჯგუფში რუსეთის ფედერაციის იმპორტის წილი ძალიან მაღალი იყო ადრეც და 2014 წელს მიაღწია 81,47%-ს. პრაქტიკულად, საქართველოს ჰყავს ორი მომწოდებელი – რუსეთის ფედერაცია და ყაზახეთი. აღნიშნული სასაქონლო ჯგუფის პროდუქციის კონცენტრაცია ერთ მომწოდებელზე არაა გამართლებული არა მისი ჩანაცვლების სირთულის, არამედ ფასების შესაძლო ზრდის გამო. ახალი მომწოდებლის მოძებნა ამ პროდუქციაზე არ წარმოადგენს პრობლემას, თუმცა რუსეთის ფედერაციის მიერ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯების ანალიზი ცხადყოფს, რომ რუსეთის ფედერაციას შეუძლია, უეცრად აკრძალოს პროდუქციის იმპორტი საქართველოში. ამდენად, ახალი მომწოდებლის სწრაფი მოძიება შეიძლება აისახოს შესასყიდ ფასზე და, ამდენად, შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი სოციალური დაძაბულობა, თუმცა მოკლევადიან პერიოდში.

1.4 ცალკეული საიმპორტო სასაქონლო ჯგუფების მიხედვით გასატარებელი ღონისძიებები

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იმპორტის დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციაზე მოცემულ ეტაპზე არ შეიცავს სერიოზულ საფრთხეს. აქ უფრო სახიფათოა სამომავლო პერსპექტივა, როდესაც ხდება რუსეთის ფედერაციიდან იმპორტის ზრდის ხელშეწყობა სამთავრობო სტრუქტურებიდან, რამაც, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გახადოს საიმპორტო დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციაზე. მიზანშეწონილია არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მიერ მიზანმიმართული აქტივობა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის, სადაც ხაზგასმით იქნება აღნიშნული ასეთი გადაწყვეტილებების სამომავლო ხიფათი. მიზანშეწონილია მოსახლეობას განემარტოს, რომ რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში ლოზუნგი – "გავმიჯნოთ ეკონომიკა და პოლიტიკა" – პრაქტიკულად შეუძლებელია. აღნიშნული ლოზუნგით მოქმედება წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის ინტერესებს და, ამდენად, ჩვენთვის ხიფათის შემცველია.

რა დაცვითი მექანიზმების გატარებაა შესაძლებელი? მიზანშეწონილია, განხილული იქნას საკანონმდებლო დონეზე ამ პრობლემის მოწესრიგების შესაძლებლობა, კერძოდ, ერთი მომწოდებლის მონოპოლიზაციისაგან დაცვის მიზნით საიმპორტო კვოტირების გარკვეული მექანიზმის შემოღება. აღნიშნული მოდელის ნათელ მაგალითს წარმოადგენს თურქეთის მიერ საქართველოსათვის საიმპორტო კვოტების დაწესება.

საიმპორტო კვოტირების ძირითადი დანიშნულება იქნება, არ დავუშვათ საქართველოს საიმპორტო დამოკიდებულების ზრდა იმ ქვეყანაზე, რომელიც რეალურად ახორციელებს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას. საერთოდ, კვოტირების მექანიზმები ძალიან ფრთხილად უნდა იქნას გამოყენებული და ისიც მხოლოდ გარკვეული პირობების არსებობისას. შესაძლებელია, ეს მექანიზმი განხილული იქნას მხოლოდ რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში, რადგანაც რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორიების 20%.

კონკრეტული რეკომენდაციები წარმოდგენილია დასკვნით ნაწილში.

2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიის დინამიკა

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) ცხადყოფს, რომ რუსეთი არასოდეს გამოირჩეოდა ინვესტიციების სიუხვით საქართველოში (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3.



2015 წლის მონაცემები მოცემულია პირველი სამი კვარტლის გათვალისწინებით, წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით[139]

უმეტესად რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული პუი წარმოადგენს წლიური ინვესტიციების 5%-ს. ამდენად, დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციიდან განხორციელებულ ინვესტიციებზე არ წარმოადგენს რაიმე სერიოზულ პრობლემას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვერ გამოვრიცხავთ რუსული კომპანიების ან ფიზიკური პირების მიერ ინვესტიციების განხორციელებას ოფშორული ზონებიდან. მაგ. ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებიდან 2006-2014 წელს ჯამურად განხორციელებულია 515 მლნ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია. იმავე პერიოდში კაიმანის კუნძულებიდან განხორციელებული ჯამური ინვესტიცია 46 მლნ აშშ დოლარია, მარშალის კუნძულებიდან – 32 მლნ, ხოლო პანამიდან – 185 მლნ.

საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის საინვესტიციო ურთიერთობები ყოველთვის ხასიათდებოდა რუსეთის ფედერაციის განსაკუთრებული ინტერესით სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურული ობიექტების მიმართ. პირველ რიგში ესაა მაგისტრალური გაზსადენი, ასევე რუსეთს ყოველთვის აინტერესებდა და მომავალშიც დააინტერესებს საქართველოს რკინიგზა. ამ ეტაპზე რთულია იმისი განსაზღვრა, რამდენად დაინტერესდება რუსეთის ფედერაცია ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობით შავ ზღვაზე. სხვა სექტორებიდან რუსეთის ფედერაციას შესაძლებელია ჰქონდეს ინტერესები საფინანსო სექტორში და კომუნიკაციების სფეროში.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ენერგეტიკული სექტორი რუსეთის ფედერაციისათვის გადაიქცა საგარეო პოლიტიკის რეალიზაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, მიზანშე-

წონილია ამ სფეროში რუსეთის ფედერაციიდან განხორციელებულ ინვესტიციებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს. კატეგორიულად დაუშვებელია სტრატეგიული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტების ნებისმიერი ფორმით რუსეთის ფედერაციის ხელში გადასვლა. ა. ჩუბაისის მიერ ჩამოყალიბებული "ლიბერალური იმპერიის" იდეაში ენერგეტიკული ობიექტების კონტროლს ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა.

ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია იმ გარემოებების გათვალისწინება, რომ საქართველოს უდიდესი ჰიდროელექტრო სადგური "ენგურჰესი" (დადგმული სიმძლავრე 1300 მგვტ, 2014 წელს საქართველოში გამომუშავებული წლიური ელექტროენერგის 32,5%) და თბოსადგური "მტკვარი ენერგეტიკა" (დადგმული სიმძლავრე 300 მგვტ, 2014 წელს საქართველოში გამომუშავებული წლიური ელექტროენერგის 11,3%) რუსეთის ფედერაციის ინტერესების სფეროშია. "ენგურჰესი" საქართველოს მფლობელობაშია, თუმცა მისი მართვა პარიტეტულად ხორციელდება რუსეთის ფედერაციასთან ერთად, ხოლო "მტკვარი ენერგეტიკა" წარმოადგენს რუსული კომპანია "ინტერრაოს" საკუთრებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობა იზიარებს ამ პოზიციას და ძირითადად ცდილობს ინვესტიციების მოზიდვას აშშ-დან, ევროკავშირიდან და ჩინეთიდან. ასევე გარკვეული აქტივობით გამოირჩევიან სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, განსაკუთრებით არაბთა გაერთიანებული საემიროები. ასევე უკანასკნელ პერიოდამდე საკმაოდ აქტიურები იყვნენ აზერბაიჯანი და ყაზახეთი. ტრადიციულად აქტიური ინვესტორი იყო და არის თურქეთი, თუმცა თურქეთიდან განხორციელებული ინვესტიციების წილის შემცირება მიანიშნებს, რომ თურქეთიდან განხორციელებული ინვესტიციებით მოხდა ბაზრის გაჯერება. ახალი ინვესტიციების ნაკადი შესაძლებელია გაიზარდოს მხოლოდ ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნის შედეგად.

უახლოეს პერიოდში რაიმე სერიოზული ინვესტიციები რუსეთის ფედერაციიდან მოსალოდნელი არაა. საქართველოს მთავრობა ვერ აუხსნის მოსახლეობას ამ ინვესტიციების აუცილებლობას. ამდენად, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, გაგრძელდეს ოფიციალური პოლიტიკა, რომელიც არ იძლევა შესაძლებლობას, ვინმეს გადაეცეს სტრატეგიული ობიექტები. ასევე მიზანშეწონილია დაზუსტდეს, თუ რამდენად შესაძლებელია რუსეთის ფედერაციიდან ინვესტიციების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით. ზოგადად უნდა გვახსოვდეს, რომ რუსული ინვესტიციები ყველგან შეიცავს კორუფციის რისკებს. კორუფცია კი, ზოგადად, წარმოადგენს სახელმწიფოს მდგრადობის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ რისკ-ფაქტორს.

3. რუსული კაპიტალის მონაწილეობა ქართულ საბანკო სექტორში

ქართულ საბანკო სფეროში რუსული კაპიტალის მონაწილეობა უნდა განვიხილოთ რამდენიმე ასპექტში. პირველ რიგში ეს ინვესტიციები განხილული უნდა იქნას, როგორც საერთოდ საფინანსო სისტემის მდგრადობისათვის შესაძლო რისკების შემცველი. ასევე უნდა განვიხილოთ შესაძლო რისკის უფრო ვიწრო ასპექტი, რომელიც უკავშირდება ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობას. ამ მიზნით უნდა განვიხილოთ რუსული კაპიტალის მონაწილეობა ქართულ საბანკო სისტემაში და მისი შესაძლო სამომავლო განვითარება.

ქართულ საბანკო სფეროში რუსული კაპიტალის მონაწილეობა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ფორმით. პირდაპირი ფორმით ესაა წარმოდგენილი "ვითიბი" ბანკში, ხოლო ირიბი ფორმით რუსული კაპიტალის მონაწილეობა შესაძლებელია ვივარაუდოთ სხვა ბანკებშიც[140], რის საფუძველსაც იძლევა ამ ბანკების მენეჯმენტში რუსეთის მოქალაქეების მონაწილეობა. ქართული საბანკო სექტორის მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომ წამყვანი ადგილი (სისტემის შემქმნელი) უკავია ორ ბანკს, ესენია: "საქართველოს" ბანკი და "თიბისი" ბანკი. 2015 წლის მესამე

კვარტლის მონაცემებით, "საქართველოს" ბანკის აქტივები 8,5 მილიარდი ლარია, ხოლო "თიბისი" ბანკისა – 6 მილიარდი ლარი.[141]

"ვითიბი" ბანკის აქტივები ამავე პერიოდში შეადგენს 1,1 მილიარდ ლარს. ამდენად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ საქართველოს საბანკო სფეროში რუსეთის ფედერაციის იურიდიული და ფიზიკური პირების მონაწილეობა ამ ეტაპზე არ წარმოადგენს რაიმე სერიოზულ საფრთხეს. ამავდროულად, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საქართველოში ეროვნული ბანკის მიერ გატარებული საბანკო ზედამხედველობის პოლიტიკა საკმაოდ მკაცრია და გვაძლევს შესაძლებლობას, ზუსტად გავარკვიოთ საფინანსო კაპიტალის მფლობელები. გარკვეულწილად საფრთხის შემცველია საბანკო ზედამხედველობის სისტემის ახლებური ფორმირება, როდესაც ეს ფუნქცია გადაეცემა პოლიტიკურად უფრო დამოკიდებულ სტრუქტურას, ვიდრე ეროვნული ბანკია.

საბანკო-საფინანსო სფეროში საფრთხის ნეიტრალიზაციისა და რისკებისაგან თავის დაზღვევის საუკეთესო მოდელია მაქსიმალური გამჭვირვალობა. კარგი იქნება ევროკავშირში აპრობირებული ფინანსური ზედამხედველობის მოდელების დანერგვა საქართველოში, როდესაც მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს კაპიტალის შემოდინება ოფშორული ზონებიდან, ნებისმიერი ფინანსური ნაკადის უკან მარტივად უნდა ჩანდეს მისი მფლობელები და ამ კაპიტალის წარმომავლობა.

ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ე.წ. პრუდენციულ რეგულირებას. არსი მდგომარეობს შემდეგში: ერთი ბანკის ან საფინანსო ინსტიტუტის პრობლემებმა არ უნდა შეუქმნას პრობლემები მთელი ფინანსური სისტემის მდგრადობას. განსაკუთრებით იზრდება ეროვნული ბანკების როლი და მათ მიერ ხდება არა მხოლოდ ბანკების, არამედ ყველა მნიშვნელოვანი ფინანსური სტრუქტურის რეგულირება. ამდენად, მიზანშეწონილი იქნება ეროვნული ბანკის მარეგულირებელი როლის გაძლიერება და მისი მთავრობისაგან დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა, თუ საჭიროა დამატებითი კონსტიტუციური მექანიზმების განმტკიცების ხარჯზე.

საბანკო-საფინანსო სექტორზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით რუსეთის ფედერაციიდან ფულადი გზავნილების საკითხს. ცხადია, რომ ჩვენი თანამოქალაქეების უდიდესი ნაწილი მოღვაწეობს რუსეთის ფედერაციაში, აქედან გამომდინარე, სწორედ რუსეთის ფედერაციიდანაა ყველაზე მაღალი ფულადი გზავნილების წილი. 2013 წელს გზავნილებმა რუსეთის ფედერაციიდან შეადგინა 750,209.5 ათასი აშშ დოლარი, რაც მთელი გადმორიცხვების 56,76%-ია, 2014 წელს შეადგინა 636,430.5 ათასი აშშ დოლარი, მთელი გადმორიცხვების 50,41%, ხოლო 2015 წლის 9 თვეში შეადგინა 266,784.9 ათასი აშშ დოლარი, რაც მთელი გადმორიცხვების 39,25%-ია.[142] ფულადი გზავნილების თვალსაზრისით საქართველოს მთავრობას არ შეუძლია რაიმე სერიოზული ღონისძიების გატარება. ფულადი გზავნილების შემცირება უარყოფითად მოქმედებს ლარის გაცვლით კურსზე, თუმცა ეს ფაქტორი შეუძლებელია განვიხილოთ, როგორც ფუნდამენტური. საქართველოს ეკონომიკის და განსაკუთრებით ექსპორტის (როგორც სასაქონლო, ისე მომსახურების) ზრდის კვალობაზე მოხდება ლარის გაცვლითი კურსის სტაბილიზაცია. ლარის გაცვლით კურსზე ფუნდამენტურად მოქმედი ფაქტორებია: მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციები, საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებთან მიმდინარე პროცესები, საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ გატარებული კოორდინირებული პოლიტიკა. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ შიდა ვალის ზრდა უარყოფითად აისახება ლარის გაცვლით კურსზე, ვინაიდან იწვევს ფულადი მასის მიწოდების ზრდას.

4. სფეროები, სადაც საქართველო და რუსეთის ფედერაცია კონკურენტები არიან

როდესაც საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის კონკურენციაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში უნდა განვიხილოთ ენერგეტიკული სატრანზიტო დერეფნების და გადაზიდვების სფეროები. სწორედ ამ სფეროებში შეიძლება განვიხილოთ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის კონკურენტული დაპირისპირება. საქართველოზე გამავალი ენერგეტიკული სატრანზიტო ინფრასტრუქტურა წარმოადგენს რუსეთის ფედერაციისათვის ობიექტურ კონკურენტს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ევროკავშირის მიერ წარმოდგენილი და მხარდაჭერილი ყველა პროექტი მიზნად ისახავს ევროკავშირის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ზრდას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ევროკავშირის "ენერგეტიკული ქარტია."[143] ნებისმიერი ენერგეტიკული პროექტი, რომელიც განხორციელდება სამხრეთის მიმართულებით, ობიექტურად შეეხება საქართველოს, ვინაიდან ამ ინფრასტრუქტურის ნაწილი განთავსებული უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია როგორც ამ პროექტების ეკონომიკური სარგებლიანობა, ისე მათი მნიშვნელობა საქართველოს უსაფრთხოების ზრდის საკითხებში. ამ მოსაზრებების გათვალისწინებით, ნებისმიერი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტები იძენს სტრატეგიულ მნიშვნელობას (მაგისტრალური გაზსადენი, დამხმარე ინფრასტრუქტურის ობიექტები) და არანაირი ფორმით რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ან კერძო კომპანიების ხელში მათი გადასვლა არ შეიძლება. აქ საუბარია როგორც საკუთრების, ისე მენეჯმენტის საკითხებზე.

ასევე უნდა განვიხილოთ კონკურენცია სატრანსპორტო სფეროში. ყველაზე მეტად ეს შეეხება ჩინეთიდან საკონტეინერო გადაზიდვებს ევროპის მიმართულებით. ცხადია, საქართველოზე გამავალი გზების (რკინიგზა, პორტები) ერთადერთი ალტერნატივაა რუსეთის ფედერაციაზე გამავალი რკინიგზა, რომელიც შემდგომ ბელარუსის და უკრაინის მეშვეობით დაუკავშირდება ევროპას. ცხადია, ამ გზას აქვს ობიექტური უპირატესობა: ერთი სატრანსპორტო საშუალება, ერთ ადგილზე განბაჟება, ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის შედარებით დაბალი დანახარჯები. თუმცა ასევე არსებობს ობიექტური სირთულეებიც – კორუფციის და კრიმინალის მაღალი დონე რუსეთის ფედერაციაში.

ჩინეთიდან ევროპისაკენ მიმავალი ტვირთების საქართველოზე გავლის შემთხვევაში ისინი გადაკვეთენ რამდენიმე ქვეყნის საზღვარს. ეს ობიექტური სირთულეა, თუმცა მისი გადალახვა შესაძლებელია ერთიანი სატრანსპორტო დერეფნის პოლიტიკის გატარებით. მიზანშეწონილია ამ სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედების ხელშეწყობისთვის ჩამოყალიბდეს ერთიანი სატარიფო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება იმისკენ, რომ დაწესდეს კონკურენტული ტარიფები და ტვირთებმა სწორედ ამ მიმართულებით იმოძრაოს. ჩინეთიდან ტვირთების მოძრაობა ევროპისაკენ აუცილებლად უნდა განვიხილოთ საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო არეალის შესახებ შეთანხმების რეალიზაციის ფარგლებში. საქართველოში ამწყობი საწარმოების შექმნა საშუალებას მისცემს ჩინურ კომპანიებს, მიაწოდონ ევროკავშირს პროდუქცია თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა რეექსპორტის ოპერაციებს ათავისუფლებს მოგების გადასახადისაგან. მიზანშეწონილია ევროპული ძლიერი სავაჭრო კომპანიებისათვის ამ ინფორმაციის მიწოდება და მათთვის ფუნქციონირების ხელშემწყობი რეჟიმების ფორმირება.

საქართველოს ობიექტური უპირატესობების მაქსიმალური რეალიზაციისათვის უნდა შემუშავდეს ტვირთების სახეობების მიხედვით გადაზიდვის სხვადასხვა მარშრუტები და სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებების კომბინირების მეთოდები. სარკინიგზო-საზღვაო, სარკინიგზო-საავტომობილო ფორმების ყველაზე ეფექტური კომბინაციის შერჩევა დამოკიდებული იქნება რამდენიმე ფაქტორზე, როგორიცაა, მაგალითად, მიზნობრივი ბაზრის მახასიათებლები, ტვირთების გაბარიტები და გადაზიდვის პირობები. სატრანსპორტო მარშრუტებთან ერთად უნდა დამუშავდეს ინფრასტრუქტურის განვითარების კონკრეტული ფორმები. მიზანშეწონილი იქნება თავისუფალი სავაჭრო ზონების უპირატესობების გაანალიზება სატრანსპორტო მარშრუტების კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად.

5. სფეროები, სადაც საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის შესაძლებელია თანამშრომლობა

საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის თანამშრომლობის არეები უნდა ეფუძნებოდეს ორივე მხარისათვის მნიშვნელოვან უპირატესობებს. ამ თვალსაზრისით შესაძლებელია განვიხილოთ რამდენიმე მიმართულება: 1) ენერგეტიკული პროექტები; 2) ინფრასტრუქტურული პროექტები; 3) სხვადასხვა ბაზრებზე დაშვების უპირატესი რეჟიმები. განვიხილოთ თითოეული მიმართულება.

ენერგეტიკულ პროექტებში შესაძლებელია განვიხილოთ რუსული მხარის დაინტერესების რამდენიმე ასპექტი. პირველს მიეკუთვნება მსხვილი ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის მიმართულება. რუსულ კომპანიებს აქვთ საკმაოდ დიდი გამოცდილება და ცოდნა, ამდენად, მათ შეუძლიათ კონკურენტულ ფასად საქართველოს შესთავაზონ თავიანთი მომსახურება. ასევე შესაძლებელია მათი მონაწილეობა უშუალოდ მშენებლობის პროცესში. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რუსეთის სამხრეთ რეგიონებში სწრაფად მზარდი მოთხოვნები ელექტროენერგიაზე, შესაბამისად, უკვე არსებული გამართული ტექნიკური ინფრასტრუქტურის პირობებში რუსეთის ფედერაცია მოიაზრება, როგორც სავსებით ლოგიკური ბაზარი საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიისათვის.

ინფრასტრუქტურულ პროექტებში პოტენციურად შესაძლებელია ვივარაუდოთ რუსული მხარის დაინტერესება ჩრდილოეთ-სამხრეთ სატრანსპორტო დერეფნის ამუშავებაში. ხაზი უნდა გაესვას იმ საკითხს, რომ აღნიშნული დერეფნის ამოქმედება არაა აუცილებელი აფხაზეთის ტერიტორიის გავლით. შესაძლებელია გამოვიყენოთ რუსეთი-აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი სატრანსპორტო მოძრაობის მარშრუტი. ამ სატრანსპორტო დერეფნის პერსპექტივას გარკვეული ზომით აფერხებს თურქეთიდან სამხრეთის მიმართულებით ნაკლებად განვითარებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურა. რუსეთ-თურქეთის საკმაოდ ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები იძლევა შესაძლებლობას ვივარაუდოთ, რომ ამ მარშრუტის ამოქმედებას აქვს გარკვეული პოტენციალი. აფხაზეთზე გამავალი სარკინიგზო გზების გამოყენება დაუშვებელია კონფლიქტის სრული პოლიტიკური დარეგულირების გარეშე.

ამ რკინიგზის მნიშვნელობა რუსეთ-სომხეთის დაკავშირების თვალსაზრისით ეკონომიკურად ნაკლებად მნიშვნელოვანია (თუმცა ეს გაზრდიდა სატრანზიტო შემოსავლებს საქართველოსათვის), აქ გაცილებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური ასპექტები. ამდენად, ამ საკითხზე საქართველო არ უნდა დათანხმდეს არანაირ მოლაპარაკებას. სავარაუდოდ, საქართველოს ამ მოლაპარაკებას შესთავაზებენ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლოზუნგით: "გავმიჯნოთ ეკონომიკა და პოლიტიკა". ეს ლოზუნგი აპრიორი მიუღებელია, ვინაიდან საკმარისია თუნდაც მოლაპარაკებაზე წინასწარი თანხმობა, რაც ნიშნავს საქართველოს მხრიდან აფხაზეთის დე ფაქტო სტატუსის აღიარებას. ამდენად, აუცილებელია მიზანმიმართული მუშაობა, რომ საზოგადოებაში მოხდეს ამ ტიპის მოლაპარაკებებზე უარყოფითი დამოკიდებულების ფორმირება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თავიდანვე მოხდეს იმ თემების გამოვლენა და ნეიტრალიზება, რომლებზეც შესაძლებელია აპელირება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს იქნება დამატებითი სამუშაო ადგილებისა და სატრანზიტო შემოსავლების საკითხები.

მესამე შესაძლო ველი თანამშრომლობისათვის, შესაძლებელია, იყოს რუსეთის ფედერაციის გარკვეული კომპანიების დაინტერესება ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის შესატანად თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში. აქ უნდა გაიმიჯნოს როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პერსპექტივები. მოკლევადიანს მიეკუთვნება გარკვეული პირობების გამო ჩამოყალიბებული ვითარება, კერძოდ, რუსეთის ფედერაციისათვის დაწესებული ეკონომიკური სანქციები. გრძელვადიანს მიეკუთვნება ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც პრიორიტეტული იქნება ორივე მხარისათვის მათი ეკონომიკური ამოცანების მისაღწევად. მოკლევადიანი შესაძლებლობების განხილვისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საქართველოსათვის სტრატეგიული პარტნიორის – ევროკავშირის ინტერესები. ცხადია, არც ერთი პროექტი, რომელიც ეწინააღმდეგება ევროკავშირის ინტერესებს, არ უნდა განხორციელდეს. გრძელვადიანი პროექტების ანალიზისას მნიშვნელოვანია

განვიხილოთ რუსეთის ფედერაციის ექსპორტი ევროკავშირში (საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მონაცემები, www.intracen.org). თუ გამოვრიცხავთ ნავთობპროდუქტებს, მნიშვნელოვანი სასაქონლო ჯგუფებია: 71 – ძვირფასი (გარდა ალმასისა) და ნახევრადძვირფასი ქვები; 72 – რკინა და ფოლადი; 74 – სპილენძი და სპილენძის ნაკეთობები; 75 – ნიკელი და ნიკელის ნაკეთობები. პირველ რიგში უფრო დეტალურად უნდა იქნას შესწავლილი თითოეულ ამ სასაქონლო ჯგუფში კონკრეტული სასაქონლო პოზიციების ექსპორტი, რათა დამუშავდეს საქართველოში ანალოგიური პროდუქციის წარმოების შესაძლებლობები. რუსეთის ფედერაციისათვის უპირატესობა იქნება: დაშვება ევროკავშირის ბაზარზე თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში, საქართველოსათვის კი ეს იქნება დამატებითი ინვესტიციების მიღებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა[144]. მიზანშეწონილია, დამატებით სტიმულად განვიხილოთ ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების მოგების გადასახადის რეგრესული მოდელის გამოყენება. ყველა იმ სფეროში, სადაც შესაძლებელია ახალი საექსპორტო პროდუქტების ფორმირება, აუცილებელია ინვესტიციების წახალისება რუსეთის ფედერაციიდან.

6. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის განვითარების ძირითადი მიმართულებები

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებად ყოველთვის იყო და დარჩება: საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და, ამდენად, მომგებიანი სავაჭრო რეჟიმების გამოყენება.

გეოპოლიტიკური მდებარეობის გამოყენება რეალურად აისახება იმ ფაქტში, რომ მომსახურების საგარეო ვაჭრობის ბალანსში საქართველოს აქვს დადებითი სალდო, დაახლოებით 1 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით. მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია რეექსპორტის განვითარება. უნდა აღინიშნოს, რომ რეექსპორტის ოპერაციებით მიღებული მოგების გადასახადიდან გათავისუფლება იყო სწორი გადაწყვეტილება, რომელმაც თავისი დადებითი ეფექტი აჩვენა. ამისი ნათელი დასტურია რეექსპორტის ზრდა სასაქონლო ჯგუფში 87.

გეოპოლიტიკური მდებარეობის მაქსიმალური გამოყენების უმნიშვნელოვანესი ასპექტია ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება. ყველა სატრანსპორტო დერეფნის – აღმოსავლეთ-დასავლეთი, ჩრდილოეთ-სამხრეთი – განვითარება აუცილებელია საქართველოს ეკონომიკის დაჩქარებული ზრდისათვის.

აუცილებელია ასევე განვიხილოთ ისეთი მნიშვნელოვანი განვითარების ბერკეტი, როგორიცაა თავისუფალი სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს უდიდეს ეკონომიკურ მოთამაშეებთან. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო არეალის შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის წარმოადგენს საქართველოს განვითარების სტრატეგიულ მიმართულებას. დეტალური ანალიზი ცხადყოფდა, რომ თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის ამოქმედება არ გამოიწვევდა საქართველოდან ექსპორტის სწრაფ ზრდას. ეს ლოგიკური და ობიექტურია, ვინაიდან ექსპორტის ერთგვაროვნებისა და შიდა დარგობრივი ვაჭრობის ინდექსების დაბალი მნიშვნელობები სწორედ ამაზე მიანიშნებდა. ამდენად, ამ შეთანხმებას აქვს სხვა ეკონომიკური სარგებელი, კერძოდ, ესაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის წახალისება. საქართველოს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი შემზღუდველი ფაქტორია მცირე რაოდენობით საექსპორტო პროდუქტები, სწორედ ახალი ინვესტორების შემოსვლა განაპირობებს ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნას.

საქართველომ უნდა გამოიყენოს უნიკალური შესაძლებლობა, მიაღწიოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას აშშ-სთან, რაც განპირობებულია სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებით აშშ-სთან. ეს საშუალებას მოგვცემს, დამატებითი სტიმულები მივცეთ ისეთ მოთამაშეებს, როგორიცაა თურქეთი ან ჩინეთი. ამ ქვეყნების მწარმოებლებისათვის ასეთი შესაძლებლობა ძალიან საინტერესო იქნება და, ამავდროულად, ხელს შეუწყობს საქართველოში ახალი საექსპორტო პროდუქტების

შექმნას. ასევე საინტერესო იქნება ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, რომელიც შექმნის გარკვეულ დამატებით სტიმულებს ეკონომიკური ურთიერთობების გასაღრმავებლად.

აუცილებლად უნდა განვიხილოთ საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივებიც სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს წევრ ქვეყნებთან. ისეთი არაბული ქვეყნების – როგორებიცაა საუდის არაბეთი, ქუვეითი, ყატარი, ბაჰრეინი, ომანი და არაბთა გაერთიანებული საემიროები–ბაზრების ათვისება შესაძლებელია ძალიან მნიშვნელოვანი იყოს ჩვენთვის ტრადიციული საექსპორტო ჯგუფებისთვის. ამდენად, აუცილებელია ამ მიმართულებით ინტენსიური მოქმედება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოსთან საკმაოდ ინტენსიური სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობები აქვს არაბთა გაერთიანებულ საემიროებს.

ამ მიმართულებების ხელშეწყობის ძირითად ასპექტებად უნდა მივიჩნიოთ: ექსპორტის ოპერაციებიდან მიღებული მოგების დაბეგვრის რეგრესული მოდელი, ინვესტიციების დაცვის დამატებითი მექანიზმების ფორმირება, სამეწარმეო დავების განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების ეფექტური სისტემის ფორმირება, საგადასახადო ლიბერალიზაცია, როგორც გადასახადების რაოდენობის, ისე მათი განაკვეთების შემცირების მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანია, შესწავლილი იქნას ამ სახელმწიფოებისათვის მისაღები პროდუქციის (პირველ რიგში, კვების პროდუქტები) სერტიფიცირების ლაბორატორიების საქართველოში შექმნის შესაძლებლობები. როგორც ალტერნატივა, განხილული უნდა იყოს ქართველი მწარმოებლების პროდუქციის ამ ქვეყნების ლაბორატორიებში სერტიფიცირებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმის შემუშავება.

ცალკე უნდა განვიხილოთ თავისუფალი სავაჭრო ზონების ფორმირების პირობები. საქართველოს უნიკალური მდგომარეობა, რაც გამოიხატება ყველა სახმელეთო მეზობელთან სრულფასოვან სავაჭრო ურთიერთობებში, უნდა გარდავქმნათ კონკრეტულ უპირატესობად. შესაძლებელია განვიხილოთ სამხრეთ საქართველოში თავისუფალი სავაჭრო ზონის ფორმირების შესაძლებლობა, სადაც ვაჭრობა თავისუფლად განხორციელდება სომხეთს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის. ცხადია, დასაზუსტებელი იქნება ამ ზონის ფუნქციობის ყველა კონკრეტული ასპექტი და განსახილველი იქნება კონკრეტული ღონისძიებები.

საქართველოს კონფლიქტურ ზონებთან დაკავშირებით ასევე უნდა განვიხილოთ ამ ტერიტორიებზე თავისუფალი სავაჭრო ზონების ფორმირების შესაძლებლობა, რაც აღნიშნული ტერიტორიების ეკონომიკური განვითარების მძლავრი სტიმული იქნება. საქართველოში ნაკლებად სავარაუდოა აღნიშნული მეთოდებით კონფლიქტების სრული მასშტაბით მოგვარება, თუმცა კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკური მეთოდები ასევე უნდა იქნას გაძლიერებული ამ ტერიტორიების დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის რელევანტური შესაძლებლობებით.

რეკომენდაციები

რეკომენდაციების საერთო ფონს წარმოადგენს საქართველოს მაქსიმალური დაახლოება ევროკავშირთან და, შესაბამისად, რუსეთის ფედერაციაზე ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირება. რეკომენდაციები მოიცავს როგორც ზოგად, ისე კონკრეტულ ასპექტებს. ასევე გარკვეული პროდუქციის კონკრეტულ რეგიონებში განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ცალკეა მოცემული რეკომენდაციები სპეციფიკურ პროდუქციასთან დაკავშირებით.

- ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება წარმოადგენს საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პირველ ეტაპს. ამდენად, მიზანშეწონილია, დაჩქარდეს მუშაობა შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულებების შესრულებაზე, ამავდროულად, საქართველოს მთავრობამ უნდა დაიწყოს მუშაობა ინტეგრაციის მეორე ეტაპისათვის – ესაა ევროკავშირთან საბაჟო კავშირში შესვლა.

- ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის არეალის შეთანხმებით წარმოქმნილი ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაციის მიზნით სასურველია სპეციალური ფონდის (ფონდის სახელად შეიძლება წარმოვიდგინოთ "საქართველოს ევროკავშირში ინტეგრირების ხელშემწყობი ფონდი") ფორმირება, რომელიც მოახდენს აღნიშნული მიმართულებით საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობას. აღნიშნული ფონდის ფორმირება შესაძლებელია უკვე არსებული საფინანსო ინსტრუმენტების ფარგლებში (მეწარმეობის ხელშეწყობა, "აწარმოე საქართველოში" და ა.შ.). აღნიშნული ფონდის ძირითადი მიზანი იქნება ევროკავშირის ბაზრის შესაძლებლობების მაქსიმალური ათვისების ხელშეწყობა, ამავდროულად, ფონდმა უნდა განახორციელოს განსაკუთრებით მოწყვლად რეგიონებში (სადაც მაღალია დამოკიდებულება მონოკულტურების მოყვანაზე და მათ შემდგომ რეალიზაციაზე რუსეთის ფედერაციაში) მოსახლეობის ინფორმირება ევროკავშირის ბაზრის შესაძლებლობებზე და პოტენციალზე.

- შემუშავდეს ევროკავშირიდან განხორციელებული ინვესტიციების დამატებითი დაცვითი მექანიზმები. ამ მიმართულებით ყველაზე ეფექტიანია ინვესტიციების დაზღვევის სახელმწიფო სისტემის ფორმირება. შესაძლებელია ამ სამუშაოების განხორცილება ზემოხსენებული ფონდის ფარგლებში.

- საქართველო უნდა შეურთდეს ევროკავშირის "ენერგეტიკულ ქარტიას", რაც გაზრდის, ერთი მხრივ, საქართველოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას, მეორე მხრივ, გამჭვირვალობას ენერგეტიკულ სექტორში.

- მიზანშეწონილია, აზერბაიჯანთან დაიდოს გრძელვადიანი კონტრაქტი ბუნებრივი აირის შესყიდვაზე და ასევე განხილული იქნას თურქმენეთიდან ბუნებრივი აირის ალტერნატიული გზით მიღების ტექნიკური შესაძლებლობები.

- ცალსახად დადასტურდეს, რომ საქართველოს მთავრობა პრიორიტეტულად აცხადებს ყველა იმ ენერგეტიკულ პროექტს, რომელიც ემსახურება ევროკავშირის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ზრდას.

- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (და ასევე ძვირადღირებული) ბუნებრივი აირის თანამედროვე შენახვის ტერმინალის აგება საქართველოში, რაც წარმოადგენს ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის ყველაზე ეფექტურ მექანიზმს. ამ მიმართულებით გადადგმული ყველა ნაბიჯი უნდა იქნას მაქსიმალურად მხარდაჭერილი. ამავდროულად, ასეთი ტერმინალი ახლავე უნდა დაემატოს იმ ობიექტების ნუსხას, რომელთა მიყიდვა ან მენეჯმენტის კონტრაქტით გადაცემა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ან კერძო კომპანიებზე დაუშვებელია.

- მიზანშეწონილია, შეიქმნას კრიტიკულად მნიშვნელოვანი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფების სია და განხორციელდეს ამ სასაქონლო ჯგუფების სტრატეგიული მარაგების ფორმირება. ამავდროულად, მიზანშეწონილია, დროებით (ოკუპაციის დასრულებამდე) გამოყენებული იქნას საიმპორტო კვოტირების მექანიზმი რუსეთის ფედერაციის მიმართ.

- მიზანშეწონილი იქნება, დაზუსტდეს სტრატეგიული ობიექტების ნუსხა და ეს ინფორმაცია გახდეს საჯარო და ყველასათვის ხელმისაწვდომი. ამავდროულად, ყველა ობიექტი, რომელიც მიეკუთვნება ენერგეტიკულ და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, ავტომატურად გახდეს სტრატეგიული და მთლიანად შეიზღუდოს ამ ობიექტებზე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ან კერძო კომპანიების წვდომა.

- მიზანშეწონილია, საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინოს ევროკავშირში არსებული პრაქტიკა საეჭვო ინვესტიციებთან მიმართებაში და დანერგოს ამ ინვესტიციების მართვის შესაბამისი სტანდარტები.

- რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში უნდა გატარდეს კარგად დასაბუთებული პოლიტიკა

ინვესტიციებთან დაკავშირებით, რომლის ამოცანა იქნება, არ მოხდეს რუსული გავლენის გაძლიერება იმ სფეროებში, სადაც განხორციელდება ინვესტიციები.

- 2004-2006 წლების გამოცდილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია რუსეთის ფედერაციიდან ინვესტიციები ისეთ სფეროებში, როგორებიცაა – საფინანსო-საბანკო, ენერგეტიკული (ყველა ეტაპის ჩათვლით), სატრანსპორტო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის – არ განხორციელდეს ან განხორციელდეს წინასწარი კვლევების საფუძველზე, რომლებიც დაადასტურებს ამ ინვესტიციების უვნებლობას ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგრადობისათვის.

- ენერგეტიკული სფეროს ობიექტების მიმართ რუსეთის ფედერაციის განსაკუთრებული ინტერესების გამო მიზანშეწონილია სპეციალური კვლევის ჩატარება, რომელიც შეაფასებს რუსეთის ფედერაციის გავლენას და მოსალოდნელ რისკებს საქართველოს ენერგეტიკის სფეროში. მნიშვნელოვანია ამ რისკების მართვისა და მათი გავლენის შემცირების სპეციალური პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება.

- ყველა დანარჩენ სფეროში რუსეთის ფედერაციის გავლენის გამოსავლენად და შესაფასებლად მიზანშეწონილია საქართველოს პარლამენტში ღია მოსმენების ორგანიზება, სადაც სხვადასხვა დარგის სპეციალისტები წარმოადგენენ თავიანთ ხედვას.

- მიზანშეწონილია საფინანსო-საბანკო სფეროში ეროვნული ბანკის მარეგულირებელი ფუნქციის გაძლიერება, ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის ზრდა დამატებითი კონსტიტუციური მექანიზმების განმტკიცების ხარჯზე.

- ეროვნული ბანკის მიერ უნდა შემუშავდეს კონკრეტული მექანიზმი, რომელიც არ დაუშვებს საქართველოს ფინანსურ სექტორში რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ან კერძო კომპანიების გავლენის ზრდას.

- უარი უნდა ითქვას ნებისმიერ მოლაპარაკებაზე, სადაც ფონად იქნება გამოყენებული ლოზუნგი – "გავმიჯნოთ ეკონომიკა და პოლიტიკა".

- მაქსიმალურად უნდა გაფართოვდეს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმები, ინტენსიური მოლაპარაკებები უნდა მიმდინარეობდეს აშშ-ს, ჩინეთის და სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს წევრ ქვეყნებთან.

- უნდა დაიწყოს სამხრეთ საქართველოში თავისუფალი სავაჭრო ზონის ფორმირების შესაძლებლობის განხილვა.

- ქართული ღვინის განსაკუთრებული მნიშვნელობისა და ამ პროდუქციაზე კახეთის რეგიონის მოსახლეობის დამოკიდებულების მაღალი ხარისხის გამო მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სპეციალიზებული რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ქართული ღვინის დივერსიფიკაციას საექსპორტო ბაზრებზე, მეორე მხრივ, გაზრდის ყურძნის, როგორც ნედლეულის გამოყენების ეფექტიანობას. შემუშავებულია როგორც ზოგადი, ისე დარგობრივი და რეგიონული (კლასტერების ფორმირების) რეკომენდაციები.

- ღვინის მწარმოებელი კომპანიების სტიმულირებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას საექსპორტო ოპერაციების დაბეგვრის რეგრესული რეჟიმი, კერძოდ, მოგების გადასახადის შემცირება მოგების საერთო მასის ზრდის პირობებში. ექსპორტის ზრდა დაკავშირებული იქნება ახალი საექსპორტო ბაზრების ზრდასთან ან არსებულ ბაზრებზე ექსპორტის ზრდასთან. ორივე ეს მექანიზმი მოახდენს ყურძნის შესყიდვის სტაბილიზაციას.

- ამასთან ერთად, ქართული ღვინის კომპანიებისათვის უნდა შეიქმნას სამარკო ღვინოების დაძველებისა და ბრენდის დამზადებისათვის აუცილებელი მასალებით მომარაგების ხელშემწყობი პირობები.

- ხელი უნდა შეეწყოს ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნას: ლიქიორი, მძიმე ალკოჰოლური სასმელები და ა.შ. ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნის მიმართულებით მიზანშეწონილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სპეციალური პროგრამების დამუშავება. ეს პროგრამები ფოკუსირებული უნდა იყოს კონკრეტულ ინვესტორებზე ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა: საფრანგეთი, იტალია, გერმანია, საბერძნეთი.

- ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისების მიმართულებით მნიშვნელოვანია ევროპული სავაჭრო კომპანიების პოტენციალის გამოყენება. მიზანშეწონილია, ცნობილ სავაჭრო კომპანიებს მივანიჭოთ პრეფერენციები (საქართველოს საგადასახადო კოდექსში არის მუხლი სპეციალური სავაჭრო კომპანიის შესახებ). უნდა მოხდეს აღნიშნული კომპანიების ფილიალების რეგისტრაცია საქართველოში, დამატებით სტიმულად გამოყენებული უნდა იქნას საქართველოს კანონმდებლობის მიერ რეექსპორტის ოპერაციების მოგების გადასახადისაგან გათავისუფლება.

- კიდევ ერთ მიმართულებად შეიძლება განვიხილოთ ვერტიკალური ინტეგრაციის ხელშეწყობა. კერძოდ, მოხდეს საექსპორტო ალიანსების ხელშეწყობა, სადაც გაერთიანდებიან მევენახეები, მეღვინეები, სავაჭრო კომპანიები. მიზანშეწონილი იქნება საკანონმდებლო და ორგანიზაციული ასპექტების დარეგულირება (საექსპორტო ალიანსის ფორმა, დაბეგვრის მექანიზმი, შიდატრანსფერული ფასები და ა.შ.). საექსპორტო ალიანსები ძლიერი იარაღია ექსპორტის ზრდისათვის. გასათვალისწინებელია, რომ ასეთი ვერტიკალური ალიანსები უმეტეს შემთხვევაში წარმატებულია.

- ასევე ხელი უნდა შეეწყოს მევენახე ფერმერების ასოციაციების ჩამოყალიბებას. ფერმერთა ასოციაციები მჭიდროდ ითანამშრომლებენ საექსპორტო ალიანსებთან, მიიღებენ უახლეს ინფორმაციას, დაეხმარებიან წევრებს ტრენინგებით. ძალიან მნიშვნელოვანია უახლესი საბაზრო ინფორმაციისა და განვითარების ტრენდების ანალიზი. ეს საფუძვლად დაედება დარგის განვითარების მიკროეკონომიკურ გადაწყვეტილებებს.

- მიზანშეწონილია სტიქიური მოვლენებისაგან დაცვის აპრობირებულ და ეფექტურ ფორმებზე გადასვლა. ამ მიზნით ხელი უნდა შეეწყოს ფერმერების ვიზიტებს ევროგაერთიანებაში და საქართველოში ვენახების დამცავი სისტემების დამზადებას. აუცილებელია საქართველოში დაინერგოს ვენახების დაზღვევის ისეთივე სისტემები, როგორიც მოქმედებს საფრანგეთში, იტალიაში და ესპანეთში. ეს სისტემები უზრუნველყოფს მევენახე ფერმერებისათვის მინიმალურ შემოსავლებს, რაც მოხსნის სოციალური დაძაბულობის ფონს.

- ქართული ღვინის პოპულარიზაციისათვის ევროკავშირში მიზანშეწონილია ცნობილი ევროპული კომპანიების დაქირავება, რომლებიც მოამზადებენ სპეციალური ღონისძიებების გეგმას. უნდა გავითვალისწინოთ სამხრეთ ამერიკის ქვეყნების გამოცდილება ევროპის ბაზრებზე ღვინის პოპულარიზაციისა, ასევე ევროპული კომპანიების ანალოგიური გამოცდილება შორეული აღმოსავლეთის განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე. ქართული ღვინის პოპულარიზაციაში ამოსავალი უნდა იყოს მისი უნიკალურობა და, ამდენად, ორიენტაცია უნდა ავიღოთ პროდუქციის მაღალ ფასზე.

- მიზანშეწონილია, საქართველომ დაიწყოს ღვინის საერთაშორისო ფესტივალების ორგანიზება, საერთო ფონად შესაძლებელია გამოყენებული იქნას ლოზუნგი – "საქართველო – მეღვინეობის აკვანი". ყველაზე დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ღვინით მოვაჭრე კომპანიების მოწვევას და უშუალო მონაწილეობას ფესტივალში. ასევე ხაზი უნდა გაესვას სპეციალური ტურისტული პროდუქტის შექმნას, რომელიც ფოკუსირებული იქნება მეღვინეობაზე. საქართველოში ტურისტთა რიცხვის ზრდა ავტომატურად გაზრდის ე.წ. ფარულ ექსპორტს, ანუ უცხოელი ტურისტების მიერ ქართული ღვინის მოხმარებას საქართველოში. შესაძლებელია მაღაზიათა სპეციალური ქსელის ორგანიზაციება, სადაც ღვინოს მიჰყიდიან უცხოელ ტურისტებს და სადაც გათვალისწინებული იქნება "Tax Free" პრინციპი.

თავი III.

1. უსაფრთხოება და მისი აღქმა რუსეთ–საქართველოს კონფრონტაციის კონტექსტში

შესავალი

სტრატეგიული გარემოს პროგნოზი ყოველთვის სარისკო საქმეა, მით უფრო, ისეთი დინამიკური რეგიონისთვის, როგორიც კავკასიაა, სადაც სახელმწიფოებს არ გააჩნიათ სტრატეგიული დაგეგმვის გამოცდილება, გამჭვირვალე უწყებრივი პოლიტიკა, გადაწყვეტილების მიღება ხშირად არაფორმალურ გარემოში ხდება და ინფორმაციის რეალური ფლობა, პირველ რიგში, საიდუმლო სახის ინფორმაციაზე წვდომას გულისხმობს. ამ თვალსაზრისით საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენს და ინფორმაციის ძირითადი წყაროები დახურულ ან საზოგადოებისთვის მიუწვდომელ სფეროს მიეკუთვნება. ქვეყნის მდგომარეობის რეგიონული უსაფრთხოების კუთხით შეფასებისას ჩვენ ლოგიკურად მოგვიწევს რუსეთისა და საქართველოს სტრატეგიული დონის დოკუმენტების მოკლე ანალიზი და მათი ძირითადი გზავნილების შედარება რეალობაში განხორციელებულ ნაბიჯებთან უსაფრთხოების და, განსაკუთრებით, სამხედრო სფეროში. ჩვენ ასევე მოგვიწევს სოციოეკონომიკური თუ იდეოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება, რაც დამატებით სიღრმეს შესძენს რუსეთსა და საქართველოში მიმდინარე მოვლენების ანალიზს და გაამყარებს რეგიონისთვის გაკეთებულ პროგნოზს.

1.1 უსაფრთხოების აღქმა რუსეთში და აღიარებული პრიორიტეტები

ლოგიკური იქნება, თუ რუსეთის (ხელისუფლების) დამოკიდებულებას ზოგადად უსაფრთხოების საკითხებისადმი და, კონკრეტულად, საქართველოს მიმართ რუსეთის პრეზიდენტის შეხედულებების გაცნობით დავიწყებთ. მისი შეხედულება გლობალურ და რეგიონულ საკითხებზე, როგორც წესი, ყველაზე კარგად მისი ყოველწლიური მრავალსაათიანი ინტერვიუს – "ონლაინ ხაზის" ფარგლებში ვლინდება. 2015 წლის 16 აპრილის ინტერვიუში რუსეთის პრეზიდენტმა ძირითადი თეზისები ჩამოაყალიბა თავისი და რუსეთის ხელისუფლების მხრიდან რუსეთისთვის უსაფრთხოების აღქმის შესახებ.[145] ტრადიციულად მან დაადანაშაულა დასავლეთი და პირველ რიგში აშშ-ს ხელისუფლება მსოფლიო დომინირების და რუსეთის როლის დაკნინების მცდელობაში და მიუღებლად ჩათვალა რუსეთის აგრესიული პოლიტიკის კრიტიკა. მსგავსი პოზიცია მან შეინარჩუნა წლის ბოლოსაც და, მიუხედავად სანქციების საგრძნობი ნეგატიური ეფექტისა რუსეთის ეკონომიკაზე, მაინც ძირითადად გაიმეორა გერმანულ ჟურნალ "ბილდ"-ის ინტერვიუში საკუთარი ადრინდელი თეზისები.[146]

უსაფრთხოების სფეროს კუთხით რუსეთის პრეზიდენტი არც ერთ ძირითად საკითხში, იქნება ეს ყირიმის ანექსია, ნატო-ს გაფართოება თუ დამოკიდებულება სამეზობლოსთან, არ იცვლის შეხედულებებს და მყარად ადასტურებს ადრინდელ, ანუ კონფრონტაციულ პოზიციას. მიუხედავად უკრაინასთან კონფლიქტის გაყინვისა და რიტორიკის ერთგვარი შერბილებისა, მათ შორის სირიაში რუსული სამხედრო ოპერაციის გახანგრძლივების გამო, რუსული პოლიტიკური ელიტა არ აპირებს სტრატეგიის შეცვლას ახლო სამეზობლოს მიმართ და ჯიუტად ამტკიცებს დასავლეთსა და რუსეთს შორის ერთგვარი ბუფერული ზონის არსებობის აუცილებლობას.

2015 წლის დეკემბრის 31-ში დამტკიცებული უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტი საინტერესო წყაროს წარმოადგენს უსაფრთხოების პოსტულატების ანალიზის თვალსაზრისით.[147] როგორც მოსალოდნელი იყო, სტრატეგია უმეტესწილად იმეორებს თავისი წინამორბედის დასკვნებს, თუმცა გარკვეულ საკითხებში მცირეოდენ განსხვავებებს ავლენს. მაგალითად, ეკონომიკური და სამრეწველო განვითარების წინაპირობად ის სამხედრო სამრეწველო კომპლექსის წარმატებულ მოდერნიზაციას

განიხილავს. ხოლო ზოგადად დოკუმენტის (სტრატეგიის) წარმატებულად განხორციელების საზომად სწორედ სამხედრო მოდერნიზაციის მასშტაბი გვევლინება.[152] ეს ფაქტი სიმპტომატურია, რადგანაც პირდაპირ მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთის ხელმძღვანელობა შეიარაღებული ძალების მაღალ ბრძოლისუნარიანობას და რეალობაში სწორედ მას განიხილავს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხების გადაწყვეტის მთავარ იარაღად.

პრობლემურ საკითხებად, ანუ საფრთხეებად დოკუმენტი მიიჩნევს "ფერად რევოლუციებს" და კრიზისული ვითარებების შექმნას რუსეთის სიახლოვეს, რომელთაც, როგორც წესი, ადგილობრივი "ლეგიტიმური" რეჟიმების შეცვლა მოჰყვება შედეგად. მსგავსი ტრადიცია მოვლენების ნეგატიურად აღქმისა ასევე მეორდება აშშ-სა და ნატო-ს პოლიტიკის კონტექსტში. აშკარაა, რომ ტრადიციული ანტიამერიკანიზმი მყარად ინარჩუნებს პოზიციებს რუსულ ელიტაში და ამჯერად შედარებით მეტი აქცენტია გადატანილი ნატო-ს გაფართოების და მასთან ასოცირებული საფრთხეების, ანუ ახალი წევრების მიღებისა და ნატო-ს ე.წ. საზღვრების რუსეთთან მიახლოების, იმავე რუსეთის შეკავების მცდელობის მიუღებლობაზე.[149] ამავე კონტექსტში განიხილება აშშ-ს მიერ დაფინანსებული ე.წ. "სამხედრო ბიოლოგიური" ლაბორატორიების არსებობა (ერთ-ერთი მსგავსი საქართველოშია), რომელთა საქმიანობა რატომღაც პირდაპირ უკავშირდება ბიოლოგიური იარაღის განვითარებას.

არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს სტრატეგია რუსეთის საერთაშორისო პრესტიჟის გაზრდის საკითხს, თუმცა მისი გაგება საკმაოდ პრობლემურ ჭრილში ხდება. კერძოდ, დოკუმენტში რუსეთის მიერ საერთაშორისო არენაზე განხორციელებული ნაბიჯები სწორედ პრესტიჟის ამაღლების საფუძვლად განიხილება; ხოლო პრეზიდენტ პუტინის მიერ გერმანული გამომცემლობა "ბილდ"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში პრესტიჟსა და რუსეთის ინტერესების აქტიურ დაცვას შორის, მათ შორის სამხედრო ძალის გამოყენებით, პირდაპირი კავშირია დამყარებული. ხსენებული გზავნილები, რბილად რომ ვთქვათ, დამაფიქრებელია, თუ არა საგანგაშო, მით უფრო, როდესაც მსგავს პოზიციებს თანმიმდევრულად ვაწყდებით სამხედრო სტრატეგიული სახის უწყებრივ დოკუმენტებში და პასუხისმგებელი სამხედრო თუ უსაფრთხოების სამსახურებში ჩართული პირების განცხადებებში.

1.2 რუსეთის სამხედრო დოქტრინა – მიზნები და რეალობა

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სამხედრო დოქტრინის დოკუმენტის შინაარსის შესახებ დასკვნების გაკეთება უკვე შესაძლებელი იყო 2014 წლის 19 დეკემბერს, როდესაც რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გაფართოებული სამხედრო კოლეგიის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი გერასიმოვი.[150] მოხსენებაში გაკეთებული აქცენტები პირდაპირ აისახა იმავე თვის ბოლოს გამოქვეყნებულ სამხედრო დოქტრინის დოკუმენტში და ის სრულად შეესაბამება განახლებული ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტის პრიორიტეტებს.

დოქტრინა დეტალურად აანალიზებს არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს და მათ გასანეიტრალებლად მთელ რიგ ღონისძიებებს ამტკიცებს.[151] 14 ჩამოთვლილი საგარეო "საფრთხიდან" 8-ს უშუალო შეხება აქვს საქართველოსთან და პირდაპირ შეიძლება იქნას ინტერპრეტირებული, როგორც რეალური საფუძველი საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიული ნაბიჯის გამამართლებელი არგუმენტისა. მაგალითად, ნატო-ში საქართველოს გაწევრიანება ან მის ტერიტორიაზე ალიანსის ინფრასტრუქტურის ან სამხედრო კონტინგენტის განთავსება, ისევე, როგორც რუსეთის მოკავშირეების მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები, რუსეთის საზღვართან ახლოს კონფლიქტების ესკალაცია, "ლეგიტიმური ხელისუფლებების" ძალისმიერი შეცვლა ან ტერორისტული დაჯგუფების საქმიანობა – რუსეთისთვის ყველა განიხილება ძირითადი საფრთხის კონტექსტში.

მათ რიგს ასევე ემატება ძირითადი სამხედრო საფრთხეები, რომელთა შორის მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე სამხედრო სწავლებების ან ნაწილობრივი/სრული მობილიზაციის ჩატარება განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს საქართველოსთან მიმართებაში. ჰიპოთეტურ სცენარში ნებისმიერი ზემომოყვანილი შეხედულება სავსებით რეალურად შეიძლება იქნას გამოყენებული პრეტექსტად საქართველოს წინააღმდეგ მუქარის, ზეწოლის ან სამხედრო ნაბიჯის განსახორციელებლად.

და ბოლოს, დოქტრინაში პირდაპირ არის მითითებული, რომ შეიარაღებული ძალების გამოყენება რუსეთის ფედერაციის საზღვრებს გარეთ შესაძლებელია, თუ ამას ქვეყნის ინტერესები ან რუსეთის ფარგლებს გარეთ მყოფი რუსეთის მოქალაქეების დაცვა მოითხოვს.

ორივე შემთხვევა სრულიად რელევანტურია საქართველოსთვის, რადგანაც მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს მოქალაქეებისა, განსაკუთრებით ეთნიკურ უმცირესობებში, ასევე ფლობს რუსეთის მოქალაქეობას და პრორუსული სამოქალაქო ორგანიზაციების რიცხვმაც საგრძნობლად იმატა; ხოლო სომხეთის, როგორც რეგიონში რუსეთის მთავარი მოკავშირის, გაზითა და სატრანსპორტო მიმოსვლით უზრუნველყოფა, ისევე, როგორც საქართველოს ენერგოსექტორში რუსული კომპანიების დომინირება, რეალურ საფუძველს იძლევა მოსკოვისთვის, ზემოხსენებული პუნქტი აამოქმედოს.

ეს სცენარი გაცილებით მეტ ალბათობას იძენს, თუ სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირება აქტიურ ფაზაში გადაიზარდა ყარაბაღში (თურქეთის სხვადასხვა სახით მონაწილეობით) და რუსეთმა აქტიურად დაიწყო თავისი სამოკავშირეო სამხედრო ვალდებულებების შესრულება სომხეთთან მიმართებაში. ამავე კონტექსტში უნდა განიხილებოდეს ტერორისტულ დაჯგუფებებთან რუსეთის ბრძოლის მოტივი. პანკისის ხეობისა და რადიკალი ისლამისტების თემა არასოდეს მოხსნილა დღის წესრიგიდან რუსეთისთვის და პერიოდულად, საჭიროებისამებრ გამოიყენება საქართველოზე, როგორც პოლიტიკური ზეწოლის, ისე ძალის გამოყენების პირდაპირი მუქარის განსახორციელებლად. სირიაში მებრძოლ მუსულმან რადიკალთა რიგებში ჩეჩენთა და პანკისელ ქისტთა მზარდი გავლენა ნოყიერ ნიადაგს ქმნის რუსეთის მხრიდან სამხედრო ძალის გამოყენების სცენარისთვის პანკისიდან მომავალი ე.წ. საფრთხის გასანეიტრალებლად.

ცალკე აღსანიშნავია რუსეთის შეიარაღებული ძალების განვითარებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების პრიორიტეტულობა. უსაფრთხოების სტრატეგიაში აღნიშნული და გენერალ გერასიმოვის აქცენტების მსგავსად დოქტრინა შეიარაღებული ძალების სწრაფ და ყოვლისმომცველ მოდერნიზაციას უმთავრეს პრიორიტეტად განიხილავს. ამ პუნქტში დოკუმენტი პირველ რიგში განმარტავს, რომ იგულისხმება ქვედანაყოფების თანამედროვე შეიარაღებით აღჭურვა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მაქსიმალური უზრუნველყოფა.

ამასთან ერთად, მუდმივი ყურადღება ეთმობა აფხაზეთთან და ე.წ. "სამხრეთ ოსეთთან" სამხედრო თანამშრომლობას და მათი უსაფრთხოების/თავდაცვის გარანტიების შექმნას. მსგავსი სულისკვეთებით არის გამსჭვალული რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ნიკოლაი პატრუშევი. სამხედრო პოლიტიკისა და უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტის შესახებ მისი კომენტარი მხოლოდ იმით გამოირჩევა, რომ დამატებით ამახვილებს ყურადღებას ნატო-ზე, როგორც აგრესიული "შინაარსის" მქონე ალიანსზე.[152]

დასავლური ღირებულებებისა და ლიბერალური დემოკრატიის სისტემის მიუღებლობა მკაფიოდ ვლინდება როგორც ორივე დოკუმენტის ტექსტში, ისე წამყვანი პოლიტიკური ფიგურების რიტორიკაში, რაც მკაფიო და საშიშ უნისონს ქმნის.[153] ამ შემთხვევაში ასეთი სახის დასკვნა იქნებოდა საკმაოდ უსაფუძვლო, რომ არა რიგი გარემოებები. წარსულისგან განსხვავებით, როცა რუსეთს აქტიური, უფრო აგრესიული ნაბიჯებისკენ მხოლოდ მთავარი რუსოფილი იდეოლოგი ალექსანდრე დუგინი მოუწოდებდა, ახლა უკვე იშვიათობას აღარ წარმოადგენს, როცა არა მხოლოდ კრემლთან დაახლოებული კვლევითი ცენტრების ექსპერტები, არამედ რუსეთის საუკეთესო სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენტრების წამყვანი სპეციალისტები არ გამორიცხავენ ნატო-სთან პირდაპირ სამხედრო კონფრონტაციას.

ასე მაგალითად, მგიმო-ს (საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტი), იგივე საგარეო საქმეთა სამინისტროს კადრების "საამქროს", სამხედრო-პოლიტიკური კვლევების ცენტრის წამყვანი სპეციალისტი მიხაილ ალექსანდროვი დაუფარავად აცხადებს, რომ ნატო-ს სტრატეგიული ამოცანაა რუსეთის დანაწევრება.[154] ამასთან, მას მიაჩნია, რომ ნატო დღეისათვის არ გამოირჩევა ერთსულოვნებით და არანაირად არ არის მზად, როგორც ეს თურქეთის შემთხვევაში მოხდა (რუსეთის თვითმფრინავის ჩამოგდება), სრულ კონფრონტაციაზე წავიდეს რუსეთთან. ყოველ შემთხვევაში, მიხაილ ალექსანდროვი კონფრონტაციის ესკალაციის სცენარში პირდაპირ განიხილავს თურქეთის შეთხვევაში ბირთვული იარაღის გამოყენების ვარიანტს და ბალტიისპირეთზე დარტყმის შესაძლებლობას. ამ მხრივ ის

იშვიათ გამონაკლისს უკვე აღარ წარმოადგენს რუსულ სამეცნიერო-კვლევით წრეებში და მის მსგავსად დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის ევრაზიული ინტეგრაციის განყოფილების ხელმძღვანელი ვლადიმირ ევსეევი ბალტიის ქვეყნების ოკუპაციას მიიჩნევს ნატო-სთან რუსეთის სავარაუდო დაპირისპირების გარდაუვალ შედეგად.

ამრიგად, რუსეთის ორივე სტრატეგიული დოკუმენტი, ისევე, როგორც პოლიტიკურ ლიდერთა პოზიციები, ავლენს მსგავსი შინაარსის გზავნილებს და ვარაუდებს. რაც მთავარია, ეს ფაქტი გამოხატავს რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ელიტებისთვის საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ერთგვარ კონსენსუსს, რომელიც ვლინდება არა მხოლოდ შეთანხმებულ რიტორიკაში, არამედ (რაც მეტად საშიშია) მის მზადყოფნაში, არ მოერიდოს ესკალაციის გამძაფრებას და გააგრძელოს fait acompli-ს მიზნით აგრესიული სამხედრო ძალის ფართომასშტაბიანი გამოყენება თავისი ამბიციებისა და საგარეო მიზნების მისაღწევად.

1.3 პოლიტიკის პოლიტიკის პრიორიტეტები

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინტერესოა, როგორ აისახა სტრატეგიულ დოკუმენტში მოცემული და სამხედრო-პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთა მიერ არაერთხელ დადასტურებული პოსტულატები რეალურ ცხოვრებაში. პირველ რიგში, როგორც უკვე არაერთხელ იყო მინიშნებული, ეს უნდა ასახულიყო რუსეთის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია-აღჭურვის ხარისხზე, საბრძოლო მომზადებაზე და სამხედრო პრიორიტეტების განსაზღვრაზე სამომავლო პერიოდისთვის.

პროცესების ანალიზისთვის ჩვენ რამდენიმე წყარო გამოვიყენეთ, როგორც რუსული, ისე უცხოური (არარუსული). 2008 წელს სწორედ საქართველოსთან კონფლიქტის დროს გამოვლენილმა უამრავმა ნაკლოვანებამ აიძულა რუსეთის ხელმძღვანელობა, აქტიური ნაბიჯები გადაედგა ჯარის სწრაფი რეფორმირებისთვის. მარტივი ციფრებით რომ დავიწყოთ, რუსეთის შეიარაღებული ძალების გადაიარაღების პროგრამა 2020 წლამდე ითვალისწინებს მთელი აღჭურვილობის 70%-ის ახლით ჩანაცვლებას და შემდეგ მაჩვენებლებზე გასვლას შეიარაღების მიღების თვალსაზრისით:[155]

- 600 ახალი თვითმფრინავი
- 400 ბალისტიკური ბირთვული რაკეტა
- 1000 ვერტმფრენი
- 10 ისკანდერ (მ)-ის ბრიგადა
- 2300 ახალი ტანკი
- 2000 ახალი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი
- 28 წყალქვეშა ნავი
- 50 ხომალდი.

გეგმა ასევე ითვალისწინებს ახალი ინფრასტრუქტურის და ბაზების შექმნას გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში (2010 წელს – 20 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო 2016-ში – 50 მლრდ აშშ დოლარი). აღსანიშნავია, რომ ცვლილება, პირველ რიგში, დაიწყო ჯარის საორგანიზაციო სისტემის რეფორმით. შეიცვალა როგორც სტრატეგიული მართვის, ისე ქვედანაყოფების მართვისა და კონტროლის სტრუქტურა.[156] ჩამოყალიბდა ბრიგადული ტიპის ქვედანაყოფები და აქცენტი გაკეთდა ბრძოლისუნარიანობის მუდმივ ამაღლებაზე წვრთნების სწრაფი ინტენსიფიკაციის გზით.

სწორედ სამხედრო საველე წვრთნების რაოდენობის და მასშტაბის ყველა დონეზე (სტრატეგიული, სტრატეგიულ-ოპერატიული და ოპერატიულ-ტაქტიკური) მუდმივი ზრდით რუსეთმა შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია. ხშირად ხდება ათიათასობით (100 ათასამდე) პირადი შემადგენლობის ჩართვა

მასშტაბურ სწავლებებში და ქვედანაყოფების ათასობით კილომეტრზე მოშორებით გადასროლა ნატოსთან სამხედრო კონფრონტაციის სცენარის სიმულაციით. მსგავსი ტემპები ასევე ახასიათებს რუსეთის საზღვაო ძალებს და მაგალითისთვის მხოლოდ შავი ზღვის ფლოტი რომ ავიღოთ, მის შემადგენლობაში 2020 წლამდე 6 განახლებული "კილო" კლასის წყალქვეშა ნავებიდან 3 უკვე მწყობრშია.[157]

სრულიად ადეკვატურია გუსტავ გრესელის დასკვნა საგარეო ურთიერთობის ევროპის საბჭოსთვის, სადაც ის ადასტურებს 2015 წლისთვის რუსული შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვან პროგრესს თითქმის ყველა კომპონენტში დაწყებული მართვიდან, საბრძოლო მზადყოფნითა და შეიარაღებით დამთავრებული.[158] 2009 წლიდან მოყოლებული, როდესაც სწავლება "ზაპად-2009"-ში გათამაშებული იქნა პოლონეთზე ბირთვული დარტყმის მიყენება და ბალტიის ქვეყნების ოკუპაცია, მსგავსი სწავლებები, მათ შორის, სამხრეთ კავკასიის ("კავკაზ"-ის) სახელწოდებით, რეგულარულად ტარდება ყოველ წელს.

ამჟამად რუსეთს უკვე გააჩნია ისეთი შეიარაღებული ძალები, რომლებსაც, წარსულისგან განსხვავებით, სწრაფად და ფარულად შეუძლიათ მობილიზაცია, რეაგირება და დარტყმის მიყენება. მართალია, გადაიარაღების პროგრამა ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ მას აშკარად შესწევს ძალა, პოსტსაბჭოთა სივრცეში და დასავლეთის მიმართულებით დაამარცხოს ნებისმიერი მეზობელი-სახელმწიფო. ამავე დროს, უკვე არ არის გამორიცხული, რომ რუსეთმა გაფრთხილების გარეშე იმოქმედოს პოსტსაბჭოთა სივრცის გარეთ, მათ შორის ნატო-ს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მისი საზღვრების გასწვრივ.

თავდაცვის მინისტრის, შოიგუს ენერგიული ქმედებების შედეგია ის, რომ სადღეისოდ რუსული ქვედანაყოფები უკვე 50%-ით არიან გადასული თანამედროვე აღჭურვილობაზე, სწავლებების რაოდენობა 2012 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა (423-დან 866-მდე), პირადი შემადგენლობიდან (დაახლ. 1 მლნ) 352 ათასი გადავიდა საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში და მატერიალურ-ტექნიკური თუ ინფრასტრუქტურის (ლოგისტიკური მომარაგების) განახლების გეგმა მთლიანად სრულდება.[159] მისი საქმიანობის შედეგების ნათელი მაგალითია რუსული ჯარის პოტენციალის დემონსტრირება უკრაინასთან კონფლიქტის პირობებში.

რუსეთს პერმანენტულად მაღალ საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავდა 50-ათასიანი დაჯგუფება უკრაინის საზღვართან ახლოს და თანაც თვეების განმავლობაში. გარკვეულ შემთხვევებში ეს რიცხვი საგრძნობლად იზრდებოდა. ამავე დროს, პარალელურ რეჟიმში რუსეთი ახორციელებდა სხვა ქვედანაყოფების საწვრთნელ მანევრებს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ათიათასობით პირადი შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურის მონაწილეობით. მსგავსი რამ ადრე ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა.

მომდევნო პერიოდისთვის რუსული შეიარაღებული ძალების განვითარების პრიორიტეტები ძირითადად ნაკარნახევია შექმნილი გლობალური სამხედრო-პოლიტიკური ვითარებით და უმეტესად ასახულია 2020 წლამდე მოდერნიზაციის პროგრამაში.[160] ჩვენთვის საინტერესოა, რომ ამ პრიორიტეტების ქვაკუთხედს სწორედ სამხრეთის, ანუ კავკასიის მიმართულება წარმოადგენს როგორც აღჭურვის, ისე წვრთნების ("კავკაზ-2016") თვალსაზრისით. 2015 წელი სამაგალითო იყო ამ კუთხით. მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ინტენსიური სწავლებები სამხრეთ სარდლობის ყველა ქვედანაყოფის მონაწილეობით.[161]

სწავლებებში (მარტში), რომლებიც ორი თვე გაგრძელდა, აქტიურად იყვნენ ჩართულები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) განლაგებული რუსული ბაზები და სომხეთში განლაგებული რუსული ქვედანაყოფები. საკუთრივ პრეზიდენტ პუტინის მითითებით აქცენტი უნდა გაკეთდეს რთული, მთაგორიანი რელიეფის პირობებში საბრძოლო უნარ-ჩვევებისა და ახალი ტექნიკის ფლობის დახვეწაზე. ამ მიმართულებით მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს და ხდება როგორც ყველა სახეობის აღჭურვა ახალი ტექნიკით (განსაკუთრებით საჰაერო, სადაზვერვო და სპეცდანიშნულების ძალების კომპონენტებში), ისე სომხეთში განლაგებული რუსული ბაზის გაძლიერება (მიგ-29 ესკადრილიით და დამატებით შემტევი და სატრანსპორტო ვერტმფრენებით).

2. უსაფრთხოების ინსტიტუციური აღქმა საქართველოში (სტრატეგიული დოკუმენტები)

უსაფრთხოების გარემოს ადეკვატური ანალიზის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს მეორე მხარის, ანუ საქართველოს ხელისუფლების მიერ ვითარების აღქმის ჩვენება, რაც, რუსეთის მაგალითის მსგავსად, პირველ რიგში ქართული სტრატეგიული დონის უსაფრთხოებისა და სამხედრო შინაარსის მქონე დოკუმენტებში აისახება. ჩვენ არ განვიხილავთ წინა (ვადაგასულ) დოკუმენტებს, არამედ მხოლოდ მოქმედს, თუმცა, ამავე დროს, ვითვალისწინებთ იმ ტრადიციას (სტილი და მიდგომა), რაც უმეტესწილად შენარჩუნებულია ახალ დოკუმენტებში.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მოქმედი დოკუმენტი ფართოდ მიმოიხილავს რუსეთის 2008 წლის აგრესიის შედეგებს და მოკლედ აღნიშნავს რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის განახლების რისკს, რაც, დოკუმენტის განმარტებით, მნიშვნელოვნად არის შეზღუდული საერთაშორისო ფაქტორებით.[162] ამავე დოკუმენტში უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების მე-4 პუნქტში განმარტებულია საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის შინაარსი და პრიორიტეტები: კერძოდ, ტოტალური თავდაცვის პრინციპი და სამხედრო რეზერვი და ადაპტირებადი შეიარაღებული ძალები. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ კონცეფციაში არ არის განმარტებული ტერმინოლოგიური განსხვავება საფრთხეს, საშიშროებასა და რისკს შორის.

ამრიგად, როცა დოკუმენტი აღნიშნავს, რომ სამხედრო კონფრონტაციის რისკი არსებობს, გაურკვეველია, რა იგულისხმება ამაში და დროის რა პერიოდს მოიცავს. ამავე დროს, საქართველოსთვის უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების არარსებობის და რუსეთის მხრიდან ჟენევის მოლაპარაკების ფორმატში სამხედრო ძალის არგამოყენების დეკლარაციაზე ჯიუტად უარის თქმის ფონზე ასევე გაუგებარია, რის საფუძველზეა ხსენებული რისკი შეფასებული, როგორც ერთგვარად განეიტრალებული. ამავე დროს, დოკუმენტში გამოყენებული ენა და განსაზღვრული პრიორიტეტები არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ რუსეთის მოსალოდნელი სამხედრო აგრესია წარმოადგენს ქვეყნის უსაფრთხოების მთავარ საზრუნავს და ამ კუთხით გადასადგმელ ნაბიჯთა შორის პირველ რიგში უნდა იყოს თავდაცვის ბიუჯეტის რადიკალური ზრდა თავდაცვის მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად.

მსგავსი დეკლარაციული ხასიათი ნაკლებად ახასიათებს ეროვნულ სამხედრო სტრატეგიასაც.[163] მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტში ფართოდ არის მიმოხილული შეიარაღებული ძალების განვითარების სფეროები (მართვა და კონტროლი, დაზვერვა, ლოგისტიკა და აშ.), ჩამოთვლილი პასაჟები ძირითადად განმარტებითი ხასიათისაა და სურვილების ნუსხას უფრო წარმოადგენს, ვიდრე რეალურად დაგეგმილ ღონისძიებებს. ამავე დროს, უსაფრთხოების კონცეფციაში მოყვანილი ტოტალური თავდაცვის პრინციპი, ისევე, როგორც სამხედრო რეზერვის, სრულიად პასუხგაუცემელი რჩება სამხედრო სტრატეგიის დოკუმენტის მიერ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის ერთგვარ დეკლარაციულ ხასიათს.

უსაფრთხოების პრაქტიკული აღქმისა და სამხედრო მოთხოვნილებებში მისი გადათარგმნის თვალსაზრისით გაცილებით საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა (2013-2016).[164] დასაწყისშივე აღსანიშნავია, რომ ტერმინი „სტრატეგიული მიმოხილვა“ შეცდომით არის გამოყენებული ამ დოკუმენტთან მიმართებაში, რადგანაც, მისი წინამორბედისგან განსხვავებით, რომლის შემუშავება 2005 წელს დაიწყო და 2015 წლამდე იყო გათვალისწინებული, მოქმედი დოკუმენტი მხოლოდ სამწლიან პერიოდ მოიცავს, რაც გამორიცხავს დოკუმენტის სტრატეგიულ ხასიათს და, მით უფრო, მნიშვნელობას. მოქმედი მიმოხილვა გაცილებით ადეკვატურად აფასებს რუსეთთის მხრიდან სამხედრო აგრესიის განახლების საფრთხეს და, ამავე დროს, აღნიშნავს რესურსების ნაკლებობას, რაც სერიოზულად ზღუდავს საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობას, პასუხის გასცეს ამ გამოწვევას.

მიუხედავად ამ დეფიციტის პირდაპირი აღიარებისა და სტრატეგიული დოკუმენტის საპროგრამო ხასიათისა (დაგეგმილი ღონისძიებები), არც ეს დოკუმენტი ასახავს სრულად იმ ნაბიჯებს, რისი გადადგმაც აუცილებელია ქვეყნის წინაშე მდგარი მთავარი საფრთხის გასანეიტრალებლად. ტოტალური თავდაცვის პრინციპი ამ დოკუმენტშიც უგულებელყოფილია, ისევე, როგორც სარეზერვო ქვედანაყოფების ჩამოყალიბების პრინციპები. სტრატეგიულ მიმოხილვაში, სულ მცირე, მკაფიოდ უნდა

ასახულიყო ქვეყნის თავდაცვისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების არაადეკვატურობა და მომავლისთვის უნდა განსაზღვრულიყო ის ოპტიმალური ან კომპრომისული ვარიანტი, რომელიც მეტ-ნაკლებად დააკმაყოფილებდა თავდაცვის და სამხედრო განვითარების ძირითად და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მოთხოვნილებებს.

2007 წელს შემუშავებული თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის ბედის გათვალისწინებით (არაერთხელ იქნა გადახედილი, კორექტირებული და არშესრულებული), დიდი ალბათობით 2013-2016 წლის მიმოხილვაც მსგავს ბედს გაიზიარებს. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ ქართულ პოლიტიკურ სისტემას ახასიათებს პასუხისმგებელი პირების (მთავრობის – მინისტრების) ხშირი გადახალისება (თავდაცვის მინისტრის მოღვაწეობის მაქსიმალური ვადა 2,5 წელი აღმოჩნდა მინისტრ ბაჩო ახალაიას დროს), რაც, როგორც წესი, ავტომატურად იწვევს უკვე მიღებული დოკუმენტების ან გაუქმებას, ან ხელახალ გადამუშავებას.

დასკვნა

ამგვარად, საქართველოს ხელთ არსებული უსაფრთხოების აღქმის და შეფასების ინსტიტუციური უნარი გაცილებით ნაკლებად განვითარებული და კოორდინირებულია, ვიდრე რუსეთის. სამწუხაროდ, საქართველომ ჯერაც ვერ მოახერხა მწყობრი, კოორდინირებული და ეფექტიანი სისტემის შექმნა, რომელიც ადეკვატურად შეაფასებდა უსაფრთხოების გამოწვევებს, მკაფიოდ დაადგენდა მოთხოვნებს და განსაზღვრავდა ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების სქემებს.

ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტის მოცულობა არსებულ საფრთხეებთან მიმართებაში არადამაკმაყოფილე-ბელია – 650 მილიონი ლარიდან მხოლოდ ხელფასებზე ბიუჯეტის 60 პროცენტი იხარჯება.[161] მართალია, რუსეთის მხრიდან აგრესიის საფრთხე დეკლარირებულია ქართული მხარის მიერ თუმცა არ ჩანს ამ საფრთხის შეფასებისა და საპასუხო ზომების სათანადო ინდიკატორები არც პოლიტიკურ დოკუმენტებში და არც შესაბამის გადაწყვეტილებებში.

ამგვარმა მოუმზადებლობამ შეიძლება დამატებითი სტიმული მისცეს რუსეთს ხელსაყრელ მომენტში სამხედრო ძალის გამოყენებისათვის. მით უფრო, რომ რუსეთი უკვე აქტიურად მიმართავს რბილი ძალის კომპლექსურ მეთოდებს.

სამომავლო პროგნოზის გასაკეთებლად გასათვალისწინებელი იქნება როგორც მსოფლიოში ასევე რუსეთის შიგნით მიმდინარე პროცესები, რომლებიც მიგვანიშნებენ თუ რა მიმართულებით (განმუხტვა თუ ესკალაცია) უნდა ველოდეთ მოვლენების განვითარებას საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში. სტრატფორის პროგნოზი ევროპის კონტინენტისთვის საკმაოდ მუქ ფერებში გამოიყურება და კონტინენტზე დაძაბულობის ზრდას, ნაციონალიზმის გავრცელებას და რუსეთის კრიზისში შესვლას პროგნოზირებს.[166]

ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, რუსეთი საშინაო კრიზისების გადაფარვას ხშირად ყურადღების საგარეო თემებზე გადატანით ცდილობს და საგარეო აგრესიის სამიზნე მისი სამეზობლო ხდება ხოლმე. იმდენად, რამდენადაც რუსეთის ძლიერება დაფუძნებულია ენერგეტიკულ რესურსებზე, რასაც იგი საგარეო-პოლიტიკურ იარაღადაც იყენებს, რეგიონში რუსეთის აგრესიული აქტივობის დამატებით მიზეზად შეიძლება იქცეს საქართველოზე გამავალი ენერგოდერეფანი (გაზის და ნავთობის), მით უფრო, იმ ფონზე, როცა გადამწყვეტ ფაზაში შედის ახალი პროექტების რეალიზაცია.[167] რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული საერთაშორისო სანქციები ჯერ ჯერობით ვერ ავლენენ სასურველ შედეგს ვერც რუსეთის მმართველი ელიტის განწყობაზე, ვერც ზოგადად მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის აქტიურობაზე.[168] საკუთრივ სამხედრო სფეროში არსებული პრობლემების მიუხედავად, რუსეთის ხელმძღვანელობა ჯიუტად აგრძელებს აღებულ გეზს და როგორც საბიუჯეტო დაგეგმვის პრიორიტეტებიდან ირკვევა, სხვა სფეროების მნიშვნელოვანი შეკვეცის ხარჯზე, მხოლოდ თავდაცვის სფეროს უტოვებს უცვლელად დიდ დაფინანსებას. ეს კი თავისთავად მკაფიო ინდიკატორი შეიძლება იყოს რუსეთის საგარეო გეგმების შესახებ.[169]

რეკომენდაციები

არსებული ვითარების ანალიზი გვაჩვენებს, რომ რუსეთის მხრიდან განახლებული სამხედრო კონფრონტაციის ალბათობა საკმაოდ დიდია. რა პირობებში შეიძლება მოხდეს ეს კონფრონტაცია, ამის, მთავარი განმსაზღვრელი, პირველ რიგში, იქნება რუსეთთან დაკავშირებული საშინაო და საგარეო ფაქტორების ერთობლიობა. ასეთი ფაქტორების რიგში უნდა განვიხილოთ რუსეთის მმართველი ელიტის აღქმები მისთვის სახიფათო კრიზისული ვითარების შექმნის შესახებ, ასევე ზოგადად მზარდი რუსული ნაციონალიზმი.

შესაბამისად, საქართველოს მხრიდან განსახორციელებელი ზომების ერთობლიობა უნდა შეიცავდეს როგორც ვიწრო გაგებით სამხედრო სახის ნაბიჯებს, ისე თავდაცვის სისტემის ფინანსური და ინსტიტუციური ეფექტიანობის გაზრდის მექანიზმებს. ამგვარი ზომების სიას მიეკუთვნება:

- ახალი საერთაშორისო და რეგიონული რეალობის გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვის სამხედრო და პოლიტიკური მიზნების თაობაზე ფართო საზოგადოებრივი დისკუსიების გამართვა და ამ მიზნების გარშემო პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა;
- შესაბამისი საჭირო საბრძოლო შესაძლებლობების განსაზღვრა და თავდაცვის მიზნებიდან გამომდინარე, თავდაცვის გეგმების შემუშავება მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივისთვის, მათ შორის, უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით;
- თავდაცვის გეგმების უზრუნველყოფა შესაბამისი რესურსებითა და ფინანსებით, მათ შორის, თავდაცვის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდა;
- იმ ფაქტორების პოლიტიკურ განეიტრალებაზე მუშაობა, მათ შორის პარტნიორ ქვეყნებთან ერთად, რომლებიც შეიძლება პოტენციურ საბაბად იქნეს გამოყენებული რუსული მხარის მიერ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო კონფრონტაციის გასაახლებლად.

ხსენებული რეკომენდაციების განხორციელება უფრო მეტად უპასუხებს რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეებს. არსებული მიდგომები საჭიროა საქართველოს მოქალაქეების კონსოლიდაციის შედეგად ქვეყნის გარე საფრთხეებისაგან დაცულობის მაქსიმალური უზრუნველყოფისათვის.

3. რუსეთიდან მომდინარე სამხედრო საფრთხეები: კონფლიქტური ზონები და რეგიონული განზომილება

21-ე საუკუნის დასაწყისში დასავლურ ცნობიერებაში უკვე ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული თითქმის რელიგიურ რწმენად ქცეულ მოსაზრებას, რომ წარმოუდგენელია ევროპის კონტინენტზე სახელმწიფოთაშორისი სამხედრო კონფრონტაცია. ამ კონტინენტის ყველა ქვეყანას, გამონაკლისის გარეშე, მიიჩნევდნენ პოტენციურ პარტნიორებად, რომლებისგანაც არ იყო მოსალოდნელი რეალური სამხედრო საფრთხეები. მათ შორის მოიაზრებოდა რუსეთი, მზარდი ავტორიტატული რეჟიმის ქვეყანა, რომელიც სარგებლობს რა თავისი მოქალაქეების მკვეთრად ნეოიმპერიალისტური განწყობითა და საბჭოთა მენტალიტეტით, საკუთარ წარუმატებლობას ოსტატურად აბრალებს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას (ნატო) და დასავლეთს და ამ გზით ცდილობს მათთან ოპონირებას.

რუსების აბსოლუტური უმრავლესობა ძალიან გაანაწყენა ზესახელმწიფოს სტატუსის დაკარგვამ და დღემდე ვერ ეგუება ამ ფაქტს. ამიტომ დიდად გასაკვირი არ უნდა იყოს პუტინის განცხადება, რომ საბჭოთა კავშირის რღვევა იყო მე-20 საუკუნის გეოპოლიტიკური კატასტროფა. ასევე, გასაგები ხდება ძალისმიერი მცდელობა, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთის ძველი გავლენის სფეროების აღდგენას ახალი ტიპის კავშირის შექმნით, რომელსაც ამ ეტაპზე "ევრაზიული კავშირი" ეწოდება. კორუფციის ალაგმვის, მდგრადი ეკონომიკური განვითარების და წინსვლის უზრუნველყოფის

უუნარობა რეჟიმს უტოვებს ერთადერთ არჩევანს, რომ ქვეყნის წარუმატებლობის კომპენსირება მოახდინოს საგარეო ურთიერთობებთან დაკავშირებული "მიღწევებით".

ამ მხრივ ყველაზე დიდი დივიდენდები მას შეიძლება მოუტანოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში რუსეთის მიერ მიღწეული რეალური ან არარეალური დიპლომატიური და სამხედრო წარმატებებით საზოგადოებრივი წარმოსახვის კვებამ, რაც ხალხს უქმნის იმის შეგრძნებას, რომ იმპერიის ყოფილ ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენა და ამგვარად ზესახელმწიფოს სტატუსის დაბრუნება ძალიან ახლოა. რუსეთში ქვეყნის დონეზე მიღწეული წარმატების გაზომვისას გაფართოება უფრო წინა პლანზე დგას, ვიდრე განვითარება, რაც განსაკუთრებით იმით არის განპირობებული, რომ ისტორიულად რუსეთი უფრო წარმატებულად ახორციელებდა ექსპანსიას, ვიდრე რეფორმებს.

სამწუხაროდ, 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა რუსეთის სამხედრო აგრესიამ კარგად ვერ გამოაფხიზლა ევროპა და მხოლოდ 2014 წელს რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრისა და ყირიმის ანექსიის შემდეგ შეცვალა ნატო-მ რუსეთის პარტნიორი ქვეყნის სტატუსი და ის პოტენციურ მოწინააღმდეგედ გამოაცხადა. [170]

ამჟამად საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება რუსეთიდან მომდინარე გარკვეული სამხედრო საფრთხეების და გამოწვევების წინაშე დგას, რომლებიც განსხვავდება ალბათობის, ბუნების და ზემოქმედების თვალსაზრისით. წარმოდგენილი დოკუმენტის მიზანია იმ ძირითადი საფრთხეების და გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებსაც რუსეთი უქმნის საქართველოს უსაფრთხოებას, ასევე მათი მახასიათებლების ანალიზი და საქართველოს მთავრობისთვის მათი ეფექტინად მოგვარების მიზნით პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების წარდგენა.

ამ დოკუმენტის პირველ ნაწილში წარმოდგენილია მომდევნო ათწლეულში საქართველოში და მის უახლოეს სამეზობლოში სიტუაციის განვითარებასთან დაკავშირებული ზოგადი პოლიტიკური და სამხედრო ვარაუდები, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე.

მეორე ნაწილი ეთმობა სამი მთავარი ფაქტორის ანალიზს, რომლებიც, ავტორის აზრით, შეიცავს ეროვნული უსაფრთხოების ძირითად რისკებს და რუსეთის მხრიდან შეიძლება დიდი სამხედრო საფრთხეები შეუქმნას საქართველოს. ეს ფაქტორებია:

1) **საქართველოს რეგიონების – აფხაზეთის და ოსეთის ოკუპაცია, იქ განლაგებული რუსეთის ჯარების მზარდი რაოდენობა;**

2) **უსაფრთხოების არასტაბილური გარემო რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში;**

3) **ყარაბაღის კონფლიქტი და სომხეთში განლაგებული რუსეთის ჯარები.**

დოკუმენტის მესამე ნაწილი მოიცავს რუსეთიდან მომავალი ძირითადი საფრთხეების და გამოწვევების მოკლე ნუსხას, რომელთა წინაშე დგას საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება. მოცემულია "რისკების და საფრთხეების მატრიცა", რომელიც შემუშავებულია აქ წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე. მატრიცის მეშვეობით შესაძლებელია ამ ძირითადი საფრთხეების და რისკების გაზომვა ალბათობის, განვითარების დინამიკის, ზემოქმედების მასშტაბის და გაფრთხილების დროის ჭრილში.

დოკუმენტის მეოთხე, დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია მოკლე დასკვნა და რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისთვის ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი რისკების და საფრთხეების ეფექტურად მოგვარების მიზნით პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით.

3.1 პოლიტიკური და სამხედრო ვარაუდები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოს უსაფრთხოების განვითარებაზე

ყოველი ქვეყნის უსაფრთხოების გარემო დამოკიდებულია იმ რეგიონის სტაბილურობაზე, სადაც ის მდებარეობს და იქ დამკვიდრებულ საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რუსეთის გარდა ახლო მეგობრული ურთიერთობები აქვს რეგიონში თავის მეზობლებთან – სომხეთთან, აზერბაიჯანსა და თურქეთთან, იმ აგრესიული პოლიტიკის გამო, რასაც ატარებს რუსეთის ფედერაცია, ნეოიმპერიული ამბიციების მქონე მთავარი ძალა, რომელსაც გააჩნია ყველაზე დიდი ბერკეტი რეგიონში და ისწრაფვის, შეინარჩუნოს და თავის სასარგებლოდ გამოიყენოს აქ მიმდინარე კონფლიქტები, სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის და ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობის პრაქტიკის ნაკლებობაა.

კრემლი ცდილობს, რეგიონის სამივე ქვეყანა – სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო – შეინარჩუნოს თავისი გავლენის სფეროში რეგიონში კონტროლირებადი არასტაბილურობის მეშვეობით. პრაქტიკაში ეს ნიშნავს ბერკეტების მუდმივ გამოყენებას ყარაბაღში, აზერბაიჯანსა და საქართველოს ორ რეგიონში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე კონფლიქტების მოგვარების შეფერხებისა და ზოგჯერ მათი ესკალაციის გზით.

მოსკოვი განიხილავს ნებისმიერ პოლიტიკას, საერთაშორისო ორგანიზაციას ან ძალისხმევას, რომელიც აძლიერებს სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, როგორც გამოწვევას იმ რეგიონზე განხორციელებულ ექსკლუზიურ კონტროლთან მიმართებაში, რომელსაც ის მიიჩნევს თავის "სამხრეთულ შემოგარენად". აქედან გამომდინარე, რეგიონში არა მხოლოდ ნატო-ს, არამედ ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ჩართულობა ისევე, როგორც სხვა მნიშვნელოვანი ორმხრივი და მრავალმხრივი ძალისხმევა, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს ამ სამი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განვითარებასა და ევროპასთან ინტეგრაციას, კრემლის მიერ აღიქმება, როგორც გამოწვევა და საფრთხეც კი, რომელთა წინაშე დგას მისი ინტერესები.

ასე რომ, მომდევნო ათწლეულის განმავლობაში კრემლი დარჩება სამხრეთ კავკასიაში "ნულოვან-ჯამოვან მოთამაშედ" და აქტიურად განაგრძობს ხისტი და რბილი ძალაუფლების გამოყენებას თავისი კონტროლირებადი არასტაბილურობის დოქტრინის შესაბამისად. ქართული პროდუქციისთვის ბაზრის თანდათან გახსნისა და შესაძლო სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მეშვეობით ბერკეტების გაზრდის ფონზე ის განაგრძობს საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციასა და ანექსიას, სადაც კვლავ ეყოლება განლაგებული მნიშვნელოვანი რაოდენობით წარმოდგენილი სამხედრო ძალები. სულ უფრო მეტი რბილი ძალაუფლების და ხელშესახები ეკონომიკური მოტივაციის გამოყენებით კრემლი ყველანაირად შეეცდება, დაარწმუნოს ქართული მხარე, რომ ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემებთან დაკავშირებული დისკუსიები მრავალმხრივი ფორმატიდან ორმხრივ ფორმატში გადაიტანოს და ამით განმუხტოს საერთაშორისო ზეწოლა მოსკოვზე.

რუსეთი ასევე გაგრძელებს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის გამალებული შეიარაღების გაღვივებას, შეაფერხებს ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებას და, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება ხელიც კი შეუწყოს მის ესკალაციას. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოსკოვსა და თურქეთს შორის ბოლოდროინდელი დაძაბულობა სრულ კონფრონტაციაში გადაიზარდოს და ამ შემთხვევაშიც კი, იმისი ალბათობა ნაკლებია, რომ კონფრონტაცია საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელდეს.

საქართველო გააგრძელებს დემოკრატიულ განვითარებას და ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციას. თანდათან გაღრმავდება ორმხრივი თანამშრომლობა აშშ-სთან ისევე, როგორც ნატო-სა და ევროკავშირის ქვეყნებთან. ამ პროცესების შედეგად ის მიიღებს დასავლეთის მხრიდან მზარდ პოლიტიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას მომდევნო ათწლეულის განმავლობაში. ნაკლებად სავარაუდოა, რომ თბილისის რიტორიკა რუსეთის მიმართ ისეთი აგრესიული გახდეს, რომ გამოიწვიოს სხვა ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია, განსაკუთრებით უკრაინაში განხორციელებული სამხედრო ინტერვენციის შემდეგ რუსეთისადმი ნდობის რღვევის ფონზე. მიუხედავად ამისა,

მოსკოვი და მისი სეპარატისტი რწმუნებულები გააგრძელებენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ასევე საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ეთნიკური ქართველების შევიწროვებას.

ნატო და ორმხრივი დახმარების პროგრამები კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საქართველოს სამხედრო ძალების გაძლიერებას, მაგრამ ეკონომიკური სირთულეების ფონზე, სავარაუდოდ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თავდაცვის სამინისტრო კვლავ არასაკმარის დაფინანსებას მიიღებს. ეს ხელს შეუშლის თავდაცვის შესაძლებლობების სწრაფ განვითარებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია რუსული აგრესიისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოსთვის სამხედრო ტექნიკის მიყიდვაზე თანდათან მოიხსნება დასავლეთის შეზღუდვები მომდევნო ათწლეულის განმავლობაში.

საქართველოს ორმხრივი მეგობრული ურთიერთობები სომხეთთან, აზერბაიჯანსა და თურქეთთან შენარჩუნდება და, შესაძლოა, კიდევ უფრო მჭიდრო გახდეს მომდევნო ათწლეულის განმავლობაში. ამ ორმხრივი, განსაკუთრებით სომხეთთან, ურთიერთობების დაძაბვის ძირითადი პოტენციური რისკი უკავშირდება ყარაბაღის კონფლიქტის შესაძლო გამწვავებას. მიუხედავად იმისა, რომ ბაქოს და ერევანს არ გააჩნიათ ილუზიები იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვს სურს ყარაბაღის პრობლემის შენარჩუნება, რაც მათ უარყოფითად განაწყობს ომის დაწყებასთან მიმართებაში, არსებობს რისკი, რომ ამ ორ ქვეყანას შორის დაძაბულობა შეიძლება გადაიზარდოს დიდ სამხედრო დაპირისპირებაში. თუ ყარაბაღში ომი გაღვივდება, როდესაც ერევნის მთელი ყურადღება და ძალისხმევა მასზე იქნება კონცენტრირებული, ეს საშუალებას მისცემს რუსეთს, რომ ეთნიკური სომხებით დასახლებულ ჯავახეთის რეგიონში გააღვივოს კონფლიქტი და რუსეთის მოქალაქეების უფლებების დაცვის საბაბით განახორციელოს შეზღუდული სამხედრო ინტერვენცია.

ჩრდილოეთ კავკასიაში ცუდი მმართველობის და სერიოზული ეკონომიკური პრობლემების და ჯიჰადისტურად განწყობილი სალაფიზმის მზარდი პოპულარობის გამო შენარჩუნდება არასტაბილური სიტუაცია. რამდენადაც ISIS (ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფო) იმყარებს თავის პოზიციებს რეგიონში, მოსალოდნელია ტერორისტული აქტივობების და დაძაბულობის გაზრდა. ეს არასტაბილურობა შეიძლება გასცდეს სამხრეთ კავკასიის საზღვრებს და, როგორც ადრე, გამოყენებული იქნას რუსეთის მხრიდან, რომ გაამართლოს აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში შეზღუდული სამხედრო ინტერვენციის განხორციელება.

ამჟამად ის ფაქტი, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი მხარდაჭერის ბაზა საქართველოში, ამცირებს ამ ქვეყანაში საერთაშორისო ტერორისტული საქმიანობის რისკს, მაგრამ ISIS-ის ერთეულებში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობის ზრდის ფონზე ტერორისტული აქტების ალბათობა ასევე თანდათან გაიზრდება იქამდე, ვიდრე საერთაშორისო საზოგადოება არ გააძლიერებს თავისი ძალისხმევას და მიაღწევს რეალურ პროგრესს ISIS-ისწინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე არ უნდა გამოირიცხოს რუსეთის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ტერორისტული აქტების განხორციელება საქართველოში, რაც, სავარაუდოდ, გამოიწვევს საქართველოს ყურადღების გადატანას მიმდინარე რუსული ოკუპაციიდან, არსებითად შეამცირებს რუსეთზე საერთაშორისო ზეწოლას და მოსკოვს გაუადვილებს რეგიონში თავისი ნეოიმპერიალისტური პოლიტიკის განხორციელებას.

3.2 სამი ძირითადი ფაქტორი, როგორც რუსეთის მხრიდან მომდინარე სამხედრო საფრთხეების შექმნის პოტენციური წყარო

საქართველოს რეგიონების – აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მიმდინარე ოკუპაცია და მნიშვნელოვანი რაოდენობით წარმოდგენილი რუსეთის სამხედრო ძალები

2008 წლიდან მოყოლებული, რუსეთი ახორციელებს საქართველოს რეგიონების – აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციას, რომლებიც სუვერენული ქვეყნის ტერიტორიის თითქმის 20%-ს წარმოადგენს. 2008 წლის 26 აგვისტოს პრეზიდენტმა მედვედევმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას,

რომლის მიხედვით რუსეთი ამ ორი სეპარატისტული ანკლავს – აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონის) დამოუკიდებლობას ცნობს[171].

აფხაზეთის რეგიონში რუსული სამხედრო ჯარების განთავსებას ხანგრძლივი ისტორია აქვს და ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქას უკავშირდება. აფხაზეთში, განსაკუთრებით გუდაუთის სამხედრო ბაზაზე, განლაგებული რუსეთის ჯარები ხელს უწყობდა აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას და უზრუნველყოფდა სამხედრო მხარდაჭერით, წვრთნებით და ტექნიკით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს 1990-იან წლებში. დსთ-ს სამშვიდობოებს წარმოადგენდნენ მხოლოდ რუსი სამხედროები, რომელთა დისლოცირება მოხდა აფხაზეთში 1994 წელს რუსეთის შუამდგომლობით ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ. რუსული სამხედრო კონტინგენტი სამშვიდობო სტატუსს ინარჩუნებდა 2008 წლის რუსეთის აგრესიის განხორციელებამდე.

მნიშვნელოვანი რაოდენობით რუსული სამხედრო ძალები პირველად განთავსდა სამხრეთ ოსეთის რეგიონში 1990-იანი წლების პირველ ნახევარში. აფხაზეთის კონფლიქტისგან განსხვავებით, სადაც ქართული მხარე საომარ მოქმედებებში დამარცხდა, 1991-92 წლების ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგები ბუნდოვანი იყო და 1992 წელს შერეული სამშვიდობო ძალები რუსეთის მეთაურობით განლაგდნენ რეგიონში, რომლებშიც შედიოდნენ ცალკეული ქართული, ოსური და რუსული ბატალიონები. რუსულ ჯარებს სამშვიდობო მანდატი ჩამოერთვათ ასევე 2008 წელს რუსეთის აგრესიის განხორციელებისთანავე.

2009 წლის 15 სექტემბერს, მოსკოვის მიერ ორი სეპარატისტული ანკლავის ოფიციალურად აღიარებიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, სეპარატისტებმა და რუსეთის ფედერაციამ ხელი მოაწერეს ორმხრივ სამხედრო ხელშეკრულებებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში რუსეთის სამხედრო ნაწილების განთავსების ვადებისა და პირობების შესახებ. ეს ხელშეკრულებები, რომლებიც უკანონოდ და ბათილად ცნო საერთაშორისო საზოგადოებამ, დაიდო 49 წლის ვადით და მათ თანახმად რუსეთს შეეძლო განელაგებინა სამხედრო ბაზები სეპარატისტულ ანკლავებში, რომლის შტაბები განთავსდებოდა აფხაზეთის რეგიონში სამარცხვინო რეპუტაციის მქონე გუდაუთის სამხედრო ბაზაზე და სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალში "რუსეთმა სეპარატისტულ რეგიონებთან სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმებები გააფორმა"[172] .

მხარეებს შორის გაფორმებული წინა ხელშეკრულებების თანახმად, ორივე არაღიარებულ ტერიტორიაზე რუსეთს ასევე ჰყავს განთავსებული სასაზღვრო ნაწილები და აკისრია ორივე რეგიონის საჰაერო სივრცის და ასევე ე.წ. აფხაზეთის ტერიტორიული წყლების დასაცავად დახმარების გაწევის ვალდებულება.

სხვადასხვა ანგარიშზე დაყრდნობით, რუსეთმა დაახლოებით ნახევარი მილიარდი დოლარი დახარჯა აფხაზეთში სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და რემონტზე, რომელიც გათვლილია დაახლოებით 10 000 სამხედროზე; ეს ინფრასტრუქტურა მოიცავს სამხედრო აეროპორტს გუდაუთაში, სადაც რამდენიმე რუსული Su-27 და Mig-29 მოიერიშე თვითმფრინავია განლაგებული და მცირე საზღვაო პორტს ოჩამჩირეში, რომელიც ოკუპაციის ხაზთან ახლოს მდებარეობს, სადაც დაახლოებით 8 საზღვაო საპატრულო კატარღაა განთავსებული.[173]

რუსული წყაროების მიხედვით, აფხაზეთში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზებისთვის გადაცემული სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება მოიცავს: 41 T-90A ტიპის ტანკს; 150-ზე მეტ BTR-80 ჯავშანტრანსპორტიორს; ორ ბატალიონ 152-მმ-იან თვითმავალ 2S3 Acacia ჰაუბიცას; ერთ ბატალიონ 122 მმ-იან BM-21 Grad-ისზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემებს; Osa-AKM, 3SU-23-4 Shilka და 2S6M Tunguska საზენიტო-სარაკეტო სისტემებს და რამდენიმე S-300PS "ზედაპირი-ჰაერის" (საზენიტო) სარაკეტო სისტემას[174] .

მიუხედავად იმისა, რომ შთამბეჭდავია აფხაზეთში განლაგებული რუსული ჯარების რაოდენობა და ინფრასტრუქტურა, თბილისი უფრო მეტად დაუცველია სამხრეთ ოსეთის რეგიონში დისლოცირებული რუსი სამხედრო კონტინგენტისგან, რომელსაც საქართველოს დედაქალაქიდან მხოლოდ 40 კმ და ქვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილების დამაკავშირებელი მთავარი გზატკეცილიდან რამდენიმე კილომეტრი აშორებს.

რეგიონში დისლოცირებული რუსეთის ჯარების შეიარაღება მოიცავს: 41 T-72B (M) საბრძოლო ტანკს, 150-ზე მეტ BMP-2 ქვეითთა საბრძოლო მანქანას/ჯავშანტრანსპორტიორს, ორ ბატალიონ 152 მმ-იან 2S3 Acacia თვითმავალ ჰაუბიცას, ერთ ბატალიონ 122 მმ-იან BM-21 Grad-ის ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემებს, Buk-M1 და 2S6M Tunguska საზენიტოსისტემებს "ტოჩკა" მოკლე რადიუსზე მოქმედ ტაქტიკურ ბალისტიკურ რაკეტებს და "სმერჩის" მძიმე ზალპური ცეცხლის რეაქტიულ დანადგარს.[175]

ქართული მხარის უხეში შეფასებით, რუსეთს აფხაზეთში შეყვანილი ჰყავს დაახლოებით 4 000 ჯარისკაცი და 1 300 მესაზღვრე და დაახლოებით 4 000 ჯარისკაცი და 1 200 მესაზღვრე – სამხრეთ ოსეთის რეგიონში.[176]

ცოტა ხნის წინ რუსეთმა ხელი მოაწერა ე.წ. "მოკავშირეობა და ინტეგრაცია[177]" ხელშეკრულებებს ორივე სეპარატისტულ რეჟიმთან. აფხაზეთთან 2014 წლის 24 ნოემბერს და სამხრეთ ოსეთთან – 2015 წლის 18 მარტს. ეს ხელშეკრულებები ხელს უწყობს ორივე სეპარატისტული ანკლავის რუსეთის ფედერაციასთან შემდგომ ინტეგრაციას და საერთაშორისოდ აღიარებულია, როგორც რუსეთის მხრიდან მათი ანექსიის დაჩქარების ინტენსიური მცდელობა.

ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებები არღვევს საერთაშორისო სამართალს და ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით და მისი განხორციელების ზომების შესახებ 2008 წლის 8 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს.

აფხაზეთთან გაფორმებული ე.წ. "მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება" იძლევა კოლექტიური თავდაცვის გარანტიებს და განსაზღვრავს სამხედრო ძალების ერთობლივ ჯგუფს რუსეთის მეთაურობით, ასევე ქმნის საგარეო პოლიტიკის კოორდინაციის და საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის შექმნის საფუძველს. ამ ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი ასევე იღებს აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო საზღვრის დაცვის ვალდებულებას.

აფხაზეთის მხარის მიერ მისი სწრაფად განხორციელების სტიმულირებისთვის ხელშეკრულება ითვალისწინებს აფხაზეთის საჯარო მოხელეების, არმიის და პოლიციის ძალების ხელფასების მნიშვნელოვან ზრდას ისევე, როგორც პენსიის მომატებას რუსეთის ფედერაციის სამხრეთ რეგიონებში. ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ პუტინი მათ დაპირდა დამატებით ფინანსურ მხარდაჭერას ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად და ასევე აფხაზეთისთვის თანხის გამოყოფას მომდევნო სამი წლის განმავლობაში ახალი საინვესტიციო პროგრამის განხორციელების მეშვეობით, რომლის წლიური დაფინანსება შეადგენდა დაახლოებით 90 მილიონ აშშ დოლარს. "შეთანხმების გაფორმების შემდეგ პუტინი სოხუმს 2015 წელს 200 მლნ აშშ დოლარზე მეტს დაპირდა[178]"

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან გაფორმებული მსგავსი ხელშეკრულება – "მოკავშირეობა და ინტეგრაცია" კიდევ უფრო შორს მიდის. თავდაცვის და უსაფრთხოების საერთო სივრცის შექმნის და რუსებისთვის ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრების დაცვის ვალდებულების ეფექტურად დაკისრების გარდა, ის ასევე ითვალისწინებს სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალებზე, უსაფრთხოების ორგანოებსა და ეკონომიკაზე კონტროლის რუსეთისთვის გადაცემას, საბაჟო ორგანოების ინტეგრაციას და მხარეებს შორის საზღვრის გაუქმებას. გასული წლის თებერვალში დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბასთანთან შეხვედრის შემდეგ ვლადისლავ სურკოვმა, ვლადიმერ პუტინის თანაშემწემ საქართველოს ორ სეპარატისტულ რეგიონთან ურთიერთობების საკითხებში თამამად განაცხადა, რომ რუსეთსა და აფხაზეთს შორის საზღვარი ასევე უნდა გაუქმდეს[179].

მოსკოვმა პირობა დადო, რომ 2016 წელს გამოყოფს 1 მილიარდ რუბლს (16 მილიონი აშშ დოლარი) სამხრეთ ოსეთთან გაფორმებული "მოკავშირეობის და ინტეგრაცის შესახებ ხელშეკრულების" განხორციელების მიზნით. დამატებით 9 მილიარდ რუბლს (147 მლნ აშშ დოლარი) მიიღებს ცხინვალი, როგორც განვითარების ხელშეწყობისთვის გამიზნულ დახმარებას 2015- 2017წლებში[180].

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მნიშვნელოვანი რაოდენობით წარმოდგენილი რუსეთის სამხედრო ძალები ნათლად ცხადყოფს მოსკოვის განზრახვას, რომ ეს ტერიტორიები მუდმივი მკაცრი კონტროლის ქვეშ ჰყავდეს და თუ მიზანშეწონილად მიიჩნევს, მათი სრულად ანექსირება მოახდინოს შესაძლებლობის შემთხვევაში. გასაკვირი არ არის, რომ ამ ტერიტორიების ოკუპაციის მეშვეობით კრემლი ხელში იღებს ბერკეტებს საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან მიმართებაში და მნიშვნელოვნად ართულებს ამ ქვეყნის სრულ ინტეგრაციას ნატო-სა და ევროკავშირში.

ანექსიის პროცესის ტემპი სწრაფად იზრდება და უფრო ხშირად ხდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკური ქართული მოსახლეობის ძირითადი უფლებების სერიოზული დარღვევები. გასულ წელს, მას შემდეგ, რაც ძალადობრივი გზით გადააყენეს აფხაზეთის მთავრობა და სეპარატისტული რესპუბლიკის დე ფაქტო პრეზიდენტად აირჩიეს რუსეთის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი რაულ ხაჯიმბა, იქ მცხოვრებ ბევრ ეთნიკურ ქართველს ჩამოერთვა აფხაზეთის მოქალაქეობა, რომელიც მათ არა მხოლოდ ხმის მიცემის, არამედ საკუთარი ქონების, ბიზნესის წამოწყების, უნივერსიტეტში სწავლის, ჯანდაცვის მომსახურებით სარგებლობის და საოკუპაციო ხაზზე გადაადგილების უფლებას აძლევდა. ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეეცვალა სწავლების ენა გალის რაიონის (ქართული ეთნიკური ანკლავი აფხაზეთის რეგიონში) სკოლებში და სწავლება ქართულის ნაცვლად რუსულ ენაზე წარმართულიყო.[181]

სამხრეთ ოსეთის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური ქართული მოსახლეობა ასევე აწყდება სირთულეებს, მათ შორის სახელმწიფო ენაზე განათლების მიღებასთან, სამხრეთ ოსეთის რეგიონში და საოკუპაციო ხაზზე გადაადგილებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. ასევე იზრდება ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დაკავებულ სამხრეთ ოსეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ქართველების რაოდენობა.

ყველა ეს ფაქტი იმას ცხადყოფს, რომ რუსეთი სულ უფრო მეტად უკომპრომისო ხდება საქართველოს მთავრობის მიერ მის მიმართ შემრიგებლური პოზიციის მიუხედავად. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მოსკოვს სურს, განაგრძოს თავისი ხისტი ძალაუფლების გამოყენება და მუდმივად გამოიწვიოს ვითარების ესკალაცია, რათა აიძულოს თბილისი, რომ იმოქმედოს მისი რეგულაციების შესაბამისად და უარი თქვას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მისწრაფებებზე.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მნიშვნელოვანი რაოდენობით წარმოდგენილი რუსეთის სამხედრო ძალების ყოფნას არა მარტო ზოგადად მადესტაბილიზებელი ზეგავლენა აქვს ქვეყანაზე და ხელსაყრელ გარემოს ქმნის იქ მაცხოვრებელი ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ძირითადი უფლებების ხშირი დარღვევებისთვის, არამედ ზრდის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე რუსეთის მხარდაჭერით მცირემასშტაბიანი აგრესიული ქმედებების განხორციელების რისკს.

3.3 უსაფრთხოების არასტაბილური გარემო რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში

ამ დოკუმენტის მიზნებისთვის გეოგრაფიული ტერმინი "ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონი" ძირითადად გაიგივებულია ქრისტიანული ჩრდილოეთ ოსეთის – ალანიის რესპუბლიკასა და ხუთი ძირითადად სუნიტი მუსულმანების – ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ინგუშეთის, ჩეჩნეთის და დაღესტნის რესპუბლიკებთან.

რუსეთის იმპერიის მიერ მე-19 საუკუნეში დაპყრობილი რეგიონი დასახლებულია რამდენიმე ათეული სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხით და რუსები ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ ზემოთნახსენებ ექვს რესპუბლიკაში. მე-19 საუკუნის მოგონებები თითქმის ნახევარსაუკუნოვანი

ხანგრძლივი სისხლისმღვრელი კავკასიის ომის (1817-1864) შედეგად რუსეთის იმპერიის მიერ ჩრდილოკავკასიელი ხალხების იძულებით დამორჩილებასთან დაკავშირებით, რასაც მოჰყვა რამდენიმე ასეული ათასი ადგილობრივი მუსულმანის იძულებითი გადასახლება ოსმალეთის იმპერიასა და სპარსეთში, სრულად არ გამქრალა. სტალინის ბრძანებით ჩეჩენი, ინგუში, ბალყარი და ყარაჩაელი ხალხების 1944 წლის მასობრივმა დეპორტაციამ ცენტრალურ აზიაში (მთლიანად 700 000-ზე მეტი ადამიანი, რომელთაგან ბევრი დაიღუპა გზაში)[182] გაზარდა მხოლოდ მათი წყენა და უკმაყოფილება მოსკოვთან მიმართებაში და როგორც კი საბჭოთა კავშირმა დაიწყო დაშლა, ჩეჩნებმა, ჩრდილოეთ კავკასიაში ერთ-ერთმა ყველაზე დათრგუნულმა ეთნიკურმა ჯგუფმა, პრეზიდენტ ჯოჰარ დუდაევის მეთაურობით ისარგებლეს შესაძლებლობით და დამოუკიდებლობა გამოაცხადეს 1991 წელს.

რადგან მოსკოვი ვერ ეგუებოდა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობას, იმ დროიდან მოყოლებული, ჩრდილოეთ კავკასიაში უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარება დაიძაბა. რუსეთმა ორი სისხლიანი ომი გამართა ჩეჩნეთის წინააღმდეგ, რომელთაგან პირველი წააგო (1994-1996 წწ.) და მეორე მოიგო (1999-2009 წწ.). ამ ომების მსხვერპლთა რაოდენობა მერყეობს ათეულობით ათასიდან ასეულობით ათასამდე, რომელთაგან უმრავლესობას მშვიდობიანი მოქალაქეები წარმოადგენდნენ[183]. პირველმა ომმა გაანადგურა ჩეჩნეთის ისედაც დასუსტებული ეკონომიკა და მნიშვნელოვნად შეასუსტა მეამბოხე რესპუბლიკის მთავრობის კონტროლი თავის ტერიტორიაზე.

ჩეჩნეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკებში რუსეთის მიერ განხორციელებული ოპერაციების დროს დიდი როდენობით დაღუპულმა მშვიდობიანმა მოქალაქეებმა[184] და რუსეთის სამხედრო ძალებისა და სამართალდამცავი სამსახურების მიერ გამოჩენილმა სისასტიკემ რადიკალური იდეოლოგიის და ტერორიზმის გავრცელებისთვის ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა. 1990-იან წლებში რუსეთში ზოგადი ეკონომიკური ვარდნა გავრცელდა ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში და გამოიწვია მაღალი ინფლაცია და უმუშევრობა, რამაც კიდევ უფრო გაართულა სიტუაცია და მნიშვნელოვნად გააუარესა ცხოვრების დონე მთელ რეგიონში.

ზოგადი განუკითხაობისა და ყოვლისმომცველი კორუფციის გარემოში კრიმინალური საქმიანობის ალტერნატიულ შესაძლებლობათა ღირებულება მკვეთრად შემცირდა და ახალგაზრდა თაობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაკარგა სახელმწიფოს რწმენა. ეს ყველაფერი ხელს უწყობდა ჯიჰადისტურად განწყობილი სალაფიზმის, სუნიტური ისლამის რადიკალური მიმდინარეობის მზარდ პოპულარობას, რომელიც სასოწარკვეთილ ახალგაზრდობას სთავაზობდა თანასწორობას შარიათის კანონის თანახმად, უსამართლო ხელისუფლებისადმი ანგარიშსწორების შესაძლებლობას, ფულს, იარაღს და უქმნიდა საკუთარ თავზე დიდ წარმოდგენას.

მეორე მხრივ, პუტინის პოლიტიკამ ცხადყო, რომ ჩრდილოეთ კავკასიის პრობლემის მოსაგვარებლად ის ამჯობინებდა უხეში ძალის და ეკონომიკური დახმარების კომბინაციის გამოყენებას, რომლის ნახევარი კორუმპირებული ჩინოვნიკების ჯიბეებში მიდიოდა. მოსკოვში განაგრძობდა ამ რესპუბლიკების ბიუჯეტის 50%-ზე მეტით სუბსიდირებას, რომელმაც გადაწყვიტა, რეგიონში დაენიშნა გარკვეული მნიშვნელოვანი თანამდებობის პირები და მხარი დაეჭირა ავტოკრატული ლიდერებისთვის, რომლებიც კრემლს ემორჩილებოდნენ და რომლებსაც ირჩევდა არა მათი მოსახლეობა, არამედ ადგილობრივი პარლამენტი იმ პროცესის მეშვეობით, რომლის მანიპულირება ძალიან რთული არ იყო.

კრემლის დიდმა მხარდაჭერამ კორუმპირებული ავტოკრატებისადმი, რომლებსაც აკლიათ დემოკრატიული ლეგიტიმურობა და სხვადასხვა კლანთან ერთად არ ერთხელ მიითვისეს და გაფლანგეს საბიუჯეტო სახსრები, რუსეთის დემონიზაცია მოახდინა ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის თვალში. ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის უფლებების ხშირმა და უხეშმა დარღვევებმა და მათდამი რუსეთის სლავური მოსახლეობის ქსენოფობიურმა დამოკიდებულებამ ისინი აქცია მეორეხარისხოვან მოქალაქეებად და კიდევ უფრო უარყოფითად განაწყო რუსული სახელმწიფოს მიმართ.

ყველა ამ უკმაყოფილებამ და წყენამ ფეთქებადი სიტუაცია შექმნა. დაგროვილმა აღშფოთებამ და უიმედობის გრძნობამ მოსახლეობის ნაწილი აიძულა, რომ დაეწყოთ უკეთესი ცხოვრებისკენ მიმავალი მოკლე გზის ძებნა. ზოგიერთმა მათგანმა გადაწყვიტა, შეერთებოდა ტერორისტულ ორგანიზაციებს, როგორიცაა კავკასიის საემირო (კავკაზ იმარატი), რომელმაც პირობა დადო, რომ ჩრდილოეთ კავკასიას რუსებისგან გაწმენდდა და რეგიონში ისლამურ სახელმწიფოს შექმნიდა შარიათის კანონის საფუძველზე. მისი პირველი თვითმარქვია ლიდერი იყო დოკუ უმაროვი, ჩეჩნეთის ყოფილი პრეზიდენტი, რომლის ეტაპობრივი აღმავლობა ხელისუფლებაში მოხდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა მოკლა ჩეჩნეთის ორი სეკულარული პრეზიდენტი - ჯოჰარ დუდაევი და ასლან მასხადოვი. მან გააუქმა ჩეჩნეთის რესპუბლიკა და 2007 წლის ოქტომბერში დააარსა კავკასიის საემირო, ალ-ქაიდას ოფიციალური ფილიალი[185]. საამირომ პასუხისმგებლობა აიღო რუსეთში მომხდარ ყველაზე დაუნდობელ ტერაქტებზე, რომლებიც მოიცავს: მოსკოვის მეტროს დაბომბვებს 2010 წელს, დომოდედოვოს აეროპორტში მომხდარ აფეთქებას 2011 წელს, მახაჩკალაში თვითმკვლელი ტერორისტების აფეთქებებს 2012 წელს, ვოლგოგრადში თვითმკვლელი ტერორისტების აფეთქებების 2013 წელს და გროზნოში შეტაკებებს 2014 წელს[186].

”კავკაზკი უზელ“[187]-ის მიხედვით რუსულმა ონლაინ საინფორმაციო საიტმა ჩრდილოეთ კავკასიაში (მათ შორის სტავროპოლის რეგიონში) შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა სტატისტიკური მონაცემების გენერირება მოახდინა; ბოლო წლების განმავლობაში მსხვერპლთა საერთო რაოდენობა მცირდება: 2011 წ. – 1378 ადამიანი, 2012 წ. – 1225 ადამიანი, 2013 წ. – 986 ადამიანი, 2014 წ. – 525 ადამიანი. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შემცირების ტენდენცია გამოწვეულია რუსეთის მიერ წარმატებით განხორციელებული ანტიტერორისტული ოპერაციების განხორციელებით, რომელთა შედეგად მოხდა კავკასიის საემიროს რამდენიმე ლიდერის და ზოგიერთი ცნობილი მეთაურის, ასევე ISIS-ს და კავკასიის საემიროს შორის კონკურენციის ნეიტრალიზაცია[188].

2015 წელს კავკასიის საემირო რამდენიმე მეთაურმა დატოვა. 2015 წლის 23 ივნისს ISIS-მა ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნა ახალი გუბერნია ე.წ. ”ვილაიათ კავკაზი“[189] და რადგან საემიროს ტერორისტთა დაჯგუფებების ლიდერებმა ერთგულება აღუთქვეს ISIS[190]-ს, როგორც ჩანს, კონკურენცია მალე დასრულდება და დაჯგუფებები ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანდება, რომელმაც დაქვემდებარებული ერთეულებით გაფართოების შემდეგ შეიძლება განაგრძოს აგრესიული აქტივობების განხორციელება.

მიუხედავად იმისა, რომ რუსული სახელმწიფო თეორიულად აღიარებულია, როგორც გამართლებული ბოროტება, რომელიც გარკვეულწილად უზრუნველყოფს სამართლიანობასა და წესრიგს, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის დიდი ნაწილი თვლის, რომ დღესდღეობით რუსეთი, რომელიც ხელს უწყობს უსამართლობას და არეულობას, წარმოადგენს ბოროტებას და ზედმეტია. ტოტალიტარული მმართველობის ფორმა, რომელიც რამზან კადიროვმა შემოიღო ჩეჩნეთში და პირადად პუტინი უჭერს მხარს, სტალინურ რეჟიმს მოგვაგონებს. ასეთი რეჟიმი, რომელიც შერწყმულია იდიოსინკრეზულ და განსხვავებულ ისლამისტურ ელემენტთან, რეგიონის მოსახლეობაში შიშს თესავს და უფრო უარყოფითად განაწყობს მათ რუსული სახელმწიფოს მიმართ.

რადგან ჩრდილოეთ კავკასიაში არასტაბილურობის და ტერორიზმის ძირეული მიზეზი მრავლადაა, რთული არ არის იმისი განჭვრეტა, რომ ამ რეგიონში არასტაბილური გარემო შენარჩუნდება გარკვეული დროის მანძილზე. როგორც უახლესმა ისტორიამ აჩვენა, ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტი შეიძლება რუსეთ-საქართველოს საზღვარსაც შეეხოს და ეს კრემლმა გამოიყენოს საზღვრის ქართულ მხარეს მცირემასშტაბანი სამხედრო ოპერაციის დაწყების საბაბად.

3.4 ყარაბაღის კონფლიქტი და სომხეთში განთავსებული რუსეთის სამხედრო ძალები

ამჟამად სომხეთში განთავსებული რუსული შეიარაღებული ძალები დისლოცირებულია გიუმრიში 102-ე სამხედრო ბაზაზე, რომელიც საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვრიდან 50 კილომეტრზე ნაკლები მანძილით არის დაშორებული. ბაზის საავიაციო კომპონენტი განლაგებულია ერებუნის აეროპორტში ერევანში, სომხეთის დედაქალაქში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 1992 წლიდან მოყოლებული, სომხეთის საზღვრებს თურქეთთან და ირანთან რუსეთის ფედერალური სასაზღვრო ჯარები აკონტროლებენ.

1995 წელს გაფორმებული თავდაპირველი ხელშეკრულება რუსეთის სამხედრო ძალების განლაგების შესახებ განახლდა 2010 წელს და სამხედრო ბაზის განლაგების პერიოდი გახანგრძლივდა 2044 წლამდე[191]. ახალი ხელშეკრულების თანახმად, სომხურმა მხარემ აიღო ბაზის ოპერაციული ხარჯების სრულად დაფარვის ვალდებულება და გაათავისუფლა რუსეთი ბაზისთვის გამოყენებული მიწის ქირის გადასახადისგან; რუსეთი კი სომხეთს უნდა დაეხმაროს შეიარაღებული ძალების მოდერნიზებასა და იარაღით მათ აღჭურვაში.

გიუმრის ბაზა რუსეთის ფედერაციის სამხრეთ სამხედრო ოლქის შემადგენლობაში შედის. იქ განლაგებული რუსული სამხედრო კონტინგენტი სახმელეთო და საჰაერო ძალების ჩათვლით 5 000 კაცს მოიცავს. ერებუნის საავიაციო ბაზაზე ბოლო განახლების შემდეგ განთავსებულია ათეულზე მეტი MiG-29 თვითმფრინავ-გამანადგურებელი და, როგორც მოსალოდნელია, ბაზა მალე მიიღებს 18 მოიერიშე თვითმფრინავს და სამხედრო სატრანსპორტო ვერტმფრენს[192].

რუსეთი არ მალავს, რომ ეს განახლება ხელს შეუწყობს გიუმრის სამხედრო ბაზის შეტევითი ოპერაციის განხორციელების შესაძლებლობების ზრდას და უზრუნველყოფს ბაზიდან 500 კილომეტრის რადიუსში საჰაერო-სადესანტო პოლკის განლაგებას. რუსულ მედიაში გაჩნდა სტატიები, სადაც აღწერილი იყო, რომ გიუმრის ბაზა ემზადებოდა "პოტენციური მოწინააღმდეგის ზურგის შტაბზე თავდასხმისთვის" და პოტენციურ მოწინააღმდეგეში საქართველო მოიაზრებოდა.

რუსულ ბაზაზე ასევე განთავსებულია S-300 საჰაერო თავდაცვის სისტემები ისევე, როგორც Tornado-G ზალპური ცეცხლის რეაქტიული დანადგარები და ისკანდერ-მ მოკლე რადიუსზე მოქმედი ბალისტიკური რაკეტები. როგორც რუსეთის მიერ მართული "კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის" (CSTO). კოლექტიურ თავდაცვაზე დაფუძნებული სამხედრო ალიანსის წევრს, სომხეთს რუსეთის სამხედრო მხარდაჭერის იმედი აქვს გარე აგრესიის შემთხვევაში. თუმცა ოფიციალურად ასეთი დახმარება გაეწევა ერევანს იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო აგრესიის ობიექტი არის ტერიტორია სომხეთის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში, რომელსაც არ მიეკუთვნება ყარაბაღის რეგიონი. ამდენად, ბუნდოვანია, რა პოზიციას დაიკავებს რუსეთი მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის გამწვავების შემთხვევაში.

სომხეთის ეჭვებს ამძაფრებს ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანი რუსეთისგან რეგულარულად ყიდულობს დიდი რაოდენობით სამხედრო იარაღს და აღჭურვილობას, მათ შორის, თანამედროვე T-90 საბრძოლო ტანკებს, სხვადასხვა ტიპის ჯავშანტრანსპორტიორებს და არტილერიას, Mi-35 მოიერიშე შვეულმფრენებს, ასევე სავარაუდოდ ხდება S-300PMU 2 მიწა-"ზედაპირი-ჰაერის" საზენიტო სისტემების გადაცემა (SIPRI Armstrade რეესტრი, ინფორმაცია მოძიებულია 2015 წლის 27 ნოემბერს[193]).

მოსკოვი, რომელიც არის ორივე ქვეყნის, სომხეთის და აზერბაიჯანისთვის იარაღის ძირითადი მიმწოდებელი, იარაღის რეგულარული მიყიდვით ხელს უწყობს ორ ქვეყანას შორის მუდმივ დაძაბულობას, ამგვარად ინარჩუნებს მნიშვნელოვან ბერკეტებს ბაქოსა და ერევანთან მიმართებაში და, ამავდროულად, თავადაც კარგად სარგებლოს იარაღის გაყიდვით. შესაბამისად, ბონის საერთაშორისო კონვერსიის ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ყოველწლიური კვლევის – "2014 წლის გლობალური მილიტარიზაციის ინდექსი"[194] მიხედვით, სომხეთი და აზერბაიჯანი მსოფლიოში ყველაზე მილიტარიზებული ქვეყნების ათეულში შედიან.

ბოლო წლების განმავლობაში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაძაბულობა ისევე, როგორც მსხვერპლთა რაოდენობაა იზრდება. 2014 წელს ათობით ადამიანი დაიღუპა ორივე მხარეს[195]. 2014 წლის სისხლიან შეტაკებებს მოჰყვა კონფლიქტის დიდი ესკალაცია გასულ სექტემბერს, როდესაც ორივე ქვეყნის თითქმის მთელი შეიარაღებული ძალები იყო მობილიზებული ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნების ჩასატარებლად.

ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ კონფლიქტის შესაძლო გამწვავების რისკი იზრდება. ასევე, რუსეთი სამხედრო ღონისძიებებს ახორციელებს სომხეთში, მათ შორის პერიოდულ რუსულ და ერთობლივ სამხედრო წვრთნებს "კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის"ფარგლებში. გასულ ივლისში საქართველოში ნატო-ს მიერ ჩატარებული ერთობლივი სამხედრო სწავლების Agile Spirit 2015-ის საპასუხოდ რუსეთმა გიუმრის ბაზაზე ჩაატარა არაგეგმური სამხედრო წვრთნა, რომ ეჩვენებინა სომხეთში განლაგებული თავისი ჯარების ძალა და შეემოწმებინა მათი საბრძოლო მზადყოფნა.

კრემლი ძალიან კმაყოფილი იქნება ქართულ-სომხური ორმხრივი ურთიერთობის გაუარესების შემთხვევაში, რადგან რაც უფრო მეტი დაძაბულობა იქნება სამხრეთ კავკასიის სამ რესპუბლიკას შორის, მით უფრო დიდ ბერკეტებს აამოქმედებს მოსკოვი მათთან მიმართებაში. იმის ფონზე, რომ თურქეთს და აზერბაიჯანს კვლავ ჩაკეტილი აქვთ საზღვრები სომხეთთან, საქართველოს ტერიტორია წარმოადგენს სომხეთისთვის მსოფლიოსთან დამაკავშირებელ მნიშვნელოვან სატრანსპორტო რგოლს და რუსეთიდან იაფი გაზის მიღების ერთადერთ სატრანზიტო მარშრუტს.

სომხეთის ინტერესში ნამდვილად არ არის თავის მეზობელთან ურთიერთობის გაფუჭება. პირიქით, ერევანს სურს თბილისთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება და რეგიონში თვითმარგინალიზაციის თავიდან აცილება. ამ მიზნით ის იყენებს მის ხელთ არსებულ ბერკეტებს, რომ დაამშვიდოს საქართველოში ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები რადიკალურად განწყობილი ეთნიკური სომეხი ლიდერები, რომლებიც თბილისისგან ითხოვენ ავტონომიის გაზრდას[196]. როგორც ჩანს, 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული რუსული სამხედრო აგრესიის დროს ერევანმა შეძლო, მოსკოვი შეეკავებინა სომხეთში განლაგებული შეიარაღებული ძალების საქართველოს წინააღმდეგ გამოყენებისგან, რადგან ოფიციალური ინფორმაციით არ დაფიქსირებულა გიუმრიში განლაგებული რუსული ჯარების ან ავიაციის მიერ საქართველო-სომხეთის საზღვრის გადაკვეთის და ამ ინტერვენციაში ჩართვის ფაქტები[197].

თუმცა რუსეთის ბერკეტები სომხეთთან მიმართებაში არ უნდა დარჩეს სათანადოდ შეუფასებელი. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი სომხეთის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი და ინვესტორია და მასთან შემდგომი ეკონომიკური ინტეგრაცია აშკარად ქვეყნის ინტერესებში შედის, ერევანი იძულებული იყო, რუსულ ზეწოლას დამორჩილებოდა, თავი შეეკავებინა ასოცირების ხელშეკრულებასა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერისგან 2013 წელს და მოგვიანებით ევრაზიულ ეკონომიკურკავშირს შეერთებოდა.

ყველაზე დიდი უპატივცემულობა თავისი უმცროსი მოკავშირის მიმართ მოსკოვმა კიდევ ერთხელ აჩვენა გასულ იანვარს მაშინ, როდესაც თავდაპირველად უარი განაცხადა სომხეთის ქალაქ გიუმრიში ვალერი პერმიაკოვის, რუსეთის სამხედრო მოსამსახურის, სასამართლო პროცესის გამართვაზე, რომელმაც მოკლა სომეხი ოჯახის შვიდი წევრი, მათ შორის ორი ბავშვი. მიუხედავად ამისა, სომხეთის მთავრობის პასუხი იყო თავშეკავებული და პრეზიდენტმა სარქისიანმა უარი განაცხადა ოფიციალური გლოვის დღის გამოცხადებაზე.

რადგან ერთი მხარე მეორესთან შედარებით არ სარგებლობს მკვეთრი სამხედრო უპირატესობით და რუსეთი, რომელიც სომხეთის მოკავშირე და ორივე ქვეყნის მთავარი სამხედრო მიმწოდებელია არ არის დაინტერესებული რომელიმე მხარის გამარჯვებით პოტენციურ ომში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ სომხეთი ან აზერბაიჯანი მოინდომებს ომის დაწყებას. მიუხედავად ამისა, რეალურად არსებობს რისკები, რომ მუდმივად მზარდი დაძაბულობა ფართომასშტაბიან სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზრდება.

თუ ომი მოხდება და მოსკოვი დაავალებს სეპარატისტულ ძალებს, რომ არეულობა გამოიწვიონ ჯავახეთის რეგიონში და მცირემასშტაბიანი რუსული ინტერვენციის განხორციელებას შეუწყონ ხელი, ომში მთლიანად ჩართულმა და კრემლის ზეწოლის ქვეშ მყოფმა სომხეთმა შეიძლება ვერ შეძლოს ან არ მოისურვოს სეპარატისტების შესაკავებლად ღონისძიებების განხორციელება.

4. რუსეთიდან მომდინარე მთავარი სამხედრო რისკებისა და საფრთხეების ჩამონათვალი და მათი მახასიათებლები

ამ დოკუმენტის წინა ნაწილებში წარმოდგენილი დეტალური ანალიზი რუსეთის მიერ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის შექმნილი მთავარი სამხედრო რისკების და საფრთხეების მოკლე ნუსხის შედგენის საშუალებას იძლევა. აღნიშნული ნუსხა ეყრდნობა თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტის შემუშავების მეთოდოლოგიას. ნუსხა მოიცავს: ფართომასშტაბიან სამხედრო აგრესიას, კონკრეტული რეგიონით/ტერიტორიით შემოფარგლულ სამხედრო აგრესიას; მცირემასშტაბიან აგრესიულ ქმედებებს საოკუპაციო ხაზის შიგნით და მის გასწვრივ და ჩრდილოეთ კავკასიიდან ტერორისტული აქტივობების გავრცელებას.

მომდევნო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებზე ამ რისკების და საფრთხეების ზეგავლენის გასაზომად და პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული სწორად გამიზნული, ეფექტური რეკომენდაციების შედგენის გასამარტივებლად შემუშავდა "რისკების და საფრთხეების მატრიცა". ქვემოთ წარმოდგენილი მატრიცის მეშვეობით შესაძლებელია ამ ძირითადი საფრთხეების და რისკების მოცემულ მომენტში ალბათობის, მომავალში გაჩენის ალბათობის ტენდენციის, გაფრთხილების და მომზადების დროის და საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებზე ზეგავლენის გაზომვა.

საფრთხის კატეგორია	**ალბათობა მოცემულ მომენტში**	**ალბათობის ტენდენცია**	**გაფრთხილების და მომზადების დრო**	**ზეგავლენა სასიცოცხლო ინტერესებზე**
ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია	ძალიან დაბალი	ზრდადი	ხანგრძლივი	კატასტროფული
კონკრეტული რეგიონით/ ტერიტორიით შემოფარგლული სამხედრო აგრესია	დაბალი	ზრდადი	მცირე	საშუალო
მცირემასშტაბიანი აგრესიული ქმედებები საოკუპაციო ხაზის შიგნით და მის გასწვრივ	მაღალი	უცვლელი	ძალიან მცირე	საშუალო
ტერორისტული აქტივობების გავრცელება ჩრდილოეთ კავკასიიდან	საშუალო	ზრდადი	მცირე	საშუალო

დასკვნა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კრემლმა, რომელიც უიმედოდ ცდილობდა, შეენარჩუნებინა თავისი გავლენის სფერო პოსტსაბჭოთა სივრცეში, დაიწყო კონტროლირებადი არასტაბილურობის დოქტრინის განხორციელება მის ე.წ. "ახლო საზღვარგარეთში", მათ შორის, სამხრეთ კავკასიაში. ელცინის დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი მთავრობის წარუმატებელმა მცდელობამ, რომ პოსტსაბჭოთა რუსეთი გარდაექმნა დინამიკური ეკონომიკის მქონე კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ სახელმწიფოდ, მოახდინა ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის კონცეფციის დემონიზება რუსების უმრავლესობის თვალში. ამან გამოიწვია შეთქმულების (კონსპირაციული) თეორიების წარმოქმნა, რომელთა უმეტესობა დასავლეთს რუსეთის მტრად წარმოაჩენდა.

დღესდღეობით დასავლეთისადმი რუსული საზოგადოების უარყოფითი განწყობა და ნეოიმპერიული რენესანსის დიდი სურვილი ზურგს უმაგრებს პუტინის ავტოკრატიულ რეჟიმს და ხელს უწყობს უახლოეს სამეზობლოსა და მის ფარგლებს გარეთ აგრესიული პოლიტიკის განხორციელებას.

ყოველივე ზემოხსენებული ცხადყოფს, რომ ახლო მომავალში საქართველოს წინაშე მდგარი რუსეთის სამხედრო საფრთხეები არ გაქრება ან მნიშვნელოვნად არ შემცირდება. ორი ქვეყნის სამხედრო შესაძლებლობებს შორის არსებული დიდი სხვაობა ცხადყოფს, რომ საქართველო ვერ შეძლებს ამ საფრთხეებთან დამოუკიდებლად გამკლავებას.

აგრესიული და გაცილებით უფრო ძლიერი ჩრდილოელი მეზობლის და მისგან მომავალი საფრთხეების განხორციელების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ნატო-ს და ევროკავშირის მეტი ჩართულობა და მხარდაჭერა. საქართველოს მიერ ასეთი მხარდაჭერის მოპოვების და შენარჩუნების მიზნით, მან უნდა აჩვენოს უწყვეტი და შესამჩნევი პროგრესი სიცოცხლისუნარიანი დემოკრატიის განვითარებასა და თავისი, როგორც ფასდაუდებელი მოკავშირის რეპუტაციის გამყარებასთან მიმართებაში. სწრაფი დემოკრატიული გარდაქმნა ასევე გააძლიერებს საქართველოს სახელმწიფოებრიობას და თავდაცვით პოტენციალს, რაც კიდევ უფრო გაუმჯობესებს შიდა და გარე საფრთხეებისა და გამოწვევებისადმი ქვეყნის მდგრადობას.

ბოლო ოცდახუთმა წელმა უჩვენა, მოსკოვი მიდრეკილია იქითკენ, რომ ერთმანეთს დაუპირისპიროს სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები და ამ მხრივ მისი კოზირია სეპარატისტული ანკლავები და "გათიშე და იბატონე" სტრატეგია. ასე რომ, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება რეგიონში მეზობლებთან ორმხრივად მომგებიანი თანამშრომლობის დინამიკის შენარჩუნება, თანამშრომლობის მუდმივად ღია არხებისა და მათი მეშვეობით აქტიური მოძრაობის უზრუნველყოფა.

რეკომენდაციები

ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები მიზნად ისახავს საქართველოს შესაძლებლობების ზრდას და საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობას იმ დონეზე, რაც აუცილებელი იქნება რუსული სამხედრო საფრთხეების ეფექტურად დაძლევისა და პრევენციისთვის. საქართველოს ხელისუფლებამ, ცალკეულ შემთხვევებში აკადემიურ წრეებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და უცხოელ პარტნიორებთან ერთად, უნდა განახორციელოს შემდეგი:

- დააჩქაროს დემოკრატიული ინსტიტუტების და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი, როდესაც განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული სახელმწიფო ინსტიტუტების გარდაქმნაზე, განსაკუთრებით შემდეგი ღონისძიებების განხორციელების მეშვეობით: სასამართლოს დამოუკიდებლობისდა პროფესიონალიზმის გაუმჯობესება, პროკურატურის კიდევ უფრო მეტი დეპოლიტიზაცია, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ახლადშექმნილი სახელმწიფო უშიშროების სამსახურზე მზარდი დემოკრატიული კონტროლი.

- გააგრძელოს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მკაცრი დაცვა, ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებსა და მასთან დაკავშირებულ "ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის" ფორმატში კონსტრუქციული მონაწილეობა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან (EUMM) მჭიდრო თანამშრომლობა და ასევე ყველა საერთაშორისო ფორუმის და ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატის გამოყენება რუსული მხარის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების, საქართველოსთან მიმართებაში საერთაშორისო კანონმდებლობისა და საქართველოს მოქალაქეთა ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით.

- განაგრძოს და დააჩქაროს თავდაცვის რეფორმირების პროცესი, უზრუნველყოს სამხედრო განათლებისა და წვრთნების ღონისძიებებისთვის საკმარისი ფინანსური რესურსების გამოყოფა და ასევე განავითაროს პოტენციური რუსული სამხედრო აგრესიის შესაკავებლად და აღსაკვეთად საჭირო მნიშვნელოვანი თავდაცვითი შესაძლებლობები.

- დააჩქაროს ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ფორმატში, ასოცირების ხელშეკრულების და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესი და ასევე განუმარტოს საქართველოს მოქალაქეებს ნატო-სა და ევრიკავშირთან ინტეგრაციის პროცესის რეალური სარგებელიდა, ხელი შეუწყოს მის განხორციელებას.

- გააუმჯობესოს შეიარაღებული ძალების ნატო-სთან თავსებადობა და განაგრძოს ნატო-ს და ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა და ასევე განიხილოს გაერო-ს ეგიდით საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის საკითხი.

5. ოკუპირებული ტერიტორიები

საბჭოთა პერიოდში ავტონომიები აქტიურად გამოიყენებოდა საქართველოს სსრ ხელისუფლების უკეთ გასაკონტროლებლად. აღნიშნული ფაქტორი განსაკუთრებით აქტუალური საბჭოთა კავშირის – მოდერნიზებული რუსული იმპერიის რღვევის პროცესში გახდა. მოსკოვმა სახსრები და ენერგია არ დაიშურა საქართველოში სეპარატიზმის გაღვივების, ექსტრემისტული დაჯგუფებების ორგანიზება-დარაზმვისა და ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მათი დაპირისპირების მიზნით.

სეპარატიზმი, მიუხედავად თავისი სეცესიონისტური ბუნებისა, მუდმივად იყო მართული რუსეთიდან. სეპარატისტ ლიდერთა ნაწილს კარგად ესმოდა, რომ რუსეთის გარეშე მათი მისწრაფებები განწირული იყო. ამიტომ განსაკუთრებულ აქცენტს რუსეთთან ურთიერთობებზე აკეთებდნენ. სეპარატისტთა მეორე ნაწილი კი პირდაპირ იყო მართული მოსკოვიდან და სპეცსამსახურებისა თუ სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური დაჯგუფებების უშუალო დავალებებს ასრულებდა.

უკრაინაში მიმდინარე სამხედრო აგრესიის პარალელურად რუსეთი სულ უფრო მეტად აქტიურდება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზეც. მიმდინარე წლის ნოემბერში ხელი მოეწერა რუსეთის ფედერაციისა და აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის უწყებათა შორის ხელშეკრულებას ჯარების ერთობლივი დაჯგუფების შესახებ, რომელიც 2018 წლისათვის უნდა შეიქმნას[198]. ამის გარდა, შეთანხმების თანახმად რუსეთის ფედერაცია მოამზადებს აფხაზეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს და მოამარაგებს მათ აუცილებელი სამხედრო ტექნიკით. აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრის თქმით, უკვე განსაზღვრულია ადგილები, სადაც განთავსდება ეს ძალები. ხოლო ეს შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს ნებისმიერი სამხედრო საფრთხის წინააღმდეგ მხარეთა ერთობლივ ქმედებებს, საგრძნობლად გაზრდის აფხაზეთის უსაფრთხოებას და სამართლებრივ საფუძვლებს დაადგენს რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის დაცვის განხორციელებისათვის.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ მთავრობაში ერთმანეთს კარგა ხანია, ეროვნებით რუსი რუსეთის მოქალაქეები ენაცვლებიან. არაერთხელ დაიწერა, რომ რუსი ჩინოვნიკებისთვის ხელსაყრელ ადგილად იქცა ცხინვალი, სადაც რუსეთის ბიუჯეტიდან სამხრეთ ოსეთისათვის გამოყოფილი დახმარებები რუსი ჩინოვნიკების კორუფციული სქემების მეშვეობით სწორედ ჩინოვნიკების ჯიბეებში მიდიოდა.

ცხინვალში არსებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ მომხდარი ეთნიკური წმენდა. აღნიშნული ფაქტი საერთაშორისო საზოგადოებამ მკაცრად დაგმო, რაც გამყარებულია ევროპარლამენტის 2011 წლის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2008-2009 წლების და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის 2010 წლის რეზოლუციებით.

2012 წელს ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ რუსეთთან რიტორიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა, თუმცა მიუხედავად ცალკეული მიმართულებებით მიღწეული გარკვეული პროგრესისა, სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთან არსებული დაძაბული მდგომარეობა არ შეცვლილა.

შსს-ს სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, 2012 წლის შემდეგ ე.წ. "საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის" ბრალდებით დაკავების შემთხვევები კიდევ უფრო გაიზარდა: 2012 წელს ამ რიცხვმა 294 ადამიანი შეადგინა, 2013-2014 წლებში კი, შესაბამისად, 553 და 512 ადამიანი.[199]

ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებები ხელს უწყობს ორივე სეპარატისტული ანკლავის რუსეთის ფედერაციასთან შემდგომ ინტეგრაციას და საერთაშორისოდ აღიარებულია, როგორც რუსეთის მხრიდან მათი ანექსიის დაჩქარების ინტენსიური მცდელობა.

5.1 ოკუპირებულ რეგიონებში არსებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება

2008 წლამდე, მიუხედავად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უპირობო აღიარებისა და ფორმალური მხარდაჭერისა, რუსეთის ფედერაციის სუბიექტები და სხვადასხვა ფედერალური უწყებები სეპარატისტულ რეჟიმებთან აფორმებენ ოფიციალურ შეთანხმებებს რუსეთის ფედერაციის მიერ სხვადასხვა ფორმატში ხელმოწერილი დოკუმენტებით თუ განცხადებებით აღებული ვალდებულებების, საერთაშორისო სამართლისა და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა პრინციპების საწინააღმდეგოდ. მაგალითად, მარტო აფხაზეთის რესპუბლიკასთან დადებულია 60-ზე მეტი ასეთი შეთანხმება.

ათვლის ახალი წერტილი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და ორივე ტერიტორიის სრული ოკუპაციის შემდგომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაა ამავე წლის 26 აგვისტოს. რუსეთის ფედერაციამ ორივე რესპუბლიკასთან ამავე წლის 17 სექტემბერს დადო ხელშეკრულებები: "ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა ურთიერთდახმარების თაობაზე" და "ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა ურთიერთდახმარების თაობაზე"[200].

რუსეთმა აფხაზეთთან 2014 წლის 24 ნოემბერს და სამხრეთ ოსეთთან – 2015 წლის 18 მარტს საკუთარი ანექსიური პოლიტიკის დაჩქარებისათვის რუსეთმა გააფორმა ახალი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებების შესწავლით ნათლად იკვეთება საგულისხმო განსხვავებები, რომელიც ამ დოკუმენტებს შორის არსებობს. საქართველოს უშიშროების საბჭოს მიერ მომზადებულ ანალიზში "რუსეთის ანექსიური პოლიტიკა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ" აღნიშნულია: "ხელშეკრულების ოსურ ვერსიაში გვხვდება ის ფორმულირებები, რომლებიც აფხაზებისთვის რუსული მხარის მიერ შეთავაზებულ თავდაპირველ დოკუმენტებში იყო ჩადებული და რომლებიც მოგვიანებით აფხაზებმა ამოიღეს. მაგ. ხელშეკრულების სათაური „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ" ნაცვლად "მეკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ"; ან შეთანხმებული (согласованной) საგარეო პოლიტიკის წარმოება "კოორდინირებულის" (скоординированной) ნაცვლად.

2013 წლიდან რუსეთი განსაკუთრებით ააქტიურებს პოლიტიკას ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ. ამ პოლიტიკის ავტორი და კოორდინატორი არის რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველი ვლადისლავ სურკოვი. სურკოვი, რუსეთის ფედერაციის ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი 2000 წლის 17 იანვრიდან, არის რუსული "სუვერენული დემოკრატიის" იდეის ავტორი. 2013 წლის დასაწყისში რუსულ პოლტიკურ ელიტაში არსებული დაპირისპირებების გამო იძულებული გახდა, დაეტოვებინა ვიცე-პრემიერის პოსტი, თუმცა დიდ პოლიტიკაში დაბრუნდა, როგორც რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე, რომელსაც გარკვეული კრიზისული ვითარებების მოგვარება დაევალა. მისი უშუალო ჩარევითა და ორგანიზებით აქტიურდება საოკუპაციო ხაზის გადმოწევისა და მავთულხლართების გადმოწევის პროცესი. პოლიტიკურ პროცესებში მისი უშუალო ჩარევის შემდეგ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩატარებული არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოდიან პოლიტიკური სპექტრის ყველაზე პრორუსულად განწყობილი ძალები[201].

აფხაზეთში რუსეთის დომინირების მიუხედავად მუდმივად არის მცდელობა, გაიჩინონ კონტაქტები სხვა ქვეყნებთან. ამ თვალსაზრისით აფხაზეთისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთობები თურქეთთან, სადაც ყველა მრავალრიცხოვანი და გავლენიანი აბაზურ-ჩერქეზული, აფხაზთა მონათესავე ერების დიასპორა ცხოვრობს. სხვადასხვა შეფასებით, ეს ჯგუფი 700 000-დან 1 000 000-მდე ადამიანს ითვლის. კავშირები მოჰაჯირების შთამომავლებთან საკმაოდ ძლიერია. მიუხედავად ქართული მხარის აქტიური პროტესტებისა და თურქეთის სახელმწიფოს მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის თაობაზე არაერთხელ გაკეთებული ოფიციალური განცხადებისა, არსებობს საკმაოდ აქტიური ეკონომიკური ურთიერთობები არაღიარებულ აფხაზეთთან, რასაც ემატება ისეთი ერთეჯერადი მოვლენები, როგორიცაა აფხაზეთში თურქეთის ქოჯაელის პროვინციის დელეგაციის ვიზიტი გუბერნატორის ხელმძღვანელობით.[202]

ამასთან, აფხაზეთში მოსახლეობის ერთი ნაწილი (განსაკუთრებით გუდაუთის რაიონში) ისლამის მიმდევრები არიან. ეს ფაქტი პანთურქული და პანისლამური ორგანიზაციების ყურადღების საგნად, 1990-ანი წლებში კი განსაკუთრებული ზრუნვის საგნად იქცა. აფხაზეთში გაჩნდა ისლამური სასულიერო სკოლები, დაიწყო სალოცავებისა და შეკრების ადგილების გახსნა. გაჩნდა სალაფიტური (ვაჰაბიტური), რადიკალური ისლამისტური მცირერიცხოვანი დაჯგუფება, რომელიც სხვადასხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციის მეშვეობით უხვად ფინანსდებოდა და ზრდიდა გავლენას განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში. თუმცა, ამან დანარჩენ საზოგადოებაში პროტესტი და მიუღებლობა გამოიწვია. დაფიქსირდა ერთადერთი სალაფიტური (ვაჰაბიტური) მეჩეთის დაცხრილვის ფაქტები, რომელსაც ამ დაჯგუფების არაფორმალური ლიდერის, ტერორისტული წარსულის მქონე პირის, ხამზატ გიცბასა და მისი თანმხლები პირის, წარმოშობით უფელი რუსლად ასადულინის დაღუპვა მოჰყვა. თუმცა სამართალდამცველთა აქტიური ჩარევის შედეგად ვითარება განიმუხტა, ასევე შემცირდა რადიკალ ისლამისტთა გავლენაც.[203]

როგორც აფხაზეთში აღიარებენ, ეს კონტაქტები გარკვეულ კონკურენციას უქმნის რუსეთის ცალსახა და უპირობო გავლენას აფხაზეთში, თუმცა ის რუსეთის ფედერაციის გავლენას მაინც ვერ შეედრება. ამის მიუხედავად, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები მოითხოვენ აფხაზეთის ხელმძღვანელობისაგან, გაუქმდეს აფხაზეთში მოქმედი ფონდი "აფსნი", რომლის მთავარი მიზანიც მოჰაჯირობის შედეგად თურქეთში და ახლო აღმოსავლეთში გადახვეწილთა შთამომავლების რეპატრიაციის ხელშეწყობაა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი პრაქტიკულად ჩიხშია შესული და ფონდს დიდი შესაძლებლობები არა აქვს, ამგვარი დაჟინებული მოთხოვნა არაერთხელ დაფიქსირდა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე პოლიტიკური სისტემა მთლიანად იყო დამოკიდებული რუსეთის ფედერაციაზე. რუსეთის ფედერაცია შიდა პროცესების უშუალოდ მართვის აუცილებლობას ვერ ხედავდა და გარკვეულ ავტონომიას უშვებდა. ასე მაგალითად, რუსეთის პრეზიდენტის უპირობო ფავორიტი რაულ ხაჯიმბა მხოლოდ მესამე მცდელობით გახდა აფხაზეთის პრეზიდენტი, რუსეთის ფედერაციის მაღალჩინოსნების უშუალო მონაწილეობით ინსპირირებული პოლიტიკური კრიზისის შედეგად. მიუხედავად ამისა, აფხაზეთის ყველა პოლიტიკური ძალის ლიდერი მეტ-ნაკლებად ლოიალურია რუსეთის მიმართ, მას აფხაზეთის დამოუკიდებლობის გარანტად მიიჩნევს და მხარს უჭერს თანამშრომლობისა და ინტეგრაციის მაღალ ხარისხს.

რაც შეეხება უშუალოდ აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას, იგი სსრკ სუკ-ის ოფიცერი იყო. ის აფხაზ პოლიტიკოსთა შორის რუსეთისადმი ყველაზე ლოიალურ ფიგურად აღიქმება. აფხაზურ საზოგადოებაში იმასაც ამბობენ, რომ ხაჯიმბა რუსეთს ნებას მისცემს, განახორციელოს ის პროექტები, რომლებიც წინა დე ფაქტო პრეზიდენტის, ალექსანდრე ანქვაბის მმართველობის დროს პრაქტიკულად დამუხრუჭებული იყო. ასეთებია:

- კოდორის ხეობის გავლით ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით მაგისტრალის გაყვანა;
- უძრავი ქონების მსხვილი ობიექტების აფხაზეთის მოქალაქეობის არმქონე პირებზე გასხვისება;
- სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, რომლის მიმართაც აფხაზეთში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა;
- სოფელ აიბღას სადავო ტერიტორიის გადაცემა რუსეთისათვის;
- ლოჯისტიკური ცენტრის შექმნა ქვემო ეშერაში;
- პორტის მშენებლობა ეშერას მიმდებარე რეგიონში.

მიმდინარე პროცესები და, პირველ რიგში, 2014 წლის შემოდგომაზე აფხაზეთის რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების დადება ზემოთ გამოთქმული აზრის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა. კონტროლის გაძლიერების მიზნით აფხაზეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მეთაურად დაინიშნა გენერალი ხრულიოვი, რომელიც 2008 წელს იყო რუსეთის 58-ე არმიის მეთაური და პირი, რომელიც ცხინვალის რეგიონში საქართველოს წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა და ერთ-ერთი შეტაკებისას დაიჭრა კიდეც. გარდა ამისა, გალის რაიონში, მდინარე ენგურზე ადმინისტრაციულ საზღვარს მთლიანად რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ძალები აკონტროლებენ და აფხაზურ მხარეს მხოლოდ ნომინალური ყოფნა დაუტოვეს. ამას გარდა, განიხილება შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბება, რითაც რუსეთის უწყებები სრულად დაამყარებენ კოტროლს სამართალდაცვით საქმიანობაზე.

2015 წლის 29 დეკემბერს სოხუმში შედგა აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტისა და რუსეთის პრეზიდენტის მრჩევლის, ვლადისლავ სურკოვის შეხვედრა. სხვა საკითხებთან ერთად შეხვედრაზე განიხილეს თურქეთის რესპუბლიკის მიმართ რუსეთის მიერ ინიცირებული სანქციებისადმი აფხაზეთის მიერთების საკითხი. ამის შედეგად აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის თავმჯდომარემ არტურ მიქვაბიამ 2016 წლის 11 იანვარს ხელი მოაწერა განკარგულებას თურქეთის რესპუბლიკის მიმართ დროებითი შემზღუდავი ზომების მიღების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომ მიუხედავად ზემოხსენებული განკარგულებისა, გააგრძელებს თურქეთში არსებულ მრავალრიცხოვან დიასპორასთან ყოველმხრივი ურთიერთობების განვითარებას. აღნიშნული მაგალითი კიდევ ერთხელ ნათლად მიუთითებს, რომ რუსეთი სრულად და ერთპიროვნულად მართავს აფხაზეთში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას.

მიუხედავად აფხაზეთში არსებული რთული ვითარებისა, კიდევ უფრო მძიმე სიტვაციაა სამხრეთ ოსეთში. აფხაზეთისაგან განსხვავებით, ცხინვალის რეგიონში მოქმედი დე-ფაქტო ხელისუფლება/მარიონეტული რეჟიმი ყოველთვის ხაზს უსვამს სწრაფვას, გახდეს რუსეთის ფედერაციის ნაწილი ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკა – ალანიასთან ერთად. აქ უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირებიც კი ღიად გამოთქვამენ იმედს, რომ შეძლებენ რუსეთთან მიერთებას. ამის დასტურად შეიძლება სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის, ლეონიდ თიბილოვის ინტერვიუ მოვიყვანოთ, რომელიც მან რუსეთის საინფორმაციოს სააგენტოს მისცა: ”მე ვფიქრობ, რომ რუსეთის შემადგენლობაში შესვლის იდეა აქვს ჩვენს ერს, ეს საიდუმლო არ არის. შევეცდებით, რომ ეს იდეა რეალიზებული იქნას”. [204]

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ეკონომიკები სრულად არიან დამოკიდებული რუსეთის ფედერაციაზე. უნდა ითქვას, რომ მათ საკუთარი ეროვნული ვალუტა არ გააჩნიათ და მიმოქცევაში რუსულ რუბლს იყენებენ. ამასთან, თუ აფხაზეთს გარკვეული ურთიერთობები აქვს თურქეთის

რესპუბლიკასთან, ცხინვალის რეგიონს ალტერნატიული კავშირები საერთოდ არ გააჩნია. STRATFOR-ის მოხსენების თანახმად, მოსკოვის მიერ აფხაზეთის ყოველწლიური მხარდაჭერა შეადგენს დაახლოებით 300 მილიონ აშშ დოლარს, უფრო ნაკლები – 100 მილიონი აშშ დოლარით ფინანსდება ე.წ. სამხრეთ ოსეთი.[205]

აფხაზეთი, მიუხედავად არაღიარებისა და საერთაშორისო ურთიერთობებში (მათ შორის, სავაჭრო-ეკონომიკურ) მინიმალური მონაწილეობისა, მაინც ექცევა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების ნეგატიური ზეგავლენის ქვეშ. ეს ყველაფერი ხდება ნახშირწყალბადოვან ენერგომატარებლებზე ფასების მკვეთრი დაცემის ფონზე, რაც, თავისთავად, რუსული რუბლის (ფულის ნიშანი, რომელსაც აფხაზეთი იყენებს, როგორც ეროვნულ ვალუტას) გაუფასურებას, ინფლაციის დონის ზრდას, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის შეზღუდვასა და მთლიანად რუსული სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობების შემცირებას იწვევს.

ამგვარი ნეგატიური პროცესები არ შეიძლება, არ აისახოს აფხაზეთში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი რჩება აფხაზეთის მთავარ სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორად და უწევს მას განმსაზღვრელ ფინანსურ დახმარებას.

ამგვარად, მრავალი ფაქტორი, რომელიც ახასიათებს რუსულ ეკონომიკას, პირდაპირ აისახება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობასა და მისი მაცხოვრებლების შესაძლებლობებზე.

მიუხედავად რუსეთის მხრიდან ხელოვნური ბარიერების შექმნისა და მუდმივი ზეწოლისა ოკუპირებულ რეგიონებსა და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია რომ მეტ-ნაკლები ინტენსიურობით სავაჭრო ურთიერთობები დღემდე არსებობს. ბოლო კვლევაზე დაყრდნობით, რომელიც 2012-2013 წელს ჩატარდა, "ტრანს-ენგურის" სავაჭრო ბრუნვამ თხუთმეტი მილიონი დოლარი შეადგინა.[206]

ოკუპირებულ რეგიონებში გავლენის გაძლიერებისათვის გარდა სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მექანიზმებისა, რუსეთი ძალიან აქტიურად იყენებს საგანმანათლებლო მექანიზმებს. აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის გალის რაიონშიც აკრძალულია ქართულ (გალის რაიონის აბსოლუტური უმრავლესობის მშობლიურ ენაზე) ენაზე განათლების მიღება. 2015 წლიდან დაწყებითი კლასების ყველა ჯგუფში სწავლება გადავიდა რუსულ ენაზე გალის რაიონის დაბალი და მაღალი ზონის სკოლებში.

მაღალ კლასებში შენარჩუნებულია ქართული ენის შესწავლა, თუმცა წლიდან წლამდე საათების რაოდენობა იკლებს და მათ ადგილს რუსული ენის გაკვეთილები იკავებს.[207] აფხაზურ ენაზე განათლების მიღების რესურსის არარსებობის პირობებში ყველა დონის საგანმანათლებლო დაწესებულებაში იძულებულნი ხდებიან, საგანმანათლებლო პროცესი წარიმართოს რუსულ ენაზე და ამით განხორციელდეს რბილი ძალის გამოყენებით ყველაზე ეფექტური რუსიფიკატორული პოლიტიკა. ამგვარ ქმედებას ქართველი მოსახლეობის მიმართ ეძლევა ეთნიკური დევნის კვალიფიკაცია, რადგანაც, სხვა შეზღუდვებთან ერთად, ხორციელდება თავდასხმა ენაზე, როგორც ეთნიკური იდენტიფიკაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინდიკატორზე.

გარდა დაწყებითი და საშუალო განათლებისა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე არსებული უმაღლესი სასწავლებლები ძირითადად რუსულ ენაზე მუშაობენ. ამასთან ერთად, რუსეთის ფედერაცია მიზნობრივად აფინანსებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნიჭითა და მონდომებით გამორჩეულ ახალგაზრდებს და ყველა პირობას უქმნის მათ უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთის ფედერაციის საუკეთესო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორებიცაა, მაგალითად, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი – უნივერსიტეტი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემია, ხალხთა მეგობრობის რუსეთის უნივერსიტეტი, პლეხანოვის სახელობის რუსეთის ეკონომიკური უნივერსიტეტი და სხვ. ამით

რუსეთის ფედერაცია პრაქტიკულ დასაყრდენს იქმნის მომავალი თაობის ყველაზე განათლებულ და აქტიურ ნაწილში.

ოკუპირებული რეგიონების პოლიტიკური სიტუაციის ანალიზისათვის მნიშნელოვანია კიდევ ერთი სეგმენტი: სამოქალაქო საზოგადოება.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აფხაზეთში, ნაკლები ინტენსივობით ცხინვალის რეგიონში, კონფლიქტის საომარი ფაზის დასრულების მერე აქტიურად დაიწყო არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნის პროცესი, რომელიც, პრაქტიკულად, სეპარატისტული ხელისუფლებებისათვის წარმოადგენდა ლამის ერთადერთ მექანიზმს საზღვარგარეთ საკუთარი წარმომადგენლობების შექმნისათვის. თავის მხრივ, დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენდა არაერთი ორგანიზაცია, რომელიც მიზნად კონფლიქტების მოგვარებას ისახავდა.

საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებითა და ეგიდით ხორციელდებოდა თანამშრომლობის არაერთი საინტერესო და სასარგებლო პროექტი, რომელიც უზრუნველყოფდა მხარეებს შორის გარკვეული კომუნიკაციის აღდგენას და ერთობლივი ინტერესის სფეროების დადგენას, განხილვასა და შესაძლო თანამშრომლობის მექანიზმების შექმნის თაობაზე თანხმობის მიღწევას.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ნების არარსებობის პირობებში სამოქალაქო სექტორი პრაქტიკულად მოკლებულია კონფლიქტის მოგვარების ეფექტურ მექანიზმებს, რუსეთის ფედერაციაში ამგვარ კონტაქტებში მაინც დაინახეს საფრთხე და ცდილობენ ამგვარი კონტაქტების მინიმუმამდე დაყვანას. როგორც აფხაზეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი კერძო საუბრებში აცხადებს, მათ ექმნებათ პრობლემები რუსეთის გარდა სხვა ტერიტორიაზე ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებაში როგორც მათივე დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების, ისე რუსეთის სპეცსამსახურების (ძირითადად, სასაზღვრო ძალების) მხრიდან, თუ ამ ღონისძიებაში ქართველთა წარმომადგენლებიც იღებენ მონაწილეობას. იგივე მდგომარეობაა ცხინვალის რეგიონში, სადაც სამოქალაქო საზოგადოების სექტორში მუშაობა რისკის შემცველიც კი გახდა.

ბოლო პერიოდში რეგიონში რუსული ჩართულობა იზრდება – კრემლი აძლიერებს არამარტო სამხედრო წარმომადგენლობას, არამედ პროპაგანდასაც აფხაზეთში: იზღუდება ალტერნატიული მედიასაშუალებები, ინფორმაციის მთავარი მომწოდებელი ხდება რუსული სააგენტოები და იქმნება სააგენტო "სპუტნიკის" აფხაზური და ოსური ვარიანტი.

გარდა სამხედრო-პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური მექანიზმებისა, აქტიურად გამოიყენებოდა კრიმინალური ძალებიც. ძნელი დასაჯერებელია, რომ, მაგალითად, აფხაზეთში საყოველთაოდ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრი ზურაბ აჩბა, შეეწირა საყოფაცხოვრებო კრიმინალს და მისი დაღუპვა არ იყო დაკავშირებული მის მიერ გაკეთებულ განცხადებებთან საქართველოსთან ურთიერთობების გამოსწორების აუცილებლობის თაობაზე. ასევე საიდუმლოებითაა მოცული აფხაზეთის პირველი დე ფაქტო პრეზიდენტის, ვლადისლავ არძინბას უახლოესი ნათესავებისა და გარემოცვის წარმომადგენლების, ლევან და სალიბეი არძინბების მკვლელობები. ცნობილია, რომ ეს ადამიანები მხარს უჭერდნენ საქართველოსთან ურთიერთობების აღდგენას და ცდილობდნენ, ლეგალური ეკონომიკური თანამშრომლობა დაეწყოთ საქართველოში მოქმედ ბიზნესსტრუქტურებთან.

საქართველოზე გავლენის მოხდენის კიდევ ერთ მძლავრ იარაღად რჩება დევნილთა (იძულებით გადაადგილებულ პირთა) დიდი რიცხვი, რომელიც საქართველოში 263 598 ათას მოქალაქეს შეადგენს, მათი დიდი ნაწილის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ხშირ შემთხვევაში მძიმეა. გარდა ამისა, მათი დიდი ნაწილი განთავსებულია კომპაქტური დასახლების ცენტრებში ყოფილ სარეკრაციო ზონებში, რომელიც არასოდეს ყოფილა განკუთვნილი მუდმივი ცხოვრებისათვის და შესაბამისად, არც არსებობს ინფრასტრუქტურა მათი განათლების, დასაქმებისა და სხვა სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ნაკლებად არის შექმნილი პირობები მათი

ინტეგრაციისათვის, რის გამოც დევნილების დიდი ნაწილი მოწყვლადია, რაც ზრდის საფრთხეს სხვადასხვა დესტრუქციულ პროცესებში მათ გამოყენებასთან დაკავშირებით.

კომპლექსური სირთულის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს პატარა ნაბიჯების პოლიტიკით და მაქსიმალურად ეცადოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კონტაქტების გაღრმავებითა და საერთაშორისო საზოგადოების მობილიზებით გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

დასკვნა

არსებულ პოლიტიკურ გარემოზე დაკვირვება ნათლად მიუთითებს რომ რუსეთის ინტერესი ჩვენს რეგიონში არ შემოიფარგლება მხოლოდ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონით. ის საქართველოს ამ ოკუპირებულ ტერიტორიებს იყენებს მთლიანად საქართველოზე გავლენის მექანიზმად. ფორმალურად რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი აღაიარა, თუმცა მისი ქმედებები ცხადყოფს, რომ არათუ ამ რეგიონების დამოუკიდებლობას, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობასთან შეგუებას ვერ ახერხებს და მას, ისევე, როგორც სსრკ-ს სხვა ყოფილ რესპუბლიკებს, საკუთარი ექსკლუზიური და უალტერნატივო გავლენის სფეროდ მიიჩნევს, რის გამოც უაღრესად მტკივნეულად რეაგირებს საქართველოს ყველა წარმატებაზე სახელმწიფოებრიობის მშენებლობისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში საკუთარი ადგილის დამკვიდრების გზაზე.

რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგი უნდა გახდეს ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის რუსული სამყაროს ორგანულ ნაწილად ქცევა. ამ მიზანს ემსახურება ის უნიფიკატორული პოლიტიკა, რომელიც, პრაქტიკულად, რუსული სისტემის არეკვლას ახორციელებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ყველა მიმართულებით. ამ პროცესს დამატებითი ბიძგი მისცა ყოვლისმომცველი ხელშეკრულების დადებამ. ყოველი ახალი ხელშეკრულება, რომელიც იდება რუსეთსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედ დე ფაქტო ხელისუფლებებს შორის კიდევ უფრო აღრმავებს "ინტეგრაციის" პროცესს და აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს გარდაუვალი ანექსია-ასიმილაციის საფრთხის წინაშე აყენებს.

არსებულ კომპლექსურ გამოწვევებზე ეფექტური რეაგირებისათვის აუცილებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობით გაატაროს აქტიური პოლიტიკა რისკების შემცირებისა და ოკუპირებულ რეგიონებთან ახალი შესაძლებლობების შეთავაზებით.

რეკომენდაციები:

- გააძლიეროს ძალისხმევა კონფლიქტის მოგვარებაში აშშ-ს როლის გასააქტიურებლად აშშ-საქართველოს თანამშრომლობის ქარტიის ფარგლებში.

- ხელი შეუწყოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დანარჩენ ქართულ მხარესთან ბიზნეს და საქმიანი კონტაქტების დამყარებას. საქართველოს პარტნიორებთან ერთად უნდა მოხდეს DCFTA-ს შესაძლებლობების გახსნა (შეთავაზება) ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი ეკონომიკური სუბიექტებისათვის, რაც შეასუსტებს მათ და მთლიანად საზოგადოების დამოკიდებულებას რუსეთის ფედერაციაზე. ერთ-ერთ გამოსავლად შესაძლებელია საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნა, სადაც DCFTA-ს შესაბამისად განხორციელდება ერთობლივი (ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური) სამეურნეო სუბიექტების რეგისტრირების, გადასახადების მოკრების და სხვა საკითხების მოგვარება.

- ხელი შეუწყოს და აწარმოოს აქტიური საინფორმაციო კამპანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მის გარეთ (განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში, თურქეთში და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში) აფხაზურ და ოსურ დიასპორებსა და მათ ლიდერებთან.

- ხელი შეუწყოს და გააუმჯობესოს მრავალმხივი თანამშრომლობა დიპლომატიის სხვადასხვა არხებით, დისკუსიებისა და კონფერენციების ჩატარებით სამხრეთ კავკასიასა და მიმდებარე რეგიონში მოსალოდნელი სამხედრო თუ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევების ანალიზისა და პრევენციის მიზნით.

- ხელი შეუწყოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დე ფაქტო მოქმედი ნორმატივების შედარებით ანალიზსა და ევროპულ სტანდარტებთან მათი ჰარმონიზაციის შესაძლებლობების კვლევებს.

- ასევე, ხელი შეუწყოს იურისტთა საგანგებო ქსელის შექმნას, რომლის ფარგლებშიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებადაცვითი საქმიანობით დაკავებული იურისტები იმუშავებენ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებების მიმართულებებით.

- შეიმუშაოს და გააქტიურდეს ოკუპირებული ტერიტორიებისა და ქართული მხარის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებების შორის თანამშრომლობის სტრატეგია. პრიორიტეტულად განისაზღვროს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ახალგაზრდების საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის შესაძლებლობების სტიმულირება, მათ შორის მათი აქტიური ჩართვა ამ უმაღლეს სასწავლებელთა საზღვარგარეთულ ცენტრებთან პარტნიორობისა და გაცვლის პროგრამებში.

- ხელი შეუწყოს ოკუპირებულ და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებას, სხვადასხვა ობიექტური და მიუკერძოებელი მედიასაშუალებების გამოყენებით, რომლისთვისაც აუცილებელია, საქართველოს ხელისუფლებამ უზრუნველყოს ადგილზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა და საჭიროებების შემთხვევაში მოსახლეობისათვის ტექნიკური საშუალებების მიწოდება.

- გააძლიეროს ძალისხმევა ასოცირების ხელშეკრულების და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესში. ასევე, მნიშვნელოვნად გააქტიუროს ინფორმაციის მიწოდება საქართველოს მოქალაქეებისთვის ნატო-სა და ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის რეალური სარგებლის შესახებ.

6. უსაფრთხოების სექტორი

უსაფრთხოების გამოწვევებთან გასამკლავებლად თანამედროვე დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისი ეროვნული უსაფრთხოების გამართულად ფუნქციონირებადი, ეფექტიანი და მდგრადი არქიტექტურის ფორმირება სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ქვეყნის წინაშე მდგარი უსაფრთხოების გამოწვევები ჰიბრიდული ხასიათისაა. შესაბამისად, უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების მთავარი მიზანი უნდა იყოს ისეთი ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ფორმირება, რომელიც, ერთი მხრივ, უპასუხებს ჰიბრიდულ გამოწვევებს, იქნება ეფექტური შესაბამისი საჯარო პოლიტიკის შემუშავებისას და აღსრულებისას, მეორე მხრივ კი, სრულად შეესაბამება დემოკრატიულ სტანდარტებსა და კონსტიტუციურ მოთხოვნებს. უსაფრთხოების ასეთი სისტემის ფორმირება მოითხოვს მკაფიოდ განსაზღვრულ მარეგულირებელ ჩარჩოს, კომპეტენციების მკაცრ განაწილებას ინსტიტუციებს შორის და კონტროლის და დაბალანსების ეფექტიან სისტემას.

უსაფრთხოების სექტორის რეფორმა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა გარდამავალი დემოკრატიისთვის.

2012 წელს ამოქმედდა კონსტიტუციური მმართველობის ახალი მოდელი, რომელმაც ქვეყნის უსაფრთხოების დაგეგმვისა და აღსრულების სისტემაზეც იქონია გავლენა. ახალი საკონსტიტუციო შესწორებების შედეგად, მმართველობის სისტემა საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან ნახევრად საპრეზიდენტო სისტემაზე გადავიდა. ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ფორმირებაში ჩართულია როგორც პრეზიდენტი, რომელიც არჩეულია პირდაპირი წესით და მას გარკვეული მოვალეობები აკისრია ქვეყნის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის სფეროებში, ისე მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი და წარმოადგენს ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განმახორციელებელ მთავარ აღმასრულებელ ხელისუფლებას. პრეზიდენტი ინარჩუნებს სახელმწიფოს მეთაურის და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის როლს, მაგრამ ბევრ სფეროში, მათ შორის, ეროვნული უსაფრთხოების სფეროში, საპრეზიდენტო კომპეტენციები მნიშვნელოვნადაა შეკვეცილი.

ამ ცვლილებამ ადეკვატური, ეფექტიანი და სისტემური საკანონმდებლო ცვლილებები მოითხოვა, რათა უზრუნველყოფილი იქნას იმ ინსტიტუტებს შორის კოორდინაციის, თანამშრომლობისა და ურთიერთქმედების ეფექტიანი მექანიზმები, რომლებიც საქართველოს უსაფრთხოების სექტორს ქმნის. სისტემამ ასევე უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების და უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი ჩარჩო, თითოეულ დონეზე მკაცრად განსაზღვრული პასუხისმგებლობებითა და პროცედურებით. საქართველოს შემთხვევაში სახელმწიფო უსაფრთხოების არქიტექტურის ტრანსფორმირების პროცესი კიდევ უფრო რთულია, ვინაიდან საქართველოს უსაფრთხოება ისეთი სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას, როგორებიცაა ქვეყნის ნაწილების ოკუპაცია რუსეთის მიერ და რუსეთის რევიზიონისტულ პოლიტიკასთან დაკავშირებული საფრთხეები. უსაფრთხოების თვალსაზრისით დაძაბული გარემო გადაწყვეტილების მიღების ეფექტიან და სტრუქტურირებულ პროცესს მოითხოვს მთავრობის ყოველდღიურ საქმიანობაში, ასევე მკაფიო რეგულაციებსა და პროცედურებს სტრატეგიული დაგეგმვის, პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისთვის.

საქართველოში უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო და სამოქალაქო კონტროლის ინსტრუმენტების შემდგომი გაძლიერება, ასევე, საზოგადოების ჩართულობის დონის ამაღლება გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლისა და ზედამხედველობის არსებული მექანიზმების გაუმჯობესების და დამატებითი, უფრო ადეკვატური და ეფექტიანი მექანიზმების, პროცედურებისა და პრაქტიკის დანერგვის გზით. აუცილებელია უსაფრთხოების სექტორის უწყებებში პოლიტიკური თანამდებობის პირებს, საჯარო სამსახურსა და სამხედრო სამსახურს შორის პასუხისმგებლობების გამიჯვნა, რაც ინსტიტუციურად გააძლიერებს სამოქალაქო კონტროლს უწყებებში და გააუმჯობესებს მათ ეფექტიანობას. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ასევე პრინციპული კომპონენტებია უსაფრთხოების სექტორის და მისი უწყებების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება, ჩარჩოს უზრუნველყოფა სამოქალაქო ჩართულობისა და მონაწილეობისთვის და ამ უკანასკნელის უკეთესი პრაქტიკის დანერგვა.

იმისათვის, რომ გაიზარდოს უსაფრთხოების სექტორის ისეთი უწყებების ეფექტიანობა და დემოკრატიულ სტანდარტებთან შესაბამისობა, როგორებიცაა თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უშიშროების სამსახური (ამ უკანასკნელის შექმნის პროცესი ამჟამად მიმდინარეობს) და უზრუნველყოფილი იქნას მათი გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, საჭიროა შემდგომი ინსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმების გატარება. კარიერის მართვასთან დაკავშირებული საკითხები და უწყვეტი განათლება უსაფრთხოების სექტორის რეფორმის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს. ეს უწყებები ინსტიტუციური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფება და, შესაბამისად, უწყებისთვის სპეციფიკური სარეფორმო გამოწვევების წინაშე დგას. ისეთ საკითხებში, როგორებიც საჯარო და სამხედრო სამსახურებს

შორის პასუხისმგებლობების განაწილება და დაგეგმვის ინსტიტუციურად დამკვიდრებული ციკლია, თანამედროვე დემოკრატიულ სტანდარტებს თავდაცვის სამინისტრო უფრო შეესაბამება, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროში და უშიშროების სამსახურში ეს კვლავ პრობლემურ საკითხებად რჩება.

6.1 სტრატეგიული დონე

დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცება უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრადი განვითარების გარანტიას. დემოკრატიული სტანდარტების ზედმიწევნით დაცვა, ეფექტური ურთიერთშემოწმებისა და ბალანსის სისტემის დანერგვა, უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებაში, აღსრულებასა და სისტემის ფუნქციობის ეფექტურობასა თუ მის ზედამხედველობაში პრეზიდენტის, პარლამენტის და მინისტრთა კაბინეტის თანამონაწილეობის უზრუნველყოფა სისტემის რეფორმირების მთავარი კომპონენტია.

მმართველობის ახალმა კონსტიტუციურმა სისტემამ, რომელიც 2013 წელს ამოქმედდა, მნიშვნელოვნად გააფართოვა მთავრობის კომპეტენციები და შეკვეცა პრეზიდენტის უფლებამოსილება ბევრ სფეროში, მათ შორის, ეროვნული უსაფრთხოების სფეროშიც. ამან, თავის მხრივ, აუცილებელი გახადა საკანონმდებლო ცვლილებების მიღება ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურის მოქმედების სფეროსა და ეროვნული უშიშროების საბჭოს კომპეტენციებთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი აღარ არის ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვაზე პასუხისმგებელი, ის ინარჩუნებს ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან კონსტიტუციურ ძალაუფლებას. პრეზიდენტი რჩება ქვეყნის მეთაურად და გაერთიანებული ძალების მთავარსარდლად, ასევე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტად. მთავრობასთან ერთად პრეზიდენტი მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს საგარეო ურთიერთობებში, როგორებიცაა: მოლაპარაკებების წარმართვა, ელჩების დანიშვნა, საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების რატიფიცირების და დენონსირების ინიცირება; იგი ასევე ასრულებს თავდაცვასა და კრიზისის მართვასთან დაკავშირებულ ფუნქციებს. პრეზიდენტს უფლება აქვს, გამოაცხადოს საგანგებო ან სამხედრო მდგომარეობა, რასაც 48 საათის განმავლობაში პარლამენტის თანხმობა ესაჭიროება. პრეზიდენტს აღარ აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მაგრამ რჩება უფლება, ხელი მოაწეროს ანდა ვეტო დაადოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს.

პრეზიდენტს ასევე აქვს მთავრობის სხდომაზე სპეციფიკური საკითხების განხილვის ინიცირების და ამ დისკუსიაში მონაწილეობის უფლება. მთავრობის ასეთ სხდომას უნდა ესწრებოდნენ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და მისი სხვა წევრები. პრეზიდენტი რჩება ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარედ და ექსკლუზიური უფლება აქვს, დანიშნოს საბჭოს წევრები.

მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილება მნიშვნელოვნად გაფართოვდა. გარდა იმისა, რომ კაბინეტი ერთადერთი აღმასრულებელი ხელისუფლებაა, რომელიც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზეა პასუხისმგებელი, მას ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ახალი უფლებები და ვალდებულებები დაემატა. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების უფლებამოსილების გადაცემაა პრეზიდენტისგან მთავრობისთვის. პრეზიდენტს სჭირდება მთავრობის თანხმობა ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, რომლებიც საგარეო პოლიტიკას და ასევე სამხედრო სფეროს ეხება, მაგალითად, საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმართვა, ელჩების დანიშვნა, საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების რატიფიცირების და დენონსირების ინიცირება, ბრძანებების გამოცემა საგანგებო მდგომარეობის დროს, სამხედრო სარდლობის დანიშვნა. კონსტიტუცია მოითხოვს, რომ გადაწყვეტილებები ყველა ამ საკითხზე პრეზიდენტსა და მთავრობას შორის კონსენსუსით იქნას მიღებული.

მართალია, საკონსტიტუციო ცვლილებებით პარლამენტის უფლებამოსილებები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, მისი როლი პრეზიდენტსა და მთავრობას შორის ძალთა ახალი გადანაწილების შედეგად გაძლიერდა. ძალთა ახალი ბალანსის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა პარლამენტის უფლებამოსილება, განსაზღვროს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარი მიმართულებები. პარლამენტის უფლებამოსილებაში ასევე შედის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და ბიუჯეტის შესრულებაზე გადაწყვეტილების მიღება, საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების რატიფიცირება, დენონსირება ან გაუქმება, საგანგებო მდგომარეობის ან სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების დამტკიცება, მთავრობის პროგრამისთვის და, ასევე, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება, მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება და იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება. პარლამენტი საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრავს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურის გარკვეულ ასპექტებს.

გასულ წელს საქართველოს ატლანტიკურმა საბჭომ საქართველოს უსაფრთხოების სექტორის კვლევა გამოაქვეყნა.[208] კვლევაში მიმოხილული იყო უსაფრთხოების სექტორი და შემოთავაზებული რეკომენდაციები. ისინი მოიცავდა ზოგად რეკომენდაციებს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურაზე და კონკრეტულ რეკომენდაციებს თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორის რეფორმაზე. კვლევა ასევე მოიცავდა რეკომენდაციებს უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის გაძლიერებისა და სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესების თაობაზე.

რეკომენდაციებში ხაზგასმული იყო ფართო საკანონმდებლო აქტის მიღების საჭიროება, რომელიც შესაბამისობაში მოიყვანდა ზოგადად უსაფრთხოების სექტორის მარეგულირებელ საკანონმდებლო ჩარჩოს, დაადგენდა უწყებებს შორის კომპეტენციებს, განსაზღვრავდა კონტროლისა და დაბალანსების სათანადო მექანიზმს უსაფრთხოების სექტორში და უზრუნველყოფდა საკანონმდებლო ბაზას უწყებათაშორისი კოორდინაციის და ერთიანი სამთავრობო მიდგომის ინსტიტუციონალიზაციისთვის. ეს აქტი საკანონმდებლო ინსტრუმენტი იქნებოდა შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს სისტემატიზებისთვის და იმ სიცარიელეების შესავსებად, რომლებიც უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის, სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების, უწყებათაშორისი თანამშრომლობის, კრიზისის მართვის და უსაფრთხოების გამოწვევებზე პოლიტიკური რეაგირების უზრუნველყოფის კუთხით არსებობს. ასეთი აქტის მიღება სავალდებულოს გახდიდა არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოში შესწორებების შეტანას, რათა მთელი სისტემა უფრო თანმიმდევრული და ჰარმონიზებული გამხდარიყო.

2015 წლის მარტში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ. ამ კანონის მიზანი ზოგადი ჩარჩოს შექმნა იყო უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისთვის, სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისთვის, უწყებათაშორისი კოორდინაციისთვის, რომელიც საკონსტიტუციო დებულებების შესაბამისად უზრუნველყოფდა პრეზიდენტის, პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის თანამონაწილეობის მექანიზმებს. კანონმდებლობის მეშვეობით ზემოთ ხსენებული სიცარიელეების შევსების მცდელობა ნამდვილად პოზიტიური განზრახვაა, თუმცა ეს კანონმდებლობა ამ მისიას ვერ ასრულებს. კანონი არ ითვალისწინებს პრეზიდენტის როლს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ან საფრთხეების შეფასების დოკუმენტების შემუშავებაში. პრეზიდენტის ჩართულობა გათვალისწინებულია მხოლოდ ეროვნული სამხედრო სტრატეგიის შემუშავებაში.

ეს კანონი ეროვნული დონის სტრატეგიული დოკუმენტების იერარქიას აწესებს. ამ იერარქიის თანახმად, მინისტრთა კაბინეტმა, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისა და საფრთხეების შეფასების დოკუმენტის საფუძველზე, უნდა შეიმუშაოს უსაფრთხოების სფეროს რამდენიმე ეროვნული სტრატეგია, რომლებიც უნდა მოიცავდეს საკითხთა ფართო სპექტრს, ეროვნული თავდაცვისა და "საგარეო უსაფრთხოებიდან" (ტერმინი, რომელიც კანონშია გამოყენებული) დაწყებული, სოციალურ-ეკონომიკური, ენერგეტიკის, ეკოლოგიური, "შიდა უსაფრთხოების" და ბევრი სხვა საკითხით დამთავრებული. ყველა ამ დოკუმენტიდან პრეზიდენტის მონაწილეობას მხოლოდ

თავდაცვის სტრატეგიის შემუშავების ან დამტკიცების პროცესი გულისხმობს. კანონმდებლობა ითვალისწინებს "უწყებრივი დონის დოკუმენტების" – როგორებიცაა უწყების კონცეფცია, უწყების სტრატეგია, დოქტრინა და პროგრამა – შემუშავებას, როგორც უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის შემადგენელ ნაწილს. სტრატეგიული დოკუმენტების იერარქიაში ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის გამაერთიანებელი დოკუმენტის არარსებობა, ისევე, როგორც ზედმეტად ტრივიალური კომპონენტების არსებობა, ზრდის რისკს, რომ ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმვის პროცესი, შესაძლოა, პრაქტიკაში ფრაგმენტირებული და შეუთანხმებელი გახდეს.

იგივე კანონი უზრუნველყოფს საკანონმდებლო ჩარჩოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთვის. ეს საბჭო, ეროვნული უშიშროების საბჭოსთან ერთად, "ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის მაკოორდინირებელი უწყებაა". სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო პრემიერ-მინისტრის საკონსულტაციო ორგანოა მუდმივი პერსონალით. ვინაიდან მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებლობები ეროვნული უსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვნად გაიზარდა, პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციამ დაიწყო უსაფრთხოების სექტორში მთავრობის გაზრდილი პასუხისმგებლობების განხორციელება, მათ შორის, უწყებათაშორისი კოორდინირების მოვალეობების შესრულება და სტრატეგიული დონის ისეთი დოკუმენტების შემუშავება, როგორებიცაა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და საფრთხეების შეფასება. გაზრდილი პასუხისმგებლობების შესასრულებლად საჭირო გახდა შესაბამისი ინსტიტუციური შესაძლებლობის შექმნა. ამ თვალსაზრისით პერსონალი, რომელიც პროფესიულად იქნებოდა დაკავებული ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმვის, კოორდინირების და კრიზისების მართვის საკითხებით, ნამდვილად იყო საჭირო პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციისთვის. თუმცა, თავად საბჭო არ არის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო. გადაწყვეტილებების მიღება ეროვნული უსაფრთხოების იმ საკითხებზე, რომლებიც, კონსტიტუციის თანახმად, მთავრობის კომპეტენციაში შედის, მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებლობებს განეკუთვნება. სახელმწიფო უსაფრთხოების და კრიზისების მართვის საბჭო მხოლოდ ტექნიკურად მოქმედებს, როგორც პრემიერ-მინისტრის საკონსულტაციო ორგანო და გადაწყვეტილებების მიღება არ შეუძლია. ამიტომ ამ კანონით განსაზღვრული კენჭისყრის პროცედურების როლი სახელმწიფო უსაფრთხოების და კრიზისების მართვის საბჭოში გაუგებარია და ინსტიტუციურ და ფუნქციურ წინააღმდეგობადაც კი გამოიყურება.

ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურის, მისი პროცედურებისა და პრაქტიკის მიმოხილვის შემდეგ აღსანიშნავია ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესისადმი თანამონაწილეობითი მიდგომის არარსებობა. ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკების განხორციელების მთავარი აღმასრულებელი ძალაუფლება ამჟამად მინისტრთა კაბინეტის ხელშია. ამავე დროს, კონსტიტუციურად, პრეზიდენტი გარკვეულ პასუხისმგებლობებს ინარჩუნებს ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკებთან დაკავშირებით. ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის ოპერირების ჰარმონიზება მოითხოვს ეროვნული უშიშროების საბჭოსა და პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის სტრუქტურულ დანაყოფებს შორის თანამშრომლობის ადეკვატური მექანიზმების შემუშავებას. პასუხისმგებლობის და უფლებამოსილების გაზიარება ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის იმ საკითხებზე, რომლებიც როგორც პრეზიდენტის, ისე პრემიერ-მინისტრის კომპეტენციებს განეკუთვნება, ხელს შეუწყობს უფრო ინფორმირებული და კვალიფიციური გადაწყვეტილების მიღების პროცესს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციური, კონტრდაზვერვის, დაზვერვის, საგამოძიებო, სასაზღვრო კონტროლის, ანტიტერორისტული და გადაუდებელი დახმარების ფუნქციები აქვს. ის ყველაზე დიდი და ძლევამოსილი უწყება იყო უსაფრთხოების სისტემაში, რომელიც, პრაქტიკულად, შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობდა. მიუხედავად გარკვეული რეფორმირებისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკლდა მისი ყოვლისმომცველი ძალაუფლების ინსტიტუციური და ფუნქციური განაწილების მკაფიოდ განსაზღვრული ჩარჩო. საპატრულო რეფორმა, რომელიც 8 წლის წინ ჩატარდა, ძალიან წარმატებული და ეფექტიანი აღმოჩნდა; შედეგად, გაიზარდა საზოგადოების ნდობა პოლიციისადმი.

თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის სხვა სფეროები მნიშვნელოვან შემდგომ რეფორმირებას საჭიროებს. სტრატეგიისა და პოლიტიკის დაგეგმვის, სამოქალაქო ჩართულობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც სამინისტროში არსებობს, ძალიან სუსტია და პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება.

ცოტა ხნის წინ მიღებული კანონით "სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შესახებ" უშიშროების სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოეყო და დამოუკიდებელ სახელმწიფო უწყებად ჩამოყალიბდა. პოლიციისა და სახელმწიფო უშიშროების ფუნქციების გაყოფა, განსაკუთრებით, კონტრდაზვერვის საქმიანობის შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციიდან ამოღება, სწორი მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს. უსაფრთხოების სექტორის კვლევის ანგარიშში, რომელიც საქართველოს ატლანტიკური საბჭოს მიერ არის მომზადებული, ანგარიშის ავტორები ამ ფუნქციების განცალკევების საჭიროებას უსვამენ ხაზს.

თუმცა, რეფორმა არ შეხებია ისეთ საკითხებს, როგორებიცაა შინაგან საქმეთა სამინისტროსა (შსს) და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შიდა და გარე კონტროლის ეფექტიანობის ამაღლება, კარიერის მართვა, გენერალური ინსპექტორის რეფორმირება, უწყების მიერ თვალთვალის ბოროტად გამოყენების პრევენცია, ამ უწყებების საქმიანობებზე სასამართლო კონტროლის გაუმჯობესება. ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ როგორც შსს-ს, ისე სახელმწიფო უშიშროების ახლადშექმნილი სამსახურის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების დონეს. გარდა ამისა, მიმდინარე ცვლილებები კითხვებს აჩენს შსს-სა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურში ფუნქციების დუბლირების თაობაზე. ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის მთავარი პრინციპი ერთიანი სამთავრობო მიდგომა უნდა იყოს. ამ კონტექსტში, ვინაიდან სახელმწიფო უშიშროების სამსახური არ არის პოლიტიკური უწყება, ბუნდოვანი რჩება სამოქალაქო ზედამხედველობის საკითხები და უწყების სტრატეგიული და პოლიტიკის დაგეგმვის ინსტიტუციური მექანიზმები.

საქართველოს ატლანტიკური საბჭოს კვლევაში აღნიშნულია სტრატეგიული დაგეგმვის ჩამოყალიბებული სისტემისა და პროცედურების პრაქტიკული არარსებობა, რომლებითაც სტრატეგიული დონის დოკუმენტები, გრძელვადიანი გეგმები და პროგრამები იქმნება. უწყება ძირითადად ფუნქციობს კანონებითა და მინისტრის ბრძანებებით, რომლებიც, საუკეთესო შემთხვევაში, ყოველდღიურ რუტინას ემსახურება. "სტრატეგია 2013" და "სტრატეგია 2014" წარმოადგენს უწყების მცდელობებს, მოახდინოს ხედვის დოკუმენტირება, მაგრამ რეალურად ისინი გრძელი, საშუალო და მოკლევადიანი მიზნების შერეული სიაა, რომლებიც სხვადასხვა მიზნებს ემსახურება. ეს დოკუმენტები არ შეიცავს სტრატეგიულ სამოქმედო გეგმას ან მის განსახორციელებლად საჭირო რესურსებს. ეს სიცარიელე რომ შეივსოს და სტრატეგიისა და დაგეგმვის საფუძველი შეიქმნას, ასევე, თავიდან უნდა იქნას აცილებული ამ ინსტიტუტების ფუნქციების დუბლირება; მთავრობამ, შსს-სა და სახელმწიფო უშიშროების ახლადშექმნილ სამსახურთან ერთად, უნდა დაიწყოს ყოვლისმომცველი ინსტიტუციური გადასინჯვის პროცესი, რასაც უნდა მოჰყვეს კონკრეტული რეკომენდაციები ოპერაციების ჰარმონიზებისა და იურისდიქციის კონფლიქტების განსაზღვრისთვის, რის საფუძველზეც სხვადასხვა დანაყოფის ორგანიზაციული და პირადი შემადგენლობის ოპტიმიზაცია შეიძლება განხორციელდეს. უკეთესი და უფრო ეფექტიანი შედეგების მისაღებად ძალზე მნიშვნელოვანია ნატო-სა და ევროკავშირის მხარდაჭერის მოპოვება ნატო-სა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ორმხრივი დახმარების გზით.

პერსონალის მართვის და პროფესიული განათლების სისტემის რეფორმირება შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილებებით, რომლებიც პოლიტიკურ, საჯარო და სამხედრო სამსახურებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილებას ისახავს მიზნად, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო რეფორმებია შსს-სთვის. უნდა განისაზღვროს სამსახურის ორი მთავარი დონე და ტიპი: პოლიტიკური, რომელიც მოიცავს პოლიტიკური თანამდებობის პირებს, საჯარო, რომლებშიც შედიან შსს-ს საჯარო მოსამსახურეები და პოლიციის ოფიცრები. მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს სამხედრო და საჯარო სამსახურები, მათ შორის, განისაზღვროს პასუხისმგებლობები, მოვალეობები და კარიერული განვითარების გეგმა, შემოღებული უნდა იქნას კარიერული წინსვლისთვის

სავალდებულო ტრენინგის სისტემა. ასევე უნდა დაინერგოს პროფესიული დაწინაურების მკაფიო სისტემა და კრიტერიუმები.

უსაფრთხოების სექტორის უწყებებზე სათანადო დემოკრატიული ზედამხედველობის უზრუნველყოფა ქვეყნის უმთავრესი გამოწვევაა, რომელიც არა მხოლოდ შსს-ს წინაშე დგას, არამედ ზოგადად უსაფრთხოების სექტორის წინაშე. შსს-ზე სამოქალაქო და დემოკრატიული კონტროლის არსებული სუსტი და არაეფექტიანი მექანიზმების გათვალისწინებით, რისკები, რომ სამინისტრო და, ასევე, უშიშროების ახლადშექმნილი სამსახური ძალაუფლებას ბოროტად გამოიყენებს, რჩება მაღალი. როგორც საქართველოს უახლესმა ისტორიამ აჩვენა, ეს რისკები ხშირად რეალიზდება. შსს-ს ფუნქციების შესაბამისი გამიჯვნის, ასევე, მათ განხორციელებაზე სამოქალაქო და დემოკრატიული ზედამხედველობის უზრუნველყოფის გარეშე საქართველოს უსაფრთხოების სექტორის რეფორმა არც სრული იქნება და არც წარმატებული.

თავდაცვის სამინისტრო. საერთაშორისო დახმარებამ, რომელიც საქართველომ 1990-იანი წლებიდან აშშ-სა და ნატო-ს სხვა წევრი ქვეყნებისგან მიიღო, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს თავდაცვის სექტორის განვითარებას. სხვადასხვა საგანმანათლებლო და საწვრთნელ კურსებზე ხელმისაწვდომობა, რომლებიც ნატო-ს პროგრამის – "პარტნიორობა მშვიდობისათვის" – ფარგლებში ტარდება და რომელსაც ნატო-ს წევრი ქვეყნები აფინანსებენ, დახმარების ძალიან ეფექტიანი ფორმა აღმოჩნდა. ამან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამინისტროს კადრების განვითარებაში. კიდევ ერთი პოზიტიური ფაქტორი, რომელმაც დადებითად იმოქმედა საქართველოს შეიარაღებული ძალების რეფორმირებაზე, ნატო-ში ინტეგრაციის პროცესია, რამაც პოლიტიკური სტიმულები და ინსტიტუციური მექანიზმები გააჩინა საქართველოს შეიარაღებული ძალების ტრანსფორმირებისთვის. ამ ორმა ფაქტორმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თავდაცვის ინსტიტუტის მშენებლობასა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ტრანსფორმირებას, მიუახლოვა რა ისინი ნატო-ს სტანდარტებს.

მიუხედავად მნიშვნელოვანი მიღწევისა, თავდაცვის სექტორი კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის პრაქტიკის არასაკმარისი ინსტიტუციონალიზაცია ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად რჩება. ასევე სერიოზული გამოწვევაა სამხედრო განათლების და წვრთნის სისტემის შეზღუდული ეფექტიანობა, რომელიც დაძლეული უნდა იქნას ამ სისტემის უკეთესი სინქრონიზების და ოპტიმიზების გზით. საჭიროა პოლიტიკის უწყვეტობის და მისი თანმიმდევრული განხორციელების უზრუნველყოფა, ასევე აუცილებელი დეცენტრალიზაციის განხორციელება და ადამიანური რესურსების სათანადო მართვა.

მეტი ძალისხმევაა საჭირო, რათა მოხდეს თავდაცვის დაგეგმვისა და მართვის პროცესების შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია, ადამიანური რესურსების განვითარებაში მეტი ინვესტირება სამხედრო განათლების, წვრთნის და ადამიანური რესურსების სისტემების შემდგომი სრულყოფისა და სინქრონიზების გზით; ასევე, დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტის შემუშავების სისტემის შემდგომი განვითარება და მისი ინსტიტუციური სრულყოფა, რათა შემუშავდეს ოპტიმალური და ფინანსურად მდგრადი საპროგრამო ბიუჯეტი, რომელიც თავდაცვის სფეროს პრიორიტეტების და ამოცანების ადეკვატური იქნება; სამხედრო პერსონალის მართვის სისტემის შემდგომი განვითარების, ოპტიმიზებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა.

თავდაცვის ბიუჯეტის მოცულობა სერიოზულ პრობლემად რჩება. თავდაცვის ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის 2,1%-ია და შეადგენს 650 მლნ ლარს. 2% ნატო-ში ქვეყნის გაწევრიანებისათვის მოთხოვნის მინიმუმია. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ბიუჯეტი არაა საკმარისი, რათა უზრუნველყოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის დონე. შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა 25,000-ია. დღევანდელი თავდაცვის ბიუჯეტის დაახლოებით 80% პირადი შემადგენლობის ხარჯია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბიუჯეტის თითქმის 80%-ს შეადგენს ხელფასი, კვება და პირადი შემადგენლობის სხვა საყოფაცხოვრებო ხარჯი. შესაბამისად, მხოლოდ 20% იხარჯება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომსახურებაზე, წვრთნებზე და სწავლებებზე, ტექნიკისა და ინფრასტრუქტურის მომსახურებასა და განახლებაზე, ახალი

შეიარაღების შესყიდვაზე და ა.შ. ეს, ბუნებრივია, არ შეიძლება, არ აისახოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნის დონეზე და, შესაბამისად, საქართველოს სამხედრო პოტენციალზე. ხარჯების ასეთი პროპორცია მესამე წელია, გრძელდება და, როგორც ჩანს, 2016 წლისთვისაც მსგავსი მდგომარეობა დარჩება. აუცილებელია თავდაცვის ხარჯების სტრუქტურაში ბალანსის აღდგენა იმისათვის, რომ პირადი შემადგენლობის ხარჯი მთლიან ბიუჯეტთან მიმართებაში, სულ მცირე, არ აღემატებოდეს 70%-ს. ასეთი პროპორცია მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის დონეს. აუცილებელია უკვე 2016 წლის ბიუჯეტი გადაიხედოს თავდაცვის ხარჯების გაზრდის მხრივ.

საპარლამენტო და სამოქალაქო კონტროლი. უსაფრთხოების სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო მიმოხილვისას აშკარაა, რომ საჭიროა იმ უწყებების ეფექტიანი სამოქალაქო და დემოკრატიული ზედამხედველობის მექანიზმების შემდგომი დახვეწა, რომლებიც საპოლიციო, სამხედრო და უსაფრთხოების ფუნქციებით არიან აღჭურვილი. საქართველოში ახალი საკონსტიტუციო მოდელის შემოღების შემდეგ დაწყებული კომპეტენციების აუცილებელი განაწილების და საკანონმდებლო ჩარჩოს ჰარმონიზების პროცესი ჯერ არ დასრულებულა. საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების საკონსტიტუციო დებულებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და ამ პროცესში სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესია ქვეყნის შემდგომი დემოკრატიული და ინსტიტუციური განვითარებისთვის, მისი სტაბილურობისთვის და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელებისთვის.

სახელმწიფო უწყებების საიდუმლო საქმიანობების ბიუჯეტზე ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემის შემუშავება საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანი მექანიზმების ზოგადი ჩარჩოს ფარგლებში პარლამენტის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა.

პარლამენტის "ნდობის ჯგუფის" ჩართვა სპეციალური პროგრამების შემუშავების, ბიუჯეტის შედგენის პროცესში და სახელმწიფო პროგრამების ხარჯების ზედამხედველობაში გაზრდიდა უსაფრთხოების სექტორის გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას.

საპარლამენტო ზედამხედველობა. საქართველოში, საპარლამენტო ზედამხედველობის საკანონმდებლო ჩარჩო, ზოგადად, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს შეესაბამება. პარლამენტი უფლებამოსილია, მიიღოს კანონმდებლობა, იმსჯელოს სამთავრობო პოლიტიკაზე და მხარი დაუჭიროს მას, ასევე, მიიღოს გადაწყვეტილებები საბიუჯეტო ასიგნებებზე. პარლამენტი უფლებამოსილია, გადააყენოს მთავრობა ან კენჭი უყაროს მისადმი ნდობის საკითხს, მოახდინოს საერთაშორისო შეთანხმებების რატიფიკაცია, მათ შორის, საქართველოს სამხედრო ძალების მონაწილეობაზე საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში საქართველოს ფარგლებს გარეთ.

თუმცა, პარლამენტის როლი საკმაოდ შეზღუდულია უსაფრთხოების სექტორის მაღალი თანამდებობის პირების დანიშვნასა და გათავისუფლებაში. გარდა ამისა, არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პარლამენტის "საფულის ძალა" შეზღუდულია, როდესაც საქმე უსაფრთხოების სექტორის უწყებებისთვის საბიუჯეტო ასიგნებების დეტალებს ეხება. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, პარლამენტი, უმეტესად, ჯამურ ციფრებს უყრის კენჭს და თითქმის არ აანალიზებს უსაფრთხოების სექტორის უწყებების ხარჯებს ან მათ მიერ დაგეგმილ პროგრამებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საპარლამენტო ზედამხედველობაც შეზღუდულია. პარლამენტი თავის საზედამხედველო უფლებამოსილებას უკეთ განახორციელებს, თუ გააძლიერებს "ნდობის ჯგუფის" დამოუკიდებლობას და მოახდენს მისი საქმიანობის შემდგომ ინსტიტუციონალიზაციას. საპარლამენტო კომიტეტის დონეზე შსს-ს, უშიშროების სამსახურის და დაზვერვის სამსახურის ზედამხედველობის პასუხისმგებლობები თავდაცვის და უსაფრთხოების კომიტეტსა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტს შორის არის განაწილებული. არც ერთი ამ კომიტეტთაგანი ამ საკითხს თავის რესურსებსა და ყურადღებას სრულად არ უთმობს. ეს ინსტიტუციურ გაუგებრობასაც ქმნის. სპეციფიკური ზედამხედველობის საჭიროებების გათვალისწინებით სპეციალური სამსახურების საკითხებზე ახალი საპარლამენტო კომიტეტის შექმნა შეაძლებინებდა პარლამენტს, უკეთ განეხორციელებინა თავისი საზედამხედველო

უფლებამოსილება ამ უწყებებზე. ასეთ შემთხვევაში თავდაცვის კომიტეტი შეძლებდა, უფრო კონკრეტულად შეესწავლა ეროვნული თავდაცვის საკითხები.

გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტს შეუძლია, გაზარდოს დემოკრატიული კონტროლი უსაფრთხოების სექტორსა და მის ანგარიშვალდებულებაზე დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემის შექმნის მეშვეობით ბიუჯეტის შემუშავების პროცესში. თანამშრომლობა პარლამენტსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, აკადემიურ ინსტიტუტებს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ასევე შეუწყობდა ხელს უფრო ეფექტიანი ზედამხედველობის დამყარებას უსაფრთხოების სექტორის უწყებებზე.

სამოქალაქო საზოგადოების – არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური ინსტიტუტების – ჩართვა ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმვის, პოლიტიკის შემუშავების და რეფორმების კონცეპტუალური საფუძვლის შემუშავების პროცესში სახელმწიფო უწყებებს არა მარტო მეტი დამოუკიდებლობითა და კომპეტენტური ექსპერტიზით უზრუნველყოფს, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, რეფორმებს და სტრატეგიულ დოკუმენტებს მეტ ლეგიტიმურობას შესძენს და სახალხო მხარდაჭერას მოუპოვებს, ასევე, გააძლიერებს სექტორზე საზოგადოებრივი ზედამხედველობის მექანიზმებს. სამოქალაქო ჩართულობა უსაფრთხოების სექტორში ძალიან შეზღუდული რჩება. ამ პროცესებში ადეკვატური სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველსაყოფად მთავრობამ ნაბიჯები უნდა გადადგას იმისთვის, რომ მოხდეს უსაფრთხოების სფეროში სტრატეგიული და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში, ასევე, რეფორმის გეგმებისა და დღის წესრიგის შედგენაში პოლიტიკის ინკლუზიური შემუშავების ინსტიტუციონალიზაცია.

დასკვნა

მუდმივად ცვლადი უსაფრთხოების გარემო საქართველოს წინაშე ბევრ გამოწვევას, საფრთხესა და შესაძლებლობას წარმოშობს. ეს საფრთხეები და გამოწვევები სხვადასხვა ხასიათისაა. ესაა კომპლექსური საფრთხეები და გამოწვევები: სამხედრო, ეკონომიკური, ენერგეტიკული, პროპაგანდისტული და ა.შ., რომლებიც ხელს უშლის საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარებას, აფერხებს ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციას და მათ რეინტეგრაციას. საქართველოს წინაშე არსებული ყველაზე სერიოზული საფრთხეები და გამოწვევები ძირითადად მომდინარეობს რუსეთისაგან. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში რუსეთის მზარდი აგრესიული პოლიტიკის გამო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გამოყენებული სანქციები, ასევე მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების შემცირება ასუსტებს რუსეთის შესაძლებლობას, კომპლექსური ზეწოლა მოახდინოს მეზობელ და სხვა ევროპულ ქვეყნებზე. ეს, შესაძლოა, დადებითად აისახოს საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარებაზე, თუ ქვეყანა შეიმუშავებს და განახორციელებს სწორ პოლიტიკას.

არსებულ საფრთხეებთან და გამოწვევებთან გამკლავების, ასევე წარმოქმნილი შესაძლებლობების გამოყენების, ევროატლანტიკური ინტეგრაციის და დეოკუპაციის სტრატეგიების შექმნისა და ეფექტური განხორციელებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნისა და აღსრულების ქმედითი ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს არსებობა და ეფექტური პრაქტიკის დამკვიდრება. საფრთხეების და გამოწვევების კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია, უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო დამყარებული იყოს ხელისუფლების სხვადასხვა ინსტიტუტის თანამონაწილეობის და საზოგადოების ჩართულობის პრინციპებზე.

დღეს მოქმედ უსაფრთხოების არქიტექტურაში არსებობს პრობლემები, რომლებიც, შესაძლოა, ჩაითვალოს პრობლემად არა მხოლოდ უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების მხრივ, არამედ კრიზისული ვითარების მართვის მხრივაც.

ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის ოპერირების ჰარმონიზება მოითხოვს ეროვნული უშიშროების საბჭოსა და პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის სტრუქტურულ დანაყოფებს შორის თანამშრომლობის ადეკვატური მექანიზმების შემუშავებას. პასუხისმგებლობის და უფლებამოსილების გაზიარება ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის იმ საკითხებზე, რომლებიც როგორც პრეზიდენტის, ისე პრემიერ-მინისტრის კომპეტენციებს განეკუთვნება, ხელს შეუწყობს ინფორმირებული და კვალიფიციური გადაწყვეტილების მიღების პროცესს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში.

დასახვეწია სტრატეგიული დოკუმენტების ნუსხა და შემუშავების წესი. დღეს არსებული ვითარებით ერთიანი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტი არ არსებობს. ასევე 2012 წლის არჩევნების შემდეგ მთავრობას არ გამოუცია ისეთი დოკუმენტი, როგორიცაა, მაგალითად, ქვეყნის საგარეო სტრატეგია ან დეოკუპაციისა და რეინტეგრაციის სტრატეგია. საფრთხეების შეფასების დოკუმენტი, გავრცელებული ინფორმაციით, 2015 წლის ბოლოს შემუშავდა. ამ დოკუმენტის საჯარო ნაწილი დღემდე (2016 წლის დასაწყისისთვის) არ გამოქვეყნებულა. ეს ვითარება აფერხებს სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტურობას უსაფრთხოების პოლიტიკის წარმართვის საქმეში. მეტიც, ხელისუფლების ცალკეული ინიციატივები ეროვნული უსაფრთხოების სფეროში ტოვებს გაურკვევლობისა და არათანმიმდევრულობის შეგრძნებას. მაგალითისათვის, განსაკუთრებით შემაშფოთებელია 2015 წლის ბოლოს დაწყებული მოლაპარაკებები "გაზპრომთან", რომელიც გაუმჭვირვალედ მიმდინარეობს.

უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში უზრუნველყოფილი უნდა იქნას ერთიანი სამთავრობო მიდგომა. საჭიროა უსაფრთხოების სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფა, რომელიც დაადგენდა უწყებებს შორის კომპეტენციებს, განსაზღვრავდა კონტროლისა და დაბალანსების სათანადო მექანიზმებს უსაფრთხოების სექტორში და უზრუნველყოფდა საკანონმდებლო ბაზას უწყებათაშორისი კოორდინაციის და ერთიანი სამთავრობო მიდგომის ინსტიტუციონალიზაციისთვის.

ასევე მნიშვნელოვანია კრიზისული ვითარებების მართვის სისტემის სრულყოფა და დახვეწა. 2015 წლის თბილისის წყალდიდობამ უჩვენა, რომ სერიოზული ხარვეზებია კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების და ამ სიტუაციების მართვის სფეროში. ამ მხრივ აუცილებელია საგანგებო გარემოებების დაგეგმვის (contingency planning) პრაქტიკის შემოღება, უფლებამოსილებათა და ვალდებულებათა მკაფიო გადანაწილება და მართვის სისტემის ჩამოყალიბება. ამ მიმართულებით გაცილებით უფრო ეფექტურად შეიძლება იქნას გამოყენებული ნატოელი პარტნიორების დახმარება.

თავდაცვის სფეროში გასულ წლებში ჩატარებული რეფორმებისა და დასავლელი პარტნიორების მიერ გაწეული დახმარების გამო მოქმედებს დაგეგმვის დასავლური სტანდარტების შესაბამისი სისტემა. თავდაცვის სფეროში ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევებად პირადი შემადგენლობის მართვის სისტემა და კრიტიკული შესაძლებლობების განვითარება რჩება. აუცილებელია პირადი შემადგენლობის მართვის სისტემის რეფორმის გაგრძელება, რაც უზრუნველყოფს სამხედრო კარიერის მართვას სამხედრო მოსამსახურეთა განათლებისა და დამსახურების მიხედვით. კრიტიკული შესაძლებლობებიდან საჰაერო თავდაცვა და ტანკსაწინააღმდეგო შესაძლებლობები რჩება პრიორიტეტულად.

შემაშფოთებელია თავდაცვის ბიუჯეტის კლება ბოლო სამი-ოთხი წლის მანძილზე. თავდაცვის ხარჯების შემცირება ძირითადად ოპერატიული და კაპიტალური დანახარჯების ხარჯზე ხდება. შეიქმნა ვითარება, როდესაც თავდაცვის ხარჯების თითქმის 80% პირადი შემადგენლობის ხარჯია და მხოლოდ 20% იხარჯება სწავლებებზე, წვრთნაზე, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, შეიარაღების შეძენასა და მიმდინარე რემონტზე. ეს უარყოფითად აისახება საქართველოს თავდაცვისუნარიანობაზე და სამხედრო ძალების მზადყოფნაზე. აუცილებელია თავდაცვის ხარჯების გაზრდა მზადყოფნის დონის შესანარჩუნებლად.

შსს და უშიშროების სამსახური. შინაგან საქმეთა სამინისტროში არაადეკვატურად დიდი ძალაუფლების კონცენტრაცია იყო. სამინისტროს რეფორმას უნდა უზრუნველეყო ძალაუფლების

ინსტიტუციური და ფუნქციური განაწილების მკაფიოდ განსაზღვრული ჩარჩო, ჩამოეყალიბებინა და გაეუმჯობესებინა სტრატეგიისა და პოლიტიკის დაგეგმვის, სამოქალაქო ჩართულობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მექანიზმები. ეს მექანიზმები სამინისტროში ძალიან სუსტია და პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება.

უშიშროების სამსახურის შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოყოფა და დამოუკიდებელ სახელმწიფო უწყებად ჩამოყალიბება სწორი მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა რეფორმა არ შეხებია ისეთ საკითხებს, როგორებიცაა შინაგან საქმეთა სამინისტროსა (შსს) და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შიდა და გარე კონტროლის ეფექტიანობის ამაღლება, პირადი შემადგენლობის მართვა და, ზოგადად, ამ უწყებების საქმიანობებზე სასამართლო, საპროკურორო და სამოქალაქო კონტროლის გაუმჯობესება. ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ როგორც შსს-ს, ისე სახელმწიფო უშიშროების ახლადშექმნილი სამსახურის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების დონეს. გარდა ამისა, მიმდინარე ცვლილებები კითხვებს აჩენს შსს-სა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურში ფუნქციების არასაჭირო დუბლირების თაობაზე.

